ლევანი ქუჯაიშვილი

# ჩოხოსანის პოეტური ხელოვნების ზოგიერთი საკითხი

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო"
თბილისი — 1968

8 Г 1
899.962[რუსთაველი]
ჯ 866

წინამდებარე ნაშრომში განხილულია „ვეფხისტყაოსნის“ პოეტიკის საკითხები. განსაზღვრულია პოემის იდეურ-თემატიკური საფუძველი.

„ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტთან და კომპოზიციასთან დაკავშირებული საკითხების კვლევისას ავტორი იძლევა ბევრ ახალ და ორიგინალურ დასკვნას.

წიგნში განხილულია აგრეთვე ის ძირითადი მომენტები, რაც „ვეფხისტყაოსანს“ თავის ეპოქასთან აკავშირებს.

7-3-2
— 68 ადგ.

## წინასიტყვაობის მაგიერ

შოთა რუსთაველის გენიალური ქმნილება „ვეფხისტყაოსანი“ უკვე ორ-ნახევარი საუკუნის განმავლობაში ინტენსიური მეცნიერული კვლევის ობიექტია. მის შესახებ შექმნილია დიდძალი ლიტერატურა — მონოგრაფიები, წერილები ცალკეულ პრობლემებზე, სადისერტაციო ნაშრომები. მაგრამ, მიუხედავად იმ დიდი ნაბიჯისა, რომელიც რუსთველოლოგიამ ამ უკანასკნელი სამი ათეული წლის განმავლობაში გადადგა, რიგი პრობლემებისა მაინც მეცნიერულ გადაჭრას მოითხოვს. აქამდე არ არის საბოლოოდ დადგენილი თვით პოემის ტექსტიც.

ტექსტის დამდგენი კომისიის შექმნა სწორედ „ვეფხისტყაოსნის“ შემდგომი, უფრო ღრმა მუშაობის აუცილებლობაზე მეტყველებს. „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დადგენა კი მოითხოვს პოემის იდეურ-მხატვრული არსის შემდგომ კვლევას. შესასწავლია პოემის მხატვრული კონსტრუქცია, რომლის შესახებაც აქამდე მხოლოდ ზოგადი შეხედულებები იყო გამოთქმული. საკმარისია ითქვას, რომ რუსთველოლოგიაში აქამდე არადამაკმაყოფილებლადაა განსაზღვრული პოემის თემა და იდეა, სათანადოდ არ არის გაშუქებული „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტისა და კომპოზიციის თავისებურებანი, ხოლო ის ნარკვევები, რომლებიც ამ საკითხს ეხება, ძალიან ბმირად მცდარ, არასწორ შეხედულებებს შეიცავს. მთელ რიგ შრომებში შეინიშნება „ვეფხისტყაოსნის“ პრობლემატიკის გაუბრალოებისა და ვულგარიზაცის ცდა. ჩვენ მხედველობაში გვაქვს „ვეფხისტყაოსნის“ ნათარგმნ ნაწარმოებად მიჩნევა ნ. მარი, იუსტ. აბულაძე); რუსთაველის პოემის მე-14—15 საუკუნეებით დათარიღება (ს. კაკაბაძე, კ. კეკელიძე); ავ-

ტობიოგრაფიულ ნაწარმოებად გამოცხადება (პ. ინგოროყვა, შ. ნუცუბიძე); „ვეფხისტყაოსნის“ გმირებისა და ისტორიულ პიროვნებათა გაიგივება (მ. ჯანაშვილი, ს. ქვარიანი); პარალელების მოძებნის ცდა სპარსულ, არაბულ და დასავლეთ ევროპის ლიტერატურულ ძეგლებთან; „ვეფხისტყაოსნის“ რაინდულ რომანად გამოცხადება და სხვ.

ამრიგად, არსებობს ნაშრომები, რომლებშიც ლაპარაკია იმაზე, ნასესხებია თუ არა „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტი, სად დაიბადა შოთა რუსთაველი — ჰერეთის რუსთავში თუ მესხეთში, როგორი იყო თამარ მეფისა და შოთა რუსთაველის ურთიერთდამოკიდებულება, ლაპარაკია აღმოსავლეთის არარსებულ რენესანსზე, ქალთა ემანსიპაციაზე და ასე შემდეგ. ხოლო საკუთრივ შოთა რუსთაველის უკვდავი ქმნილების შესახებ კი ლიტერატურა მეცნიერულად ძალზე ღარიბია.

რუსთველოლოგიაში უგულებელყოფილი იყო საყოველთაოდ ცნობილი მარქსისტული დებულება იმის შესახებ, რომ ყოველი ჭეშმარიტად მხატვრული ნაწარმოები რომელიმე განსაზღვრულ ეპოქას ასახავს, რომელიმე საზოგადოების შეხედულებებსა და იდეალებს გამოხატავს. „ვეფხისტყაოსნის“ ისტორიული სინამდვილისაგან მოწყვეტილად განხილვა და მისი, როგორც მხატვრული ნაწარმოების, სპეციფიკის გაუთვალისწინებლობა იყო და არის იმ მრავალი მცდარი შეხედულების სათავე, რომელსაც ადგილი ჰქონდა რუსთველოლოგიაში.

წინამდებარე ნაშრომში მიზნად ვისახავთ, ნათელვყოთ ის უშუალო კავშირი, რომელიც არსებობს მე-12 საუკუნის საქართველოსა და პოემას შორის, შევისწავლოთ და გამოვავლინოთ გენიალური ქართველი პოეტის, შოთა რუსთაველის მხატვრული გამოსახვის ხერხები და საშუალებანი, განვსაზღვროთ „ვეფხისტყაოსნის“ იდეურ-თემატური საფუძველი.

ნაშრომში განხილულია „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტი; განსაზღვრულია და გამოყოფილია ის ეპიზოდები, რომლებიც ქმნის ნაწარმოების ექსპოზიციას, მოქმედების განვითარების კვანძს, მოქმედების განვითარების აღმავალ ხაზს, კულმინაციასა და კვანძის გახსნას; ამასთან ერთად ნაშრომში მოცემუ-

ლია „ვეფხისტყაოსნის“ კომპოზიციის დამახასიათებელი ნიშნების დადგენის ცდა. ამ მიზნით განხილულია მოქმედების განვითარების სპეციფიკა, მოქმედების განვითარების ადგილი და დრო. გარკვეულია ის ორგანული კავშირი, რომელიც არსებობს პოემის ძირითად იდეასა და მის არქიტექტონიკას შორის; აგრეთვე განსაზღვრულია შოთა რუსთაველის ზოგიერთი ძირითადი ესთეტიკური პრინციპი: პოეზიის მიზანი და ფუნქცია, ჟანრების თეორია, მხატვრული გამოსახვის ხერხები და საშუალებანი. ყურადღება გამახვილებულია ისეთ პრობლემებზე, როგორიცაა ფანტასტიკა, პოეტური გამონაგონი, ალეგორია, დადგენილია მათი ხვედრითი წონა „ვეფხისტყაოსანში“ და სხვ.

პარალელურად მოცემულია აღნიშნული საკითხების ირგელივ არსებული ლიტერატურის კრიტიკული მიმოხილვა, პოემის დაწერის თარიღის და ჟანრობრივი რაობის დადგენის ცდა. უყურადღებოდ არ არის დატოვებული ზოგიერთი ტექსტუალური საკითხი, კერძოდ, პროლოგის, ეპილოგისა და „ვეფხისტყაოსნის“ დაბოლოების პრობლემა, მოცემულია ამა თუ იმ სტროფის ახლებური ინტერპრეტაცია.

ცხადია, ამ წიგნში განხილული საკითხებით არ ამოიწურება შოთა რუსთაველის პოეტური ხელოვნება. წინამდებარე ნაშრომში არაა განხილული „ვეფხისტყაოსნის“ ენის, ლექსწყობის, პოეტური სტილის თავისებურებანი და სპეციფიკური კომპონენტები, რადგან ჩვენ ვფიქრობთ, რომ აღნიშნული საკითხები საკმაოდ კარგად არის განხილული აკ. გაწერელიას, პ. ბერაძის, ალ. ბარამიძის, გ. ჯიბლაძის, შ. ღლონტისა და სხვათა შრომებში. ამას გარდა, რაც მთავარია, ჩვენს მიზანს შეადგენდა, მკითხველის ყურადღება, პირველ რიგში, იმ საკითხებზე შეგვეჩერებინა, რომლებიც აქამდე ან სრულიად არ იყო გაშუქებული, ანდა შემდგომ დაზუსტებას მოითხოვდა.

დასასრულ, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ ჩვენ სრულიადაც არ ვფიქრობთ, თითქოს ჩვენს ნაშრომში საბოლოოდ იყოს გადაჭრილი მასში განხილული ყველა სადავო პრობლემა და საბოლოოდ გარკვეული „ვეფხისტყაოსნის“ იდეურ-მხატვრული რაობა. გენიალური შოთა რუსთაველის უკვდავი

პოეზია იყო და იქნება მრავალი თაობის შესწავლისა და თაყვანისცემის ობიექტი და მის შესახებ მომავალშიც მრავალი საყურადღებო აზრი გამოითქმება. ჩვენ ბედნიერად ჩავთვლიდით თავს, თუ წინამდებარე ნაშრომი მცირეოდენი წვლილი მაინც იქნება პოეტური ხელოვნების ამ უკვდავი ძეგლის შესწავლისა და გაგების საქმეში.

## თავი პირველი

### „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტი

ცნობილია, რომ სიუჟეტი ეპიკური ნაწარმოების ხერხემალს წარმოადგენს, რადგან იგი მოქმედების განვითარებისათვის აუცილებელ ეპიზოდებს შეიცავს. მხატვრული ნაწარმოების სიუჟეტის შესწავლასა და მისი თავისებურებების გამოვლენას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორც ნაწარმოების იდეური მხარის დასადგენად, ისე მისი მხატვრული ღირსების სწორად შეფასებისათვის.

მიუხედავად ამისა, „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტი ჯერ არ გამხდარა ღრმა და დეტალური კვლევის საგანი. ამის შედეგად დღესაც ჯერ კიდევ დასადგენია, თუ რომელი ეპიზოდები შეადგენენ ექსპოზიციას, მოქმედების განვითარების კვანძს, მოქმედების განვითარებას, კულმინაციას და კვანძის გახსნას. „ვეფხისტყაოსნის“ იმ მკვლევართა შორის, რომლებიც ასე თუ ისე ეხებოდნენ ამ საკითხებს, აზრთა დიდი სხვადასხვაობა არსებობს: ერთნი ერთ ეპიზოდს თვლიან საკვანძოდ, მეორენი მეორეს და ა. შ. ასეთივე მდგომარეობაა კულმინაციის გარშემოც. მაგალითად, პროფ. ალ. ბარამიძე ქაჯეთის ციხის აღების ეპიზოდს კულმინაციად და, ამავე დროს, ძირითად სიუჟეტური კვანძის გახსნად აცხადებს. აკად. კ. კეკელიძის მონოგრაფიაში „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ შეტანილია თავი — „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტი, სადაც საკმაოდ დაწვრილებითაა მოყოლილი „ვეფხისტყაოსნის“ შინაარსი. აქვე გვხვდება მსჯელობა სიუჟეტის ორიგინალობისა თუ ნასესხობის შესახებ, ხოლო სიუჟეტის თეორიული გარჩევა კი უგულებელყოფილია. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ რუსთაველის არა ერთმა მკვლევარმა ათეული წლების განმავლობაში შეალია თავისი

ენერგია და ცოდნა არაჩვეულებრივად დაყენებული საკითხის გადაჭრას სიუჟეტის სპარსულობის შესახებ, იმ დროს, როდესაც საკუთრივ პოემის სიუჟეტი შეუსწავლელი რჩებოდა.

„ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტისა და კომპოზიციის დეტალურ შესწავლას, მის ზუსტ ანალიზს დიდი მნიშვნელობა აქვს პოემის იდეურ-თემატური საფუძვლის სწორად განსაზღვრისათვის, „ვეფხისტყაოსნის“, როგორც ლიტერატურული ფაქტის, გაგებისა და. სათანადოდ შეფასებისათვის.

„ვეფხისტყაოსანში“ გადმოცემულ იმ ამბავთა სწორ გაგებას, რომლებიც პოემის სიუჟეტურ ჯაჭვს ქმნიან, და იმ ფუნქციის განსაზღვრას, რომელსაც ისინი ასრულებენ, როგორც სიუჟეტის ელემენტები, დიდი მნიშვნელობა აქვს პოემის დაბოლოების საკითხის გარკვევისათვისაც. როგორც ცნობილია, „ვეფხისტყაოსნის“ დაბოლოება, განსაკუთრებით ინდო-ხატაელთა ამბავი, აქამდის მკვლევართა დიდ დავას იწვევს და მისი სწორი გადაჭრა პოემის სიუჟეტს მეცნიერული ანალიზის გარეშე შეუძლებელია.

„ვეფხისტყაოსანი“ თავისი სიუჟეტით და კომპოზიციით ერთ-ერთ ურთულეს ლიტერატურულ მოვლენას წარმოადგენს. ეს სირთულე, პირველ ყოვლისა, ორი პარალელურად მოქმედი სიუჟეტური ხაზის არსებობაში გამოიხატება.

### 1. „ვეფხისტყაოსნის“ ექსპოზიცია

ცნობილია, რომ მხატვრული ნაწარმოების ექსპოზიციას შეადგენენ ის epizodebi, რომლებშიც ავტორი გვაცნობს პერსონაჟებს შორის არსებულ ურთიერთობას კონფლიქტის დაწყებამდე. ეს ის epizodebia, რომლებიც წინ უსწრებენ კვანძის შეკვრას. მოვძებნოთ ეს epizodebi.

„ვეფხისტყაოსანი“ იწყება არაბთა მეფის, როსტევანის ამბით. როსტევანი, როგორც მეფე, დაჯილდოებულია ყოველგვარი დადებითი თვისებებით. მას ტახტის სხვა მემკვიდრე არ ჰყავს ერთადერთი ასულის, თინათინის გარდა. როდესაც თინათინი იმდენად წამოიზარდა, რომ „მზე მისგან საწუნარი“ გახდა.

როსტევანმა სათათბიროდ მოიწვია ვეზირები და გააცნო მათ თავისი გადაწყვეტილება თინათინის გამეფების შესახებ. მცირე შეკამათების შემდეგ ვეზირები თანხმობას აცხადებენ თინათინის გამეფებაზე და იმ უჩვეულო ამბის გასამართლებლად, რომ სამეფო ტახტზე მამაკაცის მაგივრად ქალი უნდა ავიდეს, ამბობენ:

> თუცა ქალია, ხელმწიფედ მართ ღმრთისა დანაბადია;
> არ გათნევთ, იცის მეფობა, უთქვენოდ გვითქვამს კელა დია;
> შუქთა მისთაებრ საქმეცა მისი მზებრ განაცხადია.
> ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა ხვადია 39.

როსტევან მეფის კარზე იზრდებოდა ავთანდილი, რომელსაც ამ დროისათვის სახელმწიფოში ერთ-ერთი უმაღლესი თანამდებობა ეკავა. რუსთაველი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ავთანდილს ძალიან გაუხარდა თინათინის გამეფება. ავთანდილს მალულად უყვარს თინათინი და თინათინის გამეფების შემდეგ იმედი ეძლევა, რომ ამით შეიძლება მასაც ეშველოს და ნატვრა აუსრულდეს. შემდეგ ავტორი აგვიწერს თინათინის მეფედ დასმის ცერემონიალს და ხაზს უსვამს, რომ თინათინს ეკვები აწუხებს. ამის შესახებ პოემაში ნათქვამია:

> მამისა ტახტსა საჯდომად თავი არ ეღირსებოდა,
> ამად ტირს, ბაღი ვარდისა ცრემლითა აივსებოდა 47.

როსტევან მეფის გადაწყვეტილება თინათინის გამეფების შესახებ შეფასებულ იქნა როგორც სახელმწიფო მნიშვნელობის ბრძნული პოლიტიკური აქტი.

მაგრამ ამ საყოველთაო ზეიმის დროს უეცრად: „მეფემან თავი დაჰკიდა და ჰქონდა დაღრეჯილობა". მეფესთან დაახლოებულ პირთა შორის ეს გაოცებას და მითქმა-მოთქმას იწვევს, რადგან მეფის მწუხარების მიზეზს ვერ ხედავენ. ერთი კი ყველასთვის ცხადია, რომ მეფის მწუხარება რაღაც სერიოზული მიზეზით არის გამოწვეული. სწორედ ამაზე მეტყველებს შემდეგი სტროფი:

> თქვეს, თუ: მეფე ცუდსა რასმე გონებასა ჩავარდნილა,
> თვარა აქა სამძიმარი მათი ყოლა არა ქმნილა 58.

ავთანდილი ფიქრობს, რომ როსტევანი კვლავ ეპვებს შეუპყრია ქალის გამეფების გამო და ამას ხუმრობით ეუბნება კიდეც მეფეს. მაგრამ ირკვევა, რომ ეს არ არის მიზეზი როსტევანის პმუნვისა. მისთვის ქალის მეფედ დასმის პრობლემა უკვე გადაწყვეტილია და ამას სიხარულისა და კმაყოფილების გარდა არაფრის გამოწვევა არ შეუძლია.

როსტევანის, როგორც შორსმჭვრეტელი მეფის წინაშე, თინათინის გამეფების შემდეგ მეორე პრობლემა დადგა, რომელიც მას ჯერ კიდევ ვერ გადაუწყვეტია. და სწორედ ეს არის პმუნვის მიზეზი:

ეგე არ მიმძიმს, ვაზირო, ესეა, რომე მწყენია:
სიბერე მახლავს, დავლიენ სიყმაწვილისა დღენია,
კაცი არ არის, სითგანცა საბრძანებელი ჩვენია,
რომე მას ჩემგან ესწავლნეს სამამაცონი ზნენია 62.
ერთაი მიზის ასული, ნაზარდი სათუთობითა;
ღმერთმან არ მომცა ყმა-შვილი, — ვარ საწუთროსა თმობითა, —
ანუმცა მგვანდა მშვილდოსნად, ანუ კვლა ბურთაობითა;
ცოტასა შემწევს ავთანდილ ჩემგანვე ნაზარდობითა 63.

ამ ორი სტროფიდან საკმაოდ ნათლად ჩანს, თუ რა საზრუნავი გაუჩნდა როსტევანს. მართალია, მან ტახტის მემკვიდრედ თავისი ერთადერთი ქალი თინათინი აღიარა, მაგრამ ეს არ არის საკმარისი სახელმწიფოს მომავალი კეთილდღეობისათვის — ჯარს მთავარსარდალი სჭირდება, მის ქალიშვილს — ქმარი. ამ მხრივ მისი არჩევანი ავთანდილზე ჩერდება. ეს ჩანს აქ მოყვანილი სტროფების უკანასკნელი სტრიქონიდან, მაგრამ ეს გადაწყვეტილება არ არის საბოლოო და როსტევანი კვლავ ეპვობს: აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კარგ მოყმეს როსტევანი თავისი საბრძანებლის შიგნით ეძებს.

ავთანდილი ხვდება მეფის გულის ნადებს და შეჯიბრებაში იწვევს როსტევანს. შეიმუშავეს შეჯიბრების პირობები, გამოჰყვეს მსაჯებიც და ნაძლევიც დასდეს — „ვინცა იყოს უარესი, თავ-შიშველი სამ დღე ვლიდეს“ 69.

ასეთია „ვეფხისტყაოსნის“ პირველი თავის შინაარსი.

მეორე თავში გადმოცემულია როსტევან მეფისა და ავთანდილის ნადირობის ამბავი და ავთანდილის გამარჯვება.

ამრიგად, პირველსა და მეორე თავში რუსთაველმა გვიჩვენა, თუ რა მდგომარეობა იყო არაბეთის მეფის როსტევანის კარზე უცხო მოყმის გამოჩენამდე, მოგვცა ზოგადი დახასიათება როსტევანის, ავთანდილის, თინათინისა და გაგვაცნო მათი ურთიერთდამოკიდებულება.

მთავარი მომენტები, რომლებიც გადმოცემულია ამ თავებში, შემდეგია: როსტევანის სურვილის შესაბამისად მის სიცოცხლეშივე თინათინის გამეფება, ავთანდილის სიხარული ამ მისთვის სასურველი პოლიტიკური აქტის გამო.

მაგრამ რუსთაველი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ თინათინი დარწმუნებული არ არის თავისი გამეფების მართებულობაში. შეჭმუნვებული და დადარდიანებულია როსტევანიც, რომელიც ზრუნავს და ფიქრობს სახელმწიფოს მომავალზე. მას ჯერ ვერ გადაუწყვეტია, თუ ვინ არის სახელმწიფოს შიგნით ისეთი მოყმე, რომელიც ღირსი იქნება იმისა, რომ ომში მისი შემცვლელი და თინათინის ქმარი ყოფილიყო. რუსთაველმა როსტევან მეფისა და ავთანდილის შეჯიბრებით გვიჩვენა, რომ ამისათვის ავთანდილი საუკეთესო კანდიდატურაა. ავთანდილმა შეჯიბრებაში გაიმარჯვა — იგი როსტევანზე უკეთესი მშვილდოსანი გამოდგა. ეს ძალზე გაუხარდა როსტევანს. მართალია, უველაფერ ამას პოემაში ხუმრობის ფორმა აქვს მიცემული, მაგრამ სინამდვილეში ამ შეჯიბრებით ფრიად სერიოზული სახელმწიფოებრივი საქმე წყდება: ავთანდილმა დაამტკიცა, რომ არაბეთში მისი სწორი კაცი არ არის, რომ იგი უველაზე ღირსეული მოყმეა.

ამან დარდი გადაჰყარა როსტევანს:

> მეფესა ესე ამბავი უჩნს, ვითა მღერა ნარდისა,
> უხარის ეგრე სიკეთე მისისა განაზარდისა,
> აქვს მიჯნურობა ამისი, ვითა ბულბულსა ვარდისა,
> სიცილით ღაღობს, მიეცა გულით ამოსლვა დარდისა 81.

თუ ჩვენ პირველ და მეორე თავს განვიხილავთ, როგორც პოემის სიუჟეტის შემადგენელ ნაწილს, ცხადი გახდება, რომ ეს ორი თავი არის „ვეფხისტყაოსნის“ ექსპოზიცია, რომლითაც რუსთაველმა მკითხველს გააცნო უცხო მოყმის გამოჩენამდე არაბეთში არსებული მდგომარეობა.

ჩვეულებრივ, მოქმედების განვითარების კვანძს ქმნის ის ეპიზოდები, რომლიდანაც იწყება კონფლიქტი და ურომლისოდაც არ გვექნებოდა ნაწარმოებში მოქმედების შემდგომი განვითარება წინააღმდეგობათა დაძლევის მიმართულებით. ვნახოთ, რომელია ეს ეპიზოდი „ვეფხისტყაოსანში“.

„ვეფხისტყაოსნის“ შემდეგ თავში რუსთაველს შემოჰყავს ახალი გმირი, რომელიც უცნობი რჩება მკითხველისათვის, ვიდრე მის ამბავს არ გაიგებს მის საძებრად წასული ავთანდილი.

ხის ძირას, გრილში სხედან როსტევანი და ავთანდილი, რომელთათვის ყველა ეჭვი განქარვებულია. თამაშობენ, თან წყლიან და ტყის პირის მშვენიერი პეიზაჟით ტკბებიან. ამ დროს „ნახეს უცხო მოყმე ვიწმე, ჯდა მტირალი წყლისა პირსა“... უცხო მოყმემ სრულიად კანონიერი ცნობისმოყვარეობა აღძრა მათში. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ერთგვარი დისონანსი შეიტანა საერთო მხიარულებაში, რომელიც ავთანდილის გამარჯვებამ გამოიწვია; მეორე, იმიტომ, რომ მარგალიტი, რომელიც ხშირად ესხა ყმის ლაგამ-აბჯარ-უნაგირს, მის მაღალ წარმოშობაზე მეტყველებდა; დაბოლოს, მესამე — იმიტომ, რომ მას უცნაური ტანსაცმელი ეცვა: ვეფხის ტყავისაგან შეკერილი კაბა და ქუდი. მეფემ ერთ-ერთი მონა გაგზავნა და უცხო მოყმე თავისთან იხმო. ტარიელმა ყურადღება არც კი მიაქცია მას და ტირილი განაგრძო. უცხო მოყმის თავხედობამ მეფე გააკვირვა და გააბრაზა. მან უბრძანა თორმეტ მონას, რომლებზეც უკეთესი არ ჰყავდა, იარაღის საშუალებით აეძულებინათ უცხო მოყმე, მეფესთან მისულიყო. უცხო მოყმემ, როდესაც მათი განზრახვა შეიტყო, დახოცა როსტევანის თორმეტივე რჩეული მონა და როსტევანის ლაშქრის ის მეომრები, რომლებმაც უცხო მოყმის დაწევა და შეპყრობა სცადეს. მეფე და ავთანდილი დაედევნენ მას, მაგრამ, როდესაც ამ უკანასკნელმა მდევართა შორის მეფე იცნო, ცხენს მათრახი ჰკრა და გაუჩინარდა ისე, რომ მისი ცხენის ნაკვალევიც კი ვერ ნახეს. ამან ძალზე დაადარდიანა მეფე. „მეფემან ბრძანა: „ვნა-

ხეო მიზეზი ლხინთა ლევისა". ეს არ იყო მეფის უბრალო ჭირვეულობა. მის დადარდიანებას ღრმა საფუძველი ჰქონდა, რაზეც ნათლად მეტყველებს მისივე სიტყვები:

ბრძანა: ღმერთსა მოეწყინა აქანამდის ჩემი შვება,
ამად მიყო სიამისა სიმწარითა დანავღლება,
სიკვდილამდის დამაწყლულა, ვერვის ძალ-უც განკურნება,
მასვე მადლი! ესე იყო წადილი და მისი ნება 98.

მართლაც, სადარდებელი ჰქონდათ როგორც როსტევანს, ისე ავთანდილს. როსტევანი თვლიდა, რომ მასზე უკეთესი მეომარი არ იყო სახელმწიფოში და სწყინდა კიდეც, რადგან ფიქრობდა, რომ მისი შემცვლელი არავინ იყო. ავთანდილმა ის-ის იყო განუქარვა სევდა, დაუმტკიცა რა, რომ იგი საუკეთესო რაინდია სახელმწიფოში და სწორედ ამ დროს, როდესაც ისინი გამარჯვებას ზეიმობდნენ, გამოჩნდა ვიღაც მოყმე, რომელმაც იუკადრისა მათთან მისვლა, საუკეთესო მონები დაუხოცა და თან უვნებელი და დაუსჯელი წავიდა. მისმა გამოჩენამ და ინციდენტმა, რომელიც ამასთან დაკავშირებით მოხდა, ღრმა კვალი დატოვა როგორც როსტევანის, ისე თინათინის და ავთანდილის შეგნებაში.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ როსტევანი არა მარტო შეურაცხყოფილად გრძნობდა თავს, არამედ მას მოსვენებას არ აძლევდა სრულიად კანონიერი კითხვა — რატომ ტიროდა უცხო მოყმე? „რა უმძიმდა, არ ვიცოდი, ან ტიროდა ვისთვის კიდე". გარდა ამისა, უცხო მოყმის ტირილმა ხელახლა აუშალა როსტევანს ის ეჭვები, რომელიც აწუხებდა თინათინის გამეფებასა და მისი საქმროს შერჩევასთან დაკავშირებით. უცხო მოყმის ნახვის შემდეგ დანაღვლიანებული როსტევანი და ავთანდილი განმარტოვდნენ. პოემის ტექსტიდან არ ჩანს, თუ რაზე თათბირობდნენ ისინი, მაგრამ ერთი კი ცხადია, რომ მათ ვერ შესძლეს მათ წინაშე წამოჭრილი კითხვების გადაწყვეტა. მაშინ თინათინი ერევა საქმეში და ბრძნულ რჩევას აძლევს როსტევანს. იგი მოაგონებს მამას, რომ იგი მეფეთ-მეფეა, რომ მას შეუძლია გაგზავნოს კაცნი ყველა მიმართულებით უცნობი მოყმის ამბის გასაგებად. ასეც მოიქცნენ. როსტევანის გაგზავნილმა ხალხმა ერთი წელი ძებნა უცხო

მოყმე, მაგრამ მის კვალს ვერსად წააწყდნენ. როსტევანი ამის შემდეგ დარწმუნდა, რომ უცხო მოყმე მოჩვენება იყო, გულიდან დარდი მოიშორა და ისევ გამხიარულდა.

ასეთია „ვეფხისტყაოსნის“ მესამე თავის შინაარსი. რუსთაველი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მესამე თავში აღწერილ ამბებს, განსაკუთრებით ტარიელის მიერ როსტევანის მონების დახოცვას და დაუსჯელად წასვლას. ამიტომაც პოემაში სამჯერ არის დაწვრილებით ლაპარაკი ამ ინციდენტის შესახებ: ნადირობის შემდეგ, ტარიელისა და ავთანდილის პირველი შეხვედრისას და ბოლოს მაშინ, როდესაც ტარიელს როსტევანთან შეხვედრა სურს, რათა ავთანდილისათვის თინათინის ცოლად გაყოლა სთხოვოს.

მართლაც, ამ ეპიზოდს დიდი მნიშვნელობა აქვს პოემაში მოქმედების გაკვანძვისათვის: როსტევანსა და ავთანდილს ნადირობის დროს რომ არ ენახათ მტირალი მოყმე, მას რომ მათი რჩეული მონები არ დაეხოცა და უგზო-უკვლოდ არ გამქრალიყო, არ ექნებოდა ადგილი მოქმედების შემდგომ განვითარებას და ყველაფერი გართულებების გარეშე ჩაივლიდა.

ამრიგად, ტარიელის გამოჩენა ნადირობის დროს სიუჟეტურად პოემის მოქმედების კვანძს ქმნის, მაგრამ ამ ეპიზოდს აქვს აგრეთვე შინაგანი შემაკავშირებელი ლოგიკური მნიშვნელობაც. იგი წარმოადგენს იმ რგოლს, რომლის საშუალებით რუსთაველმა მოახერხა ორი ამბის, როსტევანის და ფარსადან მეფის კარზე მომხდარი ამბების დაპირისპირება. ამრიგად, ამ ეპიზოდს კომპოზიციური ხერხის როლიც აკისრია. მაგრამ ამაზე ქვემოთ, „ვეფხისტყაოსნის“ კომპოზიციის განხილვისას, გვექნება მსჯელობა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ტარიელის გამოჩენა და ამის შედეგად კონფლიქტის დაწყება რუსთაველის მიერ დიდი ოსტატობით არის მოტივირებული; ამის შემდეგ მოქმედება ბუნებრივი და ლოგიკური თანმიმდევრობით ვითარდება. ეს კარგად ჩანს იმ თავიდან („თინათინისაგან ავთანდილის გაგზავნა მის ყმის საძებრად“), რომელშიც თინათინი საკმაოდ დამაჯერებლად ასაბუთებს ავთანდილის მიერ უცხო მოყმის მოძებნისა და მისი ამბის გაგების აუცილებლობას. განვიხილოთ ეს

თავი, რომელიც სიუჟეტურად მოქმედების განვითარების პირველ ეტაპს წარმოადგენს.

ერთი წელი გავიდა, რაც როსტევანმა და ავთანდილმა უცხო მოყმე ნახეს. როსტევანმა გულიდან დარდი მოიშორა მას შემდეგ, რაც გაგზავნილმა კაცებმა უცხო მოყმის შესახებ ვერაფერი ვერ შეიტყვეს. ავთანდილიც დამშვიდდა, ამიტომაც, როდესაც სასახლეში მისაწვევად მასთან თინათინის მონა ზანგი მივიდა, ავთანდილი „იმღერდა და იხარებდა, წინა ედგა ერთი ჩანგი“. მხოლოდ თინათინს არ აძლევდა მოსვენებას ნადირობის დროს მომხდარი ამბავი და ამის გამო მოუწვევია სათათბიროდ ავთანდილი. თინათინი ძალზე შეწუხებული დახვდა მას:

იგი უებრო ქუშად ჯდა, ელვისა მსგავსად შევნოდა,
მთვარესა, მისთა შუქთაგან უკუნი გარდაჰფენოდა. 121.

თინათინი მისვლისთანავე ეუბნება ავთანდილს:

მაგრა იცია მიზეზი შენისა აქა ხმობისა,
რად ვზი ქუშად და დაღრეჯით ასრე მიხდილი ცნობისა? 124.

თუ რამდენად სერიოზულად უყურებდა თინათინი უცხო მოყმის ამბის გაგებას, ეს იქიდანაც ჩანს, რომ იგი თავის საყვარელ არსებას, სახელმწიფოს ერთ-ერთ წარჩინებულ პირს, სარდალს, სპასპეტს, რომელზეც დამოკიდებული იყო სახელმწიფოს თავდაცვისუნარიანობა, აგზავნის სამი წლის ვადით უცხო მოყმის ამბის გასაგებად.

საჭიროა აღინიშნოს, რომ თინათინმა ავთანდილი მხოლოდ იმის შემდეგ გაგზავნა, როდესაც როსტევანის მიერ გაგზავნილმა კაცებმა მთელი ქვეყანა მოვლეს და ხელცარიელი დაბრუნდნენ. ამიტომ თინათინმა სწორედ ავთანდილი ამოირჩია თავისი განზრახვის შემსრულებლად და მას დაავალა უცხო მოყმის ამბის გაგება.

უცხო მოყმის მოძებნა და მისი თავგადასავლის გაგება, თინათინის ვარაუდით, დიდი სახელმწიფო მნიშვნელობის საქმე იყო, რადგან მასზე იყო დამოკიდებული სახელმწიფოს კეთილდღეობა და მათი სიყვარულის გაფურჩქვნა და შეუღლება.

ამიტომ მართალი არ არიან „ვეფხისტყაოსნის“ ის მკვლევარნი, რომლებიც თინათინის ამ დავალებას განიხილავენ მხოლოდ რაინდული რომანების მსგავსად, როგორც სატრფოს მიერ ჩვეულებრივი დავალების მიცემას რაინდისადმი, ანდა როგორც „ყმურ-სამსახურებრივი ვალდებულების“ [1] შესრულებას.

აი, როგორ აქვს გაგებული ეს ადგილი პროფ. ალ. ბარამიძეს:

„ყრმა-ქვეშევრდომებს მოეთხოვებოდათ პატრონის ერთგული და თავგამეტებული სამსახური, თინათინმა მძიმე დავალება მისცა ავთანდილს და ამ შემთხვევისათვის მას მოაგონა:

ასრე გითხრა, სამსახური ჩემი გმართებს ამად ორად:
პირველ ყმა ხარ, ხორციელი არვინა გვყავს შენად სწორად,
მერმე ჩემი მიჯნური ხარ, დასტურია, არ ნაჭორად 129.

ეჭვი არაა, რომ ავთანდილი წარბშეუხრელად შეასრულებდა თავის სატრფოს ყოველგვარ დავალებასა ყმურ-სამსახურეობრივ ვალდებულების გარეშე. ეს კარგად იცოდა თინათინმა, მაგრამ ის მაინც საჭიროდ თვლის, მიუთითოს ჭაბუკს, პირველ რიგში, სწორედ ყმურ-სამსახურებრივ მოვალეობაზე“ [2].

ჩვენი აზრით, ამ ტაეპში სრულებით არ არის ლაპარაკი ყმურ-სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებაზე, როგორც პროფ. ალ. ბარამიძე ფიქრობს. მისი თვალსაზრისი ემყარება სიტყვა „ყმის“ არაჯეროვან გაგებას. ამ კონტექსტში „ყმა“ ნიშნავს რაინდს და არა მონას, დამოკიდებულს, ვასალს. ცნობილია, რომ რუსთაველი ხშირად „ყმას“, „მოყმეს“ ტარიელსაც უწოდებს, თუმცა თინათინსა და ტარიელს შორის არავითარი პატრონყმური დამოკიდებულება არ არსებობდა და არც შეიძლება, არსებულიყო. ეს რომ ასეა, ნათლად ჩანს 128-ე სტროფიდან, სადაც თინათინი ტარიელს „ყმას“ უწოდებს:

---

[1] ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, 1954 წ. გვ. 281.
[2] იქვე.

გახსოვს, ოდეს შენ და როსტანს მინდორს მხეცი დაგეხოცა,
ყმა გენახა უცხო ვინმე, რომე ცრემლი მოეხოცა 128.

აქ „ყმა" ნახმარია მოყმის მნიშვნელობით, თინათინი ავთანდილს ისეთ მოყმედ, ისეთ „ყმად" თვლის, რომელსაც ტოლი არ ჰყავს, რომელზე უკეთესი მთელ ქვეყანაზე არ მოიძებნება: „პირველ ყმა ხარ, ხორციელი არვინა გვყავს შენად სწორად". დასძენს თინათინი. ისმის კითხვა, რატომ ფიქრობს თინათინი, რომ უცხო მოყმის მოძებნით ავთანდილი დაამტკიცებს, რომ იგი საუკეთესოა მოყმეთა შორის? ამას პოემის შემდგომი განვითარება გვიჩვენებს, მაგრამ ამ შემთხვევაშიც თინათინი მართებულად მოითხოვს ავთანდილისაგან შებღალული რაინდული ღირსების აღდგენას. ტარიელმა ხომ ავთანდილის თვალწინ როსტევანის საუკეთესო მონები დახოცა და დაუსჯელად წავიდა, რითაც საკმაო ჩრდილი მიაყენა მის რაინდულ ღირსებას სწორედ იმ მომენტში, როდესაც როსტევანთან შეჯიბრებაში მიღწეული გამარჯვებით მან დაამტკიცა, რომ საუკეთესო მოყმეა.

თინათინმა ავთანდილი მოიწვია როგორც თავისი სატრფო და მომავალი ქმარი. ამდენად პროფ. ალ. ბარამიძის მოსაზრება, ამ სიტუაციაში თინათინის მხრივ ავთანდილისადმი „ყმურ-სამსახურებრივ მოვალეობაზე" მითითების შესახებ უმართებულოდ უნდა ჩაითვალოს.

ამრიგად, თინათინი ავთანდილს ტარიელის ამბის გასაგებად ორი მოსაზრების გამო აგზავნის: პირველი — როგორც რაინდს, რომელმაც თავისი შებღალული რეპუტაცია უნდა აღიდგინოს და დაამტკიცოს, რომ „ხორციელი არვინა ჰყავს მისად სწორად"; და მეორე — რადგან ავთანდილი ჭეშმარიტად მისი მიჯნურია და მომავალი ქმარი, ვალდებულია უცხო მოყმის ამბის გაგებით გაამაგროს თავისი პოზიციები, გაფანტოს თინათინის ეჭვები და დაამტკიცოს, რომ მათი შეუღლება ბედნიერების მომტანი და მიზანშეწონილი იქნება. რადგან თინათინი უცხო მოყმის ამბის გაგების აუცილებლობას უკავშირებს თავის მომავალ ბედნიერებას და ავთანდილთან შეუღლების ამიტომ სწორედ ავთანდილი, და არა სხვა ვინმე, ვალდებული წავიდეს უცხო მოყმის ამბის გასაგებად.

ჩვენ იძულებული ვართ, ხაზი გაუსვათ ამ გარემოებას, რადგან ზოგიერთ მკვლევარს ეს ასე არა აქვს გაგებული. მაგალითად, პრორ. შ. ნუცუბიძე თვლის, რომ:

«Это обычное для рыцарских времен поручение возлюбленному совершить геройский подвиг, использованс поэтом для создания чарующей картины первой встречи влюбленных и раскрытия ими своих чувств».[1]

როგორც დავინახეთ, აქ ჩვენ საქმე გვაქვს არა დავალებასთან, რომელსაც, ჩვეულებრივ, სატრფონი რაინდებს აძლევდნენ, არამედ გაცილებით უფრო ღრმა და სერიოზულ ამბავთან. თინათინი სახელმწიფო მმართველის ჭკუით იყო დაჯილდოებული და უბრალო კაპრიზებს, გულისთქმას, ანდა სხვა უსაფუძვლო გრძნობებს არ აჰყვებოდა. ამაზე ნათლად მეტყველებს თინათინის შემდეგი სიტყვები, მიმართული ავთანდილისადმი:

შენგან ჩემი სიყვარული ამით უფრო გაამყარე,
რომე დამხსნა შეპირება, ეშმა ბილწი ასაჯარე.
გულსა გარე საიმედო ია მორგე, ვარდი ყარე,
მერმე მოდი, ლომო, მზესა შეგეყრები, შემეყარე 130.

თვითონ ავთანდილიც, თუმცა მას ძალზე ეძნელება თინათინთან განშორება, ამ დავალების შესრულებას ისე უყურებს, როგორც თინათინის ცოლად შერთვისათვის აუცილებელ პირობას.

### ვ. მოქმედების განვითარება „ვეფხისტყაოსანში"

შემდეგ თავებში აღწერილია ავთანდილის გამგზავრებასთან დაკავშირებული ამბები და ის სიძნელეები, რომლებიც გადალახა ავთანდილმა, ვიდრე ტარიელის კვალს მიაგნებდა და მოახერხებდა მასთან შეხვედრას. ამ თავებში, რომლებიც მოქმედების შემდგომ განვითარებას წარმოადგენს, საგულისხმო და ნიშანდობლივია მრავალი ეპიზოდი, მაგრამ ჩვენ მხოლოდ იმათზე შევაჩერებთ ყურადღებას, რომლებიც მკვლევართა

[1] Ш. Нуцубидзе. Творчество Руставели, 1958 წ., გვ. 316—317.

ბიერ ან უყურადღებოდ არის დატოვებული ანდა არასწორადაა გაგებული, და რომელთაც, ამავე დროს, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვთ მოქმედების განვითარებისა და პოემის ძირითადი იდეის ნათელყოფისათვის.

იმის შემდეგ, რაც ავთანდილმა თინათინისაგან დავალება მიიღო, მოვლენები შემდეგნაირად ვითარდება: ავთანდილის წასვლა უცხო მოყმის საძებნელად როსტევან მეფეს დაუმალეს, რათა ხელახლა არ გაეღვიძებინათ მასში ის ჰმუხვა და ეჭვები, რომლებიც ერთი წლის წინ გამოიწვია უცხო მოყმის ნახვამ. საინტერესოა, აგრეთვე, ისიც, რომ ავთანდილი მარტოდმარტო მიდის ტარიელის საძებნელად. ეს კიდევ ერთი დადასტურებაა იმისა, რომ ავთანდილი ამ დავალებას თავის პირად საქმედ თვლის და ასე ეუბნება შერმადინს: „მარგალიტი არვის მოჰვდეს უსასყიდლოდ, უვაჭრელად“.

ავთანდილი თავის მაგივრად ტოვებს შერმადინს, რომელსაც სთხოვს მის მოსვლამდე სახელმწიფოს ძტრებისაგან დაცვას, როსტევანისათვის მის მაგიერ წერილების მიწერას და მის სათანადო პატივისცემას.

„ვეფხისტყაოსნის“ მომდევნო თავში, „ავთანდილისაგან მის ყმისა ძებნად წასვლა“, აღწერილი მოქმედება ორ წელიწადსა და ათ თვეს გრძელდება. ამ ხნის განმავლობაში ავთანდილის თავგადასავალი გადმოცემულია ორიოდე სტროფში. აქედან ირკვევა, რომ ავთანდილმა მთლიანად მოიარა „ქვეყნის პირი“, მაგრამ იმ სიძნელეების შესახებ, რომლებიც აუცილებლად გადახდებოდა თავს, სიტყვაც არ არის ნათქვამი. დანარჩენ სტროფებში გადმოცემულია ავთანდილის დარდი სატრფოსთან დაშორებისა და იმის გამო, რომ ვადის გასვლამდე ორი თვეღა დარჩა და მან კი ჯორადაც ვერ გაიგო უცხო მოყმის ამბავი.

ამ თავის ბოლო ნაწილში დაწვრილებით არის აღწერილი ნადირობის დროს სამი თურქი ძმის უცხო მოყმესთან შეხვედრის ამბავი. საინტერესოა აღინიშნოს, რომ რუსთაველი აქაც ტარიელის პირველად გამოჩენის ანალოგიურ სიტუაციას ხატავს. როგორც როსტევანი და ავთანდილი, ხატაელნიც სანადიროდ და მხეცების ხოცვაში შესაჯიბრებლად გამოსულიყვნენ და ვერაგზით ვერ დაედგინათ, რომელი

მათგანი იყო საუკეთესო მსროლელი. ამ დროს შეჩიშნეს შავ ცხენზე მჯდარი, ვეფხის ტყავით შემოსილი უცხო მოყმე და მათაც, როგორც როსტევანსა და ავთანდილს, მისი შეპყრობა მოუნდათ. შედეგი აქაც სავალალოა. უმცროს ძმას უცხო მოყმემ თავი მათრახით გაუჩეხა და წყნარად განაგრძო გზა.

ისმის კანონიერი კითხვა: რატომ აუარა გვერდი რუსთაველმა იმ ამბების აღწერას, რომლებიც ავთანდილს თითქმის სამი წლის განმავლობაში გადახდა. ეს ხომ მას საშუალებას მისცემდა, ეჩვენებინა ავთანდილი როგორც რაინდი, რომელიც თავისი სატრფოს დავალებით საგმირო საქმეებს ჩადის? მაგრამ საქმე ისაა, რომ უცხო მოყმის საძებრად ავთანდილის წასვლის მიზანი მარტო საყვარელი არსების გულისმოსაგებად საგმირო საქმეების ჩადენა კი არ იყო, როგორც ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს, არამედ უცხო მოყმის ამბის გაგება; ამას კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა თინათინისა და ავთანდილის სიყვარულის „გამყარებაში“. რუსთაველი ამ გარემოებას განსაკუთრებით უსვამს ხაზს, როდესაც ავთანდილის სამწლიან თავგადასავალზე ლაპარაკობს:

> უცხო უცხოთა ადგილთა საძებრად იარებოდა,
> მგზავრთა ჰკითხვიდის ამბავთა, მათ თანა-ემოყვრებოდა 178.

აქედან ნათლად ჩანს, რომ ავთანდილს სრულიადაც არ ჰქონდა საბრძოლო განწყობილება, პირიქით, ყველასთან დამოყვრებას და მშვიდობიანი ურთიერთდამოკიდებულების დამყარებას ცდილობდა. მას მხოლოდ ერთი ამოცანა ჰქონდა: უცხო მოყმის ამბის, მისი ტირილის მიზეზის გაგება.

პოემაში განსაკუთრებული მნიშვნელობა რომ უცხო მოყმის ამბის გაგებას ენიჭება, ვლინდება იმ სიფრთხილიდანაც, რომელსაც იჩენს ავთანდილი ტარიელთან შეხვედრის დროს. ავთანდილის მთელი გულისყური, გონება და მოხერხება მიმართულია ტარიელთან კონფლიქტისა და შეტაკების აცილებისაკენ. ტარიელის ამბის გაგებასთან დაკავშირებული სიძნელეების გადალახვაზე ამახვილებს რუსთაველი ყურადღებას და ამ პრობლემის მოხერხებულად გადაჭრაში ხედავს იგი ავთანდილის, როგორც საუკეთესო მოყმის, ანუ რაინდის

დამსახურებას. თუ რამდენად ძნელი საქმე იყო ტარიელის ამბის გაგება, მისი სალაპარაკოდ ხელში ჩაგდება, გვიდასტურებს თურქ ძმათა და ტარიელის შეტაკების ოსტატურად აღწერილი ეპიზოდი. ამ ეპიზოდებიდან ავთანდილი სრულიად მართებულ დასკვნას აკეთებს:

რადგან ისი არის სადმე უცნობოდ და ისრე რეტად,
რომე კაცსა არ მიუშვებს საუბრად და მისად ჰვრეტად,
მივეწევი, შევიყრებით ერთმანერთის ცემა-ჭლეტად,
ანუ მოვჰკლავ, ანუ მომკლავს, დაიმალვის მეტის-მეტად 213.

ამ სტროფში საყურადღებოა შემდეგი: ავთანდილი უცხო მოყმის ხატაელებთან შეხვედრის მაგალითზე რწმუნდება, რომ ტარიელთან პირისპირ შეყრა სახიფათოა, რადგან ამან შეიძლება უაზრო სისხლისღვრა და ან ერთის, ან მეორის სიკვდილი გამოიწვიოს. ეს კი არ სურს ავთანდილს, რადგან მაშინ უცხო მოყმის ამბავი ამოუცნობი დარჩება.

ამიტომ ავთანდილი მალულად მიჰყვება უკან უცხო მოყმეს, რათა გაიგოს მისი ადგილსამყოფელი. ორი დღე-ღამის სიარულის შემდეგ, საღამო ჟამს, გამოჩნდნენ დიდნი კლდენი. ამ კლდეების გამოქვაბულებში ჰქონდა ბინა უცხო მოყმეს. ხეზე ასული ავთანდილი მალულად აღევნებს თვალყურს უცხო მოყმეს, რომელსაც გამოეგებება შავით მოსილი ქალი. კარგა ხნის ტირილის შემდეგ ორივენი გამოქვაბულში შედიან. გათენებისას უცხო მოყმე კვლავ მიდის. ავთანდილი გადაწყვეტს მარტოდ დარჩენილი ქალის შეპყრობას და მისგან უცხო მოყმის ამბის გაგებას. ამ თავის ბოლო სტროფში რუსთაველი ისევ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ავთანდილის მიზანია უცხო მოყმის თავგადასავლის გაგება მასთან შეტაკების გარეშე. აი, რას ამბობს ავთანდილი:

აწ ამას ჩემთვის ღვთისაგან სხვა საქმე რა ვამჯობინო?
ქალი შევიპყრა, მის ყმისა ამბავი ვაამბობინო,
ჩემიცა ვუთხრა ყველაი, მართალი გავაბრჭობინო,
მას ყმასა ხრმალი არა ვჰკრა, არც მისი დავისობინო 226.

ავთანდილს მხოლოდ მოყმის ამბის გაგება აინტერესებდა. მას სხვა განზრახვა რომ ჰქონოდა, რუსთაველი სხვანაირად განავითარებდა მოქმედებას.

უცხო მოყმისა და ავთანდილის პირისპირ შეყრამდე და ტარიელის მიერ თავისი თავგადასავალის მოყოლამდე, რუსთაველი დაწვრილებით აღწერს, თუ როგორ შეძლო ავთანდილმა ასმათთან საერთო ენის გამონახვა და მისი დაყოლიება, რომ იგი ტარიელთან შეეხვედრებინა.

უცხო მოყმის წასვლის შემდეგ ავთანდილი მიადგა გამოქვაბულს, სადაც ასმათი იმყოფებოდა. ბევრი ეხვეწა ავთანდილი, უამბნა მისთვის უცხო მოყმის ამბავი, მაგრამ ქალს ერთი სიტყვაც ვერ წამოაცდენინა. მაშინ მუქარით შეეცადა ასმათისაგან ტარიელის ამბის გაგებას და როდესაც მუქარამაც ვერ გაჭრა, მიმართა უკანასკნელ ხერხს — გამოუტყდა, რომ მიჯნურია და მისი ბედი ასმათის ხელშია. ამან გაჭრა და ასმათი დათანხმდა შეახვედროს ერთმანეთს ორი მოყმე.

მთელი ამ დიალოგიდან განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს არაკს, რომელსაც ავთანდილი ასმათს ეუბნება. ავთანდილი თავის მდგომარეობას ადარებს ჭაში ჩავარდნილ კაცს, რომელსაც საშველად მოსული ეუბნება — მანდ მომიცადე, სანამ შენ ამოსაყვან თოკს მოვიტანო. ჭაში მყოფს გაეცინება და „შემოჰყიელებს“ — „არ გელოდე, სად გაგექცე, სად წავიდე?“ ამის შემდეგ ავთანდილი დასძენს: „აწ, დაო, შენთა ხელთაა ჩემი საბელი ყელისა“. საიდანაც კიდევ ერთხელ დასტურდება ის, თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ავთანდილი უცხო მოყმის ამბის გაგებას.

დაბრუნებული ტარიელი ასმათმა დაიყოლია, რომ ავთანდილს შეხვედროდა. მთელ ამ ეპიზოდს ორგვარი მნიშვნელობა აქვს მოქმედების განვითარებისათვის: უპირველეს ყოვლისა, რუსთაველმა გვიჩვენა ავთანდილის დიდი მოქნილობა, წინდახედულება, სიბრძნე, მეორე მხრივ, მკითხველში გააღვიძა ცნობისმოყვარეობა და თავისებური განწყობილება შექმნა ტარიელის მონაყოლის აღსაქმელად.

ვიდრე რუსთაველი ტარიელის პირით იმ ამბების გადმოცემას დაიწყებს, რომლებიც ინდოეთის მეფის, ფარსადანის კარზე მოხდა, პოემაში დახატულია ტარიელისა და ავთანდილის პირისპირ შეყრის ერთი პატარა, მაგრამ მნიშვნელოვანი ეპიზოდი.

ასმათი წავიდა დამალული ავთანდილის დასაძახებლად, ტარიელი გამოეგება და როდესაც ისინი შეიყარნენ, რუსთაველი ქებას ასხამს მათს სილამაზეს და ვაჟკაცობას:

გამოეგება ტარიელ, პმართებს ორთავე მზედ დარად,
ანუ ცით მთვარე უღრუბლო შუქთა მოჰფენდეს ქვე ბარად,
რომე მათთანა ალვისა ხეცა ვარგიყოს ხედ არად,
ჰგვანდეს შვიდთავე მნათობთა, სხვადმცა რისად ვთქვი მე
და რად. 278.

მათ ერთმანეთს აკოცეს და ატირდნენ. ერთი შეხედვით, შეიძლება გადაჭარბებული და უადგილოც მოჩანდეს მათი პირველი შეხვედრისთანავე „დიდხანს ცრემლით ტირილი", მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ორივემ იცის, რომ ისინი სატრფოს მოშორებული მიჯნურები არიან და თანაც ერთმანეთს ისეთ ადგილს შეხვდნენ, სადაც, საერთოდ, ადამიანის ყოფნაც კი შეუძლებელია, მაშინ სრულიად ბუნებრივი აღმოჩნდება მათი ცრემლის ღვრა.

შემდეგ ავთანდილი თავს აცნობს ტარიელს და უხსნის იმ გარემოებას, რომელმაც მასთან მიიყვანა. ავთანდილი თავის მონაყოლში ხაზს უსვამს იმას, რომ უყვარს თავისი პატრონის, როსტევან მეფის ერთადერთი ქალი, რომელიც ავთანდილთან შეუღლებაზე დათანხმდება, თუ ავთანდილი იმ უცხო მოყმის ამბავს გაიგებს, ნადირობის დროს რომ ნახეს.

მიბრძანა: „მიცან ამბავი მის ყმისა წარხდომილისა,
მაშინ ვარ მკმნელი საქმისა, მის შენგან მონდომილისა" 287.

თავის მხრივ ტარიელიც განუმარტავს, თუ წყლის პირას მჯდარი რატომ ტიროდა:

ტარიელსცა აეხსენა ომი, მათი მაშინდელი,
იტყვის: მახსოვს ეგე საქმე, თუმცა არის ადრინდელი;
ერთგან გნახენ ნადირობას შენ და შენი მე გამზრდელი;
მით ვტიროდი, მომეგონა მე, გლახ, ჩემი წარმწყმედელი 289.

რას მაქნევდით, რა გინდოდა, ერთმანეთსა რითა ეპგვანდით?
თქვენ მორჭმულნი სთამაშობდით, ჩვენ მტირალნი ღაწვთა ვბანდით 290.

ამ სტროფებიდან ნათელი ხდება, რომ როდესაც ტარიელმა როსტევანი და ავთანდილი დაინახა, გამზრდელსა და გაზრ-

დილს შორის სრული თანხმობა იგრძნო: ამან გაახსენა ფარავისი გამზრდელი მეფე ფარაადანი, რომელმაც უგუნური გადაწყვეტილებით დაღუპა თავისი თავიც, ნესტან-დარეჯანიც და ტარიელიც. ამიტომ უწოდებს ტარიელი ფარსადანს თავის „წარმწყმედელს“. მკითხველმა თუმცა ჯერ არ იცის ტარიელის ამბის ტრაგიკული ეპიზოდები, მაგრამ რუსთაველი ამით წინასწარ უპირისპირებს როსტევან მეფის კარზე შექმნილ სიტუაციას ფარსადანის კარზე გათამაშებულ ტრაგედიას. ტარიელიც ხაზს უსვამს მათ შორის არსებულ დიდ განსხვავებას, არაბეთში სუფევს ბედნიერება, ინდოეთში კი — უბედურება. ამ წინასწარი დაპირისპირებით რუსთაველი ცდილობს ტარიელის თავგადასავალი თინათინის და ავთანდილის ამბავს ლოგიკურად დაუკავშიროს და მკითხველში მათი შედარებითი აღქმა გამოიწვიოს.

ტარიელს ძალზე უჭირს თავისი ამბის მოყოლა, სისხლისმღენი ჭრილობების გახსნა, მაგრამ რადგან მისი ამბავი ხელს შეუწყობს ავთანდილის და თინათინის შეერთებას, იგი მზად არის აიტანოს დიდი ტანჯვა. ტარიელი ეუბნება ავთანდილს:

> ყმასა უთხრა: ვინცა კაცმან ძმა იძმოს, თუ დაცა იდოს,
> ხამს, თუ მისთვის სიკვდილსა და ჭირსა თავი არ დაჰრიდოს;
> ღმერთმან ერთი ვით აცხოვნოს, თუ მეორე არ წაწყმიდოს!
> შენ ისმენდი, მე გიამბობ, რაცა გინდა წამეკიდოს 301.

შემდეგში, როდესაც ტარიელის თავგადასავალს ავთანდილის ბედთან დაკავშირებით განვიხილავთ, დავინახავთ, რომ ტარიელის უბედურებამ ავთანდილს ბედნიერება მოუტანა, საშუალება მისცა, არაბეთში არ გაემეორებინათ ის შეცდომა, რომელიც ინდოეთში მოხდა. ასე რომ, ლოგიკურად ტარიელის „წაწყმედა“ ავთანდილის „ცხონებას“ წარმოადგენდა.

რუსთაველმა ჯერ კიდევ ტარიელის ამბის მოყოლამდე მკითხველს სათანადო განწყობილება შეუქმნა და მიუთითა, თუ რა კუთხით უნდა აღექვა ტარიელის სამწუხარო თავგადასავალი. ეს ყველაფერი დიდმა პოეტმა საოცრად ბუნებრივ ფორმებში დახატა, ყოველგვარი ხელოვნურობისა და წინასწარ აღებული აზრის მკითხველისათვის თავზე მოხვევის გარეშე.

ტარიელის ნაამბობს რუსთაველმა 347 სტროფი დაუთმო, რაც თითქმის მთელი პოემის მეხუთედს წარმოადგენს. ამის გამო დროებით წყდება ძირითადი სიუჟეტური ხაზის — თინათინ-ავთანდილის ამბის განვითარება.

ერთი შეხედვით, თითქოს, ინდოეთში და არაბეთში მომხდარ ამბებს შორის არაფერი არ არის საერთო, თითქოს მოვლენები ერთმანეთისგან დამოუკიდებლად ვითარდებიან და სხვადასხვა სიუჟეტურ ხაზებს წარმოადგენენ, მაგრამ თუ მათ ერთმანეთს შევადარებთ და დავუპირისპირებთ, დავინახავთ, რომ მათ შორის ღრმა ლოგიკური კავშირი არსებობს და ერთი და იმავე იდეის ორხაირ, პოზიტიურ და ნეგატიურ გაშლას წარმოადგენენ.

ვინაიდან ტარიელის ამბავი იქამდე არაბეთში მომხდარი ამბების პარალელურად ვითარდებოდა, ამიტომ მას თავისი დამოუკიდებელი სიუჟეტი აქვს, ესე იგი მას აქვს თავისი ექსპოზიცია, მოქმედების განვითარება, მოქმედების განვითარების კვანძი, კულმინაცია და კვანძის გახსნა. ამასთან ერთად, რადგან იგი პოემის მთლიან სიუჟეტში შედის, ამიტომ სიუჟეტს განვითარების ერთ-ერთ აუცილებელ რგოლს წარმოადგენს.

ტარიელის ნაამბობიდან ირკვევა, რომ ინდოეთი შვიდი სამეფოსაგან შედგებოდა. ექვსი სამეფო ფარსადანს მორჩილებდა, ხოლო მეშვიდეში მეფობდა ტარიელის მამა სარიდანი. სარიდანმა გადაწყვიტა თავისი სამეფოც ფარსადანისათვის გადაეცა, რამაც დიდი სიხარული და ზეიმი გამოიწვია მთელს ინდოეთში. აქ ჩვენ არ შეიძლება არა დავინახოთ ცენტრალიზებული სახელმწიფოს შექმნის ტენდენცია, რაც მე-11, მე-12 საუკუნეების საქართველოში ერთ-ერთი აქტუალური და საჭირბოროტო პრობლემა იყო, და რომლის დადებითად გადაწყვეტამ თამარ მეფის დროს საქართველოს ესოდენ გაძლიერება და აყვავება გამოიწვია.

შემდეგ, ტარიელი თავისი ამბის მოყოლისას ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ მეფეს და დედოფალს შვილი არ ჰყავდათ და ხუთ წლამდე ტარიელს, როგორც საკუთარ შვილს, ისე ზრდიდნენ და სამეფოდ ამზადებდნენ.

მეფემან და დედოფალმან მიმიყვანეს შვილად მათად,
საპატრონოდ მზრდიდეს სრულთა ლაშქართა და ქვეყანათად,
ბრძენთა მიმცეს სასწაულებლად ხელმწიფეთა ქცევა-ქმნათად,
მოვიწიფე, დავემსგავსე მზესა თვალად, ლომსა ნაკეთად 314.

ამ სტროფის მიხედვით ტარიელს ყველა მონაცემი ჰქონდა სამეფო ტახტზე დაჯდომისათვის.

ტარიელი ხუთი წლის იყო, როდესაც დედოფალმა შობა ქალი — ნესტან-დარეჯანი. ვიდრე ნესტან-დარეჯანი შვიდი წლის გახდებოდა, ტარიელთან ერთად იზრდებოდა, ხოლო როდესაც მეფემ დაინახა, რომ ქალიშვილი სამეფო საქმეებისათვის მომწიფდა („მეფე ქალსა ვით ხედვიდა მეფობისა ქმნისა მწთომსა"), ტარიელი ისევ მამამისს დაუბრუნა. თხუთმეტი წლის იყო ტარიელი, როდესაც მამა გარდაეცვალა, წესისამებრ ტარიელმა ერთი წელი იგლოვა. წლისთავზე მეფე ფარსადანმა უბრძანა ტარიელს შავების გახდა. ფარსადანმა ტარიელს ამირბარობა უბოძა, სამხედრო მინისტრი გახადა და ინდოეთის თავდაცვის საქმე ჩააბარა.

ნესტან-დარეჯანი კი მისთვის აგებულ კოშკში ცხოვრობდა, მეფე მის სახეს არავის არ აჩვენებდა. „ვიცოდი, სწადდა არვისგან ნახვა მის მზისა დარისა" — ამბობს ტარიელი. აქედან შემდეგი დასკვნის გაკეთება შეიძლება: ქალის ამდაგვარი იზოლაცია, ცხადია, სრულიად გამორიცხავდა მის მხრივ გამიჯნურებას, ანდა რაიმე უფლებებს ქმრის ამორჩევაში. ფარსადანს, არამცთუ არავითარი უფლებები არ დაუტოვებია ქალისათვის, არამედ ეშინოდა კიდევაც მის მხრივ რაიმე ნება-სურვილის გამოჩენისა. ეს კარგად ჩანს ფარსადანის იმ რეაქციიდან, რომელიც ნესტან-დარეჯანისა და ტარიელის ურთიერთობამ გამოიწვია.

როსტევან მეფის კარზე კი პირიქითაა, ავთანდილს თინათინის ჰვრეტისა და მასთან საუბრის საშუალებაც კი ჰქონდა. ასე რომ, თინათინი ისე არ იყო შეზღუდული თავის მოქმედებაში, როგორც ნესტან-დარეჯანი და, მაშასადამე, უფრო უფლებამოსილიც იყო.

მართალია, ფარსადანი ნესტან-დარეჯანის სახეს უცხო თვალისაგან მალავდა, მაგრამ ტარიელმა შემთხვევით მაინც

დაინახა იგი, როდესაც ასმათი ნანადირევის ჩამოსართმევად გამოვიდა და ფარდაგი ასწია.

ტარიელი მაშინვე დიდი გრძნობით განიმსჭვალა ნესტან-დარეჯანის მიმართ. შთაბეჭდილება იმდენად ძლიერი იყო, რომ ტარიელმა გონება დაკარგა და ძლივს მოასულიერეს. ცოცხალ-მკვდარი ტარიელი სამ დღეს სამეფო დარბაზში იმყოფებოდა, მეფე და დედოფალი თავს დასტრიალებდნენ. ცნობაზე მოსული ტარიელი ცდილობდა გასცლოდა იქაურობას, რადგან ეშინოდა, არავის გაეგო მისი დაბნედის მიზეზი.

სახლში დაბრუნებულ ტარიელს მონამ ასმათის წერილი გადასცა, სადაც ასმათი სიყვარულს უხსნიდა. ამან დიდად გააკვირვა ტარიელი, მაგრამ პასუხად მაინც მისწერა საპასუხო წერილი. თავის ამ ნაბიჯს ტარიელი შემდეგი მოსაზრებით ამართლებს:

> მიუყოლობა არ ვარგა, დამწამებს უზრახობასა,
> ჩემგან იმედსა გარდასწყევდს, მერმე დამიწყებს გმობასა 353.

აქედან ნათელია, რომ ტარიელი მხოლოდ იმიტომ წერს პასუხს ასმათს, რომ ეშინია ეჭვი არავინ შეიტანოს მის მამაკაცურ ღირსებებში; თუმცა ნესტან-დარეჯანის სიყვარული მას ძველებურად ჰკლავს და იმდენად გამოთიშულა გარესამყაროსაგან, რომ ვერც თავის მოვალეობას ასრულებს, როგორც მხედართმთავარი, ვერც მინდორში გადის სათამაშოდ და ვერც სადარბაზოდ მიდის მეფესთან. მრავალი მკურნალი ამაოდ ცდილობს, გაიგოს ტარიელის გუნების შეცვლის მიზეზი, მაგრამ ტარიელი ახერხებს, დამალოს საქმის ჭეშმარიტი ვითარება. როდესაც მეფემ ბრძანა სისხლის გამოშვება, ტარიელმა ხელი გაიხსნა,[1] რათა ეჭვი არავის მიეტანა მის სიყვარულში ნესტანისადმი.

> სისხლი დამწამეს, მეფემან ბრძანა გახსნევა ხელისა,
> გავიხსენ ფარვად პატიჟთა, არვისგან საეჭველისა 355.

— ამბობს ტარიელი.

ტარიელი საწოლს ზის სევდიანი. მას სისხლი გამოუღეს.

---

1 ხელი გაიხსნა — სისხლი გამოაშვებინა.

შემოდის ასმათის მონა და მეორე წერილი მოაქვს, რომლიდანაც ჩანს, რომ ასმათს სწადს მასთან შეხვედრა. წერილზე ტარიელი დადებით პასუხს წერს:

პასუხად გავეც: ჟამია, მართალ ხარ გაკვირვებასა:
მოვალ, თუ მიხმობ. მე ნუ მეჭვ მოსელისა დაზარებასა 357.

მკითხველს შეიძლება გაუმართლებლად ეჩვენოს ტარიელის ასეთი საქციელი: მას ხომ ნესტანი ისე თავდავიწყებით უყვარს, რომ სიკვდილის პირზეა მიმდგარი, ამავე დროს კი სხვა ქალს უნიშნავს სასიყვარულო პაემანს. მით უმეტეს, რომ რუსთაველი შესავალში წერს:

ხამს მიჯნური ხანიერი, არ მეძავი, ბილწი, მრუში,
რა მოშორდეს მოყვარესა, გაამრაელოს სულთქმა, უში,
გული ერთსა დააჯეროს, კუშტი მოჰხვდეს, თუნდა ჭუში;
მძულს უგულო სიყვარული, ხვევნა, კოცნა მტლაშა-მტლუში 25.

მაგრამ აქ არავითარი წინააღმდეგობა არ არის. ტარიელი იძულებულია ასე მოიქცეს, რათა მეფემ და დედოფალმა არ გაიგონ მისი გამიჯნურების ამბავი და არ გააძევონ.

გულსა ვარქვი, თუ: „ლახვარნი ეგრე ვით დაგაღონებენ?
ამირბარი ვარ, ხელმწიფე, სრულად ინდონი მმონებენ;
აზრად შეიქმენ, საქმესა ათასჯერ შეაწონებენ,
თუ შეიგებენ, მე მათთა არეთა არ მარონებენ 358“.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ნესტანსაც დიდი შიში აქვს თავისი სიყვარულის გამო და სთხოვს ტარიელს, არ გაამჟღავნოს გრძნობები. იგი ურჩევს ტარიელს, რომ ის თვალის ასახვევად ასმათს გაუაშიკდეს. ეს შიში უსაფუძვლო არაა, რადგან ფარსადან მეფე მეტად მკაცრია და შეურიგებლობას იჩენს სიყვარულის, მიჯნურობის მიმართ.

რათა დაფაროს თავისი მიჯნურობის ამბავი, ტარიელი ნადიმად ჯდება:

შევქმენ სმა და ნადიმობა პატიჟთა და პირთა მალვად 362.

ქეიფის დროს მოლარე ყურში ჩასჩურჩულებს ტარიელს, რომ მას ვილაც ქალი კითხულობს. ტარიელმა კარგად იცის, რომ ეს ასმათია, რომელსაც პაემანი დაუნიშნა და უბრძანა მოლარეს, საწოლ ოთახში შეეყვანოს მოსული.

ტარიელმა არ იცის, რომ ასმათი ნესტანისაგან არის გამოგზავნილი და უკვირს, რომ ქალი მისგან შორს იჭერს თავს. ტარიელი ფიქრობს, რომ ასმათი ჯერ გამოუცდელია, „არ იცის ამიკობა“ და ამიტომ ეუბნება, ახლოს მივიდეს მასთან „ვარქვი: მანდა რად ზი შენ, თუ სიყვარული ჩემი გჭირსა“. შემდეგ გამოირკვევა, რომ ასმათი ნესტან-დარეჯანის გამოგზავნილი ყოფილა.

ეს ადგილი არასწორადაა გაგებული და გადმოცემული ზოგიერთი მკვლევარის მიერ. ასე, მაგალითად, აკად. კ. კეკელიძის „ქართული ლიტერატურის ისტორიის“ მეორე ტომში სრულიად საწინააღმდეგო ამბავია მოყოლილი, ვიდრე ეს „ვეფხისტყაოსანში გვხვდება. აკად. კ. კეკელიძე „ვეფხისტყაოსნის“ შინაარსის გადმოცემისას წერს: „ერთხელ ჩემ ოთახში შემოვიდა მსაპური და მითხრა, ასმათის მონას შენი ნახვა უნდაო. ის შემოვიდა და გადმომცა წერილი, რომელშიაც ასმათი მატყობინებდა დაუყოვნებლივ მივსულიყავ მასთან (?!) მე ვთქვი: რას იტყვიან სხვები, მე რომ იმასთან წავიდე, და ამიტომ თავი შევიკავე. მეორედ თვით ასმათი მოვიდა ჩემთან და მომიტანა წერილი, რომელშიაც ნესტან-დარეჯანი მწერდა: „ბედითი ბნედა, სიკვდილი, რა მიჯნურობა გგონია?...“[1]

როგორც ვხედავთ, აქ სრულიად საწინააღმდეგო ამბავია მოყოლილი. ტარიელმა თავი კი არ შეიკავა და უარი კი არ უთხრა შეხვედრაზე ასმათს, არამედ, თავისი ჰეშმარიტი გრძნობების დასაფარავად, საპასუხო სასიყვარულო წერილი მისწერა, ხოლო მეორე ჯერად ჰაემანიც კი დაუნიშნა.

როგორც ცნობილია, ნესტან-დარეჯანი შემდეგს ატყობინებს ტარიელს: თურმე მას ტარიელის ქმრობა უწინაც სდომებია, ჯერ კიდევ მანამდე, სანამ ტარიელს შეუყვარდებოდა. „შენგან ჩემისა ქმრობისა წინასაც ვიყავ მნდომია“, — წერს ნესტანი, მაგრამ აქვე დასძენს, — „მაგრა აქამდის საუბრად კვლა ჟამი არ მომხდომია“-ო. ნესტან-დარეჯანი ამ წერილში დიდ სიბრძნეს, წინდახედულებას, სიფრთხილეს და

---

1. კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, გვ. 90, 1958 წ.

სახელმწიფო საქმეებში ჩახედულობას იჩენს. იგი ურჩევს ტარიელს, არ დაიჩინოს „წყლული“ და საყვარელს საგმირო საქმეები უჩვენოს. მაგრამ ეს არ არის ჩვეულებრივი საგმირო საქმეები, აღწერილი რაინდული ხასიათის რომანებში, როგორც ეს ზოგიერთ მკვლევარს ჰგონია. ნესტანის ამ მოთხოვნას ღრმა პოლიტიკური სარჩული უდევს. ამით მას სურს, ტარიელს საშუალება მიეცეა, დაამტკიცოს, რომ იგი საუკეთესო მოყმეა, და ღირსია მისი ქმრობისა. მეორე მხრივ, როდესაც ნესტანი სწერს ტარიელს --

ხატაეთს მყოფნი ყოველნი ჩვენნი სახარაჯონია,
აწ მათნი ჯავრნი ჩვენზედა ჩვენგან არ დასათმონია 370.

რუსთაველი ხაზს უსვამს იმას, რომ ნესტანი კარგად არის ჩახედული სახელმწიფოებრივ საქმეებში, შეუძლია სახელმწიფოს მართვა და ისეთი სერიოზული საქმის გადაწყვეტაც კი, როგორიცაა მეზობელი სახელმწიფოებისათვის ომის გამოცხადება. ამრიგად, ეს მხოლოდ უბრალო სასიყვარულო წერილი კი არ არის, არამედ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის პოლიტიკური დოკუმენტია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ნესტანდარეჯანი ასმათის პირით აფრთხილებს ტარიელს, ყოველივე ეს საიდუმლოდ შეინახოს:

ასმათ მითხრა: მე მიბრძანა, ესე ვქმნათო, ესე სჯობდეს:
ვინცა გნახოს, ჩემგან მისსა საუბარსა ვერა სცნობდეს,
ჩემად ნახედ მოვიდოდეს, შენ ვითამცა გაშიკობდეს;
და-ცა-მვედრა: ამირბარსა უთხარ, ასრე ნამუსობდეს 376.

პატარა თავში, რომელსაც ეწოდება „წიგნი ტარიელისა ხატაელთანა“, ტარიელი ხატაელთ უგზავნის წერილს, რომელიც, ჩვენს ენაზე რომ ვთქვათ, ულტიმატუმს წარმოადგენს და რომელზეც უარყოფითი პასუხის მიღება ომის დაწყებას ნიშნავს. ტარიელი მოუთმენლად ელის პასუხს. მომავალი ბრძოლისა და გამარჯვების წარმოდგენა ბედნიერებით ავსებს მის გულს.

ტარიელის ხატაეთს საომრად გამგზავრებამდე სამი პატარა თავია: ორ მათგანში ლაპარაკია ტარიელის და ნესტანის ურთიერთობაზე, მესამეში მოცემულია „წიგნი ხატაელთა მეფისა ტარიელის წინაშე მოწერილი პასუხად“.

თავებში „ნესტანისაგან ტარიელის ხმობა“ და „ტარიელის და ნესტანის პირის-პირ შეყრა“, რუსთაველმა ხაზი გაუსვა მათ ფაქიზ, უანგარო და წმინდა სიყვარულს. პირველი შეხვედრისას ნესტანმა და ტარიელმა ერთმანეთს სიტყვაც კი ვერ უთხრეს. მეორე შემთხვევაშიც ნესტანი და ტარიელი დიდ მორიდებულობას და კდემამოსილებას იჩენენ. ნესტანს რცხვენია, პირს იფარავს ტარიელისაგან; პირველ წუთებში თავის სათქმელს ასმათის პირით გადასცემს, თან ტარიელს ამირბარობით მიმართავს.

უბრძანა, თუ: მოახსენე, ასმათ, დაჯდეს, ამირბარსა 403.

თვითონ ნესტანი ტარიელს თავის მორიდებულობაზე შემდეგს ეუბნება:

მიბრძანა: ძოღან გეწყინა გაშვება უუბარისა,
მზემან გაყრითა დაგაჭნე, ვითა ყვავილი ბარისა:
დაგსჯიდა დენა ცრემლისა, ნარგისთათ ნაგუბარისა,
მაგრა ხამს ჩემგან სირცხვილი და რიდი ამირბარისა 404.

ბოლოს ნესტანი სძლევს თავის კლდემამოსილებას და ტარიელს სამუდამო სიყვარულს შეჰფიცავს. ეს ორი ეპიზოდი საუცხოოდ გამოხატავს ისეთ წმინდა მიჯნურობას, რომელზეც ლაპარაკია „ვეფხისტყაოსნის“ შესავალში და რომელიც, რუსთაველის სიტყვით, არის — „შორით ბნედა, შორით კვდომა, შორით დაგვა, შორით ალვა“.

ამ ორ ეპიზოდს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ნესტანისა და ტარიელის მიჯნურობა ფარსადანმა და მისმა დამ დავარმა სიძვად გამოაცხადეს.

რუსთაველი ჯერ კიდევ შესავალში აფრთხილებდა თავისი პოემის მომავალ მკითხველს, რომ სიძვა სხვაა და მიჯნურობა სხვა და ამიტომ ითხოვდა, რომ ეს ორი ცნება ერთმანეთში არ აერიათ.

მიჯნურობა არის ტურფა, საცოდნელად ძნელი გვარი;
მიჯნურობა სხვა რამეა, არ სიძვისა დასადარი:
იგი სხვაა, სიძვა სხვაა, შუა უზის დიდი ზღვარი,
ნურვინ გარევთ ერთმანერთსა! გესმის ჩემი ნაუბარი 24.

ზემოთ განხილულ ეპიზოდებში, სადაც ნაჩვენებია ნესტანისა და ტარიელის ურთიერთდამოკიდებულება, მოცემულია იდეალური მიჯნურობის ნიმუში, რომელიც თავიანთი უგუნურობით მეფე ფარსადანმა და მისმა დამ დავარმა სიძვად მიიჩნიეს.

ახლა გავარჩიოთ ის ეპიზოდები, რომლებიც დაკავშირებულია ხატაელთა წინააღმდეგ ტარიელის მიერ წარმოებულ ომთან.

ტარიელის ულტიმატუმზე ხატაეთის მეფემ უარყოფითი პასუხი გამოგზავნა. ტარიელმა ომისათვის საჭირო სამზადისი ჩაატარა, გასინჯა ბრძოლაში წასაყვანი ჯარები და კმაყოფილი დარჩა. შემდეგ დაუყოვნებლივ შეიჭრა მტრის ტერიტორიაზე. მიუხედავად ახალგაზრდობისა, ტარიელი წინდახედული, მამაცი მხედართმთავარი გამოდგა. მან ადვილად დაამარცხა საკმაოდ გამოცდილი და ვერაგი მტერი, დიდძალი ნადავლი და ტყვე იგდო ხელთ და ტყვედქმნილი ხატაელთა მეფე ფარსადანს მოჰგვარა. ამ ეპიზოდებით რუსთაველმა ნიადაგი შეამზადა დასკვნისათვის, რომ ტარიელი ღირსეული მხედართმთავარია და, მაშასადამე, ღირსია ნესტანის ქმრობისა და ინდოეთის მეფობისა.

ტარიელის გმირობა, მისი ბრწყინვალე გამარჯვება მეფე ფარსადანმა და მთელმა ხალხმა სათანადო დღესასწაულით აღნიშნეს. ნადიმს, რომელიც ტარიელის პატივსაცემად გაიმართა, ესწრებოდნენ, აგრეთვე, დედოფალი და ნესტან-დარეჯანი, რომელიც დაუფარავად პირველად აჩვენეს ტარიელს. თვითონ ნესტანიც კმაყოფილი დარჩა ტარიელის გმირობით და მისდამი სიყვარული გულში უფრო გაუღვივდა. ნესტანი თავისი მუდმივი სიყვარულის აღსანიშნავად აჩუქებს ტარიელს სამკლავეს და მისგან სამაგიეროდ იღებს საოცრად ნაქსოვ რიდეს, რომლის მსგავსი არ იპოვება.

ნესტან-დარეჯან-ტარიელის ამბავი, ავთანდილის ტარიელთან შეხვედრამდე, დამოუკიდებლად ვითარდება. ეს იძლევა იმის საშუალებას, რომ იგი გამოყოფილ იქნას როგორც ცალკე სიუჟეტური ხაზი, რომელსაც თავისი ექსპოზიცია, კვანძი, მოქმედების განვითარება, კულმინაცია და კვანძის გახსნა აქვს. ცხადია, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ იგი ოსტატუ-

რი კომპოზიციური ხერხების საშუალებით ორგანულად შედის „ვეფხისტყაოსნის“ მთლიან სიუჟეტურ წყობაში, როგორც შემადგენელი ნაწილი.

თუ ნესტან-ტარიელის ამბის სიუჟეტს დამოუკიდებლად განვიხილავთ, დავინახავთ, რომ ის, რაც ჩვენ აქამდე მოვისმინეთ ტარიელის ნაამბობიდან, ექსპოზიციას წარმოადგენს.

როგორც ცნობილია, ექსპოზიციაში ავტორი იძლევა მოქმედ პირთა ურთიერთობის ზოგად დახასიათებას და საერთოდ, გვიხატავს იმ სიტუაციას, რომელიც არსებობს კონფლიქტის დაწყებამდე. ტარიელის ნაამბობში, დაწყებული 306-ე სტროფიდან მე-500 სტროფამდე მოცემულია ოსტატურად გაშლილი ექსპოზიცია, რომლიდანაც ირკვევა, რომ ინდოეთის მეფე ფარსადანს არ ჰყავდა შვილი. მის კარზე იზრდებოდა, მისი ამირბარისა და ამირ-სპასალარის ერთადერთი შვილი ტარიელი. ტარიელი ხუთი წლისა იყო, როცა მეფე-დედოფალს შეეძინათ ქალიშვილი... როდესაც ნესტანი და ტარიელი წამოიზარდნენ, ერთმანეთი შეუყვარდათ. ნესტანი მეფე ფარსადანს იზოლირებული ჰყავს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, იგი კარგად არის ჩახედული სამეფოს საქმეებში. ტარიელმაც ხატაელებთან ომით გამოამჟღავნა თავი, როგორც უბადლო მხედართმთავარმა.

ამავე დროს, რუსთაველი აღნიშნავს, რომ ფარსადან მეფის კარზე ისეთი პირობებია შექმნილი, რომ ნესტანსა და ტარიელს არ შეუძლიათ თავისი გრძნობების გამომჟღავნება. ფარსადანმა რომ გაიგოს მათი მიჯნურობის ამბავი, სასჯელს ვერ ასცდებიან. ამრიგად, რუსთაველმა ნესტან-ტარიელის ამბის ექსპოზიციაში გვიჩვენა, თუ რა ურთიერთობა არსებობდა, ერთი მხრივ, ნესტანსა და ტარიელს და, მეორე მხრივ, მეფე-დედოფალსა და ნესტან-ტარიელს შორის.

თუ შევადარებთ არაბეთში (თინათინ-ავთანდილის სიუჟეტური ხაზის) და ინდოეთში მომხდარ ამბების (ნესტან-ტარიელის სიუჟეტური ხაზის) ექსპოზიციებს, მათ შორის ბევრ საერთოსა და განსხვავებას ვნახავთ. რა არის მათ შორის საერთო? — როგორც არაბეთის, ასევე ინდოეთის მეფეს მემკვიდრე — ძე არა ჰყავთ, ერთადერთი ქალის გარდა. ორივე ქვეყნის სამეფო კარზე იმყოფებიან ახალგაზრდა მხედართმთავ-

რები: — სპასალარი ავთანდილი, ამირბარი — ტარიელი, რაც ერთი და იგივეა და სამხედრო მინისტრს ნიშნავს. ავთანდილსაც და ტარიელსაც თავდავიწყებით უყვართ თავიანთ მეფეთა ქალები — თინათინი და ნესტან-დარეჯანი. თავის მხრივ, როგორც თინათინს, ისე ნესტან-დარეჯანს უყვართ თავისი მიჯნურები და მტკიცედ გადაწყვეტილი აქვთ, სხვას არავის არ გაჰყვნენ ცოლად.

ორი სხვადასხვა სიუჟეტური ხაზის ექსპოზიციებში ასეთი მსგავსება, ცხადია, შემთხვევითი არ არის. რუსთაველს ეს განგებ აქვს გაკეთებული, რათა მოქმედების შემდგომი განვითარებისას მკითხველს საშუალება ჰქონდეს მათი შედარება მოახდინოს და სათანადო დასკვნაც გამოიტანოს, რაც პოემის დედააზრის ნათელყოფა და დასაბუთება იქნება.

რამდენიმე სიტყვით აღვნიშნოთ ის განსხვავებაც, რომელიც შეინიშნება ამ ორი სიუჟეტური ხაზის ექსპოზიციებში.

განსხვავება ძირითადად მდგომარეობს სამეფო კარზე მეფის ქალის უფლებებსა და მდგომარეობაში. თინათინს მამისაგან მეტი თავისუფლება და დამოუკიდებლობა აქვს მინიჭებული. ავთანდილს საშუალება აქვს, თინათინს შეხვდეს და ელაპარაკოს. იმ დროს, როდესაც ნესტან-დარეჯანი ძალზე შეზღუდულია. ტარიელს არა აქვს უფლება ნესტან-დარეჯანთან არამცთუ საუბრის — ჰვრეტისაც-კი. გამიჯნურებულ ნესტანსა და ტარიელს უშინიათ თავიანთი გრძნობების გამომჟღავნებისა. რადგან ამან შეიძლება ფარსადან მეფის რისხვა გამოიწვიოს. ექსპოზიციაში მოცემულ ამ სხვაობაში ჩვენ ვხედავთ მომავალი კონფლიქტის ჩანასახს, რომელიც შემდეგში ინდოეთში განვითარდება.

ამის შემდგომ „ვეფხისტყაოსანში“ არის თავი „რჩევა ნესტან-დარეჯანის გათხოვებისა“, რომელიც ნესტან-ტარიელის სიუჟეტური ხაზის საკვანძო ეპიზოდს შეიცავს.

ერთ დღეს მეფე ფარსადანმა ტარიელი სათათბიროდ სასახლეში მოიწვია. როდესაც ტარიელი მივიდა, მეფე და დედოფალი სამ დიდებულთან ერთად დარბაზში ისხდნენ, ეტყობა, ისინი უკვე შეთანხმებული იყვნენ და ტარიელისთვის მხოლოდ თავისი გადაწყვეტილების გაცნობა სურდათ.

ამ თავში ყურადღებას იქცევს ფარსადან მეფის მიერ ნეს-

ტანის გათხოვების აუცილებლობის მოტივირება, რაც ჯერ კიდევ ექსპოზიციის გაგრძელებას წარმოადგენს:

მიბრძანეს, თუ: ღმერთმან ასრე დაგვაბერნა, და-ცა-გელია,
ცამი გვახლავს სიბერისა, სიყმაწვილე გარდგვიელია;
ყმა არ მოგვცა, ქალი გვივის, ვისგან შუქი არ გვაკლია,
ყმისა არს-სმა არად გვგავა, ამად ზედა წაგვითელია 501.

ეს სტრიფი უნებლიეთ გვაგონებს როსტევან მეფის სიტყვებს, როდესაც მან თავის სიცოცხლეშივე გადაწყვიტა თინათინის გამეფება. იგიც ფარსადანივით თავის სიბერეს უჩივის, განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ როსტევან მეფე, შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, ბრძნულ გადაწყვეტილებას იღებს — თავის ერთადერთ ქალს ამეფებს, ხოლო ფარსადან მეფეს აზრადაც არ მოსდის თავისი ქალის გამეფება, იგი მას ისე უყურებს, როგორც ჩვეულებრივ გასათხოვარ ქალს და მისთვის ქმრის მოყვანას ერთადერთ გამოსავლად თვლის.

აწ ქალისა ჩვენისათვის ქმარი გვინდა, სად მოვნახოთ,
რომე მიესცეთ ტახტი ჩვენი, სახედ ჩვენად გამოესახოთ,
სამეფოსა ეპატრონოთ, სახელმწიფო შევანახოთ,
არ ამოვწყდეთ, მტერთა ჩვენთა ხრმალი ჩვენთვის არ ვამახოთ 502.

ფარსადანს, არამცთუ ქალის გათხოვება ჰქონდა უკვე გადაწყვეტილი ტარიელის დაუკითხავად, არამედ, როგორც შემდეგში ირკვევა, საქმროც კი ჰყავდა ამორჩეული. ტარიელმა ამ თათბირის დროს დიდი გამჭრიახობა და თავდაჭერილობა გამოიჩინა, მიხვდა რა, რომ ხვარაზმშას შვილი მეფე ფარსადანს პოლიტიკური მოსაზრებებით ჰყავდა ამორჩეული ინდოეთში გასამეფებლად და წინააღმდეგობის გაწევა უგნურება იქნებოდა.

რომე პირველვე დაესკვნა, მათ ესე შეეტყვებოდა;
ერთმანერთსაცა უკვრეტდეს, სიტყვაცა აგრე სწბებოდა,
ჩემგან დაშლისა კადრება მართ ამბად არ ეგებოდა,
ოდენ დავმიწდი, დავნაცრდი, გული მი და მო კრთებოდა 505.

ამ სტროფიდან ჩანს, რომ მეფე და დედოფალი არა მარტო მოლაპარაკებული იყვნენ წინაპარ, არამედ, კიდევ მეტი, ცდილობდნენ რაღაცის დამალვას ტარიელისაგან, როგორც

შეთქმულნი, ისე მოქმედებდნენ, გადახედავდნენ ხოლმე ერთმანეთს საუბრის დროს და თან სინდისის ქეჯნას განიცდიდნენ. ეს რომ ასეა, შეგვიძლია დავიმოწმოთ სიტყვა „სწბებოდა“-ს თეიმურაზ ბაგრატიონისეული განმარტება. „სიტყვა სწბებოდა — ესე არს ლაპარაკში, ვინც ოსტატობით ლაპარაკობს და მას სინდისი ჰკბენს, სიტყვები ასე რიგად დაბრკოლებით გამოაქვს, რომელ მიუხვდება კაცი, რომ მცბიერება რაიმე აქვს გულსა შინა“[1].

აღსანიშნავია ისიც, რომ მეფე და დედოფალი ტარიელის გასაგონად ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ხვარაზმშას შვილზე უკეთეს სასიძოს ისინი ვერ ხედავენ, „თუ მოგვცემს შვილსა სასიძოდ, **მისებრი არ რომელია**“ — ამბობს მეფე ფარსადანი, ხოლო დედოფალი დასძენს: „მათსამცა შვილსა სასიძოდ ჩვენთვის სხვა სჯობდა რომელი?“ მეფე და დედოფალი ამას ტარიელის თანდასწრებით ლაპარაკობენ, რომელიც თვითონ არის სასიძოდ გამზადებული და რომელსაც ამ მხრივ თავისზე უკეთესი არ ეგულება.

საფიქრებელია ისიც, რომ მეფე და დედოფალი ტარიელისა და ნესტანის გამიჯნურების ამბავს მიხვედრილი იყვნენ, ან ეჭვი ეპარებოდათ. მით უმეტეს, რომ ნესტანი ტარიელის მიერ ნაჩუქარ რიდეს ატარებდა, რომლის მსგავსი არ მოიპოვებოდა, ხოლო ტარიელი ნესტანის ნაჩუქარ სამკლავეს, რომელიც, აგრეთვე, უნიკალური იყო. ცხადია, ეს თვალში უნდა მოხვედროდათ მეფე-დედოფალს.

ასეა თუ ისე, ერთი უდავოა. რომ თათბირის დროს, რომელზეც გადაწყდა ნესტანისათვის ქმრად ხვარაზმშას შვილის მოყვანა, იგრძნობა ფარული ბრძოლა. თუმცა როგორც ტარიელი, ისე მეფე-დედოფალი გარეგნულ თავაზიანობას, კეთილგანწყობილებას, სიმშვიდეს ინარჩუნებენ. მოლაპარაკება სამეფო კარისათვის ჩვეულ დიპლომატიურ ფორმებში მიმდინარეობს, ისეთ ფორმებში, როდესაც განსაზღვრულ ფრაზებს იქით დამალული, ოსტატურად შენიღბული სულ სხვა შინაარსი იმალება.

---

[1]. თეიმურაზ ბაგრატიონი, განმარტება პოემა ვეფხისტყაოსანისა, თბ. 1960 წ. გვ. 60.

ამ თათბირს, ფარსადანის და დედოფლის გადაწყვეტილებას, ნესტანისათვის ხვარაზმშას შვილის ქმრად მოყვანის შესახებ და ხვარაზმშას თანხმობას — დიდი მნიშვნელობა აქვს ნესტან-ტარიელის სიუჟეტური ხაზის განვითარებისათვის და საკვანძო ეპიზოდს წარმოადგენს.

რატომ ვუწოდებთ ჩვენ სწორედ ამ ეპიზოდს საკვანძოს? იმიტომ, რომ ამ გადაწყვეტილების შედეგად იწყება კონფლიქტი, რომლის მონაწილენი არიან, ერთი მხრივ, მეფე-დედოფალი და დავარი, მეორე მხრივ, ტარიელი, ნესტან-დარეჯანი და ასმათი.

ფარსადანს რომ ასეთი გადაწყვეტილება არ მიეღო, ადგილი არ ექნებოდა იმ მოვლენებს, რომელიც ამის შედეგად განვითარდა.

ეს ჩვენი მტკიცება ნათელი გახდება, თუ ნესტან-ტარიელის სიუჟეტის ამ საკვანძო ეპიზოდს დავუპირისპირებთ იმ გადაწყვეტილებას, რომელიც ანალოგიურ სიტუაციაში მიიღო არაბეთის მეფე როსტევანმა.

როსტევანი, გამოდიოდა რა სრულიად მართებული დებულებიდან — „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვადია“, უცხო ქვეყნიდან კი არ მოიყვანს სპასიძოს თავისი ერთადერთი ქალისათვის, არამედ მას გაამეფებს, რაც არაბეთში საყოველთაო სიხარულსა და ბედნიერებას იწვევს და სრულიად გამორიცხავს მოვლენათა იმ ტრაგიკულ განვითარებას, რომელიც ფარსადანის უგუნურმა ნაბიჯმა გამოიწვია ინდოეთში.

ჯერჯერობით ზემოთქმულიდან ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ამ ორი ამბის სიუჟეტური კვანძების ასეთი დაპირისპირება რუსთაველის მიერ არ არის შემთხვევითი და მას დიდი მნიშვნელობა აქვს პოემის ძირითადი იდეის ნათელყოფისათვის.

ამრიგად, ნესტან-ტარიელის ამბის სიუჟეტურ კვანძს ქმნის ფარსადანის მიერ ნესტანის გათხოვების გადაწყვეტილება და ხვარაზმშას თანხმობა — გამოგზავნოს თავისი შვილი ნესტანის ქმრად ინდოეთში. ამის შემდეგ იწყება კონფლიქტი და მოქმედება ძალზე სწრაფად ვითარდება.

როდესაც ნესტან-დარეჯანმა გაიგო, რომ საგანგებოდ მოწ-

ვეულ თათბირზე, რომელსაც ტარიელიც ესწრებოდა, ფარსადან მეფემ გადაწყვიტა ხვარაზმშას შვილზე მისი გათხოვება, ეჭვი შეიტანა ტარიელის ერთგულებაში და დაუყოვნებლივ თავისთან იხმო.

ნესტანი ტარიელს უაღრესად განრისხებული დახვდა: „ქვე წვა, ვით კლდისა ნაპრალსა ვეფხი პირ-გამეხებული“. გულმოსული ნესტანი ტარიელს ბრალს სდებს იმაში, რომ მან მხარი დაუჭირა ნესტანის ხვარაზმშას შვილზე გათხოვების გადაწყვეტილებას, ამით უღალატა მათს სიყვარულს და ფიცი გატეხა. ნესტანი მარტო ამ ბრალდების წამოყენებით არ კმაყოფილდება, ემუქრება ტარიელს: „ცოცხალ ვიყო, შენ ინდოეთს, ღმერთო ხანი ვერა დაჰყო!“

ტარიელი თავს იმით იმართლებს, რომ თუმცა ის მიიწვიეს თათბირზე, მაგრამ მეფე-დედოფალს წინასწარ უკვე გადაწყვეტილი ჰქონდათ ნესტანის ქმრად ხვარაზმშას შვილის მოყვანა და მის მიერ წინააღმდეგობის გაწევა უგუნურება იქნებოდა:

მე მეფეთა დარბაზს მიხმეს, შექმნეს დიდი ვაზირობა,
მათ წინასვე დაეპირა იმა ყმისა შენი ქმრობა.
დამეშალა ვერ დაეშლიდი, დამრჩებოდა უმეცრობა;
თავსა ვუთხარ: მიემოწმე, ჟამად გიჯობს გულ-მაგრობა 526.

ტარიელი აქვე ასაბუთებს, თუ რატომ იქნებოდა „უმეცრობა“ მის მიერ საწინააღმდეგო აზრის გამოთქმა:

მემცა დაშლა ვითა ვჰკადრე, რადგან იგი ვერ მიმხვდარა?
არ იცის, თუ ინდოეთი უპატრონოდ არ გამხდარა?!
ვის მოიყვანს, არა ვიცი, ანუ იგი ვინ მომცდარა 527?

ამ სტროფში ხაზგასმულია ფარსადანის, როგორც სახელმწიფო მოღვაწის, სიბეცე და სახელმწიფოს შიგნით შექმნილი პოლიტიკური სიტუაციის უცოდინარობა. ფარსადანს არ ესმის, რომ ინდოეთში არიან ძალები, რომელთაც შესწევთ უნარი, უპატრონოდ ქვეყანას და არ არის საჭირო უცხო ქვეყნიდან სამეფოდ კაცის მოყვანა. მან სათანადოდ ვერ შეაფასა ტარიელი, როგორც ქვეყნის მომავალი განმგებელი და სახელმწიფო მოღვაწე.

ფარსადანი ძველი, დრომოჭმული ტრადიციის მიხედვით

იქცევა, მისდევს დაკანონებულ შაბლონს, რომლის მიხედვით ქალს არა აქვს არჩევანის უფლება და ქალისათვის საქმრო უსათუოდ სხვა ქვეყნიდან უნდა იყოს მოყვანილი. ტარიელმა კარგად იცოდა ფარსადანის შეპირებულება ამ საკითხზე, იცოდა, აგრეთვე, მისი სიჯიუტეც, ამიტომ წინდახედულება და დარბაისლური სიბრძნე გამოიჩინა, როდესაც დარბაზობის დროს არამცთუ წინ არ აღუდგა მის გადაწყვეტილებას, არამედ დროებით დაეთანხმა კიდეც.

მოტანილი სტროფიდან ირკვევა, რომ ტარიელისა და ნესტანის მიჯნურობას განსაზღვრული პოლიტიკური სიტუაციაც ერთვოდა. ტარიელს უველაზე ძეტი უფლება ჰქონდა, ჰყოფილიყო ინდოეთის მეფედ. ეს არ ესმოდა სწორედ ფარსადანს. თავისი ეს „მიუმხვდარობა", უვიცობა, მან შემდგომშიაც დაამტკიცა.

ტარიელის მიერ თავისი უფლებების ასეთი დაცვა ჰკუაში დაუჯდა ნესტანსაც:

> იაჯდი თავსა ჩემსა და მორჭმით ინდოეთს ფლობასა!
> მე და შენ დაესხდეთ ხელმწიფედ, სჯობს ყოველსა სიძე-სძლობასა 530.

ნესტან-დარეჯანს და ტარიელს პირველ რიგში თავისი ხალხის და სახელმწიფოს ბედი აწუხებთ. ამიტომ ისინი არა მარტო მიჯნურებად გვევლინებიან, არამედ სახელმწიფოს საქმეებში ჩახედულ ბრძენ ადამიანებად, მაღალი ეროვნული თვითშეგნებით, რომელსაც მოკლებულია ისეთი გამოცდილი სახელმწიფო მოღვაწეც კი, როგორიც ფარსადანია. ტარიელი ცდილობს, აწონ-დაწონოს და წინასწარ განჭვრიტოს შედეგი, რომელიც შეიძლება მოჰყვეს მათ მიერ გადადგმულ ამა თუ იმ ნაბიჯს.

ნესტანი და ტარიელი ეძებენ გამოსავალს შექმნილი მდგომარეობიდან: ისინი გადაჭრით წინააღმდეგი არიან, რომ ნესტანი ხვარაზმშას შვილზე გათხოვდეს, მათ კი მალულად განაგრძონ სიყვარული და ამით დარდი და საფიქრებელი მოემატოთ. მით უმეტეს, რომ ამ შემთხვევაში სპარსელებს გაბატონებული მდგომარეობა ექნებათ ინდოეთში, რაც მიჯნურებისთვის სრულიად მიუღებელია ეროვნული თვალსაზრისით:

ესე ამბად არ ეგების, რომე სპარსნი გაგვიხასდნენ 530.

არის კიდევ მეორე გზა: ტარიელმა საზღვარი ჩაკეტოს და სასიძო არ შემოუშვას, რაც, ფაქტიურად, მეფის წინააღმდეგ პირდაპირი ამბოხების დაწყებას ნიშნავდა, ამას შეეძლო ძმათა შორის სისხლისღვრა გამოეწვია. ამიტომ ნესტანმა ეს გზაც უარყო, როგორც უვარგისი:

თუ სასიძო არ მოუშვა, ვა თუ მეფე გაგიმწარდეს,
შენ და იგი წაიკიდნეთ, ინდოეთი გარდაქარდეს 532!

ფარსადანის უგუნური გადაწყვეტილების დასარღვევი მხოლოდ ერთადერთი გზა რჩებოდა — ჯარების ჩაურევლად ტარიელის მიერ სასიძოს მოკვლა: ნესტანის აზრით, ასეთ მოქმედებას შეიძლება სასურველი შედეგი გამოეღო.

ასე ფიქრობდნენ მიჯნურნი, დროებით შეეჩერებინათ ფარსადანის გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანა. ეს კი მათ საშუალებას მისცემდა, საჭირო დრო მოეგოთ იმისათვის, რომ ფარსადანს თავისი შეცდომა შეეგნო და უარი ეთქვა არასწორ გადაწყვეტილებაზე. ტარიელსა და ნესტანს იმედი ჰქონდათ, რომ ამით შეძლებდნენ ფარსადანის დარწმუნებას და გათვითცნობიერებას. ამ მიზნით ტარიელს მოლაპარაკება უწევდა ეწარმოებინა ფარსადანთან.

იგი რა მოჰკლა, ეუბენ პატრონსა, ჩემსა მამასა,
ჰკადრე, თუ: სპარსთა ვერა ვიქმ ინდოეთისა ჯამასა,
ჩემია მკვიდრი მამული, არ მივსცემ არცა დრამასა,
არ დამეხსნები, გაგიხდი ქალაქსა ვითა ტრამასა 537!

როგორც ვხედავთ, ამ სტროფშიც კიდევ ერთხელ ხაზგასმულია, რომ ფარსადანის გადაწყვეტილება ინდოეთის დამოუკიდებლობის დაკარგვას და სპარსეთის კოლონიად ქცევას ნიშნავს. ამავე სტროფში ლაპარაკია ტარიელის კანონიერ უფლებებზე და მის იმედზე, რომ ფარსადანი ყველაფერ ამას შეიგნებს.

მოვლენების შემდეგი განვითარება გვიჩვენებს, თუ რამდენად სწორი იყო ტარიელის მოქმედება ნესტან-დარეჯანის გათხოვების თაობაზე მოწვეული თათბირის დროს და რამდენად მართებული იყო ის სიფრთხილე, რომელიც გამოიჩინეს

ნესტანმა და ტარიელმა სასიძოს მოკვლის გადაწყვეტილების მიღების დროს. იმ ტრაგედიაში, რომელიც ტარიელის მიერ სასიძოს მოკვლის შემდეგ დატრიალდა, ბრალი მხოლოდ და მხოლოდ ფარსადანს მიუძღოდა თავისი არასწორი პოლიტიკური კურსის გამო. არც ტარიელი და ნესტანი და არც დავარი არაფერ შუაში არ იყვნენ, თუმცა ფარსადანი მხოლოდ მათ სდებდა ბრალს. ფარსადანი შემდეგშიაც ვერ მიხვდა თავის შეცდომას, ვერ შეიგნო, რომ დატრიალებული უბედურების მიზეზი მხოლოდ და მხოლოდ მისი არასწორი გადაწყვეტილება იყო.

ტარიელმა სასიძო მოკლა. უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვით, სასიძო მას ნესტანმა მოაკვლევინა. ამით ნესტანმა ერთხელ კიდევ გამოამჟღავნა უდრეკი ნება და აქტიური მოქმედების უნარი, რომელსაც ანგარიშს არ უწევდა ფარსადანი.

როდესაც მეფემ ეს ამბავი შეიტყო, თავის ციხე-ქალაქში გამაგრებულ ტარიელს შეუთვალა:

> ხვარაზმშას სისხლი უბრალო სახლად რად დამადებინე?
> თუ ჩემი ქალი გინდოდა, რად არა შემომგებინე?
> მე, ბერსა შენსა გამზრდელსა, სიცოცხლე მაარმებინე,
> დღედ სიკვდილამდის შენიცა თავი არ მაახლებინე 555!

ფარსადანი ამ შემთხვევაში საოცარ მიუხვედრელობას იჩენს. საიდანაც შეგვიძლია დავასკვნათ, რომ იმ თათბირამდისაც, რომელზეც გადაწყდა ნესტანის გათხოვება ხვარაზმშას შვილზე, მან კარგად იცოდა ნესტანისა და ტარიელის ურთიერთობის შესახებ. თორემ რატომ აიღო ეჭვი ფარსადანმა მაშინვე და რატომ გამოაცხადა მკვლელობის მიზეზად ნესტანისა და ტარიელის სიყვარული და არა სხვა რამ, მით უმეტეს, რომ ნესტანი და ტარიელი თავის ურთიერთობას ყოველნაირად მალავდნენ.

ტარიელი უარყოფს ფარსადანის ბრალდებას და ცდილობს ნესტან-დარეჯანის დაცვას, მეფის დარწმუნებას იმაში, რომ სასიძო მან პოლიტიკური მიზნით მოკლა და არა ნესტანისადმი სიყვარულის გამო. ეს კარგად ჩანს ტარიელის პასუხიდან მეფისადმი:

მე შევუთვალე: მეფეო, ვარ უმაგრესი რვალისა,
თვარა რად მიშლის სიკვდილსაც ცეცხლი სირცხვილთა ალისა?
მაგრა, თვით იცი, ხელმწიფე ხამს მქმნელი სამართალისა,
მე, თქვენმან მზემან, მაშოროს ნდომა თქვენისა ქალისა 556.

იცით, ინდოთა სამეფო რაზომი სრა-საჯდომია!
ერთიღა მე ვარ მემკვიდრე, — ყველაი თქვენ მოგხდომია:
ამოწყდა მათი ყველაი, მამული თქვენ დაგრჩომიაj
დღესამდის ტახტი უჩემოდ არავის არ მონდომია 557!

ვერ გათნევ, თქვენმა კეთილმან, აწ ეგე არ-მართალია:
ღმერთმან არ მოგცა ყმა შვილი, გიზის ერთაი ქალია,
ხვარაზმშა დაჰსვა ხელმწიფედ, დამრჩების რა ნაცვალია?
სხვა მეფე დაჯდეს ინდოეთს, მე მერტყას ჩემი ხრმალია 558?!

შენი ქალი არად მინდა, გაათხოვე გამარიდე!
ინდოეთი ჩემი არის, არვის მივსცემ ჩემგან კიდე.
ვინცა ჩემსა დამეცილოს, მისით მასცა ამოეფხვრიდე,
სხვას შეშველსა გარეგანსა, მომკალ, ვისცა ვინატრიდე 559!

როგორც ვხედავთ, ტარიელმა საკმაოდ ხათლად ჩამოუყალიბა ფარსადანს თავისი პრეტენზიები, დაასაბუთა თავისი განუყოფელი უფლება ინდოეთის ტახტზე. ფარსადანის ეჭვების გასაფანტავად იმასაც კი დაძენს, რომ მისი ქალი არ სურს და ვისაც უნდა, იმას მიათხოვოს. ფარსადანი მაინც თავისაზე დგას და ჯიუტად გაიძახის:

მეფე ბრძანებს: ვიცი, ვიცი, მეტად კარგად შემიგიან:
მას უყვარდა ქალი ჩემი, სისხლნი ველთა მოუღვრიან,
რა ნახიან ერთმანერთი, არ-შეხედვა ვერ დათმიან 560.

აწ, თავმან ჩემმან, მას მოვჰკლავ, ჩემად დად ვინცა მაღესა!
მე ღმრთისა ვუთხარ, დაუბამს მას ეშმაკისა ბადესა!
მათ ბოზ-კუროთა ასეთი რა მისცეს, რა უქადესა?
თუ დავარჩინო, ღმერთი ვგმო! მისად პატიჟად მზად ეს-ა 567.

მეფე ფარსადანის ეს სიტყვები ადასტურებს, თუ რამდენად სწორად მოიქცა ტარიელი თათბირის დროს, როდესაც თავისი გულისწადილი არ გაამხილა და არაფერი თქვა ნესტან-დარეჯანთან თავისი ურთიერთობის შესახებ. ფარსადანი მაინც ვერ გაიგებდა მათს წმინდა მიჯნურობას და სიძვად მიიჩნევდა. მართლაც, ფარსადანი თუმცა წერს ტარიელს, რატომ არ ამიხ-

სენი, რომ ჩემი ქალი გიყვარდაო, მაგრამ როდესაც მათ სიყვარულში რწმუნდება, ბოზ-კუროებად ჩათვლის.

ფარსადანი მარტო არ იყო, მის შეხედულებას იზიარებდა მისი და დავარიც, რომელიც მეფემ საგანგებოდ მიუჩინა ნესტანს, რათა იგი სრულ განმარტოებაში აღზრდილიყო. დავარს უნდა დაეცვა ნესტან-დარეჯანი მის მიერ რაიმე ნებაყოფლობის გამოვლენისაგან. ამიტომ ემუქრებოდა ფარსადანი დას სიკვდილით, თვლიდა რა, რომ მან თავისი მრვალეობა ვერ შეასრულა. დავარი კი არაფერ შუაში იყო, ისიც მეფე ფარსადანის პოზიციებზე იდგა ამ საკითხში და ნესტანისა და ტარიელის მიჯნურობას სიძვად თვლიდა. ეს ნათლად ჩანს იმ სიტყვებიდან, რომლითაც იგი გასაძევებლად გამზადებულ ნესტანს მიმართავს:

ბოზო, შენ ბოზო, რად მომკალ? ვეჰე, შენცა არა გლხენოდეს 570.

როსკიპო, ბოზო დიაცო, საქმრო რად მოაკლეენე? 571

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ფარსადანი სრულიად უყურადღებოდ ტოვებს ტარიელის პრეტენზიას ტახტის მემკვიდრეობაზე, მის ბრძოლას ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის, მიმართულს ინდოეთში სპარსელების გამეფების წინააღმდეგ. აქედან ჩანს, რომ ფარსადანი ისევ თავის ძველ პოზიციებზე დარჩა და ვერაფერმა ვერ შეძლო მისი გათვითცნობიერება.

როგორც ვხედავთ, რუსთაველი საკმაოდ დაწვრილებით გადმოგვცემს ნესტანის ხვარაზმშას შვილზე გათხოვებასთან დაკავშირებულ ეპიზოდებს და დიდი ოსტატობით ხატავს იმ რთული პოლიტიკური და ზნეობრივი ხასიათის ბრძოლას, რომელსაც აწარმოებენ ნესტანი და ტარიელი ფარსადანის არასწორი გადაწყვეტილების წინააღმდეგ. მოქმედების შემდგომი განვითარება მთლიანად ფარსადანის ამ არასწორი გადაწყვეტილების შედეგია.

დავარმა, იცოდა რა თავისი ძმის სიჯიუტე, რომ იგი თავის ნათქვამს არ გადათქვამდა, გადაწყვიტა, ვიდრე მას მეფე მოჰკლავდა, სამაგიერო მიეზღო ნესტანისათვის. მან ნესტანი ორ მონა ზანგს ჩააბარა და უბრძანა, ისეთ ადგილას გადაეკარგათ, რომ მისი მონახვა შეუძლებელი ყოფილიყო, ხოლო თვითონ თავი მოიკლა. როდესაც ტარიელმა ნესტანის გატაცების ამბავი

გაიგო, საძებნელად წავიდა, მთელი ქვეყანა მოიარა, მაგრამ კვალს ვერ მიაგნო. რუსთაველი სრულიად სწორად იქცევა, როდესაც სულ რამდენიმე სტროფით გადმოგვცემს ტარიელის ერთი წლის თავგადასავალს დაკავშირებულს ნესტანის ძებნასთან.

ერთი წლის განმავლობაში ეძება ტარიელმა ნესტან-დარეჯანი და ვერ იპოვა: ას სამოცი კაციდან, რომლებიც მას თან ახლდნენ, ორი მონა და ასმათიღა შერჩა. ტარიელმა იმედი გადაიწყვიტა, ძებნაზე ხელი აიღო და ბეღს დამორჩილდა. როგორც ნათქვამი იყო, რუსთაველმა ერთი წლის ამბის გადმოცემას სულ ორი სტროფი მოანდომა და ნურადინ-ფრიდონთან შეხვედრის და დაძმობილების ამბავი კი დაწვრილებით აღწერა. თუმცა ერთი შეხედვით მას პირდაპირი კავშირი არა ჰქონდა არც ავთანდილ-თინათინის და არც ტარიელ-ნესტანის ამბებთან.

აღსანიშნავია, რომ ტარიელი ფრიდონს მაშინ შეხვდა, როდესაც მან ნესტანის პოვნის იმედი დაკარგა. ტარიელს მოსწყინდა ზღვაში ცურვა და ფრიდონის სამფლობელო ქალაქის მულღაზანზარის მახლობლად ნაპირზე გამოვიდა. როდესაც ტარიელი და მისი თანმხლები პირნი ხის ძირას ისვენებდნენ, ტარიელმა დაინახა მოყმე, რომელიც მტერს ემუქრებოდა, თან ხელში ხმლის ნატეხი ეკავა და ჭრილობებიდან სისხლი ჩამოსდიოდა. ტარიელს, თუმცა კაცის დაწახვა არ ეამებოდა, მაგრამ დაჭრილი მოყმე დანახვისთანავე მოეწონა, გამოეკიდა და შეაჩერა. დაჭრილმა ტარიელს უამბო, რომ იგი მულღაზანზარის მეფეა და ბიძა და ბიძაშვილები ედავებიან კუნძულს, რომელიც მემკვიდრეობით მას ეკუთვნის. ნადირობის დროს, როდესაც მისი სპანი შორს იყვნენ მისგან, ბიძა და ბიძაშვილები თავის მეომრებით უეცრად თაყს დაესხნენ. ფრიდონი ძლივს გადაურჩა მათ.

ტარიელს ისე მოეწონა ეს მამაცი მოყმე, რომ მისი მუხანათი მტრების დასჯაში მონაწილეობის მიღების სურვილი გამოთქვა. როდესაც ფრიდონს ჭრილობები იმდენად შეუხორცდა, რომ ცხენზე შეჯდომა და იარაღის ხმარება შეეძლო, ის და ტარიელი შეებრძოლენ ფრიდონის გათავხედებულ ნათესავებს და დაამარცხეს. ამ ბრძოლაში ფრიდონმაც და ტარიელმაც

დიდი ვაჟკაცობა და ბრძოლისუნარიანობა გამოიჩინეს. ამის შემდეგ მათ ერთმანეთს ძმობა შეჰფიცეს და თავისი თავგადასავალი უამბეს.

აქ აღსანიშნავია სიტყვები, რომლებიც წარმოთქვა ფრიდონმა ტარიელის ამბის მოსმენისთანავე:

> შენ, მაღალი ინდოთ მეფე, ჩემსა რადმე ხარ მოსრული,
> სახელმწიფო საჯდომი და ტახტი გმართებს, სრაცა სრული. 624.

როგორც ვხედავთ, ფრიდონი თვლის, რომ ტარიელი უკანონოდ არის ფარსადანის მიერ შეიწროებული და რომ სწორედ ტარიელს ეკუთვნის ინდოეთის ტახტი. ამიტომაც ტარიელს, რომელიც თუმცა ჯერ არ არის მეფედ ნაკურთხი, ფრიდონი მაინც „მაღალ ინდოთ მეფეს“ უწოდებს და ისე სცემს პატივს, როგორც კანონიერ მეფეს. აი, რას ამბობს ამის შესახებ თვითონ ტარიელი:

> ფრიდონ საჯდომნი დამიდგნა ადგილსა საპატრონოსა,
> მითხრა, თუ: მცთარვარ აქამდის, ვერ მიეხვედი გასაგონოსა:
> ხარ დიდი მეფე ინდოთა, რა ვით ვინ მოგაწონოსა!
> ვინ არის კაცი, რომელმან თავი არ დაგამონოსა. 633.

პოემაში ფრიდონის, როგორც პერსონაჟის შეყვანას, ორგვარი დანიშნულება აქვს: კომპოზიციურად იგი შემაერთებელ რგოლს წარმოადგენს პოემის ორ ნაწილს შორის. „პირველ ნაწილს“ ჩვენ ვუწოდებთ პოემის იმ ეპიზოდებს, რომლებიც გვაქვს ავთანდილის არაბეთიდან მეორედ წასვლამდე. ერთი სიტყვით, ის ეპიზოდები, რომლებიც დაკავშირებულია უცხო მოყმის ამბის გაგებასთან და რომლებიც თვით ტარიელის ამბავს შეიცავენ. ეს ნაწილი ემსახურება პოემის ძირითადი იდეის ნათელყოფის საქმეს. მეორე ნაწილი შეიცავს ეპიზოდებს, რომლებიც დაკავშირებულია ავთანდილის დახმარებით ნესტანის მოძებნასა და ქაჯეთის ციხიდან დახსნასთან. ამ ნაწილში რუსთაველს მიზნად ჰქონდა, ეჩვენებინა ავთანდილი, როგორც მოყმე, რომელსაც არავინ ჰყავს თავის სწორად.

როგორც ვიცით, ტარიელის მიერ ნესტანის ძებნა უშედეგოდ დამთავრდა. სასოწარკვეთილმა ტარიელმა თზოვნით მიმართა ფრიდონს, რადგან ეგონა, რომ მხოლოდ და მხოლოდ

ფრიდონს შეეძლო მისი შველა. დავიმოწმოთ თვით ტარიელის სიტყვები:

წამოეედით ნატირებნი, სრას დავსხედით თავის წინა;
ფრიდონს ვუთხარ: ჩემი შემწე შენგან კიდეე არავინ ა,
ვითა ღმერთმან შენი მსგავსი სოფლად არა მოავლინა,
მაშა რათგან შეგემეცენ, ამის მეტი რად რა მინა? 626.

არ აეი გესვა მოყვარე, ჟამი თუ მომხვდეს ჟამისად,
ენა, გონება, მახმარე გამოსარჩევლად ამისად:
რა მოვაგვარო, რა მიჯობს სალხენლად ჩემად და მისად?
თუ ეერას ვარგებ, ვიქმნები ეერ-დამყოფელი წამისად. 627.

მაგრამ ცნობილია, რომ ფრიდონმაც ეერაფერი უშველა ტარიელს, ეერ იპოვა ნესტანი, თუმცა გამოცდილი მენავენი ყოველ მხარეს დაგზავნა.

ავთანდილმა კი ნესტანის პოვნის საქმეში ტარიელსაც აჯობა და ფრიდონსაც. მან ამ მისიის ბრწყინვალედ დაგვირგვინებაში უბადლო გამჭრიახობა გამოიჩინა. მიუხედავად ამისა, ფრიდონი ამოსავალი წერტილია პოემის ლოგიკური გაგრძელებისათვის. უკანასკნელად ნესტანი სწორედ ფრიდონმა ნახა. მის შემდეგ ნესტანის კვალი აღარსად ჩანდა. ავთანდილი სწორად იქცევა, როდესაც, ნესტანის საძებრად წასული. პირველად ფრიდონთან შეივლის და ნესტანის კვალის ძებნას სწორედ იმ ადგილიდან იწყებს, სადაც ის უკანასკნელად ნახეს. როგორც ცნობილია, ამან კარგი შედეგი გამოიღო. ავთანდილი ნესტანის კვალს წააწყდა. ამრიგად, ფრიდონის სასახლის კარიბჭედან იწყება ხელახლად იმ ამბის გაგრძელება, რომელიც თითქოს დასრულებული იყო. აი, რატომ დაუთმო ამდენი ადგილი რუსთაველმა ტარიელისა და ფრიდონის შეხვედრის ეპიზოდს.

იმის შემდეგ, რაც ფრიდონმაც ეერაფერი უშველა ტარიელს და მისი გაგზავნილი ხალხი ისე დაბრუნდა, რომ ნესტანისა ეერაფერი გაიგეს, ტარიელი უფრო მეტად შეიპყრო სევდამ, იგი ამბობს:

მაშა მე მისსა ამბავსა რათგან აღარას მოველი,
ვეღარ ვიქმნები, გამიშვი, ვარ ფარმანისა მთხოველი. 636.

ტარიელმა დატოვა ფრიდონის სახელმწიფო და ისევ ველად გაიჭრა ნესტანის საძებრად; შემოიარა ხმელეთი და ზღვის

სანაპიროები, მაგრამ ნესტანის კვალს მაინც ვერ მიაგნო. ახლა კი ტარიელმა საბოლოოდ დაჰკარგა სატრფოს პოვნის იმედი, სასოწარკვეთილებას მიეცა და მზეცებთან სიახლოვეში შეეცადა გულის ტკივილის ჩახშობას:

ვთქვი, თუ: ჩემგან აღარა ხამს სიარული, ცუდი ცურვა.
ნუთუ მზეცთა სიახლემან უკუმყაროს გულსა ურვაჲ 642.

და მართლაც, ტარიელმა სრულიად მიატოვა ის ადგილები, სადაც ადამიანები სახლობდნენ, დევებთან ბრძოლის შედეგად მოპოვებულ უკაცრიელ გამოქვაბულებში დაბინავდა ასმათთან ერთად, და სწორედ იმ დროს იპოვა იგი ავთანდილმა, როდესაც ტარიელი სიკვდილსღა ელოდა:

აჰა, ძმაო, მაშინდლითგან აქა ვარ და აქა ვკვდები;
ხელი მინდორს გაეპურები, ზოგჯერ ვტირ და ზოგჯერ ვბნდები,
ესე ქალი არ დამაგდებს, — არს მისთვისვე ცეცხლ-ნადები, —
ჩემად ღონედ სიკვდილისა მეტსა არას არ ვეცდები! 647.

ამით თითქოს დასრულდა ტარიელისა და ნესტანის ამბავი. ფარსადან მეფის არასწორი გადაწყვეტილების გამო ნესტანი უკვალოდ დაიკარგა, ტარიელი კი სიკვდილის პირზეა, მაგრამ ავტორმა მაინც დაიტოვა ამბის გაგრძელების უფლება, რადგან ნესტანის ბედი კვლავ უცნობია.

შემთხვევითი არ არის, რომ რუსთაველმა ავთანდილს ტარიელი სწორედ ამ მომენტში აპოვნინა და არა ადრე, ანდა უფრო გვიან. ტარიელის მიერ მოყოლილი ამბავი საკმარის შუქს ფენს და ნათელს ხდის პოემის პირველი ნაწილის დედააზრს. კერძოდ, იმას, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც მეფეს ძე არა ჰყავს, ერთადერთი ქალის გარდა, ქალი უნდა იქნეს აყვანილი ტახტზე, და იმ უფლებებით აღიჭურვოს, რაც სამეფო პერსონას შეჰფერის — ქმრის თავისუფალი არჩევის ჩათვლით.

როდესაც ტარიელმა თავისი ამბის მოყოლა გაათავა, ავთანდილსა და მას შორის საინტერესო დიალოგი გაიმართა. ეს დიალოგი ყურადღების გამახვილებას მოითხოვს, რადგან მასში მოცემულია მომხდარი ამბების შეფასება თვით გმირების მიერ.

ტარიელ უთხრა ავთანდილს, ასმათის დადუმებულმან:
შენ ყველა კაი გაამე მე ვერას ვერ ამებულმან:
გიამბე ჩემი ამბავი სიცოცხლე-გაარმებულმან
აწ წადი, ნახე შენი მზე ნახვისა მოჟამებულმან. 651.

როგორც ვხედავთ, ტარიელი თავისი უბედურების ამბავს ავთანდილისათვის საამოდ აცხადებს. ისმის კითხვა, რატომ უწოდებს ტარიელი ამ ამბავს, რომელშიც მხოლოდ უბედურებაზეა ლაპარაკი, ავთანდილისათვის საამოს? ჩვენი აზრით, იმიტომ, რომ ტარიელის თავზე გადამხდარი უბედურება, ინდოეთში დატრიალებული ტრაგედია, ამართლებდა არაბეთში თინათინის გამეფების ფაქტს და ხელს უწყობდა ავთანდილისა და თინათინის შეუღლებას.

იგივე აზრი ალეგორიულადაა გადმოცემული ავთანდილის მიმართვაში ტარიელისადმი:

რა აქიმი დასნეულდეს, რაზომ გინდა საქებარი,
მან სხვა უხმოს მკურნალი და მაჯასისა შემტყვებარი,
მან უამბოს, რაცა სჭირდეს სენი, ცეცხლთა მომდებარი:
სხვისა სხვამან უკეთ იცის სასარგებლო საუბარი. 653.

ამ სტროფის აზრი შემდეგია: თუ ექიმი თვითონ სნეული აღმოჩნდება, მან უნდა მიმართოს მეორე ექიმს, აუხსნას, რა სტკივა და ეს უკანასკნელი მოარჩენს მას. ამ შემთხვევაში დასნეულებული ექიმი ტარიელია, რომელმაც თავისი ამბის მოყოლით უმკურნალა ავთანდილს.

რუსთაველი ამ სტროფს ბრწყინვალე აფორიზმით ამთავრებს — „სხვისა სხვამან უკეთ იცის სასარგებლო საუბარი".

ამ სტროფში ხაზგასმულია რომ, ტარიელის ამბავმა დადებითი როლი შეასრულა ავთანდილის ცხოვრებაში, სახელდობრ, განკურნა ის რაღაც სენისაგან. ამის შემდეგ ავთანდილი იწყრაფვის, დაბრუნდეს არაბეთში და უამბოს თინათინს უცხო მოყმის ამბავი. ეს მას სჭირდება იმისათვის, რომ თინათინის სიყვარული დაიმტკიცოს.

ოგი ვნახო, სიყვარული მისი ჩემთვის დავამტკიცო;
მოვახსენო, რაცა მეცნას, მეტი საქმე არა მიცო. 655.

როგორც ვხედავთ, ავთანდილი თვლის, რომ თუ თინათინს მოახსენებს იმას, რაც ტარიელისაგან გაიგო, ამით თინა-

თინის სიყვარულს დაიმტკიცებს. ისმის კითხვა: რატომ? პასუხი იგივეა: ტარიელის ტრაგიკული თავგადასავალი ამტკიცებს თინათინის მეფედ ყოფნის და მათი მიჯნურობის კანონზომიერებას, წინააღმდეგ შემთხვევაში, არაბეთშიაც შეიძლება იგივე უბედურება დატრიალებულიყო, რაც ინდოეთში. ინდოეთისა და არაბეთის ამბის დაპირისპირებაზე მეტყველებს შემდეგი სტრიქონი: „მზე უკადრი ტახტსა ზედა ზის მორჭმული არ ნადევრი“, რაც იმას ნიშნავს, რომ თინათინი მორჭმით ტახტზე ზის და ნესტანივით არ არის განდევნილი.

ავთანდილი სიტყვას ჩამოართმევს ტარიელს, რომ ივი ავთანდილის დაბრუნებამდე თავს არაფერს ავნებს და არაბეთისკენ გამოეშურება.

რუსთაველი დაწვრილებით გადმოგვცემს, თუ რა რეაქცია გამოიწვია არაბეთში ავთანდილის მიერ უცხო მოყმის ამბის მოყოლამ. ავთანდილის დაბრუნებასთან დაკავშირებით თინათინთან მოციქულად მოსული შერმადინი ამბობს: „ავთანდილ მოვა წინაშე, გკადრებს ამბავსა ამოსა“.

აქაც, როგორც ვხედავთ, ტარიელის ტრაგიკულ თავგადასავალს საამო მოსასმენად აცხადებს შერმადინი.

როსტევანმა და თინათინმა დიდი ნადიმი გამართეს ავთანდილის დაბრუნებასთან დაკავშირებით. ნადიმის დასასრულს ავთანდილმა უამბო მათ უცხო მოყმის ამბავი. რუსთაველი ხაზს უსვამს იმას, რომ „დიდებულნი არ გაუშვნეს“, საგანგებოდ დატოვეს ავთანდილის მიერ გაგებული აჩრის მოსასმენად. ეს ფაქტი მოწმობს, რომ ავთანდილის მიერ ტარიელის ამბის მოყოლას სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა ენიჭებოდა.

ხოლო დიდებულნი, რომლებიც ყველაზე მეტად ოპოზიციურად იყვნენ განწყობილნი, ამ ამბის მოსმენის შემდეგ უნდა დარწმუნებულიყვნენ თავისი თვალსაზრისის უმართებულობაში. ამრიგად, ეს ამბავი ლახვარს წარმოადგენდა ოპოზიციის მიმართ.

საინტერესოა ისიც, თუ რა რეაქცია გამოიწვია მსმენელებში, და პირველ რიგში თინათინში, ტარიელის ტრაგიკული ამბის მოსმენამ. როდესაც ავთანდილმა თავისი თხრობა დაამთავრა, თინათინი გამხიარულდა:

გამხიარულდა თინათინ ამა ამბისა სმენითა,
მას დღე იხარებს გულ-ამოდ ლხინისა არ მოწყენითა. 683.

აქ ბაზგასმულია, რომ სწორედ „ამ ამბავმა“, ანუ ტარიელის თავგადასავალმა, ისე გაამხიარულა თინათინი, რომ მთელი დღე ლხინი არ მოსწყენია. როგორც ვიცით, ტარიელის ამბავი თავისთავად ძალზე ტრაგიკულია და მას სიბრალულის გრძნობისა და ცრემლის გარდა, არაფერი არ უნდა გამოეწვია, თინათინი კი გაახარა ამ ამბავმა. ისმის კითხვა: რამ გამოიწვია თინათინში ასეთი დიდი სიხარული, თუ არა იმან, რომ ავთანდილის ნაამბობი მის ეჭვებს აქარწყლებდა და რაღაც დარდისაგან ათავისუფლებდა.

თინათინმა სიხარული მაშინაც განიცადა, როდესაც პირადად მისთვის ამბობინა ავთანდილს ტარიელის ამბავი და მისი გაჭირვების მიზეზები.

ქალსა რა ესმა ამბავი, მიხედა წადილი ნებისა,
განათლდა პირი მთვარისა, ვით ნათლად ნავანებისა 692.

ცოტა ქვემოთ კი თინათინი ტარიელის ამბავს თავისი დადაგული გულის წამლად აცხადებს:

„ვპოვე წამალი გულისა, აქამდე დადაგულისა“. ესე იგი, ვპოვე ეჭვების გამაქარვებელი პასუხი, აქამდე რომ გულს უღრღნიდნენ. დარწმუნდა თავისი მეფობის კანონიერებაში.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, რუსთაველმა განსაზღვრული იდეის ნათელსაყოფად დაპირისპირების ხერხს მიმართა. მან ერთმანეთს დაუპირისპირა ნეგატიური და პოზიტიური ამბები, სიკეთე და ბოროტება, სინათლე და სიბნელე.

ეს იდეა რუსთაველს თამარ მეფის დრომ უკარნახა. ქალის მეფედ დასმის და მისთვის ყველა უფლებების მინიჭების საკითხი ყველაზე აქტუალური და საჭირბოროტო პრობლემა იყო მეთორმეტე საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოში, იმის გამო, რომ მეფე გიორგი III ერთადერთი ქალის — თამარის გარდა, შვილი არ ჰყავდა.

რომ ეს პრობლემა ძალზე აქტუალური იყო და მის სწორ გადაწყვეტას საქართველოსა და ქართველი ხალხისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა, ამაზე მეტყველებს ის

მცირე ცნობებიც, რომელიც „ქართლის ცხოვრებამ" შემოინახა.

როგორც ცნობილია, გიორგი III 1177 წელს, დემნას აჯანყების ჩაქრობის შემდეგ, საქართველოს სახელმწიფო ტახტზე თამარი დასვა, ექვსი წლის განმავლობაში, გიორგი მესამეს გარდაცვალებამდე, თამარი მამის თანამოსაყდრე იყო და მასთან ერთად იღებდა მონაწილეობას სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში. არ არის გამორიცხული, რომ გიორგი III მიერ თავის სიცოცხლეშივე თამარის გამეფება განაპირობა იმ დაძაბულმა პოლიტიკურმა მდგომარეობამ, რომელიც საქართველოში გამოწვეული იყო იმით, რომ გიორგი III ტახტის მემკვიდრე არ რჩებოდა. ეს კი ზოგიერთს სამეფო ტახტის დაპატრონების სურვილს აღუძრავდა. ასეა თუ ისე, გიორგი III მიერ თამარის თანამოსაყდრედ გამოცხადება გამოწვეული იყო მომავალზე ზრუნვით და იმ დაბრკოლებების დაძლევის სურვილით, რომელიც ქალის მეფედ ყოფნის გამო, უდავოდ, წარმოიშობოდა მომავალში. გიორგი მეფის ეს ეჭვები და წინასწარი ზრუნვა უსაფუძვლო რომ არ იყო, ამაზე მეტყველებს ის ბრძოლა, რომელიც დაიწყო ტახტის გარშემო მისი სიკვდილის შემდეგ.

1184 წელს გარდაიცვალა გიორგი III და თამარ მეფე ტახტიდან გადადგა. ეტყობა, მხოლოდ დიდი პოლიტიკური ბრძოლის შედეგად მოხერხდა თამარის ხელმეორედ გამეფება. აი, რას წერს ამის შესახებ ჩვენი დიდი ისტორიკოსი ივ. ჯავახიშვილი: „ამრიგად, ერთხელ უკვე აყვანილი მამის მიერ, თამარი ხელმეორედ უნდა ასულიყო სამეფო ტახტზე, რაც გასაკვირველია: მაშინ იგი მხოლოდ თანამოსაყდრე იყო, მას მუდამ გვერდით ჰყავდა მამა, გამოცდილი სარდალი და მმართველი; ამიერითგან კი იგი უნდა საქართველოს ერთადერთ უზენაეს გამგედ და წინამძღოლად გამხდარიყო. ადვილი და უმნიშვნელო საქმე ხომ არ იყო გადასაწყვეტი: საქართველოს ხანგრძლივ ისტორიაში და სხვათა ცხოვრებაშიც იშვიათი მოვლენა იყო, იმ დროს სხვაგანაც მაგალითი არ ყოფილა, რომ მეფედ და სახელმწიფოს მმართველად ქალი გამხდარიყო. საქართველო მაშინ უკვე ძლიერ, სახელგანთქმულ სახელმწიფოდ ითვლებოდა, მრავალი და ვრცელი ქვეყნების ბატონად,

სხვადასხვა მოდგმისა და სარწმუნოების ხალხის მბრძანებლად, ამიტომ საქართველოს სახელმწიფო ცხოვრების ხელმძღვანელთათვის იმ დროს დიდი სიფრთხილე და წინდახედულება, სიბრძნე და შორს გამჭვრეტელობა იყო საჭირო, რომ ქვეყნისათვის ღირსეული მეფე აერჩიათ.

საგანგებოდ შეკრებილმა საქართველოს დიდებულთა საბჭომ ღირსეულად შეასრულა თავისი მოვალეობა და თამარი — ქალი მამაკაცის თანასწორი უფლების ღირსად სცნო. უეჭველია, ყველა არ იქნებოდა ამის მომხრე და მომავალში იქნებ უფრო მეტი და საგულისხმიერო ცნობები აღმოჩნდეს ამ საისტორიო თათბირის შესახებ; მაგრამ მაინც ცხადია, რომ უმრავლესობა თამარის გამეფების მომხრე ყოფილა" [1].

ქალის მეფედ ყოფნის გარშემო წარმოებული ბრძოლა ამით არ დამთავრებულა და თამარის ტახტზე ჯდომა მრავალჯერ ყოფილა გამოყენებული დიდგვაროვანთა მიერ მეფის უფლებების შეზღუდვისათვის ბრძოლაში. ივ. ჯავახიშვილი ამის შესახებ წერს: „ქალწულ გვირგვინოსანის მეფობა მეტად ხელსაყრელი დრო იყო, რომ დიდგვაროვან აზნაურებს არ ესარგებლნათ და არ ცდილიყვნენ ბედის ტრიალი თავისკენ მოებრუნებინათ" [2].

ის პოლიტიკური გამოსვლები, რომელსაც ადგილი ჰქონდა თამარის მეფობის დასაწყისში, ნათლად მეტყველებს იმაზე, რომ თამარის ტახტზე ასვლის შემდეგაც ტახტის გარშემო ისევ მწვავე ბრძოლები წარმოებდა. გავიხსენოთ დიდგვაროვანთა გამოსვლები ყუბასარისა და აფრიდონის გადაყენების მოთხოვნით, ყუთლუ-არსლანის დასის ბრძოლა, რაც ფაქტიურად თამარ მეფის უფლებების შეზღუდვას, მისი მეფური უფლებების უგულებელყოფას ნიშნავდა. ეს ბრძოლა იმდენად მწვავე ხასიათს ატარებდა და ოპოზიცია იმდენად ძლიერი იყო, რომ თამარს გარკვეულ დათმობაზე წასვლა უხდებოდა. მაგალითად, მას მოუხდა მისი ტახტის ერთგული დიდებულების ყუბასარისა და აფრიდონის გადაყენება თავისი

1 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი მეორე, 1948 წ. გვ. 246.

2 იქვე, გვ. 247.

სურვილის საწინააღმდეგოდ და კომპრომისზე წასვლა ყუთლუ-არსლანის დასთან. მეფის უფლებების ფაქტიურ შეზღუდვას წარმოადგენდა, თამარის სურვილის საწინააღმდეგოდ, გიორგი რუსზე მისი გათხოვების გადაწყვეტილების გამოტანაც.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, ქალის გამეფება ძალზე მტკივნეული და სერიოზული პრობლემა იყო მეთორმეტე საუკუნის ოთხმოციან წლებში; მის დადებითად გადაწყვეტას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს ძლიერებისა და მომავლისათვის. ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ რუსთაველმა სწორედ ეს აქტუალური იდეა დაუდო საფუძვლად თავის გენიალურ პოემას და ყოველი სტრიქონით ქალის მეფედ ყოფნის შესაძლებლობას იცავდა. ტარიელ-ნესტან-დარეჯნისა და თინათინ-ავთანდილის სიუჟეტური ხაზების დაპირისპირება წარმოადგენს თამარის ქებას, მას მკითხველი მიჰყავდა იმ დასკვნამდე, რომ როდესაც მეფეს მხოლოდ ქალი ჰყავს მემკვიდრედ, საჭიროა მისი გამეფება და ყველა სამეფო უფლებებით აღჭურვა. სწორედ ამიტომ ამბობდა რუსთაველი პოემის შესავალში: „თამარს ვაქებდეთ, მეფესა სისხლისა ცრემლდათხეული“ და ცოტა ქვემოთ: „მო, დავსხდეთ, ტარიელისთვის ცრემლი გვდის შეუშრობილი“. ამით რუსთაველი მოუწოდებდა თავის მკითხველს, თანაგრძნობა გაეწია ტარიელისათვის, ადამიანისათვის, რომელიც ტრაგიკულ მდგომარეობაში ჩავარდა მეფე ფარსადანის არასწორი გადაწყვეტილების გამო. ეს კი ნიშნავდა ინდოეთში მომხდარი ამბების დაგმობას და, პირიქით, თინათინის გამეფების მოწონებას. ამას რუსთაველის თანამედროვე მკითხველში არ შეიძლება სათანადო ისტორიული ასოციაცია არ გამოეწვია.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს თამარი თინათინია ანდა ნესტანი, ხოლო ავთანდილი ან ტარიელი — დავით სოსლანი ანდა დემნა უფლისწული — როგორც ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს. „ვეფხისტყაოსანი“ — ისტორიული ტრაქტატი კი არ არის, არამედ მხატვრული ნაწარმოებია, რომელშიც ასახვა ჰპოვა თავისი დროის საჭირბოროტო პრობლემებმა, რაც რუსთაველმა თავისებური მხატვრული ხერხებით გადაჭრა.

იმის შემდეგ, რაც ტარიელ-ნესტანის ამბის აღწერით რუსთაველმა ქალის მეფედ ყოფნის კანონზომიერება გვიჩვენა და სიუჟეტურად და იდეურად ამბავი თითქოს დაამთავრა, მას შეეძლო წერტილის დასმა. მაგრამ რუსთაველი ასე არ მოიქცა. მან განაგრძო პოემა და, თუ შეიძლება ასე ითქვას, დაწერა მისი „მეორე ნაწილი“, რომელიც მოცულობით პირველის თანატოლია.

ქალის სამეფო ტახტზე ასვლის იდეას კიდევ მეორე მხარე ჰქონდა, უფრო სწორად, ეს იდეა თავის თავში შეიცავდა მეორე მხარეს, რომელიც უსათუოდ იჩენდა თავს დროთა განმავლობაში ქალის ტახტზე ყოფნასთან დაკავშირებით. ეს იყო ტახტის მომავალზე ზრუნვა. მეფე-ქალი თუ გაუთხოვარი დარჩებოდა, ტახტს მემკვიდრე არ ეყოლებოდა მისი სიკვდილის შემდეგ, ამიტომ აუცილებელი იყო მისი გათხოვება. ამ შემთხვევაში კი ორი გზა ისახებოდა: ერთი ტრადიციული, ქალის დაუკითხავად სასიძოს გამონახვა, რომლის მიხედვითაც მომავალი ქმარი მხოლოდ უცხო ქვეყნის შვილი უნდა ყოფილიყო.

ამ პირობებში მეფე-ქალი დამოკიდებული ხდებოდა დიდებულთაგან, რომელთაც უნდა აერჩიათ საქმრო, მისი ნება-სურვილის ანგარიშგაუწევლად.

იყო მეორე გზაც, შექმნილ სიტუაციაში ერთადერთი სწორი გზა, რომელიც ტრადიციულის უარყოფას წარმოადგენდა, რადგან ქალს მინიჭებული ჰქონდა ყველა სამეფო უფლება, მასვე თავისი ნება-სურვილით უნდა ამოერჩია საქმრო. გარდა ამისა, რათა სამეფო ტახტი უცხო ქვეყნის წარმომადგენლის ხელში არ გადასულიყო და არ დარღვეულიყო ქვეყნის დამოუკიდებლობა, მეფე-ქალს საქმრო ქვეყნის შიგნით უნდა გამოეყანა, თანაც ყოველმხრივ შეემოწმებინა და მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩაეთვალა ქმრობის ღირსად, თუ იგი მართლაც დაამტკიცებდა თავის ღირსებებს, როგორც მხედართმთავარი, ბრძენი და მოყმე, უკვე სახელმოხვეჭილი და ყველასაგან აღიარებული. „ვეფხისტყაოსნის“ მეორე ნაწილი, დაწყებული ავთანდილის არაბეთიდან მეორედ წასვლითა და გათავებული ნესტანის გამოხსნით, სწორედ ამ იდეის ნათელყოფას ემსახურება.

ეს ნაწილი წარმოადგენს თინათინის უფლების დაცვას — თვითონ ამოირჩიოს საქმრო. ამას გარდა, აქ ავთანდილი დახატულია როგორც ისეთი მოყმე, რომელსაც ტოლი არ ჰყავს მთელ ქვეყანაზე, რაც, აგრეთვე, თინათინის მიერ გადადგმული ნაბიჯის სისწორეზე მეტყველებს. ეს უტყუარი საბუთია იმისა, რომ სრულიად მართებულია მეფე-ქალისათვის საქმროს ამორჩევის უფლების მინიჭება, რადგან მხოლოდ ამ შემთხვევაში იქნება ის დაზღვეული უღირსი ქმრის შერთვისაგან.

როგორც ზემოთაც ვთქვით, ეს ორი იდეა ერთიმეორესთან მჭიდროდ არის დაკავშირებული. მეორე პირველისაგან გამომდინარეობს და წარმოადგენს ქალის მეფედ ყოფნის კანონიერების აღიარებას, დაცვას და გამართლებას.

ამ ორი აზრის განუყოფლობამ და მთლიანობამ განაპირობა „ვეფხისტყაოსნის“ კომპოზიციური და სიუჟეტური მთლიანობაც.

ნესტან-ტარიელის სიუჟეტური ხაზი (ტარიელის მონაყოლი) სიუჟეტურად დასრულებულია, რადგან მას აქვს თავისი **ექსპოზიცია.** მეფე ფარსადანს არ ჰყავდა მემკვიდრე ვაჟიშვილი, ერთადერთი ქალის გარდა. მეფე ფარსადანის კარზე იზრდებოდა ტარიელი, რომელიც როცა მოიწიფა, ამირბარი გახდა. ნესტანს და ტარიელს შეუყვარდათ ერთმანეთი. მათ ფიცი დასდეს, რომ ერთმანეთს არავითარ შემთხვევაში არ უღალატებდნენ და შეუღლდებოდნენ; **მოქმედების განვითარების კვანძი** — მეფე ფარსადანი გადაწყვეტს, თვითონ მოინახოს სასიძო ნესტანისათვის სხვა რომელიმე უცხო სახელმწიფოში და მას მიათხოვოს თავისი ქალი. **მოქმედების განვითარება** — ნესტანი და ტარიელი ყველა ღონეს ხმარობენ, რომ გააბათილონ ფარსადანის უგუნური გადაწყვეტილება, საქმე თავის სასარგებლოდ წარმართონ და შეუღლდნენ. მოქმედების განვითარებას წარმოადგენს ნესტანისა და ტარიელის თათბირი, ხვარაზმშას შვილის ჩამოსვლა ინდოეთში და ტარიელის მიერ სასიძოს მოკვლის ეპიზოდი.

კონფლიქტი დაძაბულობის უმაღლეს წერტილს — **კულმინაციას** აღწევს მაშინ, როდესაც ფარსადანის და, დავარი ნესტანს ინდოეთიდან აძევებს და თვითონ თავს იკლავს. ესე

იგი ამ სიუჟეტურ ხაზს აქვს თავისი კულმინაციაც. მთელი ამ კონფლიქტის და ორი მოწინააღმდეგე ბანაკის ბრძოლის შედეგი ანუ კვანძის გახსნა იქნება ნესტან-დარეჯანის უკვალოდ დაკარგვა, ტარიელის სრული სასოწარკვეთილება და სიკვდილის ლოდინი.

აჰრიგად, ნესტან-ტარიელის ამბავს აქვს სიუჟეტისათვის დამახასიათებელი ყველა ატრიბუტი და დასრულებულ სახეს ატარებს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმას, რომ რუსთაველმა დაიტოვა მისი გაგრძელების საშუალება, რაც იმაში გამოიხატა, რომ ნესტანის ბედი ბოლომდის არ არის ცნობილი.

ეს მთლიანი და სიუჟეტურად დასრულებული ამბავი კომპოზიციურად დაკავშირებულია თინათინ-ავთანდილის სიუჟეტურ ხაზთან.

დიდ სიუჟეტურ ჯაჭვს, რომელიც თავიდან ბოლომდე მოიცავს მთელ პოემას, და რომლის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილსაც ტარიელის მონაყოლი წარმოადგენს, თავის მხრივ აქვს ექსპოზიცია, სიუჟეტური კვანძი, მოქმედების განვითარება, კულმინაცია და კვანძის გახსნა. რუსთაველმა ნათელყო რა იდეის პირველი ნაწილი — ქალის მეფედ დასმის აუცილებლობა. ავთანდილის არაბეთიდან მეორედ გამგზავრების ეპიზოდიდან მოყოლებული, გვიჩვენა, თუ რამდენად მართებულია მეფე-ქალის სრული სამეფო უფლებებით აღჭურვა.

როგორც აღნიშნული იყო, თინათინმა ტარიელის ამბის ხელმეორედ მოსაყოლად ავთანდლი თავისთან დაიბარა. ამჯერად მხოლოდ თინათინი იყო მისი მსმენელი. საინტერესოა აღინიშნოს, რომ როგორც პირველ შემთხვევაში, ისე ახლაც თინათინს ავთანდილის სამი წლის თავგადასავალი კი არ აინტერესებს, არამედ მხოლოდ და მხოლოდ უცხო მოყმის ტრაგიკული ამბავი. უფრო მეტიც, თინათინის შენიშვნაზე, — ალბათ, მრავალი განსაცდელი გადაიტანე უცხო მოყმის ძებნის დროსო, ავთანდილი პასუხობს, რომ მას უკვე აღარ ახსოვს, თუ რა გადახდა სამი წლის განმავლობაში:

> ჰკადრა: „რა კაცსა სოფელმან მისცეს წადილი გულისა,
> ჩსოვნა არა ხამს ჭირისა, ჟამ პირველ გარდასრულისა“ 687.

— და ისევ ტარიელის შესახებ იწყებს ლაპარაკს. ეს კი

იმას ნიშნავს, რომ სწორედ ტარიელის ამბავს აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა და არა ავთანდილის სამი წლის თავგადასავალს.

აქ ჩვენ არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ ამ ადგილის ის არაზუსტი გადმოცემა, რომელიც გვხვდება აკადემიკოს კორნელი კეკელიძის ნაშრომში „ვეფხისტყაოსნის“ შინაარსის დალაგებისას. იგი წერს: „როსტევანი დიდი ზეიმითა და სიხარულით შეხვდა ავთანდილს, რომლისაგან სიტყვიერად მოისმინა ამ სამი წლის ამბავი“[1]. საქმეც სწორედ იმაშია, რომ თავისი სამი წლის თავგადასავლის შესახებ ავთანდილს ერთი სიტყვაც კი არ უთქვამს, იგი მხოლოდ ტარიელის ამბავს ჰყვებოდა. თვითონ რუსთაველმაც სულ ორ სტროფში მოათავსა ავთანდილის მიერ სამი წლის განმავლობაში ნახული და გადატანილი.

რუსთაველმა პოემის გასაგრძელებლად მოიტოვა კიდევ ერთი დამაკავშირებელი ძაფი. ეს არის ფიცი, რომელიც მისცა ავთანდილმა ტარიელს, როდესაც გამოემშვიდობა და არაბეთისკენ გამოემგზავრა. ავთანდილმა დახმარება აღუთქვა სასოწარკვეთილებამდე მისულ ტარიელს, რაზედაც თინათინი ეუბნება ავთანდილს:

> შენ არ-გატეხა კარგი გჭირს ზენაარისა, ფიცისა,
> ხამს გასრულება მოყვრისა სიყვარულისა მტკიცისა,
> ძებნა წამლისა მისისა და ცოდნა ხამს მართ უიცისა 697.

ეს სტროფი მრავალმხრივ არის საინტერესო. ჯერ ერთი, თინათინი მიუთითებს ავთანდილს, რომ რაკი მან შეჰფიცა ტარიელს, ვალდებულია შეასრულოს კიდეც სიტყვა. ამით ავთანდილი დაამტკიცებს თავის კარგ ყმობას. შემდეგ, თინათინი ავალებს ავთანდილს, მოძებნოს ტარიელის განმკურნებელი წამალი, ანუ დაკარგული ნესტან-დარეჯანი. თუ ავთანდილი იპოვიდა ნესტანს, ამით, ცხადია, პირველ რიგში იმას დაამტკიცებდა, რომ მას. როგორც მოყმეს, ტოლი არ ჰყავს. ამას გარდა, ავთანდილი დაამტკიცებდა თავის შეუდარებელ სიბრძნეს, რადგან, როგორც თინათინი დასძენს: „ცოდნა ხამს მართ უიცისა“, ესე იგი, ის, რაც ვერ შეძლეს ტარიელმა და ფრი-

[1] კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, წიგნი II, 1958 წ., გვ. 93.

დონმა (მაშასადამე, მათ რაღაც არ იციან), უნდა გააკეთოს ავთანდილმა, როგორც უფრო გათვითცნობიერებულმა და ბრძენმა. ხოლო ყველაფერი ეს, ერთად აღებული, იმის მაუწყებელი იქნებოდა, რომ თინათინის არჩევანი სწორი იყო, მის სიბრძნეს მოწმობდა და, მაშასადამე, მის ქებას წარმოადგენდა. აქედან კი გამომდინარეობს ერთი დასკვნა: მეფე-ქალისათვის ყველა სამეფო უფლებების, მათ შორის საქმროს დამოუკიდებლად შერჩევის უფლების მინიჭება სრულიად კანონზომიერია და არავითარ საფრთხეს არ შეიცავს, არაა საზიანო სამეფო ტახტისა და მთელი სახელმწიფოსათვის.

თვითონ ავთანდილი ტარიელის საშველად წასვლას აფასებს, როგორც თინათინთან შეუღლებისთვის საჭირო ერთერთ აუცილებელ პირობას. ეს კარგად ჩანს თუნდაც ავთანდილის მსჯელობიდან:

> მესმა თქვენი ნაუბარი, გავიგონე, რაცა ჰბრძანე!
> ვარდსა ქაცვი მოაპოვებს, ეკალთაცა რად ვეფხანე?001

ესე იგი, ვარდის (თინათინის) მოპოვება შეუძლებელია ქაცვის (ხის ეკალი. სულხან ორბ.) ანუ იმ სიძნელეთა დაძლევის გარეშე, რომლებმაც უნდა გამოავლინონ ავთანდილის, როგორც ღირსეული მოყმის, თვისებები.

ეს შედარება რომ ამ აზრს ნათელყოფს, მომდევნო ორი სტრიქონიც გვიდასტურებს. ავთანდილი სთხოვს თინათინს, რაიმე ნიშანი მისცეს. თინათინმა მარგალიტი მისცა ავთანდილს, რაც მათი მომავალი შეუღლების საწინდარია.

ამრიგად, თინათინმა და ავთანდილმა მიიღეს ურყევი გადაწყვეტილება — დახმარება აღმოუჩინონ ტარიელს, რისთვისაც ავთანდილმა დროებით უნდა დატოვოს არაბეთი. მაგრამ ვიდრე იგი გზას გაუდგებოდეს, რუსთაველი დაწვრილებით აღწერს იმ სიძნელეებს, რომელთა დაძლევაც უხდება ავთანდილს და ამასთან დაკავშირებით ყოველმხრივ ასაბუთებს ტარიელის დასახმარებლად მისი წასვლის აუცილებლობას.

ძალზე უმძიმს ავთანდილს თინათინთან განშორება, მოთქვამს და უჩივის ბედს, მაგრამ თავს იმით ინუგეშებს, რომ სხვა გამოსავალი არაა და რომ მან მომავალი ბედნიერება და სიხარული აწმყოში ჭირის გადატანით უნდა მოიპოვოს.

ამას მოთქმიდის ტირილით ცრემლისა დასაღვაროთა;
კელავ გულსა ეტყვის: დათმობა, პკუანდეს სიბრძნისა წყაროთა.
არ დავთმოთ, რა ექმნათ, სევდასა, მითხარ, რა მოეუგვაროთა?
თუ ღხინი გვინდა ღმრთისაგან, ჰირნიცა შეუწყნაროთა 717.

ავთანდილის არაბეთიდან მეორედ წასვლასთან დაკავშირებულ ამბებს, მისი წასვლის აუცილებლობის დასაბუთებას რუსთაველმა „ვეფხისტყაოსნის“ რამდენიმე თავი მოანდომა, რომლებიც ასზე მეტ სტროფს შეიცავენ. ეს ფაქტიც იმას მოწმობს, თუ ავთანდილის არაბეთიდან მეორედ წასვლის მომენტს რაოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა რუსთაველი.

ინტერესს არ არის მოკლებული ავთანდილის საუბარი ვეზირთან. ავთანდილმა კარგად იცის, რომ როსტევანი მას მეორედ არ გაუშვებს, მით უმეტეს, რომ პირველადაც მის დაუკითხავად წავიდა. ამიტომ ცდილობს ვეზირის საშუალებით როსტევანის დაყოლიებას. ავთანდილი შემდეგნაირად ასაბუთებს თავისი წასვლის აუცილებლობას: პირველყოვლისა, მან შეჰფიცა ტარიელს და ამ ფიცს ვერ გატეხს, რადგან: „რამცა სადა გაუმარჯვდა კაცსა, ფიცთა გამტეხელსა“. მეორე, ტარიელის მოხმარებაში ავთანდილი ხედავს სასახელო საქმეს როგორც თავისთვის, ისე თავისი გამზრდელი როსტევანისთვის.

თუ რას ვარგებ, პირველ ხვალმე თვით სახელი თქვენ
მოგხვდების 730.

ვეზირს არ უნდა, შუაკაცი იყოს როსტევანსა და ავთანდილს შორის, რადგან, ჯერ ერთი, მეფის რისხვისა ეშინია და, მეორეც, იგი, ისევე როგორც როსტევანი, შეუძლებლად თვლის ავთანდილის გამგზავრებას.

თუ მეფეცა გაგიშვებდეს თვით ლაშქარნი რად მოღორდენ!
რად გაგიშვან, რად დაღონდნენ, ანუ მზესა რად მოჰშორდენ!
შენ წახვიდე, მტერნი ჩვენნი დაგვთამამდენ, გაგვისწორდენ.
ეგე ასრე არ იქმნების, ვითა ჩიტნი არ გაჭორდენ 736.

ამ სტროფიდან ჩანს, თუ სახელმწიფოში რა დაძაბული მდგომარეობა იქმნებოდა ავთანდილის წასვლასთან დაკავშირებით.

როსტევანმა არ შეიწყნარა ავთანდილის თხოვნა. მას

სიტყვის გაგონებაც კი არ უნდა ავთანდილის წასვლაზე. მაშინ ავთანდილმა გადაწყვიტა არაბეთიდან გაპარვა როსტევანის დაუკითხავად. გაპარვის წინ იგი ესაუბრება თავის ერთგულ მონა შერმადინს. ამ საუბრიდან ირკვევა, რომ ავთანდილს თან არავინ არ მიჰყავს და მიდის მარტო. ისმის კითხვა, რატომ მიდის ავთანდილი მარტო. მას ხომ შეეძლო, თავისი ერთგული საუკეთესო მოყმენი წაეყვანა? ამ კითხვაზე მხოლოდ ერთი პასუხი არსებობს, ავთანდილს უნდა დაემტკიცებინა, რომ მას, როგორც მოყმეს, „სწორი არ ჰყავს ხორციელი", მას პირადად უნდოდა, მოეხვეჭა სახელი ისე, რომ მის დიდებაში წილი არავის ჰქონოდა. ეს აზრი ნათლად არის გამოკვეთილი ავთანდილის ანდერძში, რომელიც როსტევანს გაუგზავნა წასვლის წინ. ამ ანდერძზე უფრო დაწვრილებით მოგვიხდება შეჩერება, რადგან იგი ავთანდილის წასვლის აუცილებლობის არგუმენტაციის იშვიათ ნიმუშს წარმოადგენს საკითხის ყოველმხრივი აწონ-დაწონისა და გააზრების სიღრმით.

ავთანდილი იმოწმებს დიდი ბერძენი ფილოსოფოსის პლატონის ნათქვამს — „სიცრუე და ორპირობა ავნებს ხორცსა, მერმე სულსა" და აქედან აკეთებს თავისათვის საჭირო დასკვნას:

რათგან თავია სიცრუე ყოვლისა უბედობისა,
მე რად გავწირო მოყვარე, ძმა უმტკიცესი ძმობისა?!
არა ვიქმ, ცოდნა რას მარგებს ფილოსოფოსთა ბრძნობისა 781!

ასეთი ღრმა, ლოგიკური თანმიმდევრობით ამართლებს და ასაბუთებს ავთანდილი თავისი გაპარვის აუცილებლობას. იმის შემდეგ, რაც ავთანდილმა პლატონი დაიმოწმა და დაასაბუთა მიცემული ფიცის გატეხის შეუძლებლობა, იმოწმებს მოციქულებს, მათს მოძღვრებას სიყვარულის შესახებ. სიყვარული ადამიანისადმი, მახლობლისადმი აღამაღლებს კაცს:

წაგიკითხავს, სიყვარულსა მოციქულნი რაგვარ წერენ?
ვით იტყვიან, ვით აქებენ? ცან, ცნობანი მიაფერენ.
„სიყვარული აღგვამაღლებს", ვით ეყვანნი, ამას ქღერენ,
შენ არ ჯერ ხარ, უსწავლელნი კაცნი ვითმცა შეაჯერენ 782!

როგორც ვხედავთ, სიყვარული, ავთანდილის აზრით, ადა-

მიანს აღამაღლებს, ღირსებას, სახელს ჰმატებს და სხვებისგან გამოარჩევს.

ეს სტროფი კიდევ ერთი უტყუარი საბუთია ავთანდილის დიდი განსწავლულობისა; მის, უდავოდ, ღრმა ფილოსოფიურ განათლებაზე მეტყველებენ აგრეთვე მომდევნო სტროფები, რომლებშიც ჩამოყალიბებულია ავთანდილის მთელი მსოფლგაგება, მისი შეხედულებები სამყაროზე, ღმერთზე და მოვლენების განვითარების კანონზომიერებაზე.

ავთანდილი შემდეგნაირად მსჯელობს: იგი ჯერ იძლევა ღმერთის ცნების განსაზღვრებას, ასახელებს მის ატრიბუტებს. ღმერთი უკვდავია, მუდმივია და ყველაფრის განმსაზღვრავი, დამკანონებელი, ზღვარის დამდები მოვლენებსა და საგნებს შორის. ღმერთმა დაჰბადა ადამიანი, მიანიჭა ძალა; ღმერთია ყველა მიწიერის ანუ მოკვდავის შემწე, რადგან მის ხელთაა გამარჯვების მოსაპოვებელი ძალა და ხერხი. ღმერთი ყოვლის შემძლეა, ის აჭცევს ერთსა ასად და ასსა ერთად. ესე იგი, შეუძლია ერთისაგან ანუ ერთგვაროვანისაგან შექმნას მრავალი, ანუ სამყარო თავისი მრავალფეროვნებით და მოსპოს კიდეც ეს მრავალფეროვნება, ანუ დაუბრუნოს თავის საწყის მდგომაარეობას — ერთს, რომლიდანაც იგი შექმნა. მოვლენებს შორის ასეთი მიზეზობრივი კავშირის დადგენის შემდეგ, რომლის განმგებელი და წარმმართველი რაღაც ძალა ანუ ღმერთია, ავთანდილი აკეთებს ზოგად დასკვნას, რომ ღმერთის ნება-სურვილის გარეშე „არა საქმე არ იქმნების“. სორციელს ანუ ადამიანს არ შესწევს იმდენი ძალა, რომ შეცვალოს განგება ანუ როგორც ჩვენ ახლა ვიტყოდით, განსაზღვრული მიზეზებით გამოწვეული აუცილებლობა. ავთანდილიც იმიტომაა იძულებული, წავიდეს ტარიელის საძებრად, რომ ეს აუცილებლობით არის გამოწვეული და წინასწარაა განსაზღვრული. მაგრამ ავთანდილი ტარიელის დასახმარებლად წასვლაში არა მარტო განგებისა და ღმერთის ნება-სურვილის აღსრულებას ხედავს, არამედ სახელისა და დიდების მოხვეჭის ერთადერთ პირობასაც:

მას რა ვარგო, დიდებად და კმარის ესე ჩემად დავლად 787.

ავთანდილს კარგად ესმის, თუ რატომ არ უშვებს მას როს-

ტევანი ტარიელის საშველად. როსტევანს კარგად აქვს შეგნებული, რომ ავთანდილი ხიფათში იგდებს თავს, რომ მას წინ დიდი სიძნელეებს გადალახვა მოელის. მას კი უკვე გადაწყვეტილი აქვს (ამას ჩვენ ცოტა ქვემოთ დავინახავთ), ავთანდილის და თინათინის შეუღლება; თუმცა აქამდე არ გაუმჟღავნებია და არც რაიმე პრაქტიკული ნაბიჯი გადაუდგამს ამ მიმართულებით, გარდა იმისა, რომ თინათინს და ავთანდილს მოქმედების სრული თავისუფლება მიანიჭა.

ავთანდილმა ყოველივე ეს კარგად იცის და ამიტომ თავისი ანდერძის ბოლო ნაწილში ცდილობს როსტევანის შიშის გაჭარწყლებას: ჯერ ერთი, ამბობს ავთანდილი, მეც და ტარიელიც, ორივენი, იმ ქვეყანას ანუ საიქიოს წამსვლელები ვართ და თუ ახლა მე მას მოვატყუებ, იმ ქვეყნად რა პირით შევხვდებიო.

შემდეგ, ავთანდილი ადარებს, თუ რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს ტარიელის საშველად წასვლას, ან არწასვლას. მოყვრის არდავიწყებას არასოდეს მოუტანია ზიანი, ტარიელის საშველად წასვლას, მის არდავიწყებასაც არ შეიძლება რაიმე ცუდი, საზიანო შედეგი მოჰყვეს. მაშინ, როდესაც ცრუ და მოღალატე კაცს ყველა ჰგმობს. მაშასადამე, ავთანდილი თუ დარჩება, გმობას და განკიცხვას დაიმსახურებს.

შემდეგ სტროფში კი ავთანდილი პირდაპირ ამბობს — რა უნდა იყოს იმაზე უარესი, როდესაც ომის დროს კაცი სიკვდილზე ფიქრობს, ეშინია. ასეთი კაცი ჯაბანია და მას „ქსლის მბეჭველი“ დიაციც კი სჯობია. თუ იგი როსტევანს დაუჯერებს და არ წავა ტარიელის საშველად, მხდალი კაცის სახელს დაიმსახურებს. ავთანდილის აზრით კი:

სჯობს სახელისა მოხვეჭა ყოველსა მოსახვეჭელსა 790.

სიკვდილის შესახებ კი, რომლის შიშით როსტევანს არ უნდა ავთანდილის არაბეთიდან გაშვება, იგი ამბობს:

ვერ დაიჭირავს სიკვდილსა გზა ვიწრო, ვერცა კლდოვანი;
მისგან გასწორდეს ყოველი, სუსტი და ძალ-გულოვანი;
ბოლოდ შეყარნეს მიწამან ერთგან მოყმე და მხცოვანი.
სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა სიკვდილი სახელოვანი 791!

არაბეთში შერცხვენილად დარჩენას, ავთანდილი სახელო-

ვან სიკვდილს ამჯობინებს. ამაზე უკეთესად ძნელია ტარიელის საშველად ავთანდილის წასვლის დასაბუთება.

ამრიგად, რუსთაველმა ავთანდილის მიერ როსტევან მეფის წინაშე მიწერილი ანდერძის საშუალებით გვიჩვენა, რომ ავთანდილი მოაზროვნეა. იგი სიბრძნეს კარგადაა დაუფლებული და მისი გამოყენების უნარიც შესწევს.

ავთანდილმა თავისი საკარგყმო ერთგულ მონას, შერმადინს ჩააბარა და მალულად დატოვა არაბეთის საზღვრები.

ინტერესს არ არის მოკლებული, თუ რა რეაქცია გამოიწვია როსტევანში ავთანდილის გაპარვამ: როსტევანს ძალზე ეწყინა ავთანდილის წასვლა, რადგან ვერ მოუსაზრებია, თუ უავთანდილოდ რა ეშველება სამეფო ტახტს.

აწ უშენოდ რა, გლახ, ვუყო სჯდომასა და სრახსა არ ელია 814?

ამ სტრიქონიდან ჩანს, რომ როსტევანს ავთანდილი სამეფო ტახტზე დასასმელად უნდოდა.

„ვეფხისტყაოსნის“ მეორე ნაწილი იწყება თავით — „წასვლა ავთანდილისაგან ტარიელის შეყრად მეორედ“. აღნიშნული თავი კი იწყება სიტყვებით:

აწყა დავიწყებ ამბავსა, მის ყმისა წამაელობასა 822.

რუსთაველს ახალი ამბის მოსაყოლად და მის პირველ ნაწილთან დასაკავშირებლად მოუხდა თავისებური შემაერთებელი რგოლის შექმნა, რომელიც სამოცზე მეტი სტროფისაგან შედგება და რომელშიც საკმაოდ საფუძვლიანად არის დასაბუთებული ავთანდილის ტარიელის საშველად წასვლის აუცილებლობა. ეს გადასვლა კომპოზიციურად ძალზე ოსტატურად და ბუნებრივად არის გაკეთებული. ამრიგად, შინაგანი, ლოგიკური კავშირის გარდა, რომელიც პოემის იდეური ერთიანობიდან გამომდინარეობს, არსებობს კომპოზიციური კავშირიც, რაც ვლინდება აღწერილი მოვლენების თანმიმდევრულ, მიზეზობრივად გაპირობებულ განვითარებაში. მოვლენების მიზეზობრივ კავშირს კი თავის მხრივ საფუძვლად ცხოვრებისეული სიმართლე, იმ დროის მორალურ-ეთიკური ნორმები და იდეალები უდევს.

## 4. კულმინაცია

თუ აქამდე ნესტან-ტარიელის და ავთანდილ-თინათინის ამბები კომპოზიციურად ერთმანეთისგან დამოუკიდებლად ვითარდებოდა და მათ შორის მხოლოდ შინაგანი ლოგიკური და იდეური კავშირი არსებობდა, თინათინის და ავთანდილის მხრივ ნესტანისა და ტარიელის ცხოვრებაში აქტიური ჩარევის შემდეგ, ისინი სიუჟეტურადაც ერთიანდებიან. მსჯელაველენ ერთმანეთს, ერთ მთლიან ნაკადად მიემართებიან და კულმინაციის ანუ დაძაბულობის უმაღლეს წერტილს ავთანდილის და ტარიელის მეორედ შეყრის მომენტში აღწევენ. ამ შემთხვევაში ჩვენ მხედველობაში გვაქვს პოემის ძირითადი სიუჟეტური რკალის განვითარების უმაღლესი წერტილი, რომლის შემდეგ მოქმედება დაღმავალი ხაზით ვითარდება და განკვანძვისკენ მიემართება, დრამატიზმი კლებულობს და პოემის დასაწყისში შექმნილი წინააღმდეგობები და გმირების წინაშე წამოჭრილი დაბრკოლებები თანდათან იხსნება.

როგორც ვიცით, ავთანდილი ორჯერ ტოვებს არაბეთს. პირველად მის წინაშე უცხო მოყვის მოძებნის და მისი ამბის გაგების ამოცანა იდგა, მეორედ წასვლისას კი ავთანდილის მიზანია, დაეხმაროს ტარიელს, იპოვოს უკვალოდ დაკარგული ნესტან-დარეჯანი და ხელი შეუწყოს მათ გაბედნიერებას. პოემის ამ ნაწილში ყველა ეპიზოდი ამ მიზანს ემსახურება და მოქმედებაც ამ მიმართულებით ვითარდება.

თინათინისადმი უსაზღვრო სიყვარულით შეპყრობილი ავთანდილი მდუღარე ცრემლით ტირის სატრფოსაგან დაშორებას. ჩაძირულია განცდებში, როგორც იდეალურ მიჯნურს შეჰფერის და რომელზედაც ლაპარაკია „ვეფხისტყაოსნის“ შესავალში.

გამოქვაბულში ავთანდილს მხოლოდ ასმათი დახვდა. ტარიელს ავთანდილისათვის მიცემული ფიცი გაეტეხა და მინდრად გაჰრილიყო. ავთანდილი დიდად შეწუხდა ამის გამო:

> ყმა დაჰშუნდა, ვითამც რამე ჰკრეს ლახვარი გულსა შუა;
> ქალსა ეტყვის: აჰა, დაო, ეგეთიმცა კაცი ნე:,
> იგი ფიცი ვით გატეხა! აო ვეცრუე, ვით მეცრუა!
> ვერ იქმოდა, რად მიქადა? თუ მიქადა,-რად მიტყუა 835?!

ამას გარდა, ავთანდილი ხაზს უსვამს, რომ მან, თუმცა დიდი სიძნელეების გადალახვა დასჭირდა, ფიცი მაინც შეასრულა.

ისმის კითხვა, რისთვის დასჭირდა რუსთაველს ტარიელის ფიცის გამტეხად გამოყვანა? ფიცის გატეხა, ხომ ყველაზე მძიმე ცოდვად ითვლებოდა იმ დროის მორალური კოდექსის მიხედვით, უფრო მეტიც, ასეთი კაცი გამარჯვების ღირსიც არ იყო:

— რამცა სადა გაუმარჯვდა კაცსა, ფიცის გამტეხელსა — ამბობს რუსთაველი.

ტარიელს ავთანდილისათვის სიტყვის შესასრულებლად ბევრი რამ არ სჭირდებოდა. იგი უნდა გამოქვაბულში მჯდარიყო და ეცადა მის მოსვლამდე. როგორც კი ავთანდილი თვალს მიეფარა, ტარიელმა მიცემული სიტყვა თითქმის მაშინვე გატეხა და ველად გაიჭრა. ავთანდილს კი მრავალი სიძნელეების დაძლევა მოუხდა, რათა ტარიელისადმი მიცემული ფიცი არ გაეტეხა. მას, ჯერ ერთი, თინათინის მახლობლად ყოფნის დაუძლეველი სურვილი უნდა დაეოკებინა, მეორე — როსტევანის დაუკითხავად უნდა გაპარულიყო არაბეთიდან და ამით მეფე მოემდურებინა, მესამე — ხიფათით აღსავსე დიდი მანძილი უნდა გაეარა ჯერ გამოქვაბულიდან არაბეთამდე და შემდეგ არაბეთიდან ტარიელის გამოქვაბულამდე. და, რაც მთავარია, წინ კიდევ უცნობი განსაცდელი ელოდა, დაკავშირებული ნესტან-დარეჯანის მოძებნასა და განთავისუფლებასთან.

მართალია, რუსთაველი ცდილობს, ტარიელის მიერ ფიცის გატეხის ფაქტი გაამართლოს მისი მძიმე ფსიქიური მდგომარეობით და სასოწარკვეთილებით, მაგრამ ფაქტი მაინც ფაქტად რჩება — ავთანდილმა მიცემული სიტყვა შეასრულა, ტარიელმა კი არა. ჩვენი აზრით, გარდა იმისა, რომ რუსთაველს ამით უნდოდა, ეჩვენებინა ტარიელის სრული დაძაბუნება და სულიერი განადგურება, მან ერთმანეთს დაუპირისპირა ორი ზოყმე — ავთანდილი და ტარიელი. რათა ავთანდილის დიდი გონიერება, მორალური სიმტკიცე და სისპეტაკე ეჩვენებინა. გარდა ამისა, ტარიელის გაჭრა და ავთანდილისა და ასმათის დიალოგი თავისებური შესავლის როლს ასრულებს ტარიელის

მიერ ლომისა და ვეფხვის დახოცვის და მასთან დაკავშირებული ეპიზოდების სრულად გაშუქებისათვის.

ავთანდილი ძალზე დაანაღვლიანა ტარიელის მიერ ფიცის გატეხამ, მაგრამ იგი მალე ეუფლება თავის გრძნობებს და ამბობს:

კვლა იტყვის: მიკვირს ნაღველი კაცისა ჰკუიანისა.
რა მჭუნვარებდეს, რას არგებს ნაკადი ცრემლთა ბანისა?
სჯობს გამორჩევა, აზრობა საქმისა დასაგვანისა,
აწ შეცა მიჯობს მონახვა მის მზისა ლერწამ-ტანისა 853.

ამ სტროფში ისევ გვაქვს საქმე ავთანდილისა და ტარიელის დაპირისპირებასთან. ტარიელი არ იქცევა გონივრულად, მოქმედებს მაგივრად, ჰმუნვავს და ნაღველს მისცემია. ავთანდილი კი სძლევს დარდს და ტარიელის საძებნად მიემართება.

როდესაც ავთანდილმა ტარიელი იპოვა, ამ უკანასკნელს სიცოცხლის ნიშან-წყალიც კი აღარ ეტყობოდა:

რა ტარიელ დაინახა, განაღამცა დაეღრიჯა:
ახლოს მყოფი სიკვდილისა ჯდა და პირი დაებღნიჯა,
საყელონი გარდეხივნეს, თავი სრულად გაეგლიჯა,
მას აღარა შეესმოდა, სოფლის გაღმა გაებიჯა 858.

ავთანდილს რომ გონებადაკარგული ტარიელისთვის დროზე არ მიესწრო, ტარიელი აუცილებლად დაიღუპებოდა. ამ შემთხვევაშიც ავთანდილმა გამოიჩინა დიდი სიბრძნე, ადამიანის სულში ჩაწვდომის საოცარი უნარი, ტაქტი, ელასტიურობა, გამჭრიახობა. რომ ნათელი გახდეს, თუ რა დადებითი თვისებებით არის დაჯილდოებული ავთანდილი, ჯერ ვნახოთ, თუ რა უმწეო მდგომარეობაში იპოვა მან ტარიელი.

ველად გაჭრილი ტარიელი შემთხვევით წააწყდა ლომსა და ვეფხვს, რომლებიც მისმა აღგზნებულმა გონებამ მიჯნურებად მიიღო. ლომი და ვეფხვი თამაშობის დროს ერთმანეთს წაეკიდნენ. ტარიელმა ლომს საქციელი დაუგმო —

ლომსა დაუგმე ნაქმარი, ვარქვი: არა ხარ ცნობასა,
შენ საყვარელსა რად აწყენ? ფუ მაგა მამაცობასა 899.

ტარიელმა ლომი მოკლა, ხოლო ვეფხვი, რომელიც მის შეგნებაში ნესტანის განსახიერება იყო, საკოცნელად შეიპყრო.

ხრმალი გავსტყორცნე, გარდვიქერ, ვეფხი შეეიპყარ ხელითა;
მის გამო კოცნა მომინდა, ვინ მწვავს ცეცხლითა ცხელითა;
მიღრინავდა და მაწყენდა ბრჭყალითა სისხლთა მღვრელითა, —
ვეღარ გავუძელ, იგიცა მოკალ გულითა ხელითა. 900.

ვეფხთან შეტაკება მას ნესტანთან წაკიდებას მომენტს აგონებს და სრულიად ჰკარგავს გონებას. მისი სულიერი მდგომარეობა კარგად არის გამოხატული ავთანდილისადმი მიცემულ პასუხში, საიდანაც ირკვევა, რომ ტარიელს ნესტანის პოვნის იმედი სრულიად დაკარგული აქვს:

ვინ დამბადა, განკურნება ჩემი უჩანს მასცა ძნელად,
ვისცა გუსმის, გაიგონეთ, მით გავჭრილვარ ხელი ველად;
რაცა ჰმართებს გონიერთა, ერთხელ ვიყავ მეცა მჭმნელად,
აწ ნობათი ხელობისა მომხვდომია, მით ვარ ხელად 917.

ტარიელი ურჩევს ავთანდილს, რომ ხელი აიღოს დახმარებაზე და უკან დაუბრუნდეს თინათინს, რადგან მას სიცოცხლე აღარ უნდა და მხოლოდ სიკვდილში ხედავს ხსნას:

მართ გარდაწყვედით იცოდი, გეტყვი მართალსა პირასა:
სიკვდილი მახლავს, დამეხსენ, ხანსაღა დავყოფ მცირასა;
არ ცოცხალ ვიყო, რას მაქნევ? რა დავრჩე, ხელსა მხდი რასა?
დამშლიან ჩემნი ყავშირნი, შეერთვივარ სულთა-სირასა 874.

როგორც ვხედავთ, რუსთაველმა ტარიელი უკიდურეს სასოწარკვეთილებამდე მიიყვანა. ამას მკითხველში უნდა გამოეწვია სიბრალული, თანაგრძნობა ტარიელისადმი, რისკენაც რუსთაველი პოემის შესავალში მოგვიწოდებდა:

მო, დავსხდეთ, ტარიელისთვის ცრემლი გვდის შეუშრობელი;
მისებრი მარ თ დაბადებით ვინმცა ყოფილა შობილი ?!

ტარიელისადმი ასეთი თანაგრძნობა ნიშნავდა ფარსადანის არასწორი გადაწყვეტილების დაგმობას, რაც, თავის მხრივ, ნიშნავდა როსტევან მეფის გადაწყვეტილების მხარის დაჭერას და თინათინის მეფედ დასმის მართებულობის აღიარებას.

გარდა ამისა, უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილი ტარიელის გადარჩენა ავთანდილის მიერ, უტყუარი მითითება იქნებოდა ამ უკანასკნელის სწორუპოვრობაზე და ვაჟკაცობაზე.

ახლა განვიხილოთ, როგორ გამოიყურება და რა როლს ას-

რულებს ავთანდილი პოემის მოქმედების განვითარების კულმინაციურ მომენტში.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ტარიელის მიერ ლომ-ვეფხვის დაბოცვისა და მისი დაბნედის ეპიზოდში მოქმედების განვითარებამ დაძაბულობის უმაღლეს წერტილს მიაღწია. ტარიელი ისეთ უკიდურეს სასოწარკვეთილებამდე მივიდა, რომლის იქით, სიკვდილის მეტი, არაფერია. რუსთაველი სრულიად სწორად იქცევა, როდესაც პირველ რიგში ტარიელის ამ მდგომარეობიდან გამოყვანას ცდილობს.

ავთანდილმა ბრწყინვალედ გადაჭრა ეს მძიმე ამოცანა.

ჩვენ თავს უფლებას მივცემთ, აქ მთლიანად მოვიყვანოთ რამოდენიმე სტროფი, რომლებშიც დიდი ძალითაა გამოხატული ავთანდილის სიბრძნე, ცოდნა და განსჯის უნარი. ტარიელის სიტყვების — „აწ დამეხსენ, სიკვდილამდის ვიტირო და თავსა ვიცე“ — პასუხად ავთანდილი ამბობს:

ყმამან უთხრა: რაშიგან ხარ, შენ საქმესა რად იქმ ავსა?
ვინ მიჯნური არ ყოფილა, ვის სახმილი არა სწვავსა?
ვის უქმნია შენი მსგავსი სხვასა კაცთა ნათესავსა?
რად სატანას წაუღიხარ, რად მოიკლავ ნებით თავსა 864?

თუ ბრძენი ხარ, ყოვლნი ბრძენნი ამირებენ ამა პირსა:
ხამს მამაცი მამაცური, სჯობს, რაზომცა ნელად ტირსა.
ჭირსა შიგან გამაგრება ასრე უნდა, ვით ქვიტკირსა.
თავისისა ცნობისაგან ჩავარდების კაცი ჭირსა 865

ბრძენი ხარ და გამორჩევა არა იცი ბრძენთა თქმულებ,
მინდორს სტირ და მხეცთა ახლავ, რას წადილსა აისრულებ?
ვისთვის ჰკვდები, ვერ მიჰხვდები, თუ სოფელსა მოიძულებ,
თავსა მრთელსა რად შეიკრავ, წყლულსა ახლად რად იწყლულებ 866?

ვინ არ ყოფილა მიჯნური, ვის არ სახმილი სდებიან?
ვის არ უნახავან პატიენი, ვისთვის ვინ არა ბნდებიან?
მითხარ, უსახო რა ჰმნილა, სულნი რად ძოგხდებიან?
არ იცი, ვარდნი უეკლოდ არავის მოუკრებიან 867!

ვარდსა ჰკითხეს: ეგზომ ტურფა რამან შეგქმნა ტანად, პირად?
მიკვირს, რად ხარ ეკლიანი? პოვნა შენი რად არს ჭირად?
მან თქვა: ტკბილსა მწარე ჰპოვებს, სჯობს, იქმნების რ:ცა ძვირად,
ოდეს ტურფა გაიაფდეს, არღარა ღირს არცა ჩირად 868.

ეს ხომ სიბრძნის მთელი შადრევანია. ყოველ სიტყვაში იგრ-

ძნობა ცხოვრების ღრმა ცოდნა, საოცარი სიდინჯე და დარბაისლობა.

ტარიელი გონებადაბნეულია, მორალურად და ფიზიკურად განადგურებული; და თუმცა მის შეგნებამდე აღწევს ავთანდილის ბრძნული რჩევა, მას უნარი არ შესწევს, რომ ყურით გაგონილის მიხედვით იმოქმედოს. აქ ავთანდილი დიდ ელასტიურობას და ადამიანის ბუნების ცოდნას იჩენს. იგი სთხოვს ტარიელს, ერთხელ მაინც აჩვენოს თავი ცხენზე შემჯდარი და მერე, როგორც უნდა, ისე მოიქცეს, რაც უნდა, ისა ჰქნას. რუსთაველი ავთანდილის ამ ხერხის გამო ამბობს:

ეხვეწებოდა: შეჯეო, აჯას ხვეწნითა არვებდა,
იცოდა, რომე შეჯდომა კაეშანს მოაქარგებდა. 881.

მთავარი იყო ტარიელის იმ უძრაობიდან, იმ აპატიიდან გამოყვანა, რომელშიც იგი იმყოფებოდა. ამის მიღწევა კი მხოლოდ სხეულის ამოძრავებით შეიძლებოდა. ტარიელს სასიცოცხლო ძალების გამოღვიძება, უდავოდ, განსჯის უნარსაც დაუბრუნებდა და მართლაც, „ხანი წავლეს, სიარულმან მოჯობება დააჩინა“. ახლა საჭირო იყო წარსულთან კონტაქტის აღდგენა, რაც შემდეგი ნაბიჯი იქნებოდა ტარიელის სიცოცხლისაკენ შემოსაბრუნებლად. ავთანდილი ტარიელს სიტყვას ჩამოუგდებს ნესტანის ნაჩუქარ სამხრეზე, შემდეგ ასმათზე და სთხოვს, სიკვდილის წინ მაინც ნახოს ასმათი — ადამიანი, რომელიც ყველაზე ახლოს იყო ნესტანთან და რომელიც ერთადერთი მოწმეა მათი მიჯნურობისა.

ტარიელი დამორჩილდა და რუსთაველი ვერ მალავს თავის აღტაცებას ავთანდილის მიმართ:

დაჰმორჩილდა. გაემართნეს ავთანდილ და ამირბარი,
ვერ მიგია ქება მათი, ვერა ქება საქებარი:
კბილნი — ვითა მარგალიტნი, ბაგე-ვარდი ნაპობარი
გველსა ხერელით ამოიყვანს ენა ტკბილად მოუბარი 891.

როგორც ზემოთ ვთქვით, ტარიელს ნესტანის პოვნის იმედი სამუდამოდ აქვს დაკარგული. მისი აზრით, მან უკვე ყველაფერი გააკეთა, ყოველმხრივ ეცადა, ყოველი ღონე იხმარა ნესტანის მოსაძებნად და მომავალში ძებნის გაგრძელება უაზროდ და ამაოდ მიაჩნია. ავთანდილი კი ღრმად არის დარწმუ-

ნებული, რომ შესძლებს ნესტანის პოვნას და მათს ერთად შეყრას. იგი ამბობს:

თქვენ ერთმანეთი არ მოგხვდეს, მე სულნი ამომხადენით 919!

ან კიდევ:

შენ ვერას ირგებ, მე გარგებ, ძმა ძმისა უნდა ძმობილი 923.

ტარიელისა და ავთანდილის დიალოგიდან ყურადღებას იპყრობს კიდევ ერთი გარემოება. სასოწარკვეთილი ტარიელი სთხოვს ავთანდილს, ხელი აიღოს ნესტანის ძებნაზე, მის დახმარებაზე, დაბრუნდეს დაუყოვნებლივ არაბეთში, სადაც მას მისი მზე — თინათინი მოელის. ავთანდილი ამაზე პასუხობს:

თუ რა გესმის, გაიგონე, ესე კმარის სწავლა სწავლად;
ჩემსა მზესა დავეთხოვე თქვენს წინაშე წამოსავლად,
მოვახსენე: რათგან ჩემი შეუქმნია გული ავლად,
არას ვარგებ, არ დაუდგები, სხვა ვიუბნო რაღა მრავლად 921?

მან მიბრძანა: მადლიერ ვარ, კარგად ხარ და მამაცურად,
შენგან მისსა გავლენასა მე დავიჩენ სამსახურად.
მისით კითხვით წამოსრულვარ, არ-მოვრალი და არ-მახმურად,
მივბრუნდე და რა ვუამბო, რად მოვეო ჯაბან-ხრღლურად 922?

როგორც ამ სტროფებიდან ჩანს, თინათინი ავთანდილის დახმარებას ტარიელისადმი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. ეს მას მიაჩნია პირადად მის წინაშე გაწეულ სამსახურად, დიდ ყურადღებად, დამსახურებად. ავთანდილსაც კარგად აქვს შეგნებული ის დიდი პასუხისმგებლობა, რომელიც იკისრა და ამიტომ ხელცარიელი ვერ მიბრუნდება არაბეთში, რადგან, ეს იქნებოდა მისი, როგორც სწორუპოვარი მოყმის, შერცხვენა.

ამრიგად, ტარიელის მიერ ლომ-ვეფხვის დახოცვის და ამასთან დაკავშირებით მისი დაბნედის ეპიზოდში რუსთაველმა მოგვცა მოქმედების განვითარების კულმინაცია, რადგან სწორედ ამ დროს დაძაბულობა თავის უმაღლეს წერტილს აღწევს და მომდევნო ეპიზოდებში ყველაფერი თანდათან ირკვევა.

ავთანდილის სწორუპოვარი გმირობის, სიბრძნის და მოხერხებულობის წყალობით გმირების წინაშე მდგარი წინააღმდეგობები თანდათან ისპობა და მოქმედების დაძაბულ განვი-

თარებას განკვანძვისაკენ, ანუ ერთი მხრივ ტარიელისა და ნესტანის, და მეორე მხრივ თინათინისა და ავთანდილის შეუღლებისაკენ მივყავართ.

როგორც ზემოთ დავინახეთ, რუსთაველმა ტარიელის უაღრესად ტრაგიკული მდგომარეობის დახატვით შექმნა მოქმედების განვითარების კულმინაციური მომენტი. ახლა პოეტის წინაშე იდგა ამოცანა, კვანძის ბუნებრივად გახსნისათვის ისეთი ხერხები დაეძებნა, რომლებიც თანდათან შეასუსტებდნენ დაძაბულობას და პოემის ძირითად იდეას ხორცშესხმულად წარმოგვიდგენდნენ.

რუსთაველმა დიდი მხატვრული ალღო გამოიჩინა ამ მიმართულებითაც. ტარიელის მიერ ლომ-ვეფხვის დახოცის შემდეგ ტარიელსა და ავთანდილს შორის გამართული დიალოგი ამის საუკეთესო ილუსტრაციაა.

უაღრესად დაძაბული მდგომარეობის შესასუსტებლად, პირველ რიგში საჭირო იყო ტარიელის სულში იმედის გაღვივება, მისი დარწმუნება, რომ „უარაკო“ არაფერი არ მომხდარა, რომ საჭიროა გამაგრება. ეს ამოცანა რუსთაველმა ავთანდილის მეშვეობით ბრწყინვალედ გადაჭრა. ბოლოს და ბოლოს ტარიელმა შეისმინა ავთანდილის თხოვნა და შეჰფიცა მას, რომ ავთანდილის დაბრუნებამდე თავს არ მოიკლავდა.

ამის შემდეგ გულდამშვიდებული ავთანდილი ტოვებს ტარიელს გამოქვაბულში და ნესტანის საძებნად მიდის.

ისმის სრულიად კანონზომიერი კითხვა, ავთანდილმა რატომ არ წაიყვანა თან ტარიელი? პასუხი ერთია — ეს ეწინააღმდეგებოდა რუსთაველის ჩანაფიქრს. პოეტს უნდოდა, ეჩვენებინა, რომ ავთანდილი ისეთი მოყმეა, რომლის სწორი არავინაა ხორციელთაგან. ამავე მიზეზით ავთანდილმა არავინ არ წაიყვანა არაბეთიდან, ხოლო შემდეგ არც ფრიდონი დაიხმარა.

როგორც ვიცით, ტარიელმა ფრიდონის საშუალებით მიაგნო ნესტანის კვალს, მაგრამ მათ ეს კვალი დაკარგეს, უფრო სწორად, ვერ მიჰყვნენ მას. ეს მაშინვე შეამჩნია ავთანდილმა და ნესტანის ძებნა განაახლა სწორედ იმ ადგილიდან, სადაც წინამორბედებმა გეში დაკარგეს.

ამით რუსთაველი კიდევ ერთხელ გვიჩვენებს ავთანდილის უპირატესობას. შემდეგშიც ავთანდილის ვარაუდი სწორი აღმოჩნდა და სასურველი შედეგი გამოიღო.

ფრიდონი და ავთანდილი მიდიან იმ ადგილზე, სადაც ფრიდონმა ნესტანი ნახა. ავთანდილი ტოვებს ნაპირზე ფრიდონს და თვითონ ნესტანის საძებნად მიდის.

შემდეგ რუსთაველი დაწვრილებით მოგვითხრობს ავთანდილის თავგადასავალს, რომელიც მეტყველებს მის უბადლო ვაჟკაცობაზე, სიბრძნეზე და წინდახედულობაზე.

ავთანდილი ოთხი მონის თანხლებით ზღვის ნაპირს გაჰყვა.

> ავთანდილ მარტო ზღვის პირსა მივა ოთხითა მონითა,
> წამალსა ტარიელისსა ეძებს ყოვლისა ღონითა 1015.

რუსთაველი ხაზს უსვამს, რომ ავთანდილი მარტო, სხვისი დახმარების გარეშე ეძებს ნესტანს.

ავთანდილმა იცის, რომ როდესაც ნესტანი ფრიდონს თვალსა და ხელს შუა დაეკარგა, იგი ნავით ზღვის სიღრმეში შეიყვანეს. მან, ეტყობა, ისიც კარგად იცის, რომ ნავი მუდმივად ზღვაში ვერ იქნება და დროებით მაინც სადმე ნაპირზე უნდა გამოვიდეს, ამიტომ „სადაცა ნახნის, ეუბნის, მგზავრნი, ზღვის პირსა რებულნი, ჰკითხის მის მზისა ამბავი". ასე იარა ავთანდილმა ახი დღის განმავლობაში ზღვის ნაპირ-ნაპირ, დაბოლოს, მიადგა ადგილს, საიდანაც დიდი სავაჭრო საზღვაო გზა გადიოდა. ნაპირზე შეჩერებულიყო ქარავანი, რომელიც მეკობრეების შიშით ზღვაში შესვლას ვერ ბედავდა. ავთანდილმა შეაგულიანა ვაჭრები, მათთან ერთად შეცურდა ხომალდით ზღვაში და აქ დიდი გმირობა და სიმამაცე გამოიჩინა; მარტოდმარტომ ამოწყვიტა მეკობრენი.

როგორც ხატაელებთან ომში ტარიელმა, ავთანდილმაც ამ ბრძოლაში დიდი ფიზიკური ძალა, სიმამაცე, და რაც მთავარია, მეომრის დამამშვენებელი თავმდაბლობა გამოიჩინა.

ვაჭრების ხოტბის საპასუხოდ ავთანდილი ამბობს:

> ღმერთმან სულსა ეგოდენსა თქვენ გათნივა სისხლი თქვენი,
> მე, გლახ, რა ვარ? მიწა ცუდი; თავით ჩემით რამცა ვქმენი 1039?

თუმცა ნაწარმოების თითქმის ბოლოში ვართ გასული, მაგრამ რუსთაველმა აქ პირველად გვაჩვენა ავთანდილი საბრძოლო პირობებში, რაც აგრეთვე არ არის შემთხვევითი. რუსთაველს აქამდე სხვა იდეის ნათელყოფა სურდა. აქ კი ავთანდილის მეომრული სწორუპოვრობა გვიჩვენა.

ავთანდილი ქარავანთან ერთად ზღვათა სამეფოს ქალაქ გულანშაროში მივიდა. გამოირკვა, რომ ამ ქალაქში თავს იყრიან საზღვაო გზები. ავთანდილი ფიქრობს, რომ ნესტანის ნავიც ვერ ასცდებოდა ამ ნავსადგურს.. იგი თავის ვინაობას მალავს და თავს ვაჭრად ასაღებს. ამან სასურველი შედეგი გამოიღო, ფატმანს, ვაჭართ-უხუცესის უსენის ცოლს, ძალზე მოეწონა ავთანდილი. მის სასიყვარულო წერილზე ავთანდილმა დადებითი პასუხი გასცა, თუმცა ასეთ კავშირს იგი უარყოფითად უყურებდა, მით უმეტეს, რომ მას მხოლოდ თინათინი უყვარდა:

თქვა: ყვავი ვარდსა რას აქმნევს, ანუ რა მისი ფერია!
მაგრამ მას ზედა ბულბულსა ჯერთ ტკბილად არ უმღერია.
უმსგავსო საქმე ყოველი მოკლეა, მით ოხერია.
რა უთქვამს, რა მოუჩმახავს, რა წიგნი მოუწერია 1078!

მიუხედავად სიძვისადმი ასეთი უარყოფითი დამოკიდებულებისა, ავთანდილს ფატმანის წერილის მიღებისთანავე გაუელვებს აზრი, რომ შეიძლება ფატმანის საშუალებით რაიმე ახალი გაიგოს ნესტანის შესახებ.

ესეგვარი საზრახავი დაუზრახა გულსა შინა;
მერმე იტყვის: „ჩემი შემწე ჩემგან კიდე არავინ-ა;
რასათვისცა გამოჭრილ.ვარ, მისი ძებნა რათგან მინა,
რათამცა ვით ვჰპოვებ, მას ვიქმ, გულმან სხვამცა რა ისმინა 1079!

ესი დიაცი აქა ზის, კაცთა მნახავი მრავალთა,
მოსადგურე და მოყვარე მგზავრთა, ყოველგნით მავალთა; —
მივჰყვე, მიამბობს ყველასა, რაზომცა, ცეცხლო, მწვავ ალთა,
ნუთუ რა მარგოს, მე მისი გარდახდა ჩემგან ვცნა ვალთა“ 1080.

თქვა: „დიაცსა ვინცა უყვარს, გაექსვის და მისცემს გულსა,
აუგი და მოყვიენება არად შესწონს ყოლა კრულსა,
რაცა იცის, გაუცხადებს, ხვაშიადსა უთხრობს სულსა,
მიჯობს, მივჰყვე, განღა სადმე ვსცნობ საქმესა დამალულსა 1081“.

მომავალმა მთლიანად გაამართლა ავთანდილის წინათგრძნობა. მან ფატმანის საშუალებით ნესტანის ადგილ-სამყოფელი გაიგო.

გულანშაროში ავთანდილის ყოფნას და იქ მომხდარ ამბებს დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორც პოემის სიუჟეტური ხაზის განვითარებისათვის, ისე ზოგიერთ საკითხზე თვით რუსთაველის შეხედულებათა ნათელსაყოფად.

მაგალითად, აქ აღწერილი ეპიზოდებიდან ნათელი ხდება, თუ რა დიდ სიძნელეს წარმოადგენდა ნესტანის ამბის გაგება. ნესტანის ქაჯეთის ციხეში ყოფნის შესახებ იციან მხოლოდ ქაჯებმა, რომლებიც იზოლირებული არიან გარეშე სამყაროსაგან, და ფატმანმა. ფატმანი, თავის მხრივ, ძნელად თუ ვისმეს გაანდობს საიდუმლოს, რადგან მან მონაწილეობა მიიღო ნესტანის გაპარებაში. მეფე მელიქ-სურხავის ყურამდე რომ მივიდეს ეს ამბავი, მას დიდი სასჯელი მოელის. ასე რომ, ნესტანის ადგილსამყოფელის კვალი ყოველმხრივ დაფარულია. ამიტომ იყო, რომ ვერც ტარიელმა და ვერც ფრიდონის კაცებმა ვერ მიაგნეს მას.

ფატმანი ვნებებს აყოლილი ქალი იყო და, თუ არა საყვარელთან, იგი ნესტანთან დაკავშირებულ საიდუმლოს არავისთან არ იტყოდა. აქედან გასაგები ხდება, თუ რუსთაველმა რატომ დაიწყო თავი — „ფატმანისგან ავთანდილის გამოჯნურება“ — განზოგადებული მსჯელობით დიაცის ზოგიერთ დამახასიათებელ თვისებაზე:

სჯობს სიშორე დიაცისა, ვისგან ვითა დაითმობის:
გილიზღებს და შეგიკვეთებს, მიგინდობს და მოგენდობის,
მართ ანაზდად გიღალატებს, — გაჰკვეთს, რაცა დაესობის, —
მით დიაცსა სამალავი არასთანა არ ეთხრობის 1069.

ფატმანის მსგავს ქალთა ბუნების მცოდნე ავთანდილი დაუახლოვდა ფატმანს, რომელიც იყო „კაცთა მნახავი მრავალთა“, და არც მოტყუვდა. ავთანდილმა მისი საშუალებით მიაგნო ნესტან-დარეჯანის კვალს და კავშირიც დაამყარა მასთან. ასე ბუნებრივად და მოხდენილად, დამაჯერებლად გადაჭრა რუსთაველმა საკმაოდ რთული სიუჟეტური სიტუაცია, დაკავ-

შირებული ნესტანის უგზო-უკვლოდ დაკარგვასა და პოენასთან.

ამრიგად, გულანშაროში დატრიალებული ამბები დიდ როლს თამაშობს პოემის შინაარსის ბუნებრივად გაშლის საქმეში. ამას გარდა, გენიალურმა პოეტმა მათში ღრმა შინაარსიც ჩააქსოვა, რომელიც ცნაურდება პოემის ზოგიერთი სხვა დეტალის შედარებითი ანალიზის დროს. ჩვენ მხედველობაში გვაქვს ფატმანის დამოკიდებულება ავთანდილთან, მისი ქცევა და, საერთოდ, სიყვარულის მისეული გაგება. ფატმანის დამოკიდებულება ჯერ ჭაშნაგირთან, ხოლო შემდეგ ავთანდილთან, სიძვის კლასიკურ ფორმას წარმოადგენს. სწორედ იმ სიძვისა; რომლის შესახებაც პოემის შესავალში ლაპარაკობდა რუსთაველი და მოითხოვდა, რომ იგი და მიჯნურობა მკითხველს ერთმანეთში არ აერია. აქ ზედმეტი არ იქნება გავიხსენოთ, თუ რას ლაპარაკობს რუსთაველი სიძვისა და მიჯნურობის შესახებ პოემის შესავალში:

მიჯნურობა არის ტურფა, საცოდნელად ძნელი გვარი;
მიჯნურობა სხვა რამეა, არ სიძვისა დასადარი:
იგი სხვაა, სიძვა სხვაა, შუა უზის დიდი მზღვარი,
ნუ ვინ გარევთ ერთმანერთსა! გესმის ჩემი ნაუბარი 24?

ხამს მიჯნური ხანიერი, არ მეძავი, ბილწი, მრუში,
რა მოშორდეს მოყვარესა, გაამრავლოს სულთქმა, უში,
გული ერთსა დააჯეროს, კუშტი მიხვდეს, თუნდა ქუში;
მძულს უგულოდ სიყვარული, ხვევნა, კოცნა მტლაში-მტლუში 25.

მოყვანილ სტროფებში მოცემული განსაზღვრების მიხედვით, ფატმანის სასიყვარულო დამოკიდებულება ჭაშნაგირთან და შემდეგ ავთანდილთან არის სიძვა. თავისი საქციელი თვითონ ფატმანსაც კარგად აქვს შეგნებული და იგი ასე ახასიათებს ჭაშნაგირთან დამოკიდებულებას:

აწ უწინა ესე გითხრა, რას მექადდა ისი კაცი:
მე, გლახ, ვიყავ მისი ნაზვი, იგი იყო ჩემი ვაცი.
კაცსა დასვრას უგულობა და დიაცსა ბოზი ნაცი 1192.

აქ უადგილო არ იქნება, მოვიგონოთ, თუ როგორ მარტავს ამ სტროფს თეიმურაზ ბაგრატიონი. „მე გლახ ვიყავ მისი ნაზვი, იგი იყო ჩემი ვაცი — მე გლახ ვიყავ — მე საბრალო ვიყავიო

მისი ნეზვიო. ნეზვი — დედალი თხა არის, ვაცი — მამალი თხა. ტარიელისა და ავთანდილის ამიკობას ამსგავსებს ლომთა და ვეფხთა ამიკობას და ჩაჩნაგირისა და ფატმანის ამიკობას თხათა ამიკობასა, ალიგორიულად ნეზვისა და ვაცთა ამიკობას უგვირგვინოთ და არა სჯულიერად შეერთებას უწოდებს" [1]. როგორც ვხედავთ, ფატმანისა და ჭაშნაგირის ურთიერთდამოკიდებულებამ გარკვეული ასოციაცია გამოიწვია თეიმურაზ ბაგრატიონში. მან მათი ურთიერთობა უნებლიეთ შეადარა ტარიელისა და ავთანდილის მიჯნურობას და ხაზი გაუსვა მათ შორის არსებულ დიდ განსხვავებას. თეიმურაზ ბაგრატიონის სრულიად სამართლიანი შენიშვნა შეიძლება უფრო გაღრმავდეს. რუსთაველი თინათინსა და ნესტანს არა მარტო ვეფხვსა და ლომს ადარებს, არამედ მათ ყოველთვის მზეობით მიმართავს; აღსანიშნავია ისიც, რომ თუ ფატმანის მიმართ სიტყვა „დიაცი" მრავალჯერაა ხმარებული, თინათინისა და ნესტანის მიმართ—არასდროს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ დავარს, როდესაც იგი სრულიად უდანაშაულო ნესტანს უკანასკნელი სიტყვებით ლანძღავს. ამ შემთხვევაში სიტყვა „დიაცი" ნესტანის მიმართ ნახმარია, როგორც დამამცირებელი სიტყვა. შეინიშნება ამ სიტყვის ხმარების კიდევ ერთი შემთხვევა: როდესაც ნესტანი ტარიელს სასიძოს მოკვლას ავალებს:

> ჰიბრძანა, თუ: ხამს დიაცი დიაცურად, საქმე-დედლად,
> დიდსა სისხლსა ვერ შეგაქმნევ, ვერ ეიქმნები შუა კედლად 535.

ნესტანი გრძნობს, რომ სასიძოს მალულად მოკვლა საჩოთიროა ისეთი რაინდისათვის, როგორიც ტარიელია, ამიტომ შექმნილი მდგომარეობის პასუხისმგებლობას თავის თავზე იღებს და ასეთ რჩევას თავისი დიაცობით ამართლებს. ამ შემთხვევაშიც, ცხადია, „დიაცი" კნინობითი ცნებაა.

მომდევნო სტროფში ფატმანი ცდილობს თავისი ამორალური საქციელის გამართლებას ავთანდილის თვალში. იგი ამბობს:

---

1 თეიმურაზ ბაგრატიონი, განმარტება პოემა ვეფხისტყაოსნისა, თბ., 1960, გვ. 230.

მით არ ჯერ ვარ ქმარსა ჩემსა, მკლე არის და თვალად ნასი
ისი კაცი ჭაშნაგირი დარბაზს იყო მეტად ხასი 1193.

ავთანდილიც მისდამი ფატმანის გამიჯნურებას ისე უყურებს, როგორც სიძვას და ამბობს, რომ ეს ურთიერთობა „უმსგავსო“, „მოკლე“ საქმეა და ამიტომ „ოხერიც“.

შემთხვევითი არ არის, რომ რუსთაველმა ასეთი მუქი ფერებით დახატა სიძვის კლასიკური მაგალითი, რადგან ამ ფონზე უფრო რელიეფურად იკვეთება თინათინის და ავთანდილის, ნესტანისა და ტარიელის წმიდათა წმიდა სიყვარული და უფრო მკვეთრად ჩანს ის დიდი განსხვავება, რომელიც არსებობს სიძვასა და მიჯნურობას შორის. უნებურად წამოიჭრება საკითხი—რისთვის დასჭირდა რუსთაველს სიძვისა და მიჯნურობის ასეთი დაპირისპირება, როგორც თვით პოემაში, ისე მის შესავალში?

ჩვენ ვიცით, რომ ფარსადანმა და მისმა დამ დავარმა ნესტანისა და ტარიელის სიყვარული სიძვად მიიღეს. დავარი ნესტანს ისეთივე სიტყვებით ლანძღავს, როგორითაც ჭაშნაგარი ფატმანს.

დავარ მოთქმიდა სიტყვითა, რომელნი არა მსმენოდეს:
ბოზო, შენ ბოზო, რად მომკალ? ეეჰე, შენცა არა გლხენოდეს 570!

როსკიპო, ბოზო დიაცო, საქმრო რად მოაკლეენე 571?

რუსთაველმა პოემაში ფატმანის შემოყვანით მკითხველს დაანახვა, თუ რამდენად სცდებოდნენ ფარსადანიც და დავარიც, როდესაც მათ ნესტანისა და ტარიელის ამაღლებული მიჯნურობა სიძვად მიიღეს და არა მარტო გაკიცხეს ნესტანი, გააძევეს კიდეც.

ჩვენ ვფიქრობთ, აგრეთვე, რომ შემთხვევითი არ არის პოემაში გარეგნულად ორი ანალოგიური სიტუაციის არსებობა. ჩვენ მხედველობაში გვაქვს ტარიელის მიერ ნესტანის მოთხოვნის საფუძველზე სასიძოს მოკვლა და ავთანდილის მიერ ფატმანის მოთხოვნით მისი საყვარელის, ჭაშნაგირის მოკვლა.

ამ ორი ეპიზოდის დაპირისპირებაში არ შეიძლება არ გავიგოთ მათში ფარული შინაგანი აზრი, რაც გამოიხატება ტარიე-

ლისა და ავთანდილის შედარებაში. აღსანიშნავია, რომ ტარიელმა ხმაურის აუტეხავად ვერ შესძლო სასიძოს მოკვლა. მას, როგორც პოემაშია ნათქვამი, „ხმა დაუვარდა“. ავთანდილმა კი ისე მოკლა ჯაშნაგირი, რომ ამის შესახებ ვერავინ ვერაფერი შეიტყო:

ხმა მათისა დახოცისა არ გაისმა არსით არა.
წაჰოვიდა ვარდი ტკბილი, რასამცა ვით გაემწარა!
ესე მიკვირს, სისხლი მათი ასე ვითა მოიპარა 1105.

როგორც ვხედავთ, რუსთაველი ვერ ფარავს აღტაცებას, ავთანდილის მოხერხებულობისა და ვაჟკაცობის გამო. ვიდრე ავთანდილი ფატმანის დავალების შესასრულებლად წავიდოდეს, რუსთაველი წინასწარვე აქებს ავთანდილის სწორუპოვრობას:

ნუ ეჰვ სულ-დგმულსა მისებრსა, სხვა არცა მისებრი არსა 1097!

მიპარვით კაცის მოკვლა, როცა ეს აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს, ავთანდილმა გაცილებით უკეთ შესძლო, ვიდრე ტარიელმა. ამით ავთანდილის უპირატესობა კიდევ ერთხელ არის ხაზგასმული რუსთაველის მიერ.

ახლა განვიხილოთ, თუ რა უნდოდა, ეჩვენებინა რუსთაველს იმ ეპიზოდებით, რომლებშიც გადმოცემულია ავთანდილის მიერ მეკობრეების დამარცხება, ფატმანის საშუალებით ნესტანის ამბის გაგება, ნესტანთან კავშირის დამყარება და ქაჯეთის ციხის შესახებ ზუსტი ცნობების მიღება.

პირველ ყოვლისა, ეს ეპიზოდები ნათლად მეტყველებენ იმაზე, რომ ავთანდილმა შესძლო იმის გაკეთება, რის გაკეთებაც ვერ შესძლეს ვერც ტარიელმა და ვერც ფრიდონმა. ავთანდილმა გადაწყვიტა ძალზე რთული და ძნელი ამოცანა თავისი გამჭრიახობის, წინდახედულობის, ვაჟკაცობის, მოქნილობის, სიბრძნის წყალობით, იპოვა ნესტანი და ყველა წინაპირობა შეამზადა მის გამოსახსნელად.

ამის შემდგომ, რუსთაველი დიდი ოსტატობით ხსნის სიუჟეტურ კვანძს.

რადგან „ვეფხისტყაოსანი“ ორ სიუჟეტურ ხაზს შეიცავს და მასში ორი კვანძია მოცემული, ამიტომ პოემის ფინალიც ორი კვანძის გახსნას შეიცავს; ამ ორი კვანძის გახსნა მთლიანობაშია, რაც იმაში გამოიხატება, რომ ისინი ერთი და იმავე იდეის ნათელყოფის საქმეს ემსახურებიან და ერთი თემატიური საფუძველი აქვთ.

ნესტანის ქაჯეთის ციხიდან გამოხსნა, ფრიდონის მიერ ნესტანისა და ტარიელის ქორწილის გადახდა, მათი შეუღლება — ნესტან-ტარიელის სიუჟეტური ხაზის კვანძის გახსნაა; ხოლო თინათინისა და ავთანდილის ქორწილი — თინათინ-ავთანდილის სიუჟეტური ხაზის კვანძის გახსნას წარმოადგენს.

რუსთაველი ამ ორ სიუჟეტურ კვანძს დიდი ოსტატობითა და ბუნებრიობით ხსნის. კვანძის გახსნას წინ უძღვის რამოდენიმე ეპიზოდი, რომლებიც, ასე ვთქვათ, შემაერთებელ რგოლებს წარმოადგენენ კულმინაციასა და კვანძის გახსნას შორის და მკითხველში კვანძის გახსნისათვის სათანადო განწყობილებას ქმნიან.

ამრიგად, ავთანდილმა ტარიელისათვის მიცემული სიტყვა შეასრულა, მან მიაგნო ნესტანის კვალს, დაამყარა მასთან კავშირი, ქაჯეთის ციხის წინასწარი დაზვერვა მოახდინა და ზუსტად წლისთავზე, პირობისამებრ გაზაფხულის დამდეგს ტარიელის გამოქვაბულებს მიაშურა. ავთანდილს ცოტა დროლა ჰქონდა დარჩენილი, ამიტომ ფრიდონთან ვეღარ შეიარა და წერილობით შეატყობინა ნესტანის პოვნის ამბავი. ავთანდილმა თავისი გამოცდილებიდან იცოდა, რომ ტარიელი გამოქვაბულში არ გაჩერდებოდა. მას წინათგრძნობამ ამ შემთხვევაშიც არ უმტყუნა. იგი ტარიელს შამბის პირას წააწყდა. ტარიელს ლომი მოეკლა და სისხლიანი ხმალი ხელთ ეპყრა. ავთანდილმა ტარიელს ახარა ნესტანის პოვნის ამბავი. მაგრამ ტარიელი ისე ღრმად იყო დარწმუნებული ნესტანის სამუდა-

მოდ დაკარგვაში, რომ არ დაუჯერა. ამიტომ ეუბნება ტარიელი ავთანდილს:

კაცმანცა სოფელს ვით პოვა, რაც არა საქმე ზენი: 1325!

როდესაც ავთანდილმა ტარიელი ვერაფრით ვერ დაარწმუნა თავისი სიტყვების სიმართლეში, მაშინ გახელებულ მიჯნურს, ნესტანის წერილი და რიდის ნაჭერი აჩვენა. ტარიელი „უსულოდ“ დაეცა. ავთანდილმა დიდის გაჭირვებით მოაბრუნა დაბნედილი ტარიელი.

შემდეგ რუსთაველი ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ ავთანდილმა ნესტანის ამბის შეტყობინების დროს შეცდომა დაუშვა, რის შედეგადაც ტარიელი კინაღამ სიცოცხლეს გამოესალმა.

ეპიზოდს, რომელშიაც ავთანდილი ტარიელს ატყობინებს ნესტანის პოვნის ამბავს, დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორც პოემის სიუჟეტის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს. მასში რუსთაველმა კიდევ ერთხელ გვიჩვენა ტარიელის ტრაგედიის მთელი სიღრმე, და ამჯერად დიდი ცრემლისა და მწუხარების გადმოცემით კი არა, სიხარულის საშუალებით.

ნესტანის პოვნით გამოწვეული სიხარული მეტყველებს იმ უზომო მწუხარებაზე, რომელსაც აქამდე განიცდიდა ტარიელი ნესტანის დაკარგვის გამო; მეტის-მეტ ლხინს კი მეტის-მეტი უბედურებისა და ტანჯვისაგან განთავისუფლება იწვევს. ამიტომაა, რომ რუსთაველი ავთანდილს შემდეგ სიტყვებს ათქმევინებს:

წყალი სწრაფით რად დავასხი ცეცხლსა, ძნელად დასაშრეტსა 1330!

და იქვე დასძენს:

ჩქარად ეცეს, ვერ გაუძლებს გული ლხინსა მეტის-მეტსა 1330.

როგორც იყო, ავთანდილმა ტარიელი გონზე მოიყვანა და ორივენი სიმღერით და სიცილით გამოქვაბულისაკენ გაემართნენ, რათა ასმათსაც შეატყობინონ სასიხარულო ამბავი. ამ მომენტიდან რუსთაველი სულ სხვა ფერებსა და ჰანგებს მიმართავს. პოემის ყოველი სტრიქონი სიხარულითა და საზეიმო განწყობილებითაა გასხივოსნებული.

სასოწარკვეთილებას, ცრემლის ღვრას, ტრაგიკულ ეპიზო-

დებს სცენის ოპტიმიზმი, საკუთარი ძალებისადმი რწმენა, ბედნიერება, კმაყოფილება. თვითონ ავთანდილიც აღნიშნავს ასეთი გარდატეხის მომენტის მთელ სიდიადეს:

ავთანდილ უთხრა: ნუ გეშის, ეგე ამბავი მრთელია;
ლხინი მოგვეცა, მოგვშორდა ყოველი ჭირი ძნელია,
მზე მოგვეახლა, უკუნი ჩვენთვის აღარა ბნელია,
ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია 1348!

აქ სრულიად კანონზომიერი იქნება დაისვას კითხვა, რას გულისხმობს რუსთაველი ბოროტში, რომელსაც კეთილმა სძლია? ბოროტება არის ის, რის წყალობითაც ნესტანი და ტარიელი ტრაგიკულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ და რის გამოც მათ ამდენი ტანჯვა გადაიტანეს. ნესტანის და ტარიელის ტრაგედიის მიზეზი კი ინდოეთის მეფის, ფარსადანის, არასწორი გადაწყვეტილება იყო, რომელსაც იგი დიდი სიჯიუტით იცავდა. კერძოდ, მის მიერ ქალის მეფედ ყოფნის უფლებების უგულებელყოფა და შეზღუდვა. კეთილ საწყისს კი ჩვენ ვხედავთ არაბეთის მეფის როსტევანის ბრძნულ ნაბიჯში, რომელმაც თავისი ერთადერთი ქალი ტახტზე დასვა და მას ყველა სამეფო უფლება მიანიჭა, საქმროს თავისი ნება-სურვილის მიხედვით ამორჩევის ჩათვლით. აქედან ნათელი ხდება, თუ რატომ მოხდა, რომ სწორედ ავთანდილმა, სწორედ იმ ქვეყნის შვილმა, სადაც ეს კეთილი საწყისები ბატონობენ, ითამაშა ასეთი გადამწყვეტი როლი ბოროტის დათრგუნვაში. ავთანდილის გარეშე კეთილის გამარჯვება, პოეტის აზრით, შეუძლებელია.

„ვეფხისტყაოსნის“ ბოლო თავები, რომლებიც კვანძის გახსნას წარმოადგენენ, სწორედ ზემოაღნიშნული დებულების დაკონკრეტების, ხორცშესხმის საქმეს ემსახურებიან. რუსთაველი მათში გვიჩვენებს ძლეულ ბოროტებას და გამარჯვებული სიკეთის ზეიმს.

მაგრამ, ვიდრე რუსთაველი უშუალოდ გვიჩვენებდეს პოემის მთელ მანძილზე წარმოებული ბრძოლის შედეგს, იგი ბკითხველის ყურადღებას ორ ეპიზოდზე აჩერებს. ეს ეპიზოდებია — ტარიელისა და ავთანდილის მისვლა ფრიდონთან და ქაჯეთის ციხის აღება.

ტარიელმა და ავთანდილმა დევების გამოქვაბულში შენახული აბჯარი აისხეს, ფრიდონისათვისაც წაიღეს და გულანშაროს გზას გაუდგნენ.

ავთანდილი და ტარიელი სიხარულით არიან აღვსილნი. ტარიელი, რომელიც აქამდე განუწყვეტლად ცრემლსა ღვრიდა, ხუმრობის და ლაღობის ხასიათზეა. ფრიდონის სახელმწიფოში შესული ტარიელი და ავთანდილი თავს ესხმიან მეჯოგეებს. ფრიდონი, როდესაც გაიგებს, რომ ვიღაც შემოიჭრა მის სამფლობელოში და ცხენების ჯოგის გარეკვას აპირებს, საომრად აღიჭურვება და ურიცხვი რაზმით გამოეშურება მეკობრეების მოსაპობად, რომლებმაც გაბედეს მისი მწყემსების დაწიოკება. ტარიელს რომ დროულად მუზარადი არ მოეხადა და სახე არ გამოეჩინა, ცხადია, დიდი სისხლისღვრა მოხდებოდა.

ამ ეპიზოდით რუსთაველი, პირველ ყოვლისა, გვიჩვენებს იმ მხიარულ განწყობილებას, რომელიც დაეუფლა ტარიელსა და ავთანდილს ნესტანის პოვნის გამო, მაგრამ ამ ხუმრობაში მეორე ღრმა აზრიც იმალება, ეს კი ჩვენთვის ნათელი გახდება, თუ ხუმრობით შექმნილ ამ ინციდენტს შევადარებთ იმას, რომელსაც ადგილი ჰქონდა არაბეთში ტარიელის პირველად გამოჩენისას. ავთანდილისა და ტარიელის მიერ მწყემსების აწიოკებამ ფრიდონში დიდი რისხვა გამოიწვია, ისეთი რისხვა, რომ იგი საომრად განემზადა და მისი „რაზმი ველთა დაჰფარვიდა". აქედან ჩვენ შეგვიძლია გავაკეთოთ დასკვნა, თუ რამდენად დიდი გულისწყრომა და შეურაცხყოფის გრძნობა უნდა გამოეწვია როსტევანში და ავთანდილში ტარიელის მიერ მათი საუკეთესო მეომრების დახოცვას და დაუსჯელად წასვლას. ეს ხომ, უწინარეს ყოვლისა, ავთანდილის, როგორც საუკეთესო მოყმის, დიდი დამცირება და სახელის შებღალვა იყო. ამიტომ ვფიქრობთ, რომ ეს ეპიზოდი შემთხვევით არ არის რუსთაველის მიერ შექმნილი, პირიქით, მას მკითხველში აღნიშნული ასოციაცია უნდა გამოეწვია.

ტარიელი, ავთანდილი და ფრიდონი სამასი ცხენოსნის თანხლებით ტოვებენ მულღაზანზარს და ქაჯეთის ციხისაკენ მიემართებიან.

არ შეიძლება გვერდი ავუაროთ იმ თათბირს, რომელიც სამმა ძმადნაფიცმა გამართა ქაჯეთის ციხის აღების წინ.

ფრიდონი ერთხელ უკვე ნამყოფია ქაჯეთში, ავთანდილსაც ზუსტი ცნობები აქვს მიღებული ნესტანისაგან ქაჯეთის ციხის თავდაცვისუნარიანობაზე.

ქაჯების ციხე-ქალაქის შეტევით და „ცხადად“ აღება შეუძლებელია, რადგან „ყოველგნით კლდეა, გარეშემო მტერი ვერა მოადგების“. ამ ბუნებრივად შექმნილ ციხე-სიმაგრეში შესვლა შესაძლებელია მხოლოდ სამი გვირაბის საშუალებით. მაგრამ „გვირაბის კარსა ჰაბუკი ათი ათასი მცველია“ და თუ მათ შოასწრეს შესავალი კარებების ჩაკეტვა, ფრიდონის სიტყვით რომ ვთქვათ: „ათ წელს ვერსით შეუვალთ, თუ ზედ დაგვიხშენ კარია“.

აქედან გამომდინარე, ქაჯეთის ციხის აღების მხოლოდ ერთადერთი გზა რჩებოდა — მალვით, მოულოდნელად თავდასხმა, თანაც ისეთი სისწრაფით, რომ გვირაბების კარებების დახშობა მცველებს ვერ მოესწროთ. ქაჯეთის ციხის აღების გეგმა შემუშავებული ფრიდონისა, ავთანდილისა და ტარიელის მიერ სწორედ მოულოდნელობას და სისწრაფეს ითვალისწინებდა, მაგრამ ამის მიღწევას ისინი სხვადასხვა ხერხით აპირებდნენ.

ფრიდონის გეგმა აშკარად მცდარი იყო და ავთანდილმა ეს ადვილად დაამტკიცა. ფრიდონი ქაჯეთის ციხის აღებას შემდეგნაირად აპირებდა: გრძელი საბელი უნდა გადაეგდოთ და ციხის ერთ-ერთი ბურჯისათვის მოედოთ. შემდეგ თვითონ ფრიდონი, რომელმაც თოკზე სიარული იცოდა, ზედ უნდა გასულიყო, გაეტანა თან საბრძოლო იარაღი, ჩამხტარიყო ციხეში, დაეხოცა მცველები და ავთანდილი და ტარიელი ცხენოსნებითურთ შიგ შეეშვა..

ავთანდილმა უარყო ეს გეგმა შემდეგი მოსაზრებით.

სათათბირობ ძნელსა თათბირთა, მტერთა ივაგლახ-ივიან,
მაგრამ თუ გესმის, გუშაგნი რა ახლო-ახლო ყიეიან 1383.

რა გახვიდოდე, გუშაგთა ესმას ჯაჭვისა ჩხერება,
გიგრძნობენ, თოკსა მოჰკვეთენ, ამისი ხამს დაჯერება;

წაგიხდეს ცუდად ყველი, დაგრჩეს ცუდიღა ფერება,
ეგე თათბირი არ ვარგა, სხვაებრ ექმნათ თავის ტერება. 1384.

ფრიდონის გეგმის ავთანდილისეული კრიტიკიდან ნათლად ჩანს, თუ რამდენად მაღლა დგას ავთანდილი თავისი ტაქტიკური ნიჭით ისეთ გამოცდილ მებრძოლზედაც კი, როგორიც ფრიდონი იყო. აქ მხედველობაში ისიც უნდა მივიღოთ, რომ ფრიდონი ავთანდილზე იმდენად უფროსიც კი იყო, რომ მათ დამოკიდებულებაში რუსთაველი მამაშვილურ დამოკიდებულებას ხედავდა.

ამით ავთანდილმა ერთხელ კიდევ დაამტკიცა დიდი მოსაზრებულობა, ნათლად აზროვნების, შექმნილი მდგომარეობის სწორად შეფასების უნარი და წინდახედულობა.

ახლა ვნახოთ, რას წარმოადგენს ქაჯეთის ციხის აღების ავთანდილისეული გეგმა. ავთანდილი ნაცად ხერხს მიმართავს, იმ ხერხს, რომელმაც მას ერთხელ უკვე მოუტანა გამარჯვება. და ნესტანი აპოვნინა. ავთანდილი ფიქრობს, ვაჭრის ტანსაცმელით შევიდეს ქაჯეთის ციხეში და ქაჯებს საშუალება არ მისცეს კარებები დაახშონ მანამდე, სანამ ტარიელი და ფრიდონი თავისი ლაშქრით შიგ არ შეიჭრებიან. ავთანდილის ამ გეგმას ვერც ფრიდონმა და ვერც ტარიელმა ნაკლი ვერ მოუნახეს. იგი, მართლაც, კარგად იყო ჩაფიქრებული, მოიერიშეთაგან ნაკლებ მსხვერპლს მოითხოვდა და გამარჯვების სრულ გარანტიას იძლეოდა.

ავთანდილის გეგმა მაინც უარყოფილ იქნა და მიიღეს ტარიელის გეგმა. მაგრამ ეს იმიტომ კი არ მოხდა, რომ ტარიელის გეგმა ავთანდილისას სჯობდა, არამედ სულ სხვა მოსაზრებით. თუ ავთანდილის გეგმის მიხედვით მოხდებოდა ქაჯეთის ციხის აღება, ტარიელი მხოლოდ მაყურებლის როლში გამოდიოდა. ეს კი, მისი, როგორც მიჯნურის, თავმოყვარეობას ლახავდა. მას თვითონ უნდოდა ნესტანის გამოხსნაში უშუალო მონაწილეობის მიღება. ამიტომაა, რომ ტარიელი ამბობს:

მაგრა იყვენით ჩემთვისცა საქმისა რასმე რჩევითა:
ხმა ესმას ჩემსა ხელ-მჭმნელსა, ზედა გარდმოდგეს მზე ვითა,
თქვენ გქონდეს ომი ფიცხელი, უომრად მნახოს მე ვითა?
ესე მე დამსვრის, ნუ უბნობთ სიტყვითა თქვენ სათნეითა. 1388.

ქაჯეთის ციხის აღების ტარიელის მიერ წამოყენებულ გეგმას სწრაფი და მოულოდნელი თავდასხმა უდევს საფუძვლად. ტარიელს ამ გეგმის შესრულების დროს იმედი აქვს თავისი მსწრაფლმსრბოლი ცხენისა. ეს ცხენი რომ არ ჰყოლოდა ტარიელს, მისი გეგმის სისრულეში მოყვანა სათუო იქნებოდა; ამას აღნიშნავს ფრიდონიც, როდესაც იგი ტარიელს ეუბნება:

ფრიდონ უთხრა: შემიგია, გამიგია, ვიცი მე რა:
მაგა ცხენსა ჩემეულსა მოასწრობენ კარსა ვერა;
ოდეს გიძღვენ, არ ვიცოდი, ქაჯეთს გვინდა ქაჯთა მზერა;
თვარა ყოლა არ გიძღვნიდი, ჩემი გითხრა სიძუნწე რა 1392.

მართალია, ფრიდონი ამას ხუმრობით ამბობს, მაგრამ, როგორც ყოველგვარ ხუმრობაში, აქაც არის ჭეშმარიტების დიდი ნაწილი.

ამრიგად, რუსთაველი ამ შემთხვევაშიც არ აძლევს უპირატესობას ტარიელს ავთანდილის წინაშე. პირიქით, ავთანდილმა დიდი სულგრძელობა, მეგობრისათვის თავდადება გამოიჩინა. მან გაიზიარა ტარიელის გეგმა, თუმცა იგი გაცილებით მეტ მსხვერპლს მოითხოვდა და მეტი სიძნელეების გადალახვასთან იყო დაკავშირებული.

დიდი ბრძოლის შემდეგ, რომელშიც ფრიდონის საუკეთესო მებრძოლთა თითქმის ნახევარი დაიღუპა, ნესტანი გამოიხსნეს.

როგორც ზემოთ ვთქვით, მხოლოდ ამ მოსამზადებელი ეპიზოდების შემდეგ იწყება პოემის კვანძის გახსნა. პირველად იხსნება ნესტან-ტარიელის სიუჟეტური კვანძი, ეს კი, თავის მხრივ, შემდეგში ხელს უწყობს მეორე — ავთანდილ-თინათინის სიუჟეტური ხაზის კვანძის გახსნასაც, მათ ქორწილს.

ნესტანის ქაჯეთის ციხიდან გამოხსნის შემდეგ სამივე ძმადნაფიცი და ნესტან-დარეჯანი გზად ზღვათა მეფეს ესტუმრებიან. თავში, რომელსაც ჰქვია „ტარიელისაგან ზღვათა მეფისას მისლვა“. ბევრი საყურადღებო მომენტია.

იმის შემდეგ, რაც ნესტანი ქაჯეთის ციხიდან გაანთავისუფლეს, ტარიელის ინდოეთის მეფედ ყოფნის საკითხი უკვე გადაწყვეტილი იყო. ესეც და მომდევნო თავებიც წარმოადგენენ სწორედ ტარიელის და ნესტანის სამეფო უფლებების

აღიარებას ჯერ ზღვათა მეფის, შემდეგ ფრიდონისა, დაბოლოს, არაბთა მეფის — როსტევანის მიერ. აქ საინტერესოა აღინიშნოს, რომ ტარიელი თვითონ კი არ ეახლა ზღვათა მეფეს, არამედ თავისთან იხმო. როგორც კი ზღვათა მფლობელს ტარიელის კაცი მიუვიდა, ის მაშინვე შეჯდა ცხენზე და შესახვედრად გამოემართა.

რა კაცი ტარიელისა ესტუმრა ზღვათა მფლობელსა, —
წესია, გული გაჰკრთების ამბავსა გასაკრთობელსა, —
მისცა შადლი და დიდება ღმერთსა, მართლისა მბრუნებელსა,
მაშინვე შეჯდა, არ უნდა მისლვა სხვასაღა მხმობელსა 1418.

ეს ფაქტი, უდავოდ, ტარიელის მეფედ ცნობას ნიშნავს. ამაზევე მეტყველებს, თუნდაც ის, რომ ზღვათა მეფემ ტარიელს უძღვნა ოქროს ტახტი და გვირგვინი.

მუნ იდვის გორი ლარისა, სტავრისა და ატლასისა;
ტარიელს უძღვნა გვირგვინი, ვერ-დანადები ფასისა,
იაგუნდისა მრთელისა, ყვითლისა, მეტად ხასისა,
კვლავ ერთი ტახტი ოქროსა, წითლისა მართ ხალასისა 1424.

ეს რომ შემთხვევითი ჩუქება არ არის, არამედ პოლიტიკური აქტია, ამაზე ისიც მეტყველებს, რომ ზღვათა მეფემ ავთანდილი და ფრიდონი ტარიელივით სამეფო ნიშნების მაუწყებელი ნივთებით კი არ დააჯილდოვა, არამედ ძვირფასი უნაგირიანი ცხენებითა და ძვირფას თვლიანი კაბებით.

აღსანიშნავია ისიც, რომ ზღვათა მეფე ტარიელს ყოველთვის ხელმწიფობით მიმართავს.

ამავე თავში ისევ გრძელდება ვაჭართ-უხუცეს უსენის აბუჩად აგდება. როდესაც ტარიელმა შეუთვალა ზღვათა მეფეს მისკენ შესახვედრად წამოსვლა, დაავალა, რომ ფატმანის ქმრის უსენისათვის ებრძანებინა მისი ცოლის, ფატმანის გამოგზავნა.

ამრიგად, ნესტანისა და ტარიელის შესახვედრად ზღვათა მეფე და ფატმანი წამოვიდნენ, უსენი კი ტარიელმა ამ შეხვედრაში მონაწილეობის ღირსად არ სცნო. აქ დიდვაჭარ უსენისადმი იმ უარყოფითი დამოკიდებულების გაგრძელებასთან გვაქვს საქმე, რომელსაც ადგილი ჰქონდა წინა თავებში.

ზღვათა მეფემ ნესტანსა და ტარიელს დიდი ქორწილი გა-

დაუხადა. მათი ნადიმი შვიდ დღეს გაგრძელდა. ამის შემდეგ რუსთაველი კიდევ ერთხელ უხდის ქორწილს ნესტანსა და ტარიელს — ფრიდონის სამეფო ქალაქ მულღაზანზარში, რაც აგრეთვე ნესტანისა და ტარიელის შეუღლების კანონიერების აღიარებას წარმოადგენს:

ფრიდონისგან უსაზომო ქორწილია დღესა რვასა;
ყოელთა დღეთა მიართმიდეს უფასოსა ძღვენსა მზასა,
დღე და ღამე არ გასწყვეტდის ჩაღანა და ჩანგი ხმასა;
აპა, მიჰხედეს შესაფერნი ყმა ქალსა და ქალი ყმასა 1454.

ამ სტროფის უკანასკნელ სტრიქონში პირდაპირაა აღნიშნული ტარიელისა და ნესტანის შესაფერისობა, ანუ მათი შეუღლების კანონიერება. აქ, ფაქტიურად, ნესტან-ტარიელის სიუჟეტური კვანძი უკვე გახსნილია, რადგან მათი შეუღლებიდან, როგორც აუცილებელი შედეგი, გამომდინარეობდა ნესტანისა და ტარიელის ინდოეთში გამეფების აუცილებლობა. მითუმეტეს, რომ სამმა სახელმწიფომ უკვე სცნო ისინი ინდოეთის ბატონ-პატრონად. ამრიგად, ამის შემდეგ დღის წესრიგში დგებოდა საკითხი თინათინისა და ავთანდილის შეუღლებისა, რაც მეორე სიუჟეტური ხაზის კვანძის გახსნა იქნებოდა.

რუსთაველის გენიალობა იმაშიაც ჩანს, რომ ეს ორი სიუჟეტური ხაზი ერთმანეთს არის დაპირისპირებული და აქვე დროს ერთურთს მსჭვალავენ. ავთანდილი აქტიურ მონაწილეობას იღებს ტარიელისა და ნესტანის შეუღლებაში, თინათინის თანხმობითა და შთაგონებით. მეორე მხრივ, ტარიელი თავისი ტრაგიკული თავგადასავლით, დაბოლოს, უშუალო ჩარევით, ხელს უწყობს თინათინ-ავთანდილის შეუღლებას. ამიტომაა, რომ სწორედ ტარიელი, და არა ფრიდონი, კისრულობს შუამავლის როლს როსტევან მეფის წინაშე, რათა მან თავისი ერთადერთი ქალი ავთანდილს მიათხოვოს.

ავთანდილი ტარიელის შუამავლობის წინააღმდეგია. მისი აზრით, მას არაფერი აქვს საშველი, რადგან თინათინი როსტევანის ბრძნული გადაწყვეტილებით გამეფებულია არაბეთის სამეფო ტახტზე. აქ უკვე შეუნიღბავ დაპირისპირებასთან გვაქვს საქმე.

თქვა, თუ: ბეშვეღი რად მინდა, მჭირს არავისგან წყალობა.
ჩემი მზე არცა ქაჯთა ჰყავს. არცა სჭირს ლხინ-ნაკლულობა 1459.

ჩემი მზე ტახტსა ზედა ზის მორჭმული ღმრთისა ნებითა,
საკრძალავი და უკადრი, ლაღი, არვისგან ცნებითა,
არცა რა უშძინს ქაჯთაგან, არცა გრძნეულთა გრძნებითა, —
მას ზედა შველა რად მინდა?! რად მეწყე რაააცა თ.ცებითა 1460?

როგორც ვხედავთ, მოყვანილ სტრიქონებში მოტანილია ტარიელისა და ნესტანის ტრაგედიის მიზეზი — ის, რომ თავის დროზე ნესტანი არ იქნა გამეფებული ინდოეთის სამეფო ტახტზე.

თინათინის გამეფება კი კანონიერადაა აღიარებული და რადგან იგი ტახტზე ზის, ამიტომ მას არავითარი საფრთხე და „ვნება“ არ ემუქრება. ამრიგად, ამ დაპირისპირების საშუალებით, გამართლებულია და კანონიერად ცნობილი ქალის მეფედ ყოფნის აუცილებლობა და მიზანშეწონილება იმ შემთხვევაში, როდესაც მეფეს სხვა მემკვიდრე არა ჰყავს. მაგრამ, მიუხედავად ავთანდილის პროტესტისა, ტარიელს ძალიან ძტკიცედ აქვს გადაწყვეტილი, დაებაროს ავთანდილს თინათინის ცოლად შერთვის საქმეში.

პოემის ფინალში ავთანდილისა და თინათინის შეუღლების ეპიზოდს და ამ საქმეში ტარიელის როლს რუსთაველმა დიდი ადგილი დაუთმო. ეს გასაგებიცაა, რადგან აქ საქმე გვაქვა ძირითადი იდეის საბოლოო გაძოკკეთასთან და ნათელყოფასთან.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ქალის მეფედ ყოფნის აუცილებლობასთან დაკავშირებული იყო მეორე პრობლემა, რომელიც მისგან გამომდინარეობდა, როგორც შედეგი. კერძოდ. მეფე-ქალისათვის ყველა მეფური უფლების მინიჭება, მისი შეუზღუდველობა ისეთ საკითხებშიც კი, როგორიცაა ქმრის საკუთარი ნება-სურვილით ამორჩევა. თუ ქალს უფლება ექნებოდა საქმროს თავისუფალი არჩევისა, მაშინ კიდევ ერთი პრობლემა რჩებოდა გადასაწყვეტი — ქალის საქმრო უცხოეთში უნდა ამოერჩიათ, თუ მათ შორის, ვინც ახლოს იდგა სამეფო კართან?

ეს პრობლემები პოემის ფინალში ბრწყინვალედ არის გა-

დაჭრილი რუსთაველის მიერ და სიუჟეტური კვანძის გახსნაც სწორედ ამ პრობლემების ნათელყოფას ემსახურება.

ტარიელი სრულიად დროულად იგონებს მის მიერ როსტევან მეფის საუკეთესო მონების დახოცვის ეპიზოდს, რომელიც საკვანძო სიტუაციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან დეტალს წარმოადგენს. ტარიელი როსტევანის წინაშე მოციქულად მისვლას იმითაც ასაბუთებს, რომ მან უნებლიე დანაშაული ჩაიდინა მეფის წინაშე და ვალდებულია მოინანიოს. იგი ამბობს:

მე შენისა გამზრდელისა უნახავად არ დავდგები.
ვეჰვ, მრავალი დამეხოცოს, მონა, მისგან საყვარლები,
ვითხოვ ხოლე შენდობასა, ეგეთიღა მოვბრუნდები 1467.

ამასვე იმეორებს ტარიელი როსტევანის წინაშეც, როდესაც იგი პასთან თავის კაცს აგზავნის:

მაშინ თქვენ ჩემი გეწყინა ნახვა მიწისა შენისა,
ცდა შეპყრობისა ავი ჰქმენ, შემოტევება ცხენისა;
მე შენთა სპათა ვაჩვენე ნიშანი რაჲმე წყენისა,
დავხოცე მონა მრავალი, მსახური სრისა თქვენისა 1491.

აწ ამად მოვალ წინაშე, დავყარენ ჩემნი გზანია,
შემინდოთ, რაცა შეგცოდე, ჰქმნენთ გაწყრომისა კმანია 1492;

ტარიელი დიდი ტაქტით დასძენს, რომ ავთანდილს ბადალი არ ეყავა ქვეყანაზე, რითაც ხაზს უსვამს, რომ იმ შემთხვევაში მისი დაუსჯელად წასვლა სრულიადაც არ ნიშნავს ავთანდილის ცუდ ყმობას.

ტარიელმა როსტევანს შეუთვალა:

ძღვენი არა მაქვს, მმოწმობენ ფრიდონ და მისნი ყმანია;
ოდენ ძღვნად თქვენი ავთანდილ მე თქვენთვის მომიტანია 1492.

ცოტა ქვემოთ კი, როდესაც როსტევანი და ტარიელი პირისპირ შეხვდნენ და ამ უკანასკნელის ტანადობამ და ვაჟკაცობამ როსტევანი აღფრთოვანებაში მოიყვანა, ტარიელმა შემდეგი უთხრა არაბთა მეფეს:

ტარიელ ეტყვის: მეფეო, აწ გული შენ გემონების.
მიკვირს, თუ ეგრე სიკეთე თქვენ ჩემი რად გეგონების!
რათგან ავთანდილ შენია, სხვა რად ვინ მოგეწონების 1503?

რუსთაველი განსაკუთრებით აღნიშნავს, რომ ავთანდილი სწორუპოვარი ყმაა და ტარიელზე მაღლაც დგას.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ, როდესაც მეფე როსტევანმა გაიგო ავთანდილის დაბრუნება და ტარიელის შესახვედრად გამოემართა, რუსთაველი ისევ ბოროტზე კეთილის გამარჯვების შესახებ ლაპარაკობდა.

თქვეს: ბოროტსა უმყოფოო, კეთილნია შენთვის მზანი 1495.

შემთხვევითი არ არის, რომ ნესტანის კვალის მიგნების შემდეგ, როდესაც ფაქტიურად უკვე გადაჭრილი იყო ნესტანისა და ტარიელის შეუღლებისა და ინდოეთში გამეფების პრობლემა, რუსთაველი ბოროტის ძლევასა და სიკეთის გამარჯვებაზე ლაპარაკობდა:

ბოროტსა სძლია კეთილმან, — არსება მისი გრძელია 1348.

ამასვე იმეორებს ფატმანიც, როდესაც იგებს ნესტანის ქაჯეთიდან განთავისუფლების ამბავს:

ვცან სიმოკლე ბოროტისა, კეთილია მისი გრძელი 1421!

რუსთაველი უდავოდ განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ამ ფრაზას და მასში ღრმა აზრსა სდებდა. მითუმეტეს, თუ მხედველობაში მივიღებთ დიდი პოეტის შეურიგებლობას უოველგვარი გამეორებისადმი.

ისმის კანონიერი კითხვა: — რას გულისხმობდა რუსთაველი ბოროტსა და კეთილში, რას გულისხმობდა იგი, როდესაც ამბობდა:

მზე მოგვეახლა, უკუნი, ჩვენთვის აღარა ბნელია 1348.

ანდა:

იტყვის: ღმერთო რა გმსახურო, გამინათლდა რათგან ბნელი 1421.

ბოროტებას, სიბნელეს, უკუნს რუსთაველი უწოდებს იმ მიზეზებს, რომლებიც ხელს უშლიდნენ ტარიელისა და ნესტანის შეუღლებასა და გამეფებას, იმ ეჭვს, რომელიც უღრღნიდა გულს როსტევანსა და თინათინს.

სიკეთე და სინათლე კი არის ქალის მეფედ ყოფნის გამართლება, მისთვის ყველა მეფური უფლების ძინიჭება.

აქვე უნდა აღინიშნოს ,რომ იმ კვანძის გახსნა, რომელიც მაშინ გაინასკვა, როდესაც როსტევანმა და ავთანდილმა ტარიელი ნახეს, სწორედ იმავე ტარიელის საშუალებით ხდება. ხაზს ვუსვამთ „საშუალებით“, თორემ თინათინის და ავთანდილის შეუღლება, რომელიც სიუჟეტურად კვანძის გახსნას წარმოადგენს, შედეგია იმ დიდი ბრძოლისა და წინააღმდეგობების დაძლევისა, რომელსაც ადგილი ჰქონდა პოემის მთელ მანძილზე. როსტევანის წინაშე, ტარიელის მოციქულობის ეპიზოდი ერთ-ერთი რგოლია, რომელმაც სიუჟეტური ჯაჭვი შეკრა და დაასრულა.

ამრიგად, ტარიელის და ნესტანის ტრაგედიამ ნათელჰყო თინათინის მეფედ ყოფნის სრული მიზანშეწონილობა და მისი სამეფო უფლებების სრული შეუზღუდველობის აუცილებლობა. ეს არაერთგზის არის განმეორებული პოემის ფინალში. როსტევან მეფე ტარიელის შუამავლობის საპასუხოდ ამბობს:

მე სიძესა ავთანდილის უკეთესსა ვჰპოვებ ვერა;
თვით მეფობა ქალსა ჩემსა მივეც, აქვს და მას ეფერა;
ვარდი ახლად იფურჩნების, მე ყვავილი დამებერა,
რადცა ვჰკადრე შეცილება, რასცა ოდენ იგი ჯერ-ა 1512.

ამ სტროფში, პირველ ყოვლისა, ნათქვამია, რომ თინათინის და ავთანდილის შეუღლებას წინ ვერავინ აღუდგება. თვით როსტევანიც კი ვერ „შეეცილება“, რადგან თინათინი მეფედ ზის და აღჭურვილია შეუზღუდველი სამეფო უფლებებით. თინათინსა და ავთანდილს უყვართ ერთმანეთი, ე. ი. თინათინის ნება-სურვილია ავთანდილზე გათხოვება, გარდა ამისა, ავთანდილმა თავისი ვაჟკაცობით დაიმსახურა არაბეთის ტახტზე ჯდომის უფლება. რუსთაველი, აგრეთვე, აღნიშნავს, რომ ავთანდილთან შეუღლებით თინათინის ხელმწიფობა უფრო მტკიცე და შეურყეველი გახდა: „დღეს ტახტი შენი შენ გმართებს მეტად ყოველთა დღეთასა“ — ეუბნება ტარიელი თინათინს.

არაბთა მეფის მიერ ავთანდილის და თინათინის ქორწი-

ლის გადახდის დროს რუსთაველი კიდევ ერთხელ აღნიშნავს ტარიელის მეფედ ყოფნის კანონიერებას. არაბთა მეფემ,

ტარიელს უთხრა: შენი მზე საკვირტად სატურფალია
მეფე ხარ ყოლთა მეფეთა და ეგე დედოფალია 1540.

ამ სიტყვებით როსტევანმა ტარიელსა და ნესტან-დარეჯანს ცალკე დაუდგა „სახელმწიფო საჯდომი“ და „ტახტი“. ეს სტრიქონები ტარიელისა და ნესტან-დარეჯანის სამეფო უფლებების შეუზღუდველობის აღიარებას წარმოადგენდა არაბთა მეფის მხრივ.

ამრიგად, რუსთაველმა ორი სიუჟეტური კვანძი, რომელიც სხვადასხვა ქვეყნებში, სხვადასხვა გარემოებაში და სხვადასხვა დროს განასკვა, გახსნა ნესტანისა და ტარიელისა და თინათინისა და ავთანდილის შეუღლებით.

ამის შემდეგ რუსთაველი თვითონ გრძნობს, რომ პოემა სიუჟეტურად უკვე დასრულებულია, ამიტომ უნებურად ამბობს: „რას ვაგრძელებდე?“ — ო და ჩქარობს ამბის დამთავრებას (რომელიც, ფაქტიურად, უკვე დამთავრებულია ტარიელისა და ნესტანის, ავთანდილისა და თინათინის შეუღლების და მათი მეფედ ყოფნის უფლების საყოველთაო აღიარების შემდეგ). მაგრამ რუსთაველი არ კმაყოფილდება ამით, იგი მოკლედ, მაგრამ დიდი სიზუსტით გადმოგვცემს ტარიელის ინდოეთში გამეფების სურათს და ლაპარაკობს იმ დიდ ბედნიერებაზე, რომელიც გამოიწვია როგორც არაბეთში, ისე ინდოეთში ორი შეყვარებული წყვილის გამეფებამ.

აქ საინტერესოა აღინიშნოს კიდევ ერთი დეტალი, რომელსაც ფრიად დიდი მნიშვნელობა ენიჭება პოემის ძირითადი იდეის ნათელსაყოფად.

ტარიელისა და ნესტანის ინდოეთში გამეფების შემდეგ რუსთაველი არ ივიწყებს ასმათსაც და პოემის დასაგვირგვინებლად მოხდენილად იყენებს ტარიელის ზრუნვას ასმათის მომავალზე.

ასმათმა დიდი ერთგულება გამოიჩინა ტარიელისა და ნესტანის მიმართ და ფასდაუდებელი სამსახური გაუწია მათ გაჭირვების ჟამს. აქედან გამომდინარე, სრულიად ბუნებრივია

ტარიელის ზრუნვა მისი ბედნიერებისათვის, სურვილი სამაგიერო სიკეთის გადახდისა.

ტარიელი სიკეთეს იმით უხდის ასმათს, რომ მას, თუმცა იგი ქალია, გაამეფებს ინდოეთის ერთ მეშვიდედ ნაწილზე და აღჭურავს მას ყველა სამეფო უფლებით.

რუსთაველმა ამ პატარა, მაგრამ მნიშვნელოვანი დეტალით საბოლოოდ დააკანონა ქალის მეფედ ყოფნის აუცილებლობა და კანონზომიერება და მისთვის შეუზღუდველი სამეფო უფლებების მინიჭების საჭიროება.

ამრიგად, ეს პატარა დეტალიც პოემის ძირითადი იდეის ნათელყოფის საქმეს ემსახურება.

„ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტის განხილვის შემდეგ შეიძლება დავასკვნათ, რომ შოთა რუსთაველი სიუჟეტის შექმნის უბადლო ოსტატია. მოქმედების განმავითარებელი ყოველი ეპიზოდი მიზეზობრივად მოტივირებულია — ერთი ეპიზოდი მეორისაგან გამომდინარეობს; ამიტომ „ვეფხისტყაოსანში“ ვერ ნახავთ ვერც ერთ ეპიზოდს, რომლის ამოღება არ არღვევდეს პოემის მთელ არქიტექტონიკას. ერთი სიტყვით, აქ ვერც ვერაფერს მიუმატებ და ვერც გამოაკლებ.

### 6. „ვეფხისტყაოსნის“ დაბოლოების საკითხი

„ვეფხისტყაოსნის“ დაბოლოების და, კერძოდ ინდო-ხატაელთა ამბის შესახებ რუსთველოლოგებს შორის აზრთა სხვადასხვაობა არსებობს; მაგალითად, კ. ჭიჭინაძეს არავითარი ეჭვი არ ეპარება იმაში, რომ „ინდო-ხატაელთა ამბავი“ რუსთაველის კალამს ეკუთვნის[1]. მკვლევართა მეორე ჯგუფი აღიარებს „ინდო-ხატაელთა ამბის“ მხატვრულ სისუსტეს, იდეურ შეუსაბამობას ძირითად ტექსტთან, მაგრამ მას „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტური მწკრივის ბუნებრივ რგოლად თვლის[1]. ამრიგად, ამ აზრის მიმდევარი მკვლევრები თვლიან, რომ „ინდო-ხატაელთა ამბავი“ პოემის ძირითად ნაწილთან განუყოფელ სიუჟეტურ კავშირში იმყოფება და პოემის ამბის

[1] ალ. ბარამიძე, ნარკვევები, ტ. III, 1952 წ., გვ. 03.

ბუნებრივ დასასრულს წარმოადგენს. ეს აზრი საკმაოდ ნათლადაა გამოთქმული ს. ცაიშვილის ნაშრომში „ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული რედაქცია“; ამ ნაშრომში ვკითხულობთ: „ჩვენი აზრით, აქ ყველაზე უფრო სწორ პოზიციაზე დგანან ისინი, ვინც მხედველობაში იღებენ რა ამ ეპიზოდის სიუჟეტურ თუ მხატვრულ თავისებურებებს, ასკვნიან, რომ ინდო-ხატაელთა ამბავი რესტავრაციული ტიპის ჩანართია. მართლაც, უნდა ვიფიქროთ, რომ პოემის უკანასკნელი თავების (ვგულისხმობ ინდოეთის ამბებს) დაზიანების გამო, მომხდარა მისი რესტავრაცია და სწორედ ამ რესტავრაციის ნაყოფია „ინდო-ხატაელთა“ ამბის ჩვენამდე მოღწეული ტექსტი. შესაძლოა, დავუშვათ ისიც, რომ ეს აღდგენა ემყარებოდა „ნამდვილი დასასრულის ჯერ კიდევ გადარჩენილ ფრაგმენტებს“ [1]. ეტყობა, ამდაგვარი მოსაზრებით ხელმძღვანელობდა ის კომისია, რომელმაც მოამზადა „ვეფხისტყაოსნის“ 1937 წლის საიუბილეო გამოცემა და მე-16, მე-17 საუკუნეების ხელნაწერებიდან პოემაში შეიტანა ინდო-ხატაელთა ამბავი, რომელიც არ არის ვახტანგისეულ დედანში და არც 1888 წლის ქართველიშვილისეულ გამოცემაში.

საიუბილეო გამოცემაში დამატებით შეტანილია 65 სტროფი.

„ვეფხისტყაოსნის“ გამომცემელთა და მკვლევართა დიდი ჯგუფი ინდო-ხატაეთის ამბავს ინტერპოლაციად აცხადებს. მათ რიცხვს ეკუთვნიან თვითონ ვახტანგ მეექვსე, მასთან მომუშავე „სწავლულ კაცთა“ კრებული და იმ კომისიის წევრები, რომლებმაც მოამზადეს 1888 წლის გამოცემა (ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, გრიგოლ ორბელიანი, რაფიელ ერისთავი, გიორგი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, დიმიტრი ყიფიანი, ივანე მაჩაბელი და სხვ.). თანამედროვე მკვლევართაგან, რომლებიც ამავე აზრს იზიარებენ, უნდა დავასახელოთ აწ განსვენებული აკად. კ. კეკელიძე და პ. ინგოროყვა. ჩვენ ვიზიარებთ პ. ინგოროყვას დებულებას იმის შესახებ, რომ „ვახტანგისეული გამოცემის სახით ჩვენ გვაქვს შედარებით ყველაზე

[1] ს. ცაიშვილი, „ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული რედაქცია“, 1957 წ., გვ. 40.

ძველი და ამდენად ყველაზე მნიშვნელოვანი დედანი ვეფხისტყაოსნის ჩვენ დრომდე გადარჩენილ დედანთა შორის".[1]

აქედან გამომდინარე, ჩვენს კვლევაში ვეყრდნობით ვახტანგისეულ გამოცემას. ჩვენ ვფიქრობთ, რომ 1937 წლის საიუბილეო გამოცემაში შეტანილი სტროფები და, კერძოდ, ინდო-ხატაეთის ამბავი არამცთუ არ არის „ვეფხისტყაოსნის" სიუჟეტის რეალური და ბუნებრივი დასასრული, არამედ ეწინააღმდეგება მას. ეს ნათელი ხდება ამ ეპიზოდის „ვეფხისტყაოსნის" ძირითად ნაწილთან მიმართებაში განხილვის დროს, კერძოდ, სიუჟეტისა და კომპოზიციის გათვალისწინებისას.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ტარიელისა და ნესტანის შეუღლება შედეგია იმ დიდი ბრძოლისა და წინააღმეგობების დაძლევისა, რომელსაც ადგილი ჰქონდა მთელი პოემის მანძილზე, ამიტომ იგი, უდავოდ, მიჩნეული უნდა იქნას ნაწარმოების ძირითადი სიუჟეტის კვანძის გახსნად. თუ ეს ასეა, მაშინ ამის შემდეგ ნაწარმოებში ადგილი არ უნდა ჰქონდეს რაიმე ახალი კონფლიქტის წამოჭრასა და მის გადაჭრას. ამიტომ, ცხადია, ინდო-ხატაელთა ამბავი შემდეგ უნდა იყოს მიწერილი რომელიმე გადამწერის მიერ. მითუმეტეს, რომ ნესტანისა და ტარიელის შეუღლებიდან თავისთავად გამომდინარეობდა მათი ინდოეთში გამეფება, და რომ მათი გამეფების კანონიერება უკვე აღიარებული იყო ღვთაების საბელმწიფოების მიერ, როგორიცაა ზღვათა სამეფო, მულღაზანზარი, დაბოლოს, არაბეთი.

ცხადია, ჩვენ არ გვაქვს პრეტენზია ამ საკითხის საბოლოო გადაწყვეტისა, რადგან იგი სპეციალურ კვლევას მოითხოვს, რაც ამჟამად ჩვენს ამოცანას არ შეადგენს. ჩვენ მხოლოდ გამოვთქვამთ ზოგიერთ მოსაზრებას, რამაც გვიკარნახა ზემოაღნიშნული სტროფები ცრუ-რუსთველურად ჩიგვეჩნია, და აქედან გამომდინარე, პოემის სიუჟეტთან მიმართულებაში არ განგვეხილა. აი ეს მოსაზრებანი:

1. ცნობილია, რომ ვახტანგისეულ „ვეფხისტყაოსანს" საფუძვლად დაჰდებია უფრო ძველი (დაახლოებით, მეთოთხმეტე საუკუნის) დედანი, ვიდრე შემდგომ გამოცემებს. ეს დედ-

[1] შ. რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, 1953 წ., გვ. 510.

ნები რომ არსებულან და შემდეგ დაკარგულან ამას მოწმობს 1870 წელს გაზეთ „Кавказ"-ში პლ. იოსელიანის ცნობა „ვეფხისტყაოსნის" ორი ძველი ხელნაწერის არსებობის შესახებ — ერთი მეთხუთმეტე საუკუნისა, გადაწერილი ქაღალდზე და მეორე გადაწერილი ტრატზე. ეს ხელნაწერები ჯერჯერობით დაკარგულად ითვლება. საიუბილეო გამოცემაში შეტანილი სადავო სტროფები უფრო გვიანდელი ხელნაწერებიდანაა შეტანილი, ამიტომ ვაჭტანგისეული გამოცემა უფრო სანდოა.

2. რაც მთავარია, თავები: — „ტარიელისაგან ინდოთ მეფის სიკვდილის ცნობა" და „ტარიელისაგან ინდოეთს მისვლა და ხატაელთა დამორჩილება" ახალს არაფერს მატებს პოემის იდეის ნათელყოფის საქმეს და ამკარად ტოვებს ხელოვნურად მიკერებულის შთაბეჭდილებას.

3. ეს სტროფები სიუჟეტის დასრულებასაც ეწინააღმდეგება, რადგან კვანძის გახსნით — ნესტანისა და ტარიელის შეუღლებითა და გამეფებით, თინათინის და ავთანდილის შეუღლებით — სიუჟეტური რკალი დასრულდა. რაღა შუაშია მაჭინ შემდგომი ამბავი?

4. ის, რაც ამ ორ თავშია მოყოლილი, ან ეწინააღმდეგება წინათ თქმულს, ან კიდევ წინა სტროფებში მოკლედ და სხარტად, მხატვრულად თქმულის გაჭიანურებულ გადამღერებას წარმოადგენს. საილუსტრაციოდ მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი. თავი „ქორწილი ავთანდილისა და თინათინისა არაბთა მეფისგან" თავდება შემდეგი სტროფით:

> სამ თვეს ვლეს, — ღმერთსა მათებრივ სხვა რამცა დაებადოსა
> მოეგებნიან, მტერობა ვერავინ დაიჭადრა:
> მინდორსა შიგან სადილად გადახდეს უდილადოსა,
> ვითა მართებდა, პურობდეს, ღვინოსა სმიდეს, არ დოსა 1564.

ამ სტროფის მეორე სტრიქონიდან ჩანს, რომ ტარიელს ყველა ეგებებოდა, მას არავინ არ ემუქრებოდა, ესე იგი სამტროდ არავინ ალარ ერჩოდა. ამის შემდეგ კი მოცემულია მთელი თავი, სადაც მოყოლილია ტარიელის მიერ ხატაელთა დამორჩილების ამბავი. თუ არავინ ებრძოდა ტარიელს, დამორჩილება რაღა საჭირო იყო?

ამავე თავში, რომელსაც ეწოდა, „ტარიელისაგან ინდოეთს მისლვა და ხატაელთა დამორჩილება“, ადგილი აქვს რუსთაველის ერთხელ უკვე ნახმარი აფორიზმების მდარე გადამღერებას. ასე, მაგალითად, ამ თავში ვკითხულობთ:

ბრძენთა ვინმე მოსწაელემან საკითხავი ეხე ეპოვნე;
ესეაო მამაცისა მეტის-მეტი სიგულოვნე:
ოდეს მტერსა მოერიო, ნუღარ მოჰკლავ, დაიყოვნე;
გინდეს სრული მამაცობა, ესე სიტყვა დაიხსოვნე.

ეს ულამაზო, გაჭიანურებული სტრიქონები 461-ე სტროფის უდავო გადამღერებას წარმოადგენენ. თავში — „წიგნი ტარიელისა ინდოთ მეფის წინაშე და გამარჯვებით შემოქცევა“, ვკითხულობთ:

რამაზ მეფე მას წინაშე შეპყრობილი მოვიყვანე;
ტკბილად ნახა ხელმწიფემან, ვითა შვილი საკუთანე,
ორგული და მოღალატე ნამსახურსა დაეგვანე,
ესე არის მამაცისა მეტის-მეტი სიგულვანე 461.

ეს სტროფი რამოდენიმე ვარიაციითაა გადამღერებული ინდო-ხატაელთა ომის ამსახველ თავში. ასევე გაჭიანურებულადაა გადამღერებული რუსთაველისეული სტრიქონები მომნანიებელის შეცოდების შესახებ. ასეთი გადამღერების მაგალითების მოყვანა აქ მრავლად შეიძლებოდა, მაგრამ ესეც საკმარისია.

არ შეიძლება ყურადღება არ მიექცეს ტარიელისათვის უჩვეულო და უხამს გამოთქმებსა და ტონს, რომლითაც იგი მიმართავს ხატაელთა მეფეს. მართლაც, შეუფერებელია ტარიელისათვის ასეთი სიტყვები:

უბრძანა: წადით, რეგვენნო, თქვენ ჩვენგან გაფიცხებულნი,
აცნობეთ თქვენსა პატრონსა: მოვლენ გულითა ქებულნი.

ან კიდევ:

პირ-ბოზო, ჩემი მორევნა რა დია დაგიქადიან?

თუ შევადარებთ ამ ადგილს იმ დიპლომატიურ მიმოწერას, რომელიც გაიმართა ტარიელსა და რამაზ მეფეს შორის ომის დაწყების წინ, ან ომის დროს და ომის შემდეგ ტარიელისა და

რამაზ მეფის ურთიერთდამოკიდებულებას, ნათელი გახდება ის დიდი განსხვავება, რომელიც მათ შორის არსებობს. პირველ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს დახვეწილ დიპლომატიურ ენასთან, სახელმწიფო მოღვაწეთა ურთიერთდამოკიდებულებასთან, ხოლო „ვეფხისტყაოსნის“ ყალბ დაბოლოებაში გვხვდება ისეთი გამოთქმები, რომელიც წრფსგადასულ ადამიანებს შეჰფერით.

შემდეგ, ცრურუსთაველური სტროფი -- „პირ-ბოზო ჩემი მორევნა რა დია დაგიქადიან“ — წინააღმდეგობაშია ნამდვილ რუსთაველურ სტროფთან, რომელშიც ნათქვამია: „მოეგებიან, მტერობა **ვერავინ დაიქადოსა!**“ გავიხსენოთ, რომ ამის წინ რუსთაველი პირდაპირ აცხადებდა, რომ ტარიელს არავინ არ ემუქრებოდა, ხოლო დანართ თავში ნათქვამია, რომ ვითომც რამაზ მეფეს ტარიელის განადგურება დაექადოს, ასეთ შეუსაბამობას, ასეთ წინააღმდეგობას რუსთაველი, ცხადია, არ დაუშვებდა.

ამრიგად, ძალაში უნდა დარჩეს „ვეფხისტყაოსნის“ ის დაბოლოება, რომელიც ვახტანგ მეექვსეს აქვს მოცემული თავის გამოცემაში. „ვეფხისტყაოსნის“ ფინალი, საბოლოოდ, ასე გამოიყურება: არაბთა მეფე თინათინს და ავთანდილის ქორწილს გადაიხდის, რაც წარმოადგენს თინათინ-ავთანდილის სიუჟეტური ხაზის კვანძის გახსნას. ამის შემდეგ, 1546-ე სტროფიდან, რომელიც იწყება ავტორის სიტყვებით „რას ვაგრძელებდე?“ გვაქვს მოკლე ფინალი 36 სტროფის შემადგენლობით, რომელშიაც მოყოლილია, თუ როგორ გაემგზავრა სამი ძმადნაფიცი დიდი ლაშქრის თანხლებით ინდოეთში. იქ მათ ვერავინ ვერ გაუბედა შებრძოლება. ტარიელი და ნესტანი ტახტზე ავიდნენ, ფრიდონი და ავთანდილი თავ-თავის სამფლობელოებში დაბრუნდნენ. სამ სახელმწიფოს შორის მეგობრული დამოკიდებულება დამყარდა.

„ვეფხისტყაოსნის“ ბოლო სტროფები სწორედ ამაზე მეტყველებენ, აი, ეს სტროფებიც:

> მათ სამთავე ხელმწიფეთა ერთმანერთი არა სძულდეს,
> ერთმანერთსა ნახვიდიან, საწადელნი გაუსრულდეს,
> ბრძანებისა შემცილენი მათთა ხრმალთა და-ვე-წყლულდეს,
> მოიმატეს სამეფონი. გახელმწიფდეს, გამორჩმულდეს 1581.

ყოვლთა სწორად წყალობასა ვითა თოვლსა მოათოვდეს,
ობოლ-ქვრივნი დაამდიდრნეს და გლახაკნი არ ითხოვდეს,
ავთა მჭმნელნი დააშინნეს, კრავნი ცხვართა ვერ უწოვდეს,
შიგან მათთა საბრძანისთა თხა და მგელი ერთად სძოვდეს 1582.

ეს არის „ვეფხისტყაოსნის“ დამაგვირგვინებელი სტრიქონები და მათ შემდეგ რაიმე გაჯერძელების არსებობა წარმოუდგენელია.

აქ უნდა მთავრდებოდეს ჩვენს მიერ პოემის სიუჟეტის განხილვაც. მაგრამ, რადგან „ვეფხისტყაოსნის“ ჩვენამდე მოღწეულ ხელნაწერებში და გამოცემებში, ვახტანგისეული გამოცემის ჩათვლით, შეტანილია „დასასრული“ ხუთი სტროფის რაოდენობით, ჩვენ მოგვიხდება მასზე შეჩერება. ეს „დასასრული“ „ვეფხისტყაოსნის“ ეპილოგის როლს ასრულებს და მის შესახებ რუსთველოლოგიურ ლიტერატურაში ორი საწინააღმდეგო აზრი არსებობს. ერთნი ფიქრობენ, რომ იგი ნამდვილად რუსთაველის კალამს ეკუთვნის, ხოლო მეორენი ვინმე მესხი მელექსის შინაწერად აცხადებენ.

ჩვენ არა გვაქვს პრეტენზია, საბოლოოდ გადავჭრათ ის დავა, რომელიც ათეული წლების მანძილზე წარმოებს. ჩვენ მხოლოდ შევეცდებით, წამოვაყენოთ ზოგიერთი მოსაზრებანი ამ საკითხზე.

ჩვენი აზრით, ეპილოგი ეკუთვნის არა რუსთაველის კალამს, არამედ მიწერილია „ვეფხისტყაოსნის“ რომელიღაც გადამწერის მიერ. ასეთ დასკვნამდე, პირველ ყოვლისა, მივყევართ პროლოგისა და ეპილოგის შედარებით ანალიზს. თუ ჩვენ შევადარებთ ეპილოგის პირველ სტროფს პროლოგის იმ სტროფებს, რომლებშიც რუსთაველი თავისი ნაწარმოების გმირებზე ლაპარაკობს, მათ შორის დიდ განსხვავებას დავინახავთ.

ეპილოგში ვკითხულობთ:

გასრულდა მათი ამბავი, ვითა სიზმარი ღამისა.
გარდახდეს, გავლეს სოფელი, — ნახეთ სიმუხთლე ქამისა 1583!

ეს სტრიქონები, ეს ინტონაცია არ შეიძლება ეკუთვნოდეს თვითონ ავტორს, რომლისთვისაც მახლობელია ნაწარმოების

გვირები. ასე შეუძლია დაწეროს მხოლოდ ადამიანმა არა თავისი, არამედ სხვისი ნაწარმოების გმირების შესახებ.

პროლოგში რუსთაველი სულ სხვა დამოკიდებულებას ამჟღავნებს თავისი ნაწარმოების გმირებისადმი. იგი მათ ისე უყურებს, როგორც მახლობლებს, როგორც თავის „მეს“ ნაწილს და როდესაც მათზე ლაპარაკობს, მათთან თავის დამოკიდებულებასაც ამჟღავნებს. პროლოგში ჩანს, რომ ავტორი საკუთარი ხელით შექმნილ გმირებზე ლაპარაკობს, ეპილოგის ავტორი კი ცივად მსჯელობს სხვის მიერ შექმნილ გმირებზე.

ამას გარდა, ეპილოგის პირველი სტროფის უკანასკნელ სტრიქონში ამ მინაწერის ავტორი დაუფარავად აცხადებს, რომ იგი, ვინმე მესხი მელექსე, რუსთაველის მაგივრად სწერს. ამ სიტყვების აზრი იმდენად ნათელია, რომ მათში ეჭვის შეტანა შეუძლებელია.

ასევე, არა ავტორის, არამედ გარეშე პირის დამოკიდებულება იგრძნობა ტარიელისადმი ეპილოგის უკანასკნელ სტროფში.

აი ეს ცრუ-რუსთაველური სტროფი:

ამირან დარეჯანის ძე მოსეს უჭია ხონელსა,
აბდულ-მესია — შაათელსა, ლექსი მას უქეს რომელსა,
დილარგეთ — სარგის თმოგველსა, მას ენა-დაუშრომელსა,
ტარიელ — მისსა რუსთველსა, მისთვის ცრემლ-შეუშრომელსა 1587.

აქ, როგორც ვხედავთ, ვილაც პირი, რომელსაც საერთო არაფერი აქვს „ვეფხისტყაოსანთან“, ცდილობს, გამოავჟღავნოს თავისი ცოდნა სხვადასხვა ცნობილი ლიტერატურული ნაწარმოებისა და ასახელებს მათ ავტორებს. ალსანიშნავია, რომ ამ მინაწერის ავტორი რუსთაველს ერთ რიგში აყენებს სხვა მწერლებთან და ყველა მათდამი ერთნაირ დამოკიდებულებას იჩენს. ამ სტროფის უკანასკნელი სტრიქონი რომ რუსთაველის ყოფილიყო, ეწერებოდა: „მე, რუსთაველმა შევაქე ტარიელი“ და არა „რუსთაველმა შეაქო“. ეს ნათელი ხდება ეპილოგის ამ სტრიქონის პროლოგის ანალოგიურ სტრიქონთან შედარებით. პროლოგში ვკითხულობთ:

მო, დავსხდეთ ტარიელისთვის ცრემლი გვდის შეუშრობელი,

ან:

დავჯე, რუსთველმან გაელექსე, მისთვის გულ-ლახვარ-სობილი.

ეპილოგის უკანასკნელი სტრიქონი აქ მოტანილი ადგილის ულაზათო პერიფრაზირებას წარმოადგენს, გაკეთებულს გარეშე პირის მიერ.

ეპილოგის დანარჩენ სამ სტრიქონშიც ადგილი აქვს პროლოგის ზოგიერთი სტრიქონის პერიფრაზირებას და ეს პერიფრაზი ისე უშნოდაა გაკეთებული, რომ „ვეფხისტყაოსნის" ჰეშმარიტ სტროფებში გამოთქმულ აზრსაც კი ეწინააღმდეგება.

ასე, მაგალითად, პესიმიზმითა და უიმედობით აღსავსე ეპილოგის მეოთხე სტროფი დიამეტრალურად ეწინააღმდეგება რუსთაველის ოპტიმისტურ, აქტიური ბრძოლის მოწადინებელ მსოფლმხედველობას.

ყოველივე ზემოთქმულიდან მხოლოდ ერთი დასკვნა შეიძლება გაკეთდეს: ეპილოგი რუსთაველს არ ეკუთვნის და მას ძირითად ტექსტთან კავშირი არა აქვს და თუ დავტოვებთ მას, უნდა დავტოვოთ, როგორც ისტორიული ხასიათის მინაწერი.

## თავი მეორე

## „ვეფხისტყაოსნის“ კომპოზიცია

### 1. „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგი

როგორც ცნობილია, ნაწარმოების შემადგენელი ცალკეული ნაწილების თავისებურ განლაგებას და ურთიერთშეფარდებას კომპოზიციას ანუ მხატვრულ აგებულებას უწოდებენ.

მხატვრული ნაწარმოების კომპოზიცია ყოველთვის გაპირობებულია ძირითადი იდეით, რომელიც საფუძვლად უდევს ნაწარმოებს. კომპოზიციური ხერხები კი ძირითადი იდეის ნათელყოფის საქმეს ემსახურება.

რუსთაველის „ვეფხისტყაოსანს“ ძალზე რთული და ამავე დროს დახვეწილი კომპოზიცია აქვს. ამ დიდი ეპიკური ნაწარმოების რომელიმე ამბის გადაადგილება ან ამოღება მისი მთელი არქიტექტონიკის დანგრევას ნიშნავს.

„ვეფხისტყაოსნის“ კომპოზიციის სწორ ანალიზს დიდი მნიშვნელობა აქვს რუსთაველის გენიალური ქმნილების იდეური არსის გაგებისათვის.

თვითონ რუსთაველს კარგად ესმოდა მის წინ დასმული ამოცანის სირთულე. ისიც ესმოდა, რომ მისი ნაწარმოები, შესაძლოა, მის თანამედროვეებს სწორად არ გაეგოთ, ან განზეც დაემახინჯებინათ და სხვადასხვა არასწორი მითქმა-მოთქმის საგნად ექციათ. ამის თავიდან აცილებლად მან თავის ნაწარმოებს პროლოგი წაუმძღვარა.

„ვეფხისტყაოსნის“ პროლოგის შესახებ მკვლევართა შორის აზრთა დიდი სხვადასხვაობაა. რუსთველოლოგთა ერთი ნაწილი თვლის, რომ დასაწყისი ანუ პროლოგი რუსთაველს არ

ეკუთვნის, მას არაფერი საერთო არა აქვს „ვეფხისტყაოსანთან“ და მიწერილია შემდეგში, რომელიღაც გადამწერის მიერ

ეს აზრი ყველაზე ნათლად გამოთქმული აქვს დ. კარიჭაშვილს „ვეფხისტყაოსნის“ წინასიტყვაობაში. „წინასიტყვაობას“ და „ბოლოსიტყვაობას“ არავითარი საერთო აქვთ თვით თხზულების მოთხრობასთან, არამედ თვითონ ეს ნაწილები ცალკე არაფერს ერთიანს არ წარმოადგენენ და როგორც წინასიტყვაობის, ისე ბოლოსიტყვაობის ტაეპები სხვადასხვა პირთაგან და სხვადასხვა დროს უნდა იყვნენ დაწერილნი“[1]. ცოტა ქვემოთ კი დ. კარიჭაშვილი პროლოგის შესახებ ისეთ დასკვნას აკეთებდა, თითქოს პოემის წინასიტყვაობის სტროფებს შორის „არ არის არავითარი სერიოზული აზრი, რომელიც გადიოდეს თავიდგან ბოლომდე, იგი შედგება სხვადასხვა ნაკუწებისაგან სხვადასხვა საგნების შესახებ, რომელთაც არავითარი კავშირი არა აქვთ ერთმანეთში“.

თითქმის იგივე აზრი გაიმეორა კ. კეკელიძემ 1924 წელს. მაშინ იგი წერდა: „პროლოგი დიამეტრალურად ეწინააღმდეგება თვით პოემას, ის წარმოადგენს კრებულს სხვადასხვა შინაარსის ტაეპებისას, რომელთაც არც ერთმანეთში აქვთ მტკიცე ლოგიკური კავშირი და არც რომანთან“ [2].

რუსთაველის მკვლევართა მეორე ჯგუფი თუმცა ხელაღებით არ უარყოფს პოემის პროლოგს, მაგრამ მისი შემადგენელი სტროფების მეხსიერებას ყალბად აცხადებს, ან კიდევ ზოგიერთ სტროფს თვითნებურად ასწორებს და აჯგუფებს. ამ მკვლევართა რიცხვს ეკუთვნიან ალ. სარაჯიშვილი და აკადემიკოსი ნ. მარი. ასე, მაგალითად, აკად. ნიკო მარმა ყალბად გამოაცხადა პროლოგის 1, 8, 20, 21, 22, 28, 31 სტროფები და შემდეგი თანმიმდევრობით დაალაგა სტროფები: 1, 3, 18, 19, 4, 5, 10, 9, 6, 7, 11, 24, 20, 27, 21, 31, 28, 30, 29, 23, 25, 26,

---

1 შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი. 4 პორტრეტით და 21 სურათით, მეცხრამეტე გამოცემა დ. კარიჭაშვილის წინასიტყვაობით, შენიშვნებით და ვრცელი ლექსიკონით, ტფილისი, 1903 წ.

2 კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, 1924, გვ. 89.

22, 12, 13, 14, 15, 16, 17 (ნუმერაცია აღებულია 1937 წლის საიუბილეო გამოცემიდან).

ბოლო ხანებში ეს თვალსაზრისი გაიზიარა აკად. კ. კეკელიძემ. მისი მოსაზრებით, პროლოგის შემადგენელი სტროფების რიგი დაახლოებით ასეთი უნდა ყოფილიყო: 1, 2, 4, 19, 8, 3. 6, 12, 13, 15 — 17, 11, 20 — 27, 9. როგორც ვხედავთ, თუმცა აკად. კ. კეკელიძემ უარყო პროლოგის შესახებ 1924 წელს გამოთქმული თავისი შეხედულება, მაგრამ მაინც ყალბად გამოაცხადა 9 სტროფი — 5, 7, 10, 14, 18, 28, 29, 30, 31 [1].

სად უნდა ვეძიოთ მიზეზი პროლოგისადმი ზოგიერთი მკვლევარის სკეპტიკური, ნიჰილისტური დამოკიდებულებისა? და თუ ისინი ცდებიან, სად არის მათი შეცდომის სათავე?

პროლოგისადმი ასეთი უარყოფითი დამოკიდებულების ძირითადი მიზეზი არის ის, რომ მას განიხილავენ მთელი პოემისგან მოწყვეტით და ვერ ხედავენ იმ ორგანულ კავშირს, რომელიც არსებობს პროლოგსა და პოემას შორის.

პროლოგის პოემისაგან მოწყვეტილად განხილვისას მრავალი სტროფი გაუგებარი ხდება მკვლევართათვის და ამიტომ ამ სტროფებს ისინი ყალბად აცხადებენ.

მკვლევართა ის ნაწილი, რომელიც იძულებულია აღიაროს პროლოგის რუსთაველისეულობა, ზერელედ უკავშირებს მას „ვეფხისტყაოსანს“, ვერ ხედავს მათს ორგანულ კავშირს. მკვლევართა ეს ნაწილი „ვეფხისტყაოსნის“ შესავალს უყურებს, როგორც რუსთაველის მიერ ფორმალურად ვალის მოხდას იმ საერთო ტრადიციის წინაშე, რომელიც შეინიშნება სამუალო საუკუნეების პოემებში. მაგალითად, აკად. კ. კეკელიძის აზრით, „სამუალო საუკუნეთა პოემების შესავალში ჩვეულებრივ სამი ელემენტი იყო დაკანონებული: 1. ღვთისადმი მიმართვა, 2. პოეტის თანამედროვე მეფისა ან მეცნიერის პირდაპირი თუ არაპირდაპირი მოხსენიება, 3. მოკლე ისტორიულ-ლიტერატურული ხასიათის ცნობებთან ერთად დასახელება ავტორის, პოემის ჟანრისა და სხვ., 4. მსჯელობა ზოგიერთ განყენებულ, თეორიულ საგანზე. ყოველ ეჭვს გარე-

[1] ქართული ლიტერატურის ისტორია, 1958, გვ. 110.

შეა. ამგვარი ელემენტები, თითო-ოროლა სტროფით, ჩვენი პოემის შესავალშიც უნდა ყოფილიყო"[1].

ამრიგად, აკად. კ. კეკელიძე ამ წინასწარ აღებული ტრაფარეტით უდგებოდა პოემის შესავალს და მის მიხედვით ახდენდა სტროფების გადაჯგუფებას. ამით იგი შესავალს პოემასთან კავშირში კი არ განიხილავდა, არამედ სწყვეტდა მას პოემას.

მკვლევართა ნაწილი, თუმცა საკმაოდ მორიდებულად, მაგრამ მაინც, ცდილობს დაამყაროს კავშირი შესავალსა და პოემას შორის და დაინახოს შესავალში გამოთქმული ზოგიერთი დებულების განხორციელება პოემაში (ალ. ბარამიძე, გ. ნადირაძე და სხვ.). ისინი პროლოგს თვლიან რუსთაველის კალმის ნაყოფად, რომელშიაც პოეტმა მკითხველს გააცნო თავისი თეორიული დებულებები პოეზიის, მეგობრობისა და მიჯნურობის შესახებ.

მაგალითად, პროფ. შალვა ნუცუბიძე 1958 წელს რუსულ ენაზე გამოცემულ წიგნში — „რუსთაველის შემოქმედება". პროლოგსა და „ვეფხისტყაოსანს" შორის მხოლოდ ასეთ ურთიერთკავშირს ხედავს: „Если ко вступлению подойти как введению в содержание поэмы, то между ними связи, действительно, нет, но если понять Вступление как поэтику, как изложение некоторых принципов того, какие элементы поэтического творчества предусмотрены поэтом в качестве предмета воспевания, тогда делается ясным, что между Вступлением и поэмой имеется прямая и неразривная связь как раз по линии поэтического творчества»[2].

როგორც ამ ციტატიდან ჩანს, პროფ. შ. ნუცუბიძე უშუალო კავშირს არ ხედავს პოემის შინაარსსა და პროლოგს შორის, მიაჩნია რა იგი მხოლოდ რუსთაველის პოეტიკის იმ ზოგიერთი პრინციპების გადმოცემად, რომლითაც პოეტი ხელმძღვანელობდა „ვეფხისტყაოსნის" დაწერისას. ამრიგად, პროფ.

---

[1] კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, თბ., 1958 წ. გვ. 109.

[2] Ш. Нуцубидзе. «Творчество Руставели», 1958 წ.. გვ. 304—305.

შ. ნუცუბიძე პოემასთან მხოლოდ ცალმხრივ კავშირში განიხილავს პროლოგს.

ასეთია მოკლედ მდგომარეობა, რომელიც არსებობს რუსთველოლოგიაში პროლოგის შესწავლის საქმეში. ჩვენი აზრით, პროლოგსა და პოემას შორის კავშირი უფრო ღრმა და ორგანულია, ვიდრე ეს წარმოდგენილია თანამედროვე რუსთველოლოგების შრომებში. ჩვენი თვალსაზრისი ზოგადად შემდეგი ორი დებულებით შეიძლება გამოიხატოს: პროლოგი ანუ შესავალი დაწერილია რუსთაველის მიერ და იგი ორგანულ კავშირშია თვით პოემასთან; პროლოგში გამოთქმული ყველა დებულება ნაწარმოების იდეაზე, თემაზე, მიზანდასახულობაზე, იმ ხერხებზე და საშუალებებზე, რომლითაც იგი ახორციელებს მის წინაშე მდგარი ამოცანის გადაჭრას, უნაკლოდ განხორციელებულია პოემაში.

პროლოგს, როგორც ცნობილია, ავტორები იმისათვის წაუმძღვარებენ ხოლმე ნაწარმოებს, რომ მკითხველისათვის უფრო ნათელი გახადონ ნაწარმოების დედააზრი და წინასწარ აღკვეთონ მისი არასწორად გაგების შესაძლებლობა. ეს ხომ თავისებური განმარტებაა იმისა, რაც მოცემულია თვით ნაწარმოებში.

ჩვენი აზრით, საკითხის ასე დაყენება მეთოდოლოგიურად უფრო გამართლებულია და უკეთესი შედეგები უნდა მოგვცეს, ვიდრე პროლოგის ხელაღებით უარყოფამ ანდა პოემისა და პროლოგის ცალ-ცალკე განხილვამ.

შესავალში რუსთაველი მთელი გარკვეულობით აცხადებს, რომ მისი მიზანია თამარ მეფის შექება და რომ მან ამისათვის ეპიური ჟანრი აირჩია. იგი აღნიშნავს აგრეთვე, რომ ტარიელისთვის ცრემლის დაღვრა, მისი თავგადასავლის გულთან ახლოს მიტანა, მისდამი თანაგრძნობის გამოჩენა თამარის ქებას ნიშნავს, რომ მიჯნურობა და მეგობრობა ის ხერხებია, რომლითაც იგი თამარს ადიდებს.

ამრიგად, შესავალი იდეურად და კომპოზიციურად დაკავშირებულია თვით პოემასთან და მის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

ამა თუ იმ მხატვრული ნაწარმოების კომპოზიციის განხილვისას მკვლევარს მხედველობაში უნდა ჰქონდეს შემდეგი:

მწერალი რომელიმე ამბის გარშემო უყრის თავს ცხოვრებისეულ მასალას, ეპიზოდებს. განსაზღვრული თანამიმდევრობით გადმოგვცემს და ძირითადი იდეის შესატყვისად ხაზგასმას ცალკეული მათგანის მოცულობას. ამას ლიტერატურის თეორიაში ეწოდება მოქმედების განვითარების თავისებურება. ძველი ბერძნები, მათ შორის არისტოტელეც თავის „პოეტიკაში“ მოითხოვდა, რომ მხატვრულ ნაწარმოებში მოქმედება ერთი რომელიმე ამბის გარშემო განვითარებულიყო. ამას იგი მოქმედების განვითარების ერთიანობას უწოდებდა. არისტოტელეს აზრით, ამბავი არც იმდენად დიდი მოცულობის უნდა ყოფილიყო, რომ მკითხველს მისი მთლიანობაში აღქმა და წარმოდგენა გასჭირვებოდა, და არც იმდენად მცირე, რომ მას სათანადო ზემოქმედება ვერ მოეხდინა მსმენელზე.

აი, რას წერს ამის შესახებ არისტოტელე: „შემდეგ, ვინაიდან მშვენიერი ცხოველი და ყოველი საქმე შედგენილია რაღაც ნაწილებისაგან, მას არა მარტო ესენი უნდა ჰქონდეს მწყობრად დალაგებული, არამედ სიდიდეც უნდა ჰქონდეს არაშემთხვევითად, სიმშვენიერე ხომ სიდიდეში და წყობაშია, რის გამო მშვენიერი ცხოველი ვერ იქნებოდა ძალიან მცირე საგანი, ვინაიდან მისი ჭვრეტა ძალიან დაუახლოვდებოდა გრძნობით შეუმჩნეველ სივრცის ჭვრეტას. ძალიან დიდი საგანიც აგრეთვე ვერ იქნებოდა მშვენიერი, ვინაიდან მისი ჭვრეტა ერთბაშად ვერ განხორციელდებოდა და მჭვრეტელებს ჭვრეტის გარეშე დაურჩებოდათ ასეთი საგნის ერთობა და მთლიანობა... ამრიგად, როგორც უსულო სხეულსა და ცხოველებს უნდა ჰქონდეთ გარკვეული სიდიდე. ხოლო ეს სიდიდე ადვილად განსაჭვრეტი უნდა იყოს, სწორედ ასეთ ამბებსაც უნდა ჰქონდეს გარკვეული სიგრძე, ხოლო ეს სიგრძე ადვილად დასამახსოვრებელი უნდა იყოს... სიდიდის მხრივ უკე-

თესია გრძელი ამბავი, თუ ამით არ ზიანდება თვალსაჩინოება[1].

„ვეფხისტყაოსანში“ გადმოცემული ამბავი, როგორც თვითონ შოთა რუსთაველი ამბობს, „გრძლად ნათქვამს“ წარმოადგენს, მაგრამ ისეთ „გრძლად ნათქვამს“, რომელშიც დაცულია ის ზომიერება, რომლის შესახებაც არისტოტელეს „პოეტიკაშია“ ლაპარაკი.

თუმცა „ვეფხისტყაოსანში“ ორი ამბავია გადმოცემული (არაბეთისა და ინდოეთის მეფის კარზე მომხდარი ამბები), მაგრამ მიუხედავად ამისა, მასში მოქმედების ერთიანობასთან გვაქვს საქმე.

ეს რომ ჩვენთვის ნათელი გახდეს, გავიხსენოთ არისტოტელეს აზრი ნაწარმოებში მოქმედების ერთიანობის შესახებ: „ამბავი (ფაბულა) არის ერთობლივი არა იმის გამო, რომ იგი, როგორც ზოგიერთები ფიქრობენ, ერთის შესახებ არის მოთხრობილი... ჰომეროსი კი, რომელიც სხვა საკითხებშიც გამოირჩევა, ამ საკითხში, როგორც ჩანს, კარგად ერკვეოდა ან რაიმე თეორიის ან თავისი ბუნებრივი ნიჭის გამო. როდესაც ჰომეროსი თხზავდა ოდისეას, მის ამბავში (ფაბულაში) არ შეუტანია ყველაფერი, რაც ოდისევსს შეემთხვა: მაგალითად, არ შეუტანია ის, თუ როგორ დაიჭრა ოდისევსი პარნასზე, თუ როგორ მოიგონა მან შეშლილობა ჭრილობის დროს, ვინაიდან არც აუცილებლობა, არც ალბათობა არ მოითხოვდა ამას... ოდისეას ყველა შემთხვევა ჰომეროსმა შეკრიბა ერთი საქმის გარშემო იმ აზრით, რომლითაც ჩვენ ვლაპარაკობთ, ამნაირადვე მოიქცა იგი ილიადაში. ამრიგად, როგორც სხვა მიმბაძველ ხელოვნებაში ერთი მიბაძვა არის ერთის მიბაძვა, ისე ფაბულაც, რამდენადაც იგი მოქმედების მიბაძვაა, არის ერთისა და იმავე მთელის ასახვა, ხოლო ცალკეული ნაწილები ისე არიან ურთიერთშორის შეწყობილი, რომ, თუ ერთი ნაწილი ან გადასმული ან ამოღებული იქნა, მაშინ მთელიც გამოიცვლება და წაბორძიკდება, ხოლო ის, რის მიმატებას ან გა-

[1] არისტოტელე, პოეტიკა, გვ. 17 — 18.

მოკლებას არავითარი სინათლე არ შეაქვს ნაწარმოებში, მთელის არავითარ ნაწილსაც არ შეადგენს"[1].

არისტოტელეს მიერ ჰომეროსის შესახებ თქმული მთლიანად შეიძლება განვავრცოთ შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანზეც".

აქაც მოქმედების საოცარ ერთიანობასთან გვაქვს საქმე. „ვეფხისტყაოსნის" არც ერთი ეპიზოდის გადაადგილება ან გამოკლება არ შეიძლება. ყველა ეპიზოდი ერთი აზრის ნათელყოფას ემსახურება.

„ვეფხისტყაოსანში" გადმოცემულ ამბავთა განხილვისას იგრძნობა ორ სხვადასხვა ქვეყანაში მომხდარი ამბების დაპირისპირების ტენდენცია. ერთი თვალის გადავლებითაც ნათელი ხდება, რომ ინდოეთის სამეფო კარზე მომხდარი ამბები შემთხვევით არაა ჩართული პოემაში, არამედ განზრახ დაპირისპირებულია არაბეთთან. შედარება და დაპირისპირება ადვილი და მართებული რომ იყოს, ორივე სიუჟეტურ ხაზს ერთნაირი ექსპოზიცია აქვს — როსტევანსაც და ფარსადანსაც მემკვიდრე ძე არა ჰყავთ, ერთადერთი ქალის გარდა. როგორც თინათინს, ისე ნესტან-დარეჯანს მიჯნურები ჰყავთ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მათ მიჯნურებს სახელმწიფოში ერთნაირი პოსტები უკავიათ — ავთანდილი სპასპეტია, ხოლო ტარიელი — ამირბარი.

ორი სიუჟეტური ხაზის დაპირისპირებისათვის აუცილებელი იყო ერთნაირი ექსპოზიციის მქონე ამბების ჩვენება, რადგან შედარება მხოლოდ მსგავსისა შეიძლება, მათგან უკეთესის განსაზღვრის მიზნით.

ამრიგად, როგორც არაბეთში, ისე ინდოეთში თითქმის ერთნაირი სიტუაციაა შანამ, სანამ წამოიჭრება საკითხი იმის შესახებ, თუ ვინ უნდა იყოს ტახტის მემკვიდრე. აქ უკვე იმის მიხედვით, თუ რომელმა მეფემ როგორ გადაჭრა ეს საკითხი, ორ სხვადასხვა სიუჟეტურ კვანძთან გვაქვს საქმე. როსტევანმა თავისი ერთადერთი ქალი დასვა ტახტზე და მას ყველა მეფური უფლება მიანიჭა, თუმცა ერთგვარ ჰოპმანს მაინც აქვს ადგილი. ფარსადანი პირიქით მოიქცა: მან არ სცნო

[1] არისტოტელე, პოეტიკა, გვ. 19 — 20.

შესაძლებლად ქალის გამეფება და მის დაუკითხავად გათხოვება დაუპირა. ამ არასწორი გადაწყვეტილების გამო ინდოეთში დიდი ტრაგედია დატრიალდა.

ამრიგად, რუსთაველი პოემის ძირითადი იდეის ნათელსაყოფად ფრიად საინტერესო კომპოზიციურ ხერხს მიმართავს: ორი ამბის — ნეგატიურის და პოზიტიურის დაპირისპირებას. ნეგატიურია ინდოეთში მომხდარი ამბები, ხოლო პოზიტიური — არაბეთში.

პოემაში ძირითად სიუჟეტურ რკალს ჰქმნის როსტევანის სამეფო კარის ცხოვრებასთან დაკავშირებული ამბები — როსტევანის მიერ თინათინის გამეფება და თინათინისა და ავთანდილის მიჯნურობა; ავთანდილის თავგადასავალი, დაკავშირებული ტარიელის ამბის გაგებასთან და ნესტანის პოვნასთან, რითაც დამტკიცდა თინათინის მეფობის კანონზომიერება და ავთანდილის სწორუპოვრობა; ბოლოს, თინათინისა და ავთანდილის ქორწილი.

ასეთია „ვეფხისტყაოსნის“ ძირითადი სიუჟეტური რკალი, რომელიც მთელ პოემას მოიცავს. იგი იწყება თინათინის გამეფებით, მისთვის საქმროს ძებნით და მთავრდება მრავალი წინააღმდეგობის დაძლევის შემდეგ თინათინისა და ავთანდილის შეუღლებით.

ამ ძირითად სიუჟეტურ რკალში ჩართულია ინდოეთის მეფის, ფარსადანის კარზე გათამაშებული ტრაგედია — ნესტანდარეჯანის და ტარიელის ამბავი.

თუ ჩვენ ნესტან-ტარიელის ამბავს ძირითადი სიუჟეტური რკალის გარეშე განვიხილავთ, იგი სავსებით დასრულებული სიუჟეტის მქონე ნაწარმოებად წარმოგვიდგება, რომელსაც ავთანდილ-თინათინის ამბისაგან დამოუკიდებლად ყველა სიუჟეტური ელემენტი აქვს — ექსპოზიცია, კვანძი, მოქმედების განვითარება, კულმინაცია და კვანძის გახსნა.

მოცულობის მხრივ უნდა აღინიშნოს, რომ ტარიელ-ნესტანის თავგადასავალი მთელი პოემის მხოლოდ მეოთხედს შეადგენს და იგი აუცილებელ, მაგრამ ჩართულ ამბავს წარმოადგენს „ვეფხისტყაოსნის“ მთლიან სიუჟეტურ რკალში.

რაც შეეხება ფრიდონთან და ფატმანთან დაკავშირებულ

ეპიზოდებს, ისინი კომპოზიციურად ამ ორი სიუჟეტური ჯაჭვის შემაერთებელი რგოლის როლს ასრულებენ. მაგალითად, ფატმანი რომ არ ყოფილიყო, ნესტან-დარეჯანს შავი მონები სამუდამოდ გადაჰკარგავდნენ, ისე დამალავდნენ, რომ მისი ძიძებნა შეუძლებელი იქნებოდა, ხოლო ფრიდონი რომ არ ყოფილიყო, ავთანდილი ნესტანის კვალს ვერ მიაგნებდა.

გარდა კომპოზიციური კავშირისა, ორ სიუჟეტურ ხაზს შორის შინაგანი ლოგიკური კავშირიც არსებობს, რაც გამოიხატება მოქმედების და იდეის ერთიანობაში. ორივე სიუჟეტური ხაზი ერთი და იმავე კითხვის ნათელყოფის საქმეს ემსახურება. კერძოდ, კანონიერია თუ არა ქალის მეფედ დასმა და მისთვის ყველა მეფური უფლების მინიჭება? ამ კითხვაზე შეიძლება იყოს ორი პასუხი: უარყოფითი და დადებითი. ამ საკითხის უარყოფითად გადაჭრამ ინდოეთში დიდი ტრაგედია გამოიწვია, საიდანაც კეთდება ერთადერთი ლოგიკური დასკვნა, ეს საკითხი დადებითად უნდა გადაიჭრას, ისე, როგორც ამას ადგილი აქვს არაბეთში. ამ ორი სიუჟეტური ხაზის ვათვალისწინებით „ვეფხისტყაოსნის“ მკითხველს საშუალება ეძლევა დასკვნის გაკეთებისა, თუ რა არის ცუდი და რა არის კარგი, რა არის დადებითი და რა არის უარყოფითი. ამრიგად, რუსთაველი ბნელი ფონის ჩვენებით ნათელს ამკვიდრებს, ბოროტის ჩვენებით სიკეთის სიდიადეს ჰქადაგებს.

მიუხედავად ორი სიუჟეტური ხაზის არსებობისა, პოემაში მოქმედების ერთიანობასთან გვაქვს საქმე, რაც გამოიხატება იმაში, რომ ორივე სახელმწიფოში ბრძოლა და კონფლიქტია ქალის გამეფებისა და მისთვის შეუზღუდავი სამეფო უფლებების მინიჭების ირგვლივ. ამან თავისი კონკრეტული გამოვლენა ჰპოვა, ერთი მხრივ, თინათინის და ავთანდილის მიჯნურობაში და იმ ეპვების განქარვებისათვის ბრძოლაში, რომელიც მათს შეუღლებას ხელს უშლიდა და მეორე მხრივ, ნესტანისა და ტარიელის მიჯნურობაში და იმ წინააღმდეგობების დაძლევაში, რომელიც მათი შეუღლების საქმეს წინ გადაეღობა.

ამრიგად, „ვეფხისტყაოსნის“ ამ კომპოზიციურ ხერხში,

რაც ორი სიუჟეტური ხაზის დაპირისპირებაში მდგომარეობს, ნათლად ჩანს ნაწარმოების მთავარი იდეა.

ამ იდეის ნათელყოფის საქმეს ემსახურებიან ასეთი სიუჟეტური ხერხებიც, როგორიცაა შემადგენელი ნაწილების განლაგება, თანმიმდევრობა და თანაზომიერება.

თუმცა „ვეფხისტყაოსანი“ ქრისტეს ამბების აღწერით იწყება, მაგრამ ქრონოლოგიურად თინათინის გამეფების აქტს წინ უსწრებს ნესტანისა და ტარიელის ტრაგიკული თავგადასავლის ის ნაწილი, რომელიც ინდოეთში გათამაშდა ფარსადანის არასწორი გადაწყვეტილების გამო. პოემაში მასალის ქრონოლოგიურად ასეთი განლაგება, ცხადია, შემთხვევითი არ არის, არამედ განსაზღვრული მიზნითაა გაპირობებული.

ინდოეთში დაშვებული შეცდომის შედეგად გამოწვეული ტრაგედიის ჩვენებას არაბეთში ასეთივე შეცდომის დაშვება უნდა გამოერიცხა და გაემართლებინა თინათინის ტახტზე დასმის მართებულება.

ამ კომპოზიციური ხერხის გამოყენებით რუსთაველი ეუბნება მკითხველს: ხედავთ, ასეთ შემთხვევას უკვე ჰქონდა ადგილი ინდოეთის სინამდვილეში, მან დიდი უბედურება გამოიწვია და ახლა მოქცევა არაბეთშიც, ამ საბედისწერო შეცდომის განმეორება იქნებოდა.

კომპოზიციურად სრულიად მართებულად იქცევა რუსთაველი, როდესაც ნესტანის ქაჯეთის ციხიდან გამოხსნის შემდეგ თავისი გმირები ჯერ არაბეთში მიჰყავს, ხოლო შემდეგ ინდოეთში; თუმცა ერთი შეხედვით, ჯერ უნდა ინდოეთში წასულიყვნენ, რადგან იქ მძიმე მდგომარეობა იყო შექმნილი. თავისი გმირების ჯერ არაბეთში და შემდეგ ინდოეთში მიყვანით ავტორი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ძირითადი სიუჟეტური ხაზი მაინც თინათინ-ავთანდილის ამბავია, ხოლო ტარიელ-ნესტანის ამბავი დამხმარე როლს ასრულებს ძირითადი იდეის ნათელყოფის საქმეში.

ძირითადი იდეის ნათელყოფისათვის რუსთაველი ფართოდ იყენებს ისეთ კომპოზიციურ ხერხს, როგორიცაა პოემის შემადგენელ ნაწილთა მოცულობითი თანაფარდობა. „ვეფხისტყაოსანში“ ზოგიერთი ეპიზოდები ძალზე დაწვრი-

ლებითაა აღწერილი, და ამბავს, რომელიც რამდენიმე საათში ხდება, ასეული სტროფი აქვს მიძღვნილი. მაგალითისათვის საკმარისია გავიხსენოთ ის თავები, რომლებიც დაკავშირებულია ავთანდილის არაბეთიდან წასვლასთან. საშაგიეროდ რუსთაველი სამი წლის განმავლობაში ავთანდილის მიერ ტარიელის ძებნასთან დაკავშირებულ ამბებს მხოლოდ რამდენიმე სტროფით გადმოგვცემს. ასევე ძალზე მოკლედ და საერთო ხაზებშია გადმოცემული ტარიელის მიერ ნესტანის ძებნის ამბავი.

ამ შემთხვევაში ერთი ამკარა ტენდენცია იგრძნობა: რუსთაველი მხოლოდ იმ ეპიზოდებზე ამახვილებს ყურადღებას და დაწვრილებით აღწერს, რომლებიც ქალის მეფედ ყოფნის იდეის ნათელყოფის საქმეს ემსახურებიან.

ეს გარემოება კიდევ ერთხელ აქარწყლებს იმ მკვლევართა შეხედულებას, რომლებიც „ვეფხისტყაოსანს“ რაინდულ-სათავგადასავლო რომანად აცხადებენ.

„ვეფხისტყაოსანი“ რომ რაინდულ-სათავგადასავლო რომანი ყოფილიყო, როგორც ეს ზოგიერთ მკვლევარს ეგონა, და ზოგიერთს ახლაც ჰგონია, მაშინ რუსთაველის პოემაში უფრო მეტი ადგილი ეჭნებოდა დათმობილი ავთანდილის მიერ ტარიელის ძებნის სამი წლის თავგადასავალს, ან კიდევ ტარიელის მიერ ნესტან-დარეჯანის ძებნის ისტორიას. რუსთაველმა კი ეს ამბები რამდენიმე სტროფით და საკმაოდ საერთო ხაზებში გადმოგვცა. ეს კიდევ ერთი საბუთია იმისა, რომ „ვეფხისტყაოსანი“ სათავგადასავლო-რაინდული რომანი კი არ არის, არამედ დიდ ისტორიულ ფონზე გაშლილი ეპოპეაა.

### 8. მოქმედების განვითარების დრო „ვეფხისტყაოსანში“

მხატვრული ნაწარმოების კომპოზიციის ერთ-ერთ კომპონენტს წარმოადგენს მოქმედების განვითარების დრო.

„ვეფხისტყაოსნის“ კომპოზიციის განხილვისას დიდი მნიშვნელობა აქვს იმის გათვალისწინებას თუ როგორია ამა თუ იმ ეპიზოდში მოქმედების განვითარების ხანგრძლივობა და რა

ურთიერთთანაფარდობა არსებობს დროის ხანგრძლივობის მხრივ ეპიზოდებს შორის.

თეიმურაზ შოთა რუსთაველი თავის ეპოპეაში დროის ფაქტორს დიდ მნიშვნელობას ანიჭებს და ზუსტად მოგვითხრობს, თუ რამდენ ხანს გრძელდებოდა ესა თუ ის ამბავი და რომელი ამბავი რომელს უსწრებს წინ.

„ვეფხისტყაოსნის“ მოქმედების განვითარების დროის განხილვისას ჩვენ შევეცდებით გადავჭრათ შემდეგი საკითხები:

1) რამდენი ხანი გავიდა თინათინის გამეფების დღიდან ავთანდილისა და თინათინის შეუღლებამდე?

2) რამდენმა ხანმა გაიარა ნესტან-დარეჯანის გატაცების დღიდან ტარიელისა და ნესტან-დარეჯანის ინდოეთში გამეფებამდე.

3) რა დრო იყო გასული ნესტან-დარეჯანის გატაცებიდან მაშინ, როდესაც ტარიელი ნახეს ნადირობის დროს ჩოხატელვანმა და ავთანდილმა.

4) რამდენ წელს მოიცავს მოქმედების განვითარების ხანგრძლივობა „ვეფხისტყაოსანში“?

5) წლის რომელ დროში წარმოებდა ამა თუ იმ ეპიზოდის მოქმედების განვითარება?

პირველ კითხვაზე პასუხის გაცემა დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს, რადგან „ვეფხისტყაოსანი“ ამისათვის საკმაო მასალას იძლევა.

1) თინათინის არაბეთის ტახტზე გამეფების დღიდან ავთანდილისა და თინათინის შეუღლებამდე გავიდა 6 წელიწადზე ცოტა მეტი. ეს ნათელი ხდება, თუ გავითვალისწინებთ, რომ **ერთი წლის** განმავლობაში უცხო მოყმეს ეძებდნენ როსტევანის მიერ გაგზავნილი კაცები: **სამ წელს** მოუნდა ავთანდილი ტარიელის გამოქვაბულის პოვნას, იქიდან არაბეთში მობრუნებას და ისევ ტარიელთან მეორედ მისვლას; **ერთი წელი** დაეხარჯა ავთანდილს, რათა ნესტან-დარეჯანი ეპოვნა და ტარიელთან უკან დაებრუნებულიყო; თუმცა „ვეფხისტყაოსანში“ არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, თუ რამდენი ხანი დასჭირდათ ძმადნაფიცებს ნესტან-დარეჯანის ქაჯეთის ციხიდან გამოსახსნელად და არაბეთში დასაბრუნებ-

ლად, მაგრამ ერთი ცხადია, რომ არანაკლებ იმ დროისა, რამდენიც ავთანდილს დასჭირდა ტარიელის გამოქვაბულიდან გულანშარომდე და გულანშაროდან ტარიელის გამოქვაბულამდე მისვლა-მოსვლისათვის, ანუ ერთი წელიწადი.

ამრიგად, პირველი სიუჟეტური რკალი, რომელიც იწყება არაბეთში თინათინის ტახტზე დასმით და მთავრდება თინათინისა და ავთანდილის შეუღლებით, მოიცავს ექვს წელიწადს.

2) ნესტან-დარეჯანის ხვარაზმის მეფის შვილზე გათხოვების გადაწყვეტილების მიღებიდან ნესტანისა და ტარიელის იწდოეთში გამეფებამდე გასული დროის დადგენისას უნდა გვახსოვდეს, რომ იწდოეთში გათვამშებული ამბები და ტარიელის მიერ დაკარგული მიჯნურის ძიებასთან დაკავშირებული ეპიზოდები ქრონოლოგიურად წინ უსწრებენ არაბეთში თინათინის გამეფების ამბავს, თუმცა ისინი „ვეფხისტყაოსანში“ რუსთაველის მიერ შემდეგ არის გადმოცემული.

ამიტომ ჯერ უნდა გაირკვეს, რა დრო იყო გასული ნესტან-დარეჯანის გატაცების დღიდან ავთანდილისა და ტარიელის პირველად შეხვედრამდე. ამის შემდეგ ადვილი იქნება „ვეფხისტყაოსნის“ მეორე სიუჟეტური რკალის მოქმედების განვითარების ხანგრძლივობის გარკვევა, რადგან ავთანდილისა და ტარიელის პირველი შეხვედრის შემდეგ ნესტანისა და ტარიელის ქორწინებამდე გასული დრო ჩვენთვის უკვე ცნობილია.

ნესტან-დარეჯანის გატაცების შემდეგ ტარიელმა თორმეტი თვე ანუ ერთი წელიწადი თავისი დაკარგული სატრფოს ძებნაში ისე გაატარა, რომ ზღვიდან ნაპირზე არ გადმოსულა. წლის თავზე ხმელეთზე გადმოსული ტარიელი ფრიდონს შეხვდა, ხოლო ფრიდონმა თავის მხრივ აცნობა ტარიელს გამოქვაბულიდან მასთან მისულ ავთანდილს, რომ მან ტარიელის შესახებ უკვე შვიდი წელიწადია არაფერი არ იცის: „ფრიდონ ტირის, მოსთქვამს ხმა-მაღლა გაყრილი წლისა შვიდისა“ 994.

მაშასადამე, იმ მომენტისათვის, როდესაც ავთანდილი და ფრიდონი პირველად შეხვდნენ ერთმანეთს, ნესტან-დარეჯანის გატაცებიდან 8 წელიწადზე მეტი გასულა, უნდა ვიგარაუდოთ

ცხრა წლამდე, რადგან ტარიელი ფრიდონთან კარგა ხანი დარჩა, ვიდრე ფრიდონის მიერ ყოველ მხრივ გაგზავნილი მენავენი ამაოდ ცდილობდნენ ნესტან-დარეჯანის ამბის გაგებას.

თუ ამ ცხრა წელიწადს მივუმატებთ იმ ერთ წელიწადს, რომელიც ავთანდილს დასჭირდა ნესტან-დარეჯანის აღმოსაჩენად და ამ ამბის ტარიელისათვის შესატყობინებლად, და აგრეთვე ერთ წელიწადსა და სამ თვეს, რომელიც მოანდომეს ნესტანის გამოხსნას და ჰულღაზანზარში დაბრუნებას, დეეთა გამოქვაბულში შევლას, არაბეთში მისვლას და იქიდან სამ თვეში ინდოეთში მობრუნებას, გამოვა, რომ ნესტან-დარეჯანის გატაცებიდან ინდოეთის ტახტზე ნესტანისა და ტარიელის გამეფებამდე 11 წელიწადია გასული.

ამრიგად, თინათინ-ავთანდილის სიუჟეტური რკალი, რომელიც პოზიტიურ ამბებს მოიცავს, გაშლილია ექვსი წლის მანძილზე.

ნესტან-დარეჯან-ტარიელის სიუჟეტური რკალი, რომელიც ეპოპეაში გაშლილი ამბების ნეგატურ მხარეს წარმოადგენს, მოიცავს 11 წელიწადს.

ამასთან ერთად, ორივე სიუჟეტური რკალის ამბები ორი უკანასკნელი წლის განმავლობაში მჭიდრო ურთიერთ კავშირში მიმდინარეობენ. თუ აქამდე ეპოპეაში მოქმედების განვითარება ორპლანიანი იყო, ბოლო ორი წლის განმავლობაში ერთდროულად ხდება.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ნესტან-ტარიელის სიუჟეტური რკალის მოქმედების განვითარების დროის ხანგრძლიობა დადგენამ საშუალება მოგვცა, „ვეფხისტყაოსანში“ აღმოგვეჩინა ერთ-ერთი სტროფის სიყალბე, რომელიც აქამდეც მკვლევართა ეჭვს იწვევდა.

1610-ე სტროფში ვკითხულობთ: „დაიკარგენით, წახვედით თქვენ, წელნი მეათენია“. როგორც ზემოთ დავადგინეთ, ტარიელის ინდოეთიდან წასვლის შემდეგ მის დაბრუნებამდე გავიდა არა ცხრა წელი, როგორც ეს ინტერპოლიატორს ჰგონია, არამედ თერთმეტი.

რადგან ამ სტროფში დასახელებული დრო არ შეესაბამება იმ ფაქტიურ დროს, რომელიც გასულია „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით, ამიტომ იგი წინააღმდეგობაშია ნაწარმოებთან და

ისეთ ინტერპოლაციას წარმოადგენს, რომელშიც დაშვებულია საკმაოდ უხეში შეცდომა.

ინტერესს არ არის მოკლებული იმის დადგენა, თუ რამდენი დრო იყო გასული ნესტან-დარეჯანის გატაცების დღიდან იმ მომენტისათვის, როდესაც როსტევანმა და ავთანდილმა ტარიელი ნახეს ნადირობის დროს.

ამის შესახებ თუმცა არაფერია ნათქვამი „ვეფხისტყაოსანში“, მაგრამ იმის შემდეგ, რაც განვსაზღვრეთ ორივე სიუჟეტური რკალის მოქმედების განვითარების დროის ხანგრძლიობა, უცხო მოყმის ძრაბეთში მოხვედრის მიახლოვებითი თარიღის დადგენაც შესაძლებელი ხდება.

თუ ნესტან-დარეჯანის გატაცებიდან ინდოეთში ტარიელისა და ნესტანის დაბრუნებამდე 11 წელია გასული, ხოლო ავთანდილისა და ტარიელის პირველი შეხვედრიდან ნესტანისა და ტარიელის გამეფებამდე ექვსი წელი გავიდა, მაშინ გამოდის, რომ როსტევანმა და ავთანდილმა ტარიელი ნახეს ნესტანის გატაცებიდან 5 წლის შემდეგ.

ისიც უდავოა, რომ ეს მოხდა მას შემდეგ, რაც ტარიელმა მულღაზანზარი დატოვა და უკვე დევების გამოქვაბულში სახლობდა, ეს იქიდან ჩანს, რომ ტარიელი უკვე ფრიდონისეულ ცხენზე იჯდა და თან არც მონები ახლდა და არც აბჯარი.

დასადგენია, თუ რამდენი დრო იყო გასული მულღაზანზარიდან ტარიელის წამოსვლის შემდეგ, როდესაც იგი როსტევანმა და ავთანდილმა წყლის პირას მტირალი ნახეს?

როდესაც ტარიელის გამოქვაბულიდან წამოსული ავთანდილი ფრიდონთან მივიდა, ტარიელის პირველად ნახვიდან გასული იყო ოთხი წელიწადი და ოთხმოცი დღე. ფრიდონმა ავთანდილს განუცხადა, რომ იმის შემდეგ, რაც ტარიელი მისგან წავიდა, შვიდი წელი იყო გასული. შვიდ წელს რომ ოთხი წელი და 80 დღე გამოვაკლოთ, გამოდის, რომ როდესაც როსტევანმა და ავთანდილმა წყლის პირს მტირალი მოყმე ნახეს, ფრიდონისაგან იგი არა უმეტეს 2 წლის და ორას ოთხმოცი დღის წასული იყო. ამას თუ მივუმატებთ იმ დროს, რომელიც ტარიელმა, ხოლო შემდეგ ფრიდონის მიერ ყოველ მხარეს გაგზავნილმა მენავეებმა მოანდომეს ნესტანის ძებნას, გამოვა, რომ, როდესაც ტარიელი არაბეთში ნახეს როსტევანმა და ავთან-

ღილმა. ნესტანის მოტაცებიდან დაახლოებით ხუთი წელი იყო გასული.

ქრონოლოგიურად „ვეფხისტყაოსანში“ აღწერილი ამბები შემდეგნაირად ვითარდებოდა:

ნესტან-დარეჯანის გატაცების შემდეგ, ერთი წლის განმავლობაში ზღვაში „გაალაგდა“ ტარიელი. 12 თვის ზღვა-ზღვა ცურვის შემდეგ იგი პირველად გადმოვიდა ნაპირზე ფრიდონის სამეფოს დედაქალაქთან. ფრიდონთან ერთად ტარიელმა ერთ წლამდე დაჰყო. ამ ხნის განმავლობაში ფრიდონის მიერ ყოველ მხარეს გაგზავნილი მენავეები ეძებდნენ ნესტან-დარეჯანის კვალს. როდესაც მენავეები ხელცარიელი დაბრუნდნენ, ტარიელმა დატოვა მულღაზანზარი და ველად გაიჭრა. ფრიდონთან დაშორების შემდეგ, არა უგვიანეს 2 წლისა და 280 დღისა, როსტევანმა და ავთანდილმა წყლის პირს მტირალი მოყმე ნახეს.

ნესტან-დარეჯანის გატაცებიდან ხუთი წლის გასვლის შემდეგ, ხოლო ფრიდონისა და ტარიელის დაშორებიდან არა უგვიანეს 2 წლისა და 280 დღის შემდეგ, პირველად შემოიყვანა რუსთაველმა ტარიელი ეპოპეაში.

ამას მოსდევს ამბავი როსტევანის გმუნვისა. ერთი წელი როსტევანის მონებმა ამაოდ ეძებეს ტარიელი. შემდეგ ავთანდილი სამი წლით მიდის ტარიელის საძებრად. სამი წლის განმავლობაში მან იპოვა ტარიელი, დაბრუნდა არაბეთში და მეორედ მივიდა ტარიელის გამოქვაბულში.

ერთი წელი მოანდომა ავთანდილმა ნესტან-დარეჯანის ამბის გაგებას და ტარიელის გამოქვაბულში უკან მისვლას.

ამის შემდეგ კიდევ ერთი წელი დასჭირდათ ავთანდილს, ფრიდონსა და ტარიელს, რათა ნესტან-დარეჯანი ქაჯეთის ციხიდან გამოეხსნათ, დაბრუნებულიყვნენ მულღაზანზარში, ენახათ ისევ ტარიელის გამოქვაბულები.

ორი თვე მოუნდებოდნენ ისინი ტარიელის გამოქვაბულიდან არაბეთში მისვლას, ხოლო არაბეთიდან ინდოეთამდე, როგორც ცნობილია, სამ თვეში მივიდნენ. ერთ თვეს ტარიელი და ნესტან-დარეჯანი არაბეთში დარჩნენ.

ამრიგად, „ვეფხისტყაოსნის“ მოქმედების განვითარების დრო თერთმეტ წელს აღემატება.

ასეთია იმ ამბების ქრონოლოგიური თანმიმდევრობა, რომლებიც თერთმეტი წლის განმავლობაში გათამაშდა ნესტან-დარეჯანის გატაცების დღიდან ინდოეთში ნესტანისა და ტარიელის გამეფებამდე.

ახლა ვცადოთ დაზუსტება, თუ წლის რომელ დროში მიმდინარეობს „ვეფხისტყაოსანში“ აღწერილი ესა თუ ის ეპიზოდი?

ამ პრობლემის გადაჭრა დიდ სიძნელეს წარმოადგენს, ჯერ ერთი იმიტომ, რომ „ვეფხისტყაოსანში“ იშვიათად მოიპოვება პირდაპირი მითითებები იმის შესახებ, თუ წლის რომელ დროში ხდება ესა თუ ის მოქმედება, მეორე მხრივ, მკვლევრებს სხვადასხვანაირად ესმით ის ტაეპები, რომლებშიც წლის ამა თუ იმ დროზეა ლაპარაკი. პირდაპირი მითითება იმის შესახებ, თუ წლის რომელ დროში წარმოებს მოქმედება „ვეფხისტყაოსანში“, მხოლოდ იმ ეპიზოდებში გვაქვს, რომლებიც დაკავშირებულია ტარიელთან ავთანდილის მეორედ მისვლასა და მის მიერ ნესტანის მოძებნის შემდეგ ქვაბში დაბრუნებასთან, ამიტომ ამ პრობლემის გადაჭრა სწორედ ამ ეპიზოდების განხილვით დავიწყოთ.

ავთანდილმა მეორედ დატოვა არაბეთის საზღვრები და ისევ შეზვდა ტარიელს. ნესტან-დარეჯანის საძებნად წასვლის წინ იგი შემდეგი სიტყვებით მიმართავს ტარიელს:

> ამის მეტსა არას გუუკევ: წელიწადსა ერთსა მსგეფსსა
> აქა ქვაბსავ მომნახვიდე მე, ამბავთა ყოველგნით მკრეფსა:
> ამა ჟამსა ნიშნად მოგცემ, დროსა ამას ვარდ-იეფსა.
> ვარდთა ნახვა გაგაკრთობდეს, მართ ვითამცა ძაღლი ყეფსა 925.

(„ამის მეტს არაფერს არა გთხოვ: ერთი წლის შემდეგ ამ დღის სწორს შემხვდი მე, ყოველგნით ამბავთა შემკრეფელს; ეს დრო, როდესაც ვარდი ბევრია, ნიშანი იყოს ჩვენი შეხვედრისა. ვარდის ნახვა ისე გაგაკრთობდეს, გამოგაფხიზლებდეს, როგორც ძაღლის ყეფა აფხიზლებს ადამიანს“).

ასევე ესმის ეს სტროფი თეიმურაზ ბაგრატიონსაც. იგი თავის კომენტარებში წერს: „926/936“.

**4. ვარდთა ნახვა გაგაკრთობდეს, მართ ვითარცა ძაღლი ჰყეფსა**—ძაღლი პატრონთანა მყოფი, ოდეს უცხოსა ვისმე მოსულსა იხილავს, ანუ თვალითა დაინახავს და ანუ ფერხის ხმასა ზედა სცნობს, მისვლასა ვისსამე, ანუ სუნითა სცნობს და მა-

შინ პატრონი მისი იგრძნობს, რომ მოვიდა ვინმე უცხო მოყვარე, ანუ მტერი, ამის მსგავსადაო ავთანდილ ეუბნება ტარიელს, ეს ვარდი იყოს შენი შემატყობინებელი ჩემის მოსვლისაო...“[1] როგორც ვხედავთ, თეიმურაზ ბაგრატიონი თელის, რომ „ძაღლის ყეფა“ ამ სტროფში რუსთაველს შედარების მიზნით აქვს ნახმარი: ვარდის დანახვამ ტარიელი ისე უნდა გამოაფხიზლოს, როგორც ძაღლის ყეფამ. ასევე ესმით ეს ადგილი აკად. შალვა ნუცუბიძეს და სხვებსაც.

ჩვენ ამ სტროფის გარჩევაზე ასე დეტალურად იმიტომ ვჩერდებით, რომ მას დიდი მნიშვნელობა აქვს იმის დასადგენად, თუ წლის რომელ დროში შეხვდნენ დევთა გამოქვაბულში ტარიელი და ავთანდილი მეორედ და მესამედ. ამ სტრიქონის გაგებაში მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობა არსებობს.

ასე მაგალითად, გამოთქმული არის აზრი თითქოს ამ სტროფის მეოთხე სტრიქონი შემდეგნაირად იკითხებოდეს:

ამა ჟამსა ნიშნად მოგცემ, დროსა ამას ვარდ-იეფსა,
ვარდთა ნახვა გაგაკრთობდეს, მართ ვითამცა ძაღლი ყეფსა.

ვამშვიდებთ: ავთანდილის მობრუნების, ანუ შეხვედრის დროს იყო ვარდთა იეფობა, ანუ სიმრავლე, როდესაც ვარდნი ყველაზე ბევრნი არიან, და როცა ისმის ძაღლის ყეფა, ანუ ცაზე პირველად ვარსკვლავი სირიუსის გამოჩენა, რაც 23 ივლისს ხდება.

ამრიგად, ამ ვარაუდით ავთანდილმა ტარიელს ერთი წლის თავზე შეხვედრის ვადად 23 ივლისი დაუნიშნა. ეს აშკარა შეცდომა გამომდინარეობს 925-ე სტროფის მეოთხე სტრიქონის არასწორი ინტერპრეტაციიდან. ჩვეულებრივი ძაღლის ყეფა, რომელზედაც რუსთაველი ლაპარაკობს, ჭოფაკის თანავარსკვლავედში მყოფი მთავარი ვარსკვლავის, სირიუსის გამოჩენად არის მიჩნეული.

სინამდვილეში კი ამ სტროფის მიხედვით ავთანდილი ტარიელს მეორედ ერთი წლის შემდეგ, მაისის ბოლოს ან ივნისის

1 თეიმურაზ ბაგრატიონი, განმარტება პოემა „ვეფხისტყაოსნისა“, თბ. 1960 წ. გვ. 163.

ძუა რიცხვებში უნდა შეხვედროდა. ამაზე ლაპარაკობს თუნდაც სტრიქონი „ამა ჟამსა ნიშნად მოგცემ დროსა ამას ვარდ-იეფსა“, საიდანაც ჩანს, რომ ავთანდილი და ტარიელი მეორედ ერთმანეთს უნდა შეხვედროდნენ იმ დროს, იმ თვეში, როდესაც ვარდის მთავარი ყვავილობაა. ვარდის მასიური ყვავილობა კი აზიის კონტინენტის ზომიერ სარტყელში და საქართველოშიც მაისის მეორე ნახევარსა და ივნისის პირველ ნახევარზე მოდის. ამიტომ ძველად საქართველოში მაისს „ვარდობისას“ უწოდებდნენ.

სულხან-საბა ორბელიანი თავის ლექსიკონში სიტყვა „ვარდობისას“ შემდეგ განმარტებას იძლევა: „ვარდობისა მაისი BC (8, 9 სეთერ) (ივნისი) [(ნ. მაისი) (თთვესთანაც)]“, ხოლო სიტყვა „მაისი“ განმარტებულია, როგორც „ვარდობისა“ [1].

ეტყობა, სიტყვა „ვარდობის“ საბასეულ განმარტებას ეყრდნობოდა პროფ. შალვა ნუცუბიძეც, როდესაც მან 936-ე სტროფის მესამე სტრიქონი „ამა ჟამსა ნიშნად მოგცემ, დროსა ამას ვარდ-იეფსა“ რუსულად თარგმნა:

«Знак нам—это время года, время роз и месяц май».

როგორც ვხედავთ, თუმცა რუსთაველს არა აქვს ნახმარი სიტყვა მაისი, მაგრამ მთარგმნელმა საჭიროდ ჩასთვალა, გაეშიფრა „ვარდ-იეფობის დრო“ და მისი შესატყვისი მაისი ტექსტში შეეტანა.

ამრიგად, შეგვიძლია დავასკვნათ: 1) ავთანდილი ტარიელის გამოქვაბულიდან ნესტან-დარეჯანის საძებნად მაისის მეორე ნახევარში ან ივნისის დასაწყისში წავიდა. 2) ავთანდილმა ფიცი მისცა ტარიელს, რომ ერთი წლის თავზე იგი აუცილებლად დაბრუნდებოდა გამოქვაბულში ვარდის ყვავილობისას, ანუ მაისის ბოლოს ან ივნისის დასაწყისში. 3) სირიუსის ცაზე გამოჩენა აქ არაფერ შუაშია. ძაღლის ყეფა, რომელზედაც ლაპარაკია ზემოთ განხილულ სტროფში, არავითარ კავშირში არ არის დიდი ქოლაქის თანავარსკვლავედთან.

დროის შესახებ მითითება „ვეფხისტყაოსანში“ მეორედ ვაშინ გვაქვს, როდესაც ავთანდილი გულანშაროდან წამოსასვლელად ემზადება. 1299-ე სტროფში ვკითხულობთ:

---

[1] სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, 1926 წ. გვ. 116.

ფატმანს უთხრა: გამხარულდა ქამარ საქმე საწადელი,
დიდი შენი ჰირ-ნახული ჩემგან არის გარდუხდელი,
წავალ, დგომად აღარა მცალს, დრო მოსრული შარშანდელი,
ფ-ცხელ ქაჯეთს მოვიყვანო მათი მომსპობ-ამწყვედელი.

ჯერ განვიხილოთ, როგორ ესმით ეს სტროფი რუსთაველის მკვლევართ.

ზოგნი ფიქრობენ: „წავალ, დგომად აღარა მცალს, დრო მოსრულა შარშანდელი“.

ამით ავთანდილი ამბობს: წელიწადი მისრულდება, რაც ტარიელი დავტოვე. რომდის დატოვა ავთანდილმა ტარიელი ურთი წლის ვაღით? ავთანდილმა ტარიელი დატოვა ივლისის 23-ს. ეს ცხადია თავისთავად, რადგან ავთანდილი ტარიელს ეუბნება: წელიწადის მსგეფს მოვალო, ანუ ერთი წლის შემდეგ, ამავე დღეს მოვბრუნდებიო, — და ამ ერთი წლის გასვლის ნიშანი იყო „ძაღლის“ ყეფა, ესე იგი, ცაზე სირიუსის გამოჩენა, რაც 23 ივლისს ხდება. აი, ამ 23 ივლისის შესახებ ამბობს ავთანდილი — დრო მოსრულა შარშანდელიო. მაშასადამე: ავთანდილის ქვაბიდან წასვლის შემდეგ უკვე ერთი წელიწადი სრულდება.

როგორც ვხედავთ, ამ მოსაზრების მიხედვით, როდესაც ავთანდილი ამბობს — „დრო მოსრულა შარშანდელი“, გულისხმობს იმ დროს, როდესაც იგი ტარიელს განშორდა, ანუ 23 ივლისს.

ასევე, არასწორადაა გაგებული 1315-ე სტროფიც. სადაც აგრეთვე რუსთაველი იძლევა მითითებას იმის შესახებ, თუ წლის რომელ დროში წარმოებს მოქმედება. აი, ეს სტროფიც:

მოწურვილ იყო ზაფხული, ქვეყნად ამოსვლა მწვანისა,
ვარდის ფურცლობის ნიშანი, დრო მათის პაემანისა,
ეტლის ცვალება მზისაგან, შეჯდომა სარატანისა;
სულთქმა რა ნახა ყვავილი მან, უნახავმან ხანისა.

ამ ადგილს ერთი ავტორი ასე განმარტავს: „გამორკვეულად მგონია, რომ აქ ზოდიაკო სარატანი არაა ნაგულისხმევი. მაშა-

სადამე, მზემ გამოიცვალა ზოდიაკო ლომი (მზე ჯდება ლომზე 23 ივლისს და გადმოხტება 22 აგვისტოს), ახუ მზემ დატოვა ლომის ზოდიაკო 22 აგვისტოს; შეჯდა მომდევნო ზოდიაკოზე, რომელსაც ჰქვია „ქალწული“. ეს შესვლა მზისა ზოდიაკოში „ქალწული“ ხდება 23 აგვისტოს და მისი აქ ყოფნა გრძელდება 21 სექტემბრამდე. აი, ეს ზოდიაკო ქალწული არის ვ-ტნის ზოდიაკო **საროს ტანი“** [1].

ამ ვარაუდით, ავთანდილს ტარიელთან მისვლა შეეძლო მხოლოდ 21 სექტემბრამდე.

1. ავთანდილი ტარიელის გამოქვაბულიდან ნესტან-დარეჯანის საძებრად წავიდა 23 ივლისს ცაზე სირიუსის გამოჩენის ჟამს.

2. ერთი წლის შემდეგ ამავე დროს იგი ვითომ ფატმანისაგან შემობრუნდა, დატოვა გულანშარო და ტარიელის გამოქვაბულისკენ გაემართა.

3. ავთანდილი ტარიელის გამოქვაბულში ნესტანის ამბის გაგების შემდეგ მხოლოდ 21 სექტემბერს დაბრუნდა.

4. ამ მოსაზრების მიხედვით ავთანდილმა ტარიელისადმი მიცემულ სიტყვას უღალატა და პაემანისათვის დანიშნულ დროს ორი თვით გადააცილა. აქ მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოებაც, რომ ამ საკმაოდ დაუსაბუთებელი ვარაუდით ავთანდილის მიერ დანიშნული პაემანი ერთ თვეზე მეტით გადაიწია 23 ივლისის აღიარებით.

დავიწყოთ სიტყვა „სარატანის“ მნიშვნელობის განსაზღვრით. ტრადიციულად ამ სიტყვის ძირითადად ორგვარი წაკითხვა არსებობს: „საროს ტანი“ და „სარატანი“. შევეცდებით გავარკვიოთ, რომელი მათგანია უფრო მართებული.

ვახტანგ VI მიერ 1712 წელს გამოცემულ „ვეფხისტყაოსანის“ ტექსტში იკითხება „საროს ტანი“, მაგრამ ამ სიტყვის განმარტებისას, თარგმანის ერთ-ერთ ეგზემპლარში გვაქვს „საროსტანი“ (Д), ხოლო მეორე О ეგზემპლარში „საროტანი“. როგორც ეტყობა, „ბეჭდვის პროცესში შეუმჩნევიათ დაშვებული შეცდომა და მომდევნო ეგზემპლარებში ჩაუსწორებიათ კიდეც. თუმცა თვითონ „ვეფხისტყაოსანში“ ეს სიტყვა შეც-

დომითაა დაწერილი, მაგრამ მისი მნიშვნელობა ვახტანგ VI თავის თარგმანში სწორად ესმის და სწორადაც აქვს განმარტებული. ვახტანგისეულ თარგმანში ვკითხულობთ: „საროსტანი“ კირჩხიბსა ჰქვიან (ჩტიჱ)“ [1].

მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ვახტანგისეულ თარგმანში განმარტებული სიტყვა „საროტანი“, მაინც შეცდომას შეიცავს. იქ „საროტანის“ მაგივრად უნდა იყოს „სარატანი“. ეს შეცდომა პირველად აკად. ნ. მარმა შენიშნა და გაასწორა 1917 წელს გამოქვეყნებულ შრომაში.

მისსავე აზრს იზიარებს პროფ. ვ. ბერიძეც: „ცხადზე უცხადესია, — ამბობს იგი, — თავდაპირველად იქ, სადაც ადგილას, „სარატანი“ იქნებოდა და არასგზით „საროს ტანი“; ეს უკანასკნელი მერმინდელ „კეთილშენაძენად“ უნდა ჩაითვალოს. გადამწერს სიტყვის მნიშვნელობა არ სცოდნია და იგი დაახლოებით მისგვარადვე გახმიანებულ სიტყვებით (საროს ტანისა) შეუცვლია [2].

ზ. ავალიშვილიც თვლის, რომ „ვეფხისტყაოსნის“ 1304-ე სტროფში უნდა იკითხებოდეს **სარატანისა** და არა **საროს-ტანისა**:

„რუსთაველის ქმნილებაში (1315) ვკითხულობთ:

მოწურვილ იყო ზაფხული, ქვეყნით ამოსვლა მწვანისა,
ვარდის ფურცლობის ნიშანი, დრო მათის პაემანისა,
ეტლის ცვალება მზისაგან შეჯდომა სარატანისა...

აქ „ეტლის ცვალება მზისაგან“ იმას ნიშნავს, რომ მზე მსარჩბივის ზოდიაკის სტოვებს და კირჩხიბის (არაბულად—სარატანი) ვარსკვლავთკრებულში შედის, რაიცა 21 ივნისს ხდება. და ზაფხულიც ხომ მაშინ იწყება [3].

ამრიგად, რუსთველოლოგების მეტი ნაწილი იმ აზრისაა, რომ განხილულ სტროფში უნდა იყოს „სარატანისა“ ნაცვლად „**საროს-ტანისა**“.

---

1 შოთა რუსთაველი, ვეფხის ტყაოსანი, ვახტანგისეული გამოცემა 1712 წელს, ტფ, 1937 წ. გვ. 381.

2 ვეკ. ბერიძე, რუსთველოლოგიური ეტიუდები, თბ., 1961 წ., გვ. 51.

3 ზ. ავალიშვილი, ვეფხისტყაოსნის საკითხები, პარიზი, 1931, გვ. 20.

„სარატანი“, როგორც დაინახეთ, შინაარსობრივად გამართლებულია.

იმის შემდეგ, რაც გამოვარკვიეთ, რომ 1328-ე სტროფში უნდა იყოს „სარატანისა“ და არა „საროს-ტანისა“. ვნახოთ, თუ როგორ ესმით მკვლევარებს ამ სადავო სიტყვის მნიშვნელობა და მთლიანად ამ სტროფის მესამე სტრიქონი.

როგორც ზემოთ გამოირკვა, მიუხედავად არაზუსტი და სხვადასხვა დაწერისა, სადავო სიტყვა „სარატანი“ ვახტანგ VI და მის მომდევნო მკვლევართ ესმოდათ როგორც კირჩხიბი. ასე, მაგალითად, თეიმურაზ ბაგრატიონი თავის კომენტარებში წერდა:

„3. **ეტლის ცვალება მზისაგან, შეჯდომა საროს ტანისა**—რა დაახლოვდების გამოცვლითა მზისაგან ეტლისა, ანუ ბურჯთა ზაფხულისა და სხვათა დროთა (საროს [166 p] ტანი კირჩხიბი არისო). ვახტანგ მეფის განმარტებაში არის“ [1].

ვახტანგ VI-ის და თეიმურაზ ბაგრატიონის შემდეგ ამ სიტყვის ასეთი გაგება გაიზიარეს ი. აბულაძემ, ს. კაკაბაძემ, კ. ჭიჭინაძემ და სხვებმა.

ამ სიტყვის ტრადიციული/გაგების წინააღმდეგ ილაშქრებს მეორე მოსაზრება, რომლის მიხედვითაც უნდა იკითხებოდეს „**საროს ტანისა**“. ამ სიტყვის ქვეშ იგი გულისხმობს არა კირჩხიბის ზოდიაკოს, არამედ ზოგიაკო „ქალწულს“.

ახლა გავეცნობილოთ ამავე სტროფის კიდევ ერთი სიტყვა, რომლის მნიშვნელობაც სადავოდ გახადეს: „ვეფხისტყაოსნის“ 1328-ე სტროფის პირველ სტრიქონში წერია:

„მოწურვილ იყო ზაფხული, ქვეყნად ამოსვლა მწვანისა“. სიტყვა „მოწურვილ იყო“ გაგებულია როგორც გათავებული, „დასრულებული“. „ამგვარად, სადაო ლექსი ასე განიმარტება — ლექსი პირველი: მოწურვილი იყო ზაფხული, ესე იგი დასრულებული იყო ზაფხული...

ტრადიციულად კი ეს სიტყვა მკვლევართა უმეტესობას ესმის, როგორც—„მოახლოებული იყო ზაფხული“.

---

[1] თეიმურაზ ბაგრატიონი, განმარტება პოემა ვეფხისტყაოსნისა, თბ., 1960, გვ. 246.

სიტყვა „მოწურვილს“ დ. კარიჭაშვილი და იუსტ. აბულაძე[1] განმარტავენ, როგორც მოახლოებას.

ამრიგად, ეს სტროფი

მოწურვილ იყო ზაფხული, ქვეყნად ამოსვლა მწვანისა.
ვარდის ფურცლობის ნიშანი — დრო მათის პაემანისა,
ეტლის ცვალება მზისაგან, შეჯდომა სარატანისა;
სულთქმა, რა ნახა ყვავილი მან, უნახავმან ხანისა —

შემდეგნაირად უნდა გვესმოდეს: მოახლოებული იყო ზაფხული. შემდეგ რუსთაველი იძლევა იმის განმარტებას, თუ რამდენად იყო მოახლოებული ზაფხული, მოახლოებული იყო ქვეყნად ამოსვლა მწვანისა, ესე იგი, როდესაც რუსთაველი ლაპარაკობდა ზაფხულის მოახლოებაზე, მაშინ შუა გაზაფხული იყო, დაახლოებით, მარტის ბოლო ან აპრილის დასაწყისი.

ზოგიერთს ამ სტრიქონის ასეთი ინტერპრეტაციის წინააღმდეგ შემდეგი მოსაზრება მოჰყავს: „მართალია ზაფხული იწყება 21 ივნისს, მაგრამ, იწყება ამ ზაფხულის დამდეგთან ერთად ქვეყნად ამოსვლა მწვანისა“?—აი საკითხი, რომელიც გადაუდებელ პასუხს მოითხოვს და სწორედ ამ პასუხს ვეძებ“ და, ამ კითხვაზე იგი პასუხობს: „შესაძლებელია განა, რომ ივნისის მოახლოებისას ხდებოდეს მიწიდან მწვანის ამოსვლა? ეს შეუძლებელია“, თან დასძენს: „სარატანის ზოდიაკოში მზე შედის 21 ივნისს; ამ 21 ივნისს კი ზაფხული არამც თუ მოახლოებულია და არამც თუ მიწიდან მწვანის ამოსვლა იწყება, არამედ ზაფხული უკვე დაწყებულია და მწვანის ამოსვლა დასრულებულია“.

ამ მსჯელობის მცდარობის სათავე თვით საკითხის არასწორად დასმაშია. საქმე იმაშია, რომ რატომღაც 1315-ე სტროფის პირველ სტრიქონში ზაფხულის მოახლოებასა და ქვეყნად მწვანის ამოსვლას შორის იგივეობის ნიშანია დასმული, ვითომ რუსთაველი აქ ამბობდეს, მოახლოდა ზაფხული და მწვანე ამოვიდაო. ეს ასე არ არის: ზაფხულის მოახლოება ქვეყნად მწვანის ამოსვლასთან აქ არავითარ მიზეზობრივ კავშირში არ არის,

[1] შოთა რუსთაველი, „ვეფხისტყაოსანი“, სახელგამი, 1937, გვ. 373.

იმ დროს, როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ, მოახლოებული იყო ზაფხული, თუ მარტი ან აპრილის დასაწყისია, მაშინ ქვეყნად ჯერ მწვანე არ არის ამოსული და ეს მოვლენაც წინ არის, მოახლოებულია, ისევე როგორც ზაფხულიც. ზაფხულისა და ქვეყნად მწვანის ამოსვლის ერთდროულობაზე „ვეფხისტყაოსნის“ ამ სტრიქონში არავითარი ნიშანწყალი არ არის. აქ მხოლოდ ნათქვამია, რომ მოახლოებული იყო ზაფხულიც და ქვეყნად მწვანის ამოსვლაც,— ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად.

როდესაც რუსთაველი ამას ლაპარაკობდა, იყო გაზაფხულის დასაწყისი. ამაზე ძეტყველებს მომდევნო 1316-ე სტროფი, რომელსაც ქვემოთ გავარჩევთ.

მეორე სტრიქონი: მოახლოებული იყო ის დრო, როდესაც ავთანდილი ტარიელის გამოქვაბულს უნდა დაბრუნებოდა. აქაც რუსთაველი იძლევა გამორტებას, თუ რა დრო იყო ეს. ეს იყო ის დრო, როდესაც ვარდს გაშლა უნდა დაეწყო, ანუ, როგორც ზემოთ დავადგინეთ, მაისის შუა რიცხვებიდან ივნისის შუა რიცხვებამდე, ამასთან დაკავშირებით ვართებული იქნებოდა მძიმის მაგივრად ტირე გვეხმარა სტრიქონის შუაში.

მესამე სტრიქონი: მოახლოებული იყო ის დრო, როდესაც მზე ერთ თანავარსკვლავედს, ეტლს, ანუ ზოდიაქოს სტოვებდა და მეორეში შედიოდა, კერძოდ სარატანის ანუ კირჩხიბის თანავარსკვლავედში. ამ სტრიქონით რუსთაველი ასტრონომიულად აზუსტებს იმ დროს, თუ ზაფხულის რომელი ნაწილის მოახლოებაზეა ლაპარაკი ამ სტროფის პირველ სტრიქონში და როდის უნდა მომხდარიყო ავთანდილისა და ტარიელის შეხვედრა.

სულხან-საბას ლექსიკონის მიხედვით, კირჩხიბის თანავარსკვლავედში, ანუ ზოდიაქოში მზე შედის 22 ივნისს.

„ზოდიაქო ესენი არიან სახელნი და ნიშანნი სახეთა მათთანი და რომელთა თთვესა მიითუალავს მზე მათ... კირჩხიბი ივნისსა 22...“

მეოთხე სტრიქონი: „სულთქვა, რა ნახა ყვავილი მან უნახავმან ხანისა“. თუ აქამდე ლაპარაკი იყო იმაზე, წლის რა დრო უნდა დამდგარიყო, რომელი დრო ახლოვდებოდა, — მეოთხე

სტრიქონი გვამცნობს იმას, თუ რა მომენტშია ლაპარაკი ამის შესახებ. როდესაც რუსთაველი ამბობდა, მოახლოებული იყო ზაფხულიო, მაშინ ზაფხულის ის დრო იყო, როდესაც თოვლისაგან მიწა გათავისუფლდა და პირველმა მინდვრის ყვავილებმა ამოყვეს თავი. ზომიერ სარტყელში ყვავილის გამოჩენა, დაახლოებით, თებერვლის ბოლოს, მარტის დასაწყისში ხდება.

ამაზე ნათლად მეტყველებს მომდევნო 1316-ე სტროფი, რომელიც აკონკრეტებს წინა სტროფში გამოთქმულ აზრს: „აგრგვინდა ცა და ღრუბელნი ცრიდეს ბროლისა ცვარითა". ესე იგი, ავთანდილმა გაიგონა პირველი ჭექა-ქუხილი და პირველი წვიმაც წამოვიდა.

925-ე სტროფის ანალიზის საფუძველზე გაირკვა, რომ ავთანდილს ერთი წელი უნდა ეძებნა ნესტან-დარეჯანი და ზუსტად წლის თავზე უნდა დაბრუნებულიყო გამოქვაბულში. პაემანის დროდ ავთანდილმა ტარიელს დაუნიშნა წლის ის პერიოდი, როდესაც ვარდის მთავარი ყვავილობაა, და რადგან ვარდის მთავარი ყვავილობა მოდის მაისის მეორე ნახევარსა და ივნისის პირველ ნახევარზე, ამიტომ ცხადია, რომ ავთანდილი სწორედ ამ დროს წავიდა ნესტან-დარეჯანის საძებნელად.

მომდევნო 926-ე სტროფიდან ჩანს, რომ ქვაბში ავთანდილის დაგვიანებით დაბრუნება გამორიცხული იყო:

> ამა დროსა გარდავსცილდე, აქავ ქვაბსაც არ მიეკდე,
> ცან, ცოცხალი არ თურე ვარ. უღონიოდ მოვკვდი კიდე;
> ეს ამისად ნიშნად კმარის, შენ თუ ჩემთვის ცრემლსა ღვრიდე,
> მაშინ, გინდეს, იხარებდი, გინდეს, ჰმენდა გაადიდე 926.

აქედან ჩანს, რომ ავთანდილი თავის სიტყვას მხოლოდ ერთ შემთხვევაში გასტეხდა—თუ იგი ცოცხალი აღარ იქნებოდა, მარტო სიკვდილს შეეძლო მისი შეჩერება, სხვა რაიმე დაბრკოლება გადაეჭრით გამორიცხულია. ამიტომ შეუძლებელია, რომ ავთანდილს პაემანზე მისვლა ორი თვით დაგვიანებოდეს, როგორც ამას ვ. ნოზაძე ფიქრობს. ავთანდილი არაკ გზით არ დააგვიანებდა, ჯერ ერთი იმიტომ, რომ ეს სიტყვის გატეხა იქნებოდა, რაც შეუთავსებელია ავთანდილის მთელ მორალურ სახესთან. გავიხსენოთ, როგორ წუხდა ავთანდილი, როდესაც დათქმული სამი წლის გასვლას ორი თვეღა აკლდა. მაშინ მან

ტარიელის კვალს თუმცა ჯერ კიდევ ვერ მიაგნო, მაგრამ უკან დაბრუნება გადაწყვიტა, რათა თინათინისათვის მიცემული პირობა არ გაეტეხა. ან კიდევ გავიხსენოთ, როგორ ზუსტად შეასრულა ტარიელისათვის მიცემული პირობა ავთანდილმა, როდესაც იგი ორ თვეში არაბეთში მივიდა და არაბეთიდან უკანვე გამოქვაბულში დაბრუნდა.

რომ არ დააგვიანა ავთანდილმა პაემანზე და ზუსტად წლის თავზე მობრუნდა ტარიელთან, ამაზე ისიც მეტყველებს, რომ „ვეფხისტყაოსანში“ ერთი სიტყვაც არ არის თქმული გულანშაროდან გამოქვაბულში მის დაგვიანებით მისვლაზე.

ამას გარდა, ავთანდილს რომ დაეგვიანა, ტარიელი ცოცხალი აღარ დახვდებოდა. ტარიელი, როგორც ცნობილია, უკიდურეს სასოწარკვეთილებამდე იყო მისული. გავიხსენოთ მის მიერ ლომ-ვეფხვის დახოცვის ამბავი.

ამრიგად, ის ვარაუდი, რომ ავთანდილი გულანშაროდან გამოქვაბულში დაგვიანებით დაბრუნდა, არა უადრეს 21 სექტემბრისა, — ყოველგვარ საფუძველს არის მოკლებული.

„ვეფხისტყაოსანში“ გვაქვს მითითება იმის შესახებ, თუ რა დრო მოანდომა ავთანდილმა გზის ზოგიერთი მონაკვეთის გავლას, რის გათვალისწინებაც ძვირფას მასალას წარმოადგენს ჩვენმარიტების დასადგენად.

კერძოდ, ავთანდილმა მანძილი ტარიელის გამოქვაბულიდან მულღაზანზარამდე ოთხმოც დღეში გაიარა, ხოლო მულღაზანზარიდან იმ ადგილამდე, სადაც მან ზღვის ნაპირას მეკობრეებისაგან დაშინებული ვაჭრები ნახა,—100 დღეში, ესე იგი, იმ თორმეტი თვიდან, რომელიც მას ჰქონდა განკუთვნილი ნესტან-დარეჯანის მოსაძებნად და ტარიელთან უკან დასაბრუნებლად, ნახევარი უკვე დახარჯა.

შემდგომ ამისა ავთანდილმა ვაჭრებთან ერთად გადაცურა ზღვა და რომელიღაც კუნძულზე მდებარე ნავსადგურ გულანშაროში გადმოვიდა, სადაც იგი ფატმანს შეხვდა.

მართალია, „ვეფხისტყაოსანში“ პირდაპირ არაა მითითებული, თუ რამდენი ხანი იმგზავრა ვაჭრებთან ერთად ავთანდილმა, მაგრამ ამის დადგენა ხერხდება იმ სტროფის წყალობით, რომელშიაც ავთანდილი ეუბნება ფატმანს:

ფატმანს უთხრა: „ამისრულდა ჟამად საქმე საწადელი,
დიდი შენი ჰირ-ნახული ჩემგან არის გარდუხდელი.
წავალ, დგომად აღარა მცალს, დრო მოსრულა შარშანდელი.

ზემოთ, როდესაც ამ სტროფს ვიხილავდით, დავადგინეთ, რომ რუსთველოლოგების მეტ ნაწილს ეს სტროფი ასე ესმის: თავის დროზე მივალწიე ჩემს მიზანს (გავიგე ნესტან-დარეჯანის ამბავი), ახლა კი მეტი დაყოვნება აღარ შემიძლია, უნდა წავიდე, რადგან ეს მომდინარე წელიწადი სადაცაა გათავდებაო. გამონაკლისს წარმოადგენს ვ. ინოზაძის აზრი, რომელიც თვლის, რომ აქ ლაპარაკია არა წლის დამთავრებაზე, არამედ ავთანდილისა და ტარიელის შეხვედრის დროის დადგომაზე. მისი აზრით, გულანშაროდან ავთანდილის წამოსვლისას დათქმული წელიწადი უკვე გასული იყო.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ პირველი მოსაზრება მართებულია. მაშასადამე, თუ ავთანდილი გულანშაროდან დეკემბრის ბოლო რიცხვებში წამოვიდა, გამოდის, რომ ავთანდილმა ხომალდით გულანშაროდან ერთი თვის განმავლობაში იმგზავრა.

ამრიგად, ავთანდილმა ვარდობისას ანუ დაახლოებით 15 მაისის შემდეგ დატოვა გამოქვაბული და 6 თვეში მივიდა იმ ადგილამდე, სადაც ვაჭრებს შეხვდა. 15 ნოემბერს გემში ჩაჯდა და 20 დეკემბერს უკვე გულანშაროს მიაღწია. თუ მხედველობაში მივიღებთ იმასაც, რომ გულანშაროში ავთანდილმა სულ რამდენიმე დღე დაჰყო, ორი დღეც ფრიდონთან შეყოვნდა, გამოდის, რომ გულანშარო მან დეკემბრის ბოლო რიცხვებში დატოვა.

საგულისხმოა კიდევ ერთი მომენტი. გულანშაროდან ავთანდილი ტარიელის გამოქვაბულში ფრიდონის ქალაქზე გავლით კი არ ბრუნდება, არამედ სხვა, უფრო მოკლე გზით. ეს გასაგებიცაა.

ავთანდილი ერთ წელიწადში უკან უნდა მობრუნებულიყო. გულანშაროდან მოსვლას მან შვიდ თვეზე ცოტა მეტი მოანდომა, ხოლო უკან დასაბრუნებლად მის განკარგულებაში მხოლოდ ხუთი თვეღა დარჩა. ამ დარჩენილი ხუთი თვიდან ერთ თვეზე მეტი (იანვარი) ავთანდილმა ზღვით იმგზავრა და თებერვლის პირველ რიცხვებში კონტინენტზე გადმოვიდა და ცხენით გაუდგა გზას ტარიელის გამოქვაბულისაკენ. „ვეფხისტყაოსანში“

პირდაპირი მითითება არა გვაქვს იმის შესახებ, თუ რამდენი ხანია გასული, ან რა მანძილი გაიარა ავთანდილმა ნაპირზე გადმოსვლის შემდეგ იმ მომენტამდე, როდესაც რუსთაველი იწყებს ლაპარაკს ზაფხულის მოახლოებაზე (სტრ. 1315). მაგრამ ერთი ცხადია, რომ ცხენით მან ზღვის ნაპირიდან ჩრდილოეთის მიმართულებით კარგა მანძილი გაიარა. ამაზე მეტყველებს 1314-ე სტროფი, სადაც ნათქვამია:

> გამოელნა ზღვანი ავთანდილ მგზავრითა რითმე ნავითა,
> პირ-მხიარული აცორვებს მართა ოდენ მარტო თავითა,
> მას შეყრა ტარიელისა უხარის მით ამბავითა,
> ხელ-განპყრობილი გულითა, არს ღმერთისა საესავითა.

ამ სტროფში, პირველ ყოვლისა, ყურადღებას იპყრობს სიტყვა „აცორვებს“. თეიმურაზ ბაგრატიონი ამ სიტყვის შემდეგ განმარტებას იძლევა: „1323/1333 მიაცორვებს — 1314-სა შინა ამ ლექსში განიმარტა, გოგმანი, ანუ შეგლინება, მაგრამ გოგმანი უფრო ნელიადსა და მიაცორვება, უფრო ჩქარსა სლვასა ფერხით ფრინველისასა ნიშნავს. ცურვა წყლისა არის და ცორვა ხმელისა“[1].

როგორც ამ განმარტებიდან ჩანს, ცორვა ხმელეთზე ცხენით სიარულს, მგზავრობას ნიშნავს, თეიმურაზ ბაგრატიონის მიხედვით, მიაცორვებს შეიძლება განიმარტოს, როგორც გოგმანი. ხოლო სულხან-საბას ლექსიკონით ცხენთა გოგმახით სიარულს თოხარიკობა[2] ჰქვია. იმავე საბას ლექსიკონში „თოხარიკი არის ცხენი კარგი მოსიარულე“[3].

თუ ცორვა ხმელეთზე ცხენით სიარულია, მაშინ ამ სტროფის აზრი ასეთი იქნება: გამოიარა ავთანდილმა ნავით ზღვა, გადმოვიდა ნაპირზე და მარტოდმარტომ ცხენით განაგრძო გზა ტარიელის გამოქვაბულის მიმართულებით. შემდეგ რუსთაველი აღნიშნავს, რომ გაზაფხულიც დადგა იმ მომენტისათვის, როდესაც რუსთაველი ლაპარაკობს თავისი გმირის ცხენით მოგზაურობაზე და ზაფხულის მოახლოებაზე.

იმის შემდეგ, რაც ზღვის ნაპირს განშორდა, იმის შემდეგ,

---

1 თეიმურაზ ბაგრატიონი, განმარტება პოემა ვეფხისტყაოსნისა, გვ. 247.
2 სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, გვ. 320.
3 იქვე, გვ. 141.

რაც პირველი ჰექა-ქუხილი გაიგონა და პირველი წვიმაც წამოვიდა, ავთანდილმა კიდევ ბევრი იარა, ვიდრე ტარიელის გამოქვაბულს მიაღწევდა. მან იარა, დაახლოებით, თვენახევარი, პირველი აპრილიდან მაისის შუა რიცხვებამდე. „ტარიელისკენ იარნა მან გზანი საწყინარენი, უდაბურნი და უგზონი, უცხონი რამე არენი“.

ამავე სტროფის მეორე სტრიქონში კი მითითებულია იმაზე, თუ რა დროა გასული—„აქ ვკითხულობთ: „სადაცა ნახის დახოცის ლომ-ვეფხნი მოშამბნარენი“.

თეიმურაზ ბაგრატიონი „მოშამბნარის“ შემდეგ განმარტებას იძლევა: „1320/1330 მოშამბნარე—მაღალთა და ზრქელთა ბალახთა მინდვრისათა, გინა ველთა და მთათა, რომელ არს **შამბი**, მას შინა მკვდრობანი ჰხეცნი თუ ნადირნი“[1]. სულხან-საბაც თავის ლექსიკონში ასე ხსნის ამ სიტყვას: „**შამბი**—მაღალი და მსხვილი ბალახი“[2].

ამრიგად, როდესაც ავთანდილმა „ზღვანი გამოვლნა“ და ცხენით ტარიელის გამოქვაბულისკენ გამოემართა, ჯერ ახლად ამოსული ყვავილები ნახა. ეს ის დრო უნდა იყოს, როდესაც მიწა თოვლის საფარს იცილებს და ენძელები და იები თავს წამოჰყოფენ. ამ მოვლენას ზომიერ სარტყელში ადგილი აქვს თებერვლის ბოლოს, მარტის დასაწყისში. შემდეგ კიდევ იარა ავთანდილმა და პირველი ჰექა-ქუხილი გაისმა, პირველი წვიმა მოვიდა (1316). ამის მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ უკვე დადგა აპრილის პირველი რიცხვები. ჩვეულებრივ, პირველი ჰექა-ქუხილი ამ დროს იცის და ბოლოს, რომელსაც საწყინარ, უდაბურ, უგზო მიდამოებში მოუხდა მგზავრობა, მის ირგვლივ უკვე შამბი იყო, ანუ მაღალი მსხვილი ბალახი. ასეთი ბალახით დედამიწა შემოსილია მაისის ბოლოს და ივნისის დასაწყისში. აქ უკვე ავთანდილმა ტარიელის გამოქვაბულებიც დაინახა და ძმადნაფიცების შეხვედრისათვის განკუთვნილი დროც დადგა.

როგორც ვხედავთ, რუსთაველმა ოთხ სტროფში, მოკლე, მკვრივ ზუსტი შტრიხების საშუალებით, გადმოგვცა ავთანდი-

---

1 თეიმურაზ ბაგრატიონი, განმარტება პოემა ვეფხისტყაოსნისა, გვ. 246.

2 სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, გვ. 389.

ლის მოგზაურობის სურათი გულანშაროდან ტარიელის გამოქვაბულამდე, გვიჩვენა ის ცვლილებები, რომლებიც ბუნებაში ხდებოდა — დროის გასვლასთან დაკავშირებით.

ამრიგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ავთანდილი ტარიელს მეორედ შეხვდა გამოქვაბულში არა უადრეს 22 მაისისა და არა უგვიანეს 22 ივნისისა ძველი სტილით.

აქედან გამომდინარე, ჩვენ შეგვიძლია გავიანგარიშოთ, თუ პირველად როდის შეხვდა ავთანდილი ტარიელს გამოქვაბულში. თუ ისინი მეორედ ივნისის პირველ ნახევარში შეხვდნენ, მაშინ პირველად ორი თვით ადრე, ე. ი. აპრილის პირველ ნახევარში უნდა შეხვედრილიყვნენ, რადგან ავთანდილმა პირველი შეხვედრისთანავე პირობა მისცა ტარიელს, რომ იგი ორი თვის განმავლობაში მივიდოდა არაბეთში, ინახულებდა თინათინს და ისევ უკან გამობრუნდებოდა. როგორც ვიცით, ავთანდილმა თავისი სიტყვა პირნათლად შეასრულა და დროზე დაუბრუნდა ტარიელის გამოქვაბულებს.

ახლა ადვილია იმის განსაზღვრა, თუ რომელ თვეში მოხდა როსტევანის მიერ თინათინის მეოცედ კურთხევა.

ავთანდილი ტარიელს ქვაბში მეორედ შეხვდა ზუსტად სამი წლის თავზე იმ დღიდან, რაც თინათინმა ავთანდილი უცხო მოყმის საძებნად გააგზავნა. მანამდე, სრული ერთი წელიწადი, ტარიელი როსტევანის კაცებმა უშედეგოდ ეძებეს. ამრიგად, თინათინის ტახტზე დასმა, და მტირალი უცხო მოყმის ნახვა მოხდა ოთხი წლის წინ, ივნისის პირველ ნახევარში.

თინათინის ტახტზე დასმის ცერემონია და მეორე დღეს გამართული ნადირობა რომ ზაფხულში მოხდა და არა ზამთარში, შემოდგომასა ან გაზაფხულზე, ამაზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ მაშინ საკმაო სიცხე იყო. ეს ნათლად ჩანს 82-ე სტროფის პირველი სტრიქონიდან: „იგი ორნივე საგრილად გადახდეს ძირსა ზეთხსა"; ესე იგი, ნადირობის დროს ისე დასცხათ, რომ გასაგრილებლად ხეების ჩრდილს შეაფარეს თავი.

ასევე ადვილი დასადგენია, თუ როდის შეხვდა ავთანდილი ფრიდონს.

როდესაც ავთანდილმა ტარიელის ქვაბები დატოვა და ნესტანდარეჯანის მოსაძებნად წავიდა, როგორც ზემოთ გამოირკვა, ვარდობის თვე, ანუ მაისის ბოლო ან ივნისის დასაწყისი

იყო. 80 დღეში მან მულღაზანზარას მიაღწია, ესე იგი, დაახლოებით აგვისტოს ოც რიცხვში. შემდეგ 100 დღეში იგი მივიდა იმ ადგილამდე, სადაც ვაჭრები ნახა. მაშასადამე, ნოემბრის შუა რიცხვებში იგი ხომალდზე დაჯდა ვაჭრებთან ერთად და ზღვით განაგრძო გზა. ახალი წლის დადგომამდე, ანუ დეკემბრის შუა რიცხვებში იგი უკვე გულანშაროში იყო.

როგორც ზემოთ დავინახეთ, ავთანდილი ტარიელის გამოქვაბულში მეორედ, დაახლოებით, მაისის ბოლოს და ივნისის დასაწყისში მოხვდა. აქედან ტარიელმა, ავთანდილმა და ასმათმა ცხენებით ფრიდონის სამეფო ქალაქ მულღაზანზარამდე იარეს. მართალია, „ვეფხისტყაოსანში“ პრაფერია ნათქვამი, თუ რამდენი ხანი დაჰყვეს მათ გზაში, მაგრამ სავარაუდოა, რომ მათ მგზავრობას იმდენივე დრო მოანდომეს, რამდენიც ავთანდილმა. ე. ი. ისინიც აგვისტოს 20 რიცხვისათვის უნდა მოსულიყვნენ ფრიდონთან.

მულღაზანზარიდან ხამჰა ძმადნაფიცმა ხომალდით იმ კუნძულამდე იმგზავრეს, რომელზედაც ქაჯეთის ციხე იყო. ამ მანძილის დაფარვას იალქნიანი ნავებით იმ დროს სჭირდებოდა, დაახლოებით, ორი თვე, აქედან დასკვნა: სამი ძმადნაფიცი სამასი მეომრის თანხლებით კუნძულის სანაპიროზე, დაახლოებით, 20 ოქტომბერს გადმოსხდნენ. შემდეგ მათ ცხენებზე ამხედრებულებმა ერთი დღე-ღამის შეუსვენებელი სიარულის შედეგად დილისათვის მიაღწიეს იმ არემარეს, სადაც ქაჯეთის ციხე იყო. აქ მათ საღამომდე შეიცადეს, ხოლო ღამე სწრაფად მიუახლოვდნენ ციხეს. გათენებისას კი დაიწყო ქაჯეთის დალაშქვრა. ამრიგად, ზღვის სანაპიროდან ქაჯეთის ციხე დაახლოებით 150 კილომეტრის სავალზე იმყოფებოდა კუნძულის სიღრმეში.

ქაჯეთის ციხის აღების შემდეგ ტარიელმა გადაწყვიტა ზღვათა მეფესთან შეხვედრა. ქაჯეთის ციხიდან ტარიელმა და მისმა რაზმმა გადაჰკვეთეს კუნძული და ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე გავიდნენ. ამ ოპერაციას, ეტყობა, 10 დღე დაუჭირდა, რადგან გულანშაროდან მათ შესახვედრად წამოსული ზღვათა მეფე 10 დღის შემდეგ შეხვდა ძმადნაფიცებს, რომლებსაც თან ჰყავდათ ქაჯეთის ციხიდან გამოხსნილი ნესტან-დარეჯანი.

7 დღის განმავლობაში გრძელდებოდა ტარიელისა და ნესტან-დარეჯანის ქორწილი, რომელიც ზღვათა მეფემ გადაუხადა მათ.

ამრიგად, ამ კუნძულზე, რომელზედაც, ერთი მხრივ, იყო ქაჯთა სამეფო და მეორე მხრივ, ზღვათა მეფის სატახტო ქალაქი, ძმადნაფიცებმა 20 დღემდე დაჰყვეს. შემდეგ ისინი ისევ ნავში ჩასხდნენ, ზღვა გადაცურეს და მულღაზანზარის მახლობლად ფრიდონის სამეფოს რომელიღაც ნავსადგურში ნაპირზე გადმოვიდნენ. თუ მათ ზღვით უკან დაბრუნებაზეც ორი თვე დაჰკარგეს, გამოდის, რომ ისინი ფრიდონის სატახტო ქალაქში, დაახლოებით, იანვრის პირველ ნახევარში მივიდნენ: ფრიდონისას 8 დღის განმავლობაში იმყოფებოდნენ.

მულღაზანზარიდან „ვეფხისტყაოსნის“ გმირები ტარიელის გამოქვაბულზე გავლით არაბეთში ჩავიდნენ. ამ გზას ისინი, დაახლოებით, 5 თვეს მოანდომებდნენ. ოთხმოც დღეს იელიდნენ მულღაზანზარიდან ტარიელის გამოქვაბულამდე, ხოლო ორ თვეს ტარიელის გამოქვაბულიდან არაბეთის სატახტო ქალაქამდე. ამრიგად, თინათინისა და ავთანდილის შეყრა უნდა მომხდარიყო თინათინის გამეფებიდან ექვსი წლის შემდეგ, ივნისის პირველ ნახევარში.

ამრიგად, კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით, რომ თინათინ-ავთანდილის სიუჟეტური რკალი იწყება, ვითარდება და მთავრდება ექვსი წლის განმავლობაში. ვფიქრობთ, რომ ამ სიუჟეტური რკალის გაშლა დროის სწორედ ასეთ მონაკვეთში არ არის შემთხვევითი და იგი სამეფო ტახტზე თამარის ასვლასთან დაკავშირებული ისტორიული მოვლენების გამოძახილს წარმოადგენს. თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ გიორგი III 1178 წელს თავის, სიცოცხლეშივე თამარი მეფედ დასვა, ხოლო, 1184 წელს მისი ხელმეორედ კურთხევა მოხდა, გამოდის, რომ პირველად გამეფების შემდეგ იმ დრომდე, როდესაც თამარი სრული სამეფო უფლებებით აღჭურვეს (მას, როგორც მამაკაცს, ხმალიც კი შემოარტყეს), ექვსი წელი გავიდა, ვფიქრობთ, რომ ეს არ უნდა იყოს შემთხვევითი ქრონოლოგიური დამთხვევა. მეფედ თამარის მეორედ აღიარების შემდეგ დიდებულებს რომ არ შეებღალათ მისი მეფური უფლებები და მისი სურვილის საწინააღმდეგოდ გიორგი რუსისათვის არ მიეთხოვებინათ, მაშინ თერთმეტი წლით არ გაჭიანურდებოდა თა-

მარის საბოლოო დამკვიდრება საქართველოს ტახტზე და დავით სოსლანისა და თამარის შეუღლება, რაც 1189 წელს მოხდა, უფრო ადრე მოხდებოდა. ის არეულობა, რომელიც საქართველოში დატრიალდა, ის პირადი ტრაგედია თამარისა, თერთმეტ წელს არ გაგრძელდებოდა, ისევე, როგორც ამას ჰქონდა ადგილი ინდოეთში, ფარსადანის უგუნური გადაწყვეტილების გამო. მანაც ხომ ნესტანის უფლებები შებღალა, რასაც ესოდენ ტრაგიკული შედეგი მოჰყვა.

ის, რომ თამარ მეფის შეუღლება დავით სოსლანთან მოხდა ტახტზე თამარის პირველად ასვლიდან 11 წლის შემდეგ და ნესტანისა და ტარიელის შეუღლებაც „ვეფხისტყაოსანში“ ხდება 11 წლის შემდეგ დღიდან ფარსადანის მიერ უცხოეთიდან სასიძოს მოყვანის გადაწყვეტილების მიღებისა, აგრეთვე არ უნდა ატარებდეს შემთხვევით ხასიათს და საქართველოს ისტორიული მოვლენების უდავო ანარეკლს უნდა წარმოადგენდეს.

როგორც ცნობილია, თამარი თავის თანამოსაყდრედ გიორგი მესამეს 1178 წლის ზაფხულში გამოაცხადა, ხოლო ივ. ჯავახიშვილის მიხედვით, თამარისა და დავით სოსლანის შეუღლება 1189 წელს მოხდა (თერთმეტი წლის თავზე).

## თავი მეხუთე

# შოთა რუსთაველის მხატვრული გამოსახვის ხერხი და საშუალებანი

### 1. „ვეფხისტყაოსნის“ ჟანრობრივი რაობა

როგორც ცნობილია, სინამდვილის მხატვრული გამოსახვის სამგვარი ხერხი არსებობს — ეპიკური, ლირიკული და დრამატული. შოთა რუსთაველი სინამდვილის გამოსახვის ამ სამ ხერხთაგან უპირატესობას ეპიკურს ანიჭებს და მას ბრწყინვალედ იყენებს თავის „ვეფხისტყაოსანში“.

შოთა რუსთაველის აზრით, ჭეშმარიტი ხელოვნებისათვის დამახასიათებელია ღრმა ტრაგიზმი. ამაზე მეტყველებენ გენიალური პოეტის მხატვრული პრაქტიკა და ის აზრები, რომელიც გამოთქმული აქვს მას „ვეფხისტყაოსნის“ შესავალში პოეზიის არსსა და დანიშნულებაზე.

შოთა რუსთაველი თვლის, რომ პოეტური ქმნილება მსმენელებზე ღრმა ზემოქმედებას უნდა ახდენდეს. პოეტის სიტყვა გულის გამგმირავი უნდა იყოს. რუსთაველი მდარე ხარისხის პოეტად თვლის იმას, ვისაც „არ ძალ-უც სრულქმნა სიტყვათა, გულისა გასაგმირეთა“.

ამრიგად, შოთა რუსთაველი პოეზიის ქმედითუნარიანობას ქადაგებს.

პოეტურ ქმნილებას მაშინ აქვს ზემოქმედების ძალა და მკითხველის, მსმენელის გულს ლახვარივით მაშინ წვდება, როდესაც იგი დრამატიზმითაა განმსჭვალული, ანუ „სისხლისა ცრემლ-დათხეულ ქებას“ წარმოადგენს.

შოთა რუსთაველისათვის მაღალი ეპიკური პოეზია წარმოუდგენელია დრამატიზმის გარეშე. ეს დებულება პრაქტი-

კულადაა განხორციელებული უკვდავ „ვეფხისტყაოსანში“, რომლის ყოველი ეპიზოდი ღრმა, გულში ჩამწვდომი დრამატიზმითაა აღსავსე.

აქედან ნათელი ხდება, თუ რატომ მოუწოდებს მკითხველს რუსთაველი:

„მო, დავსხდეთ, ტარიელისთვის ცრემლი გვდის შეუშრობელი“.

ამრიგად, შეიძლება გამოვიტანოთ შოთა რუსთაველის ესთეტიკისათვის დამახასიათებელი ერთი მნიშვნელოვანი დასკვნა: რუსთაველის აზრით, მაღალი პოეზია დრამატიზმით უნდა იყოს აღსავსე, რათა ღრმა, წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინოს მკითხველზე, მის გულსა და გონებაზე და აღძრას მასში სიბრალულის, თანაგრძნობის ან სიძულვილის გრძნობა.

რუსთაველის ზოგადი ესთეტიკური პრინციპებიდან აღსანიშნავია შეხედულება პოეზიის, ანუ ხაირობის არსზე. მისი აზრით, „ხაირობა პირველადვე სიბრძნისაა ერთი დარგი“. საინტერესოა ამ თვალსაზრისის შედარება არისტოტელეს მიერ „პოეტიკაში“[1] გამოთქმულ აზრებთან.

არისტოტელე წერდა: „ნათქვამიდან ცხადია, რომ პოეტის საქმეა თქვას არა ის, თუ რა მოხდა, არამედ ის, თუ რა მოხდებოდა და რა არის ალბათობისა ან აუცილებლობის მიხედვით შესაძლებელი. ისტორიკოსი და პოეტი ურთიერთისაგან განირჩევიან არა იმით, ლაპარაკობენ ისინი ლექსით, თუ პროზით, ვინაიდან ჰეროდოტეს ნაწარმოები შეიძლებოდა გალექსილიყო და ის მაინც ლექსად გამოთქმული ისტორიული ნაწარმოები იქნებოდა არა ნაკლებ, ვიდრე პროზით დაწერილი: ისტორიკოსი და პოეტი ურთიერთისაგან განსხვავდებიან იმით, რომ პირველი ლაპარაკობს იმის შესახებ, რაც მოხდა, მეორე კი ლაპარაკობს იმის შესახებ, თუ რა შეიძლება მომხდარიყო. ამის გამო **პოეზია უფრო ფილოსოფიურია და უფრო მნიშვნელოვანი**[2], ვიდრე ისტორია. პოეზიას უფრო მეტად მხედველობაში აქვს ზოგადი ისტორიას კი უფრო მეტად მხედველობაში აქვს ცალკეული.

---

[1] არისტოტელე, პოეტიკა. 1944 წ. თარგმანი პროფ. ს. დანელიასი.
[2] ხაზი ჩემია, დ. ქ.

როგორც ამ ამონაწერიდან ჩანს, არისტოტელე პოეზიას ისტორიულ თხზულებებზე მაღლა აყენებს, უფრო მნიშვნელოვნად და უფრო ფილოსოფიურად მიაჩნია. შოთა რუსთაველი შაირობას, პოეზიას სიბრძნის უპირველეს დარგად თვლის, რითაც ხაზს უსვამს პოეზიის ზოგად ფილოსოფიურ ხასიათს. როდესაც შოთა რუსთაველი აღნიშნავდა შაირობის, პოეზიის ფილოსოფიურ ხასიათს, მას მხედველობაში უნდა ჰქონოდა ამ განსაზღვრების არისტოტელესეული გაგება.

აქ არ შეიძლება არ გავაქეთოთ ერთი შენიშვნა:

რუსთაველის ის მკვლევარები, რომლებიც „ვეფხისტყაოსანში“ თამარ მეფის დროის ისტორიას ხედავენ და „ვეფხისტყაოსნის“ გმირებს ისტორიულ პირებთან აიგივებენ, დიდ შეცდომას უშვებენ და, რაც მთავარია, ამით რუსთაველის პოემის, როგორც პოეზიის შედევრის, ღირებულებას ჩქმალავენ.

„ვეფხისტყაოსანი“ არ არის თამარ მეფისა და შოთასი, ანდა თამარ მეფისა და დავით სოსლანის, ან კიდევ თამარ მეფისა და დემნას ისტორია. იგი ზოგადია და არა კერძოობითი. ის, რაც აღწერილია თამარ მეფის მემატიანეების მიერ, კერძოობითია და განუმეორებელი და მას ადგილი ჰქონდა განსაზღვრულ ადგილას და განსაზღვრულ დროს. ის კი, რაც შოთას აქვს აღწერილი, შეიძლება მომხდარიყო ან მოხდეს დამოუკიდებლად დროისა და ადგილისაგან, თუ შეიქმნება მსგავსი სიტუაცია. ამიტომ „ვეფხისტყაოსანი“ თამარ მეფის დროის გალექსილი ისტორია კი არ არის, არამედ — მხატვრული ნაწარმოები, ეპიური პოემა, რომელსაც ზოგადსაკაცობრიო, ზოგადფილოსოფიური მნიშვნელობა აქვს.

რუსთაველის ძირითადი ესთეტიკური პრინციპებიდან აღსანიშნავია მე-12 სტროფში გამოთქმული დებულება იმის შესახებ, რომ შაირობას მსმენელთათვის სარგებლობაც მოაქვს და სიამოვნებაც („მსმენელთათვის დიდი მარგი“; „კვლა აქაცა ეამების“). აქ, უდავოდ, ლაპარაკია, ერთი მხრივ, ხელოვნების შემეცნებით-აღმზრდელობით ფუნქციაზე, ხოლო, მეორე მხრივ, მის ესთეტიკურ ღირებულებაზე. პირველ შემთხვევაში რუსთაველს მხედველობაში უნდა ჰქონდეს მხატვრული ნაწარმოების, ანუ, როგორც იგი უწოდებს — „ნა-

ჭირვების" შინაარსი, იდეურ-მორალური მხარე, რომელიც ზემოქმედებას ახდენს მკითხველზე და მას განსაზღვრულ აზრებს, გრძნობებსა და განწყობილებას უღვიძებს.

რაც შეეხება სიამოვნებას, რომელიც მსმენელს უნდა განაცდევინოს მხატვრულმა ნაწარმოებმა, ეს უკვე ფორმის მიმართებითაა ნათქვამი. ეს თუნდაც მე-17 სტროფიდანაც კარგად ჩანს. ამ სტროფში რუსთაველი ლაპარაკობს მსუბუქი პოეზიის ნიმუშებზე — სანადიმო, სასიმღერო, სააშიკო, სალაღობო, ამხანაგთა სათრეველად დაწერილ ლექსებზე. შინაარსის მხრივ ეს ნაწარმოებები, ცხადია, ფილოსოფიურ სიღრმეს მოკლებულნი არიან, მათში განზოგადოებებიც ნაკლებად იქნება, მაგრამ ისინი, თუ კარგი ფორმით არიან დაწერილი, სიამოვნებას ანიჭებენ მსმენელს, „ჩვენ მათიცა გვეამების, რაცა ოდენ თქვენ ნათელად". „ნათელად თქმის" ქვეშ რუსთაველი ამ ნაწარმოებთა ფორმას გულისხმობს.

როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ რუსთაველის ესთეტიკის ასეთ პრინციპულ საკითხზე, როგორიცაა გამოსახვის ხერხი, აქ არ შეიძლება ორიოდე სიტყვა არ ვთქვათ ჟანრების რუსთაველურ გაგებაზე, და, კერძოდ, „ვეფხისტყაოსნის" ჟანრობრივ რაობაზე. ეს უკანასკნელი საკითხი სპეციალური კვლევის საგანი შეიძლება გახდეს, რადგან რუსთველოლოგებს შორის მის გარშემო აზრთა დიდი სხვადასხვაობა არსებობს.

რუსთაველის მიერ პოეზიის ჟანრებად დაყოფის თეორია საკმაოდ საფუძვლიანად და ყოველმხრივ არის დამუშავებული რუსთველოლოგების მიერ. განსაკუთრებით ფუნდამენტალურად არის წარმოდგენილი ეს საკითხი გიორგი ნადირაძის წიგნში „რუსთაველის ესთეტიკა", ამიტომ ჩვენ აქ მხოლოდ ზოგიერთ ზოგადი ხასიათის დასკვნას გავაკეთებთ. რუსთაველი შინაარსის სიღრმის, მნიშვნელობისა და ფორმის სიდიდის მხრივ პოეტურ ქმნილებებს ორ დიდ ძირითად კატეგორიად ყოფს. პირველს ეკუთვნის „გრძელად ნათქვამი", ანუ, როგორც ახლა ვიტყოდით, ეპიკური პოემა. მეორეს — მსუბუქი შინაარსის მქონე პატარ-პატარა ლექსები. პირველს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დრამატული, გულში ჩამწვდომი შინაარსი აქვს. ასეთი ნაწარმოები მიძღვნილი უნდა იყოს ერთი რაიმე მნიშვნელოვანი იდეისადმი. რუსთაველი პროლოგ-

ში ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ მისი „ვეფხისტყაოსანი“ სწორედ ასეთ „გრძლად ნათქვამს“, ანუ ეპიკურ პოემას წარმოადგენს.

იმათ, ვისაც არ ძალუძთ დიდი მხატვრული ტილოს შექმნა და „არ ძალ-უც სრულ-ქმნა სიტყვათა, გულისა გასაგმირეთა“, რუსთაველი ადარებს ყმაწვილ მონადირეებს, რომლებსაც არ შეუძლიათ დიდი ნადირის მოკვლა და პატარებს ხოცავენ. აქედან ცხადი ხდება, რომ რუსთაველი პოეტური ჟანრებიდან ყველაზე მაღლა ეპიკურ პოემას, დიდი ფორმის პოეტურ ქმნილებას აყენებს, ხოლო დანარჩენ ჟანრებზე უარყოფითად ლაპარაკობს. ეს დებულება სრულიად გამორიცხავს მკვლევართა ვარაუდს, რომ რუსთაველი ვითომცდა ავტორი იყოს რაღაც კრებულისა, რომელსაც „ქებანი“ ეწოდება.

მცირე ფორმის ნაწარმოებებიდან შოთა რუსთაველი მხოლოდ ისეთებს თვლის სიამოვნების მომგვრელად, რომლებიც ნათლად არიან ნათქვამი, მაგრამ ისინი მაინც მეორეხარისხოვნად მიაჩნია. „ჩვენ მათიცა გვეამების“ ამბობს რუსთაველი, და ამ სიტყვა „მათიცა“-თი გვატყობინებს, რომ ასეთ ლექსებს იგი სასხვათაშორისოდ უყურებს.

თავისი უარყოფითი დამოკიდებულებით პოეზიის მცირე ფორმის ნაწარმოებებისადმი, მსუბუქი ეპიკურეული ლექსებისადმი, შოთა რუსთაველი ერთხელ კიდევ ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ მაღალი პოეზიის, შაირობის ნიმუშად მას მხოლოდ და მხოლოდ ეპიკური პოემა, ანუ გრძლად ნათქვამი მიაჩნია. სინამდვილის ასეხვის ამ ხერხს შოთა რუსთაველი არსად არ ღალატობს და მან იგი ბრწყინვალედ განახორციელა თავის გენიალურ „ვეფხისტყაოსანში.“

იმის შემდეგ, რაც მწერალში უკვე მომწიფდა გარკვეული მიზანდასახულობა, მომავალი მხატვრული ნაწარმოების იდეა და შეირჩა თემა, ანუ ცხოვრებისეული მოვლენების ის წრე, რომელიც მას საშუალებას მისცემს გაანაღდოს თავისი ჩანაფიქრი, იგი ეძებს იმ ხერხს, რომლითაც უნდა ასახოს სინამდვილე, ანუ იღებს გადაწყვეტილებას, თუ რა ჟანრის ნაწარმოები შექმნას. უფრო სწორად რომ ვთქვათ, საზღვრავს, თუ რა ხერხით მოხდება ჩანაფიქრის უკეთესად ნათელყოფა.

ამრიგად, შემოქმედებითი პროცესის პირველ ეტაპს წარმოადგენს ჩანაფიქრის მომწიფება მწერლის შეგნებაში.

მწერლის წინაშე ცხოვრება აყენებს მისი დროის მნიშვნელოვან საზოგადოებრივ პრობლემას, რომელიც გადაუდებელ გადაჭრას მოითხოვს და რომლის სწორი გადაწყვეტისაგან დამოკიდებულია საზოგადოების კეთილდღეობა, სახელმწიფოს და ხალხის მომავალი. ამის შემდეგ მწერალს ეუფლება დაუძლეველი სურვილი, შექმნას ისეთი ნაწარმოები, რომელიც მის თანამედროვეებს, თანამემამულეებს დაარწმუნებს ამა თუ იმ იდეის სისწორეში, ამა თუ იმ მოვლენის კანონზომიერებაში და მოუწოდებს ამა თუ იმ იდეალის განხორციელებისაკენ, აღძრავს მათ აქტიური მხარდაჭერისა, მოქმედებისა და ბრძოლისათვის.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რუსთაველისათვის შემოქმედებითი პროცესის ეს პირველი ეტაპი შემდეგი სახით წარმოგვიდგება (მისი შესავლის და საკუთრივ პოემის თხრობითი ნაწილის მიხედვით):

მე-12 საუკუნის დასასრულს და მე-13 საუკუნის დასაწყისში საქართველოში ყველაზე მტკივნეული და აქტუალური პრობლემას წარმოადგენდა ერთმმართველობის გაძლიერება და დიდგვაროვან აზნაურთა თვითნებობის ალაგმვა, ერთიანი ძლიერი სახელმწიფოს შექმნა, რაც ქართველი ხალხის და საქართველოს სახელმწიფოებრივ ინტერესებს შეესაბამებოდა. მეფე გიორგი მესამის და თამარ მეფის დროს ბრძოლა ერთმმართველობის გაძლიერებისათვის ახალ ფაზაში შედის, ბრძოლა თამარ მეფის ტახტზე დამკვიდრებისა და მისთვის სამეფო უფლებების მინიჭებისათვის შენიღბულ ბრძოლას წარმოადგენს ერთმმართველობის გაძლიერებისა და დაცვისათვის. დიდგვაროვანმა თავად-აზნაურობამ დრო იხელთა და კითხვის ქვეშ დააყენა თამარის, როგორც ქალის, ტახტზე ჯდომის კანონზომიერება და შეეცადა მისი სამეფო უფლებების შეზღუდვას. ეს იყო იგივე ბრძოლა ერთმმართველობის წინააღმდეგ, კონკრეტულ ისტორიულ სიტუაციაში გამომჟღავნებული.

შოთა რუსთაველმა, იმ დროს პროგრესულად მოაზროვნე სხვა მოღვაწეთა მსგავსად, ღრმად შეიგნო თამარ მეფის სამე-

ფო ტახტზე ყოფნის აუცილებლობა, მისთვის განუსაზღვრელი უფლებების მინიჭების საჭიროება და მიზნად დაისახა მისი „ქება“, ანუ მისი სამეფო უფლებების დაცვა და განმტკიცება. ასე წარმოიშვა „ვეფხისტყაოსნის“ ავტორისეული მიზანდასახულობა.

იმის შემდეგ, რაც რუსთაველის, როგორც შემოქმედის, შეგნებაში ჩამოყალიბდა ზოგადი იდეა, რომელიც მის მიზანდასახულებას შეესაბამებოდა, და იმავე დროს მომავალი ნაწარმოების ძირითადი იდეაც იყო, მან კერძო ისტორიული შემთხვევა, რომელსაც ადგილი ჰქონდა საქართველოს კონკრეტულ სინამდვილეში, განაზოგადა და „ვეფხისტყაოსნის“ იდეად აქცია. თამარ მეფის უფლებების დაცვისა და განმტკიცების აზრმა მხატვრული განზოგადების შედეგად შემდეგი სახე მიიღო: იმ შემთხვევაში, როდესაც მეფეს ერთადერთი ქალის გარდა სამეფო ტახტის მემკვიდრე ძე არა ჰყავს, საჭიროა ტახტზე ქალი იქნას აყვანილი და მას მიენიჭოს სამეფო უფლებები ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე. ეს არის ერთადერთი სწორი გზა, რომელსაც შეუძლია, ბედნიერება მოუტანოს როგორც სამეფო გვარს, ისე სახელმწიფოსა და ქვეშევრდომებს. პირუკუ შემთხვევა, მეფე-ქალის სამეფო უფლებების შებღალვა, მხოლოდდამხოლოდ უბედურების მომტანია. ამ ზოგადი იდეიდან მკითხველს შეიძლება გაეკეთებინა დასკვნა: ის, რაც სწორია, მისაღები და მიზანშეწონილი საზოგადოდ, მიზანშეწონილი იქნება მსგავს კერძო, ცალკეულ შემთხვევაშიც.

ამრიგად, შოთა რუსთაველი ქალის მეფედ ყოფნისა და მისთვის ყველა სამეფო უფლების მინიჭების აუცილებლობის ზოგადი იდეის ქადაგებით ამართლებდა კერძო შემთხვევასაც — თამარის მეფედ ყოფნის კანონზომიერების ფაქტს.

რუსთაველს ამ შემთხვევაში თავისი ნაწარმოების იდეური არსი უმაღლეს მწვერვალზე აქვს აყვანილი, რადგან, თუ ქალის მეფედ ყოფნის იდეა საყოველთაოდ და საზოგადოდ სწორი და მართებულია, ცხადია, რომ იგი დამაჯერებელია კონკრეტული შემთხვევის მიმართ; რადგან, თუ რომელიმე იდეას გააჩნია ჰეშმარიტების ზოგადი ნიშანი, იგი ჰეშმარიტი იქნება ცალკეულ შემთხვევაშიც.

მწერლის შეგნებაში ჩამოყალიბებულ მიზანდასახულობას,

იდეას ხორცშესხმა სჭირდება. ამისათვის მწერალი შესატყვის თემას, ანუ ცხოვრებისეული მოვლენების განსაზღვრულ რკალს ირჩევს. ცხადია, რომ ნაწარმოების თემა ისე უნდა იყოს შერჩეული, რომ იგი რაც შეიძლება უკეთესად ემსახურებოდეს იდეის ნათელყოფის საქმეს. რადგან ვეფხისტყაოსნის იდეა სამეფო უფლებების დაცვისა და ერთმმართველობის გაძლიერებას ეხება, ამიტომ, ცხადია, შოთა რუსთაველი თავის პოემას საფუძვლად უდებს სამეფო კარზე მომხდარ ამბებს. თემატურად პოემაში მოვლენები სამეფო კარზე და მის გარემომცველ წრეში ვითარდებიან.

როდესაც ავტორისთვის ნათელია მომავალი ნაწარმოების მიზანდასახულობა, იდეა და თემატური საფუძველი, მაშინ იგი ეძებს გამოსახვის შესაფერის მხატვრულ ხერხს. შოთა რუსთაველის ღრმა სახელმწიფო და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ჩანაფიქრის განხორციელება სერიოზულ ჟანრს მოითხოვდა, ასეთ „სერიოზულ“ ჟანრს, არისტოტელეს განსაზღვრებით, ეპიკური პოეზია წარმოადგენს. თავის გენიალურ „პოეტიკაში“ არისტოტელე ეპიკური პოეზიის შესახებ წერდა: «Эпическая поэзия, за исключением только своего важного размера, следовала трагедии, как подражание серьезному; она отличается от трагедии тем, что имеет простой размер и представляет собою повествование, а кроме того они различаются по объему... эпос не ограничен временем, чем и отличается от трагедии»[1].

მოტანილი ციტატიდან ირკვევა, რომ, არისტოტელეს აზრით, ეპოპეისათვის დამახასიათებელია დიდი ფორმა, სერიოზული, დიდი საქმეების შემცველი შინაარსი, აგრეთვე ის, რომ იგი წარმოადგენს თხრობას, ხოლო მისი ლექსი სხარტია.

---

[1] Аристотель. Об искусстве поэзии. М., 1951, გვ. 54—55.

ეს ადგილი ს. დანელიას შემდეგნაირად აქვს თარგმნილი: „ეპოპეა ემსგავსება ტრაგედიას, გარდა დიადი მეტრისა, იმითაც, რომ იგი არის დიდი საქმეების მიბაძვა, ხოლო განირჩევა მისგან, იმით, რომ მას აქვს სადა მეტრი და არის მოთხრობა, კიდევ განირჩევიან ისინი დროის მანძილით: ტრაგედია ცდილობს, რამდენადაც შეიძლება მზის ერთი შემოტრიალების ფარგლებში ჩაეტიოს, ან რაც შეიძლება ნაკლები რაოდენობით გადააცილოს ამ ზღვარს; ეპოპეა კი განუსაზღვრელია დროის მხრივ. მაგრამ თავდაპირველად ეს განუსაზღვრელობა თანასწორად დაშვებული იყო ტრაგედიაში და ეპოსშიც“.

არისტოტელეს აზრით, ეპიკური პოეზიის უდიდესი წარმომადგენელი იყო ჰომეროსი. „ჰომეროსი კი მაღალი მიმართულების თხზულებათა უდიდესი შემოქმედი იყო, ვინაიდან მან ერთადერთმა შექმნა სახეები არა მარტო მშვენიერი, არამედ დრამატიულიც“[1].

მოტანილი ციტატიდან მჟღავნდება ეპოპეისათვის კიდევ ერთი დამახასიათებელი ნიშანი — ეპოპეაში შექმნილი სახეები უნდა იყოს მშვენიერი და დრამატული.

ეპოპეის არისტოტელესეული განსაზღვრა ძირითად ხაზებში ემთხვევა იმ არსებით ნიშნებს, რომლითაც რუსთაველი ახასიათებს „ვეფხისტყაოსნის“ შესავალში ჰეშმარიტ პოეტურ ქმნილებას. გავიხსენოთ ეს ნიშნები. არისტოტელე ამბობს, რომ ეპოპეისათვის დამახასიათებელია სიგრძე, ანუ სიდიდე, რუსთაველიც ამბობს: „მოშაირე არა ჰქვიან, ვერას იტყვის ვინცა გრძელად“; მაღალი პოეტური ხელოვნების ნიშნად მას მიაჩნია აგრეთვე „ლექსთა გრძელთა თქმა და ხევა“.

არისტოტელეს განსაზღვრებით, ეპოპეაში ხელოვანი სერიოზულს უნდა ჰბაძავდეს, ანუ ეპოპეას სერიოზული, „დიადი საქმეებით“ აღსავსე შინაარსი უნდა ჰქონდეს. რუსთაველიც თავის ლექსებს „სანადიმოდ, სამღერლად, საამიკოდ. სალაღობოდ, ამხანაგთა სათრევლად“ კი არ წერს, არამედ „ვის ჰმორჩილებს ჯარი სპათა, მისთვის ხელობს, მისთვის მკვდარი“, ანუ, როგორც ახლა ვიტყოდით, იგი უმღერის სახელმწიფოს მეთაურს, ვისგანაც დამოკიდებულია ქვეყნის ძლიერება და ბრძოლისუნარიანობა. თავად „ვეფხისტყაოსანიც“ სერიოზული, ამაღლებული, დიდი შინაარსის მქონე პოეზიის ნიმუშია.

არისტოტელეს განსაზღვრებით, ეპოპეა წარმოადგენს თხრობითი ხასიათის ნაწარმოებს და მისი ლექსი სადაა და სხარტი. რუსთაველიც ამბობს, რომ მან ამბავი გალექსა და მისი ლექსი, შაირი სხარტია და მოკლე („გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის, შაირია ამად კარგი“).

არისტოტელეს მიხედვით, ეპოპეა განუსაზღვრელია დროის მიხედვით. რუსთაველის „ვეფხისტყაოსანიც“ არ არის

[1] არისტოტელე, პოეტიკა, გვ. 13.

შეზღუდული დროის მხრივ. როგორც ვიცით, მისი მოქმედება თერთმეტი წლის მანძილზე წარმოებს. ამიტომ „ვეფხისტყაოსანი“ არის ეპოპეა და არა დრამატული ნაწარმოები, რომლის მოქმედება, არისტოტელეს მიხედვით, ერთი დღის განმავლობაში უნდა სრულდებოდეს.

არისტოტელე პომეროსს „მაღალი მიმართულების თხზულებათა უდიდეს შემოქმედად, ეპიკური პოეზიის წარმომადგენლად თვლიდა, რადგან მხოლოდ მან შექმნა სახეები მშვენიერი და ტრაგიკული. რუსთაველიც „ვეფხისტყაოსნის“ შესავალში ხაზს უსვამს იმას, რომ ტარიელის სახით მშვენიერი და დრამატული სახე შექმნა. გავიხსენოთ რუსთაველის სიტყვები:

„მით შევეწივნეთ ტარიელს, ტურფადცა უნდა ხსენება“

ან კიდევ:

მისებრი მართ დაბადებით, ვინმცა ყოფილა შობილი!
დავჯე, რუსთველმან გავლექსე, მისთვის გულ-ლახვარ-სობილი,
აქამდის ამბად ნათქვამი, აწ მარგალიტი წყობილი.

და ეს ლიტონი სიტყვები არ არის. შოთა რუსთაველმა „ვეფხისტყაოსანში“, მართლაც, შექმნა ტარიელის უაღრესად ტურფა, მშვენიერი და დრამატული სახე.

ამრიგად, ის მხატვრული ხერხი, რომელსაც მიმართავს შოთა რუსთაველი „ვეფხისტყაოსანში“ და რომლის დამახასიათებელ ნიშნებზეც ლაპარაკობს იგი თავისი ნაწარმოების შესავალში, მთლიანად ემთხვევა ეპიკური პოეზიის არისტოტელესეულ განსაზღვრებას; ამიტომ „ვეფხისტყაოსანი“ ეპიკური ნაწარმოებია.

ხელოვნების ყოველ ფორმას, ფერწერა იქნება ის, ქანდაკება, მუსიკა თუ პოეტური შემოქმედება, თავისი სპეციფიკური გამოსახვითი საშუალებანი გააჩნია. მხატვრული გამოსახვის საშუალებანი გაპირობებული არიან ასახვის მიზნის და ხერხის თავისებურებით.

გამოსახვის საშუალებანი პირობითად ორ კატეგორიად შეიძლება დავყოთ: პირველ კატეგორიას უნდა მივაკუთვნოთ ზოგადი ხასიათის გამოსახვითი საშუალებანი, რომელნიც საერ-

თოა მხატვრული ლიტერატურის ყოველნაირი ჟანრის ნაწარმოებისათვის, ხოლო მეორე კატეგორიას — ისეთი გამოსახვითი საშუალებანი, რომელნიც დამახასიათებელია მხატვრული ლიტერატურის ამა თუ იმ ჟანრის მხოლოდ რომელიმე სახეობისათვის.

შოთა რუსთაველი „ვეფხისტყაოსნის“ შესავალში ლაპარაკობს გამოსახვის იმ საშუალებებზე, რომლებსაც იგი მიმართავს თავისი ეპიკური პოემის შესაქმნელად.

ზოგადი ხასიათის გამოსახვითი საშუალებებიდან რუსთაველი პირველ რიგში ასახელებს ენას: „აწ ენა მინდა გამოთქმად“ — ამბობს იგი მე-6 სტროფში. გამოსათქმელად, ანუ მხატვრული გამოსახვისათვის, პოეზიას ერთ-ერთი საშუალება ენა აქვს ისევე, როგორც ფერწერას — ფერები, მუსიკას — ბგერები, მოქანდაკეს — ქვა, თიხა, ან ლითონი. ეს კარგად იცის რუსთაველმა, ამიტომ იგი პირველ რიგში მოითხოვს ენის დაუფლებას, რადგან, თუ პოეტი გამოთქმის, ანუ პოეტური ხელოვნების ამ ძირითად საშუალებას არ იქნება დაუფლებული, ვერ მიაღწევს თავის მიზანს, ვერ აქებს თამარს, ვერ შექმნის „გულის გამგმირავ“ ლექსს.

პოეტური ნაწარმოების შექმნის აუცილებელი საშუალებაა აგრეთვე გული, რომელიც რუსთაველისათვის სამყაროს შეგრძნების, გრძნობადი აღქმის სიმბოლოა.

მართლაც, იმისათვის, რომ ხელოვანმა მხატვრულად გამოსახოს სინამდვილე, ჯერ უნდა აღიქვას. ამისათვის კი საჭიროა, რომ ხელოვანს ჰქონდეს სამყაროს გამახვილებული შეგრძნების უნარი. სწორედ ხელოვანისათვის დამახასიათებელი ეს საჭირო უნარი აქვს მხედველობაში რუსთაველს, როდესაც იგი მეექვსე სტროფის პირველ სტრიქონში ხელოვანისათვის გული ქონების საჭიროებაზე ლაპარაკობს.

მაგრამ, ენისა და გულის გარდა პოეტური ნაწარმოების შექმნისათვის საჭიროა გამოსახვის ისეთი საშუალების დაუფლება, როგორიცაა „ხელოვნება“. ჰწერალი დაუფლებული უნდა იყოს წერის ტექნიკას, მას უნდა გააჩნდეს პროფესიული ოსტატობა. პროფესიული ოსტატობა, კი, როგორც ცნობილია, გულისხმობს ისეთი ჩვევების გამომუშავებას, როგორიცაა შაირის წერის ტექნიკის დაუფლება, მან „ხელმარჯვედ“

უნდა იხმაროს რითმა, რიტმი, ალიტერაცია, ტროპები და სხვა პოეტური გამოსახვის საშუალებანი.

შოთა რუსთაველმა კარგად იცის, რომ ენა, გონება და „ხელოვანება“, ანუ პოეტური ოსტატობა, საკმარისი არ არის ჭეშმარიტი მხატვრული ნაწარმოების შესაქმნელად. საჭიროა კიდევ გონება, ანუ გააზრების უნარი. გააზრების უნარი კი აუცილებლად საჭიროა ხელოვანისათვის, რათა ნაგრძნობი და ნანახი, განცდილი და წარმონასახი მხატვრული ენის საშუალებით ისე იქნეს წარმოდგენილი, რომ მკითხველზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინოს, ხოლო მწერლის ხელში დაგროვილი მასალა, როგორც რუსთაველი ამბობს, „წყობილ მარგალიტად იქცეს“.

მხატვრული გამოსახვის ძირითად საშუალებას წარმოადგენს აგრეთვე მხატვრული სახის შექმნა. პოემის შესავალში რუსთაველი არც ამას ივიწყებს. იგი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ენა, გული, ხელოვნება და გონება მას სჭირდება მხატვრული სახის შესაქმნელად, კერძოდ, „ტარიელის ტურფად სახსენებლად“, ანუ, როგორც იგი წერს მე-6 სტროფში: „მით შევეწივნეთ ტარიელს, ტურფადცა უნდა ხსენება“.

ახლა განვიხილოთ ისეთი მხატვრული გამოსახვითი საშუალება, როგორიცაა ხასიათი. პოეტური ხელოვნება, უპირველეს ყოვლისა, სახეებით აზროვნებაა. ხასიათი არის მხატვრული შემოქმედების ძირითადი უჯრედი.

შოთა რუსთაველი „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგში სათანადო ადგილს უთმობს ამ საკითხსაც და გვამცნობს, თუ რა საშუალებებით ქმნის იგი ხასიათებს და რა ძირითად თვისებებს აკუთვნებს მას.

ძირითადი საშუალება, რომელსაც შოთა რუსთაველი მიმართავს ტარიელის, ნესტანის, ავთანდილის, თინათინის და ფრიდონის ხასიათების შესაქმნელად, არის მიჯნურობა და მეგობრობა. ამის შესახებ რუსთაველი „ვეფხისტყაოსნის“ შესავლის მე-6, მე-8 სტროფებში საკმაოდ გარკვევით ლაპარაკობს. მე-6 სტროფში ნათქვამია, რომ მან მიმართა მეგობრობას, როგორც საშუალებას, რათა სამი გმირი — ავთანდილი, ტარიელი და ფრიდონი — დაეხატა. ეს კი მას დასჭირდა თამარ მეფის განმადიდებელი ნაწარმოების შესაქმნელად. ამ

სტროფში მხატვრული გამოსახვის ისეთ საშუალებებთან ერთად. როგორიცაა ენა, გული, ხელოვნება და გონება, შოთა მეგობრობის გრძნობასაც ასახელებს: „მათ სამთა გმირთა მნათობთა სჭირს ერთმანეთის მონება“.

მეგობრობას „ვეფხისტყაოსანში“ დიდი ადგილი უკავია და იგი მოითხოვს სპეციალურ განხილვას, რადგან მას მრავალი ასპექტი გააჩნია. აქ მხოლოდ ჩვენს ზოგად მოსაზრებებზე შეგაჩერებთ მკითხველის ყურადღებას:

მეგობრობა „ვეფხისტყაოსნის“ ერთ-ერთი ძირითადი იდეა კი არ არის, როგორც ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს, არამედ, მხატვრული გამოსახვის ერთ-ერთი საშუალება, რუსთველის მიერ მთავარ გმირთა ხასიათების შესაქმნელად გამოყენებული.

ეს დებულება ნათელი გახდება, თუ გავითვალისწინებთ აზრის განვითარების იმ თანამიმდევრობას, რომელიც შეინიშნება მე-4, მე-5 და მე-6 სტროფებში. მეოთხე და მეხუთე სტროფებში, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, შოთა რუსთაველი ლაპარაკობს თავისი ნაწარმოების მიზანდასახულობაზე, რომ მას განზრახული აქვს თამარის შექება. მეექვსე სტროფში კი მითითება გვაქვს იმ საშუალებებზე, რომლებსაც მიმართავს ავტორი ამ მიზნის, ანუ პოემის დედააზრის, ნათელსაყოფად. ის უშუალო ლოგიკური კავშირი, რომელიც ამ სტროფებს შორის არსებობს, ბევრის მეტყველია და აღნიშნული თვალსაზრისის სასარგებლოდ ლაპარაკობს.

საკუთრივ „ვეფხისტყაოსანში“ მთავარი გმირების ერთ-ერთი ძირითადი დამახასიათებელი ფაქტორი არის მეგობრობა. მეგობრობას შოთა რუსთაველი მიმართავს, ერთი მხრივ, გმირების ხასიათის გამოსაკვეთად, ხოლო, მეორე მხრივ, პოემის ცალკეული ნაწილების შესადუღაბებელ და მთლიანობაში მოსაყვან საშუალებად. მეგობრობა აკავშირებს სამი გმირის თავგადასავალს და ქმნის პოემის ერთ მთლიან კომპოზიციას.

მეგობრობის, როგორც ეთიკური კატეგორიის, დასახასიათებლად „ვეფხისტყაოსანში“ შექმნილია მრავალი მშვენიერი სტროფი, საიდანაც მთელი სიცხადით ჩანს ადამიანთა ეს უმშვენიერესი, უსპეტაკესი და უკეთილშობილესი გრძნობა.

სინამდვილის ასახვის მეორე ძირითადი საშუალება, რომლის მეშვეობით შოთა რუსთაველი ქმნის „ვეფხისტყაოსნის" გმირების ხასიათებს, არის სიყვარული, ანუ, უფრო სწორად რომ ვთქვათ, მიჯნურობა.

მიჯნურობა, ისევე როგორც მეგობრობა, „ვეფხისტყაოსნის" ერთ-ერთ იდეას კი არ წარმოადგენს, როგორც რუსთაველის ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს, არამედ მხატვრული სახის, ხასიათის შესაქმნელ ერთ-ერთ საშუალებას.

„ვეფხისტყაოსნის" იდეა ნაკარნახევია საქართველოს კონკრეტულ-ისტორიული პირობებით და წარმოადგენს იმ დროის საჭირბოროტო პოლიტიკურ პრობლემას, ხოლო მიჯნურობა პოემაში ზოგადკაცობრიულ კატეგორიას განეკუთვნება. ამიტომ არის, რომ იგი ყველასათვის გასაგებია და მახლობელი. ამიტომაცაა, რომ გამიჯნურებული ტარიელის ცეცხლისდება და ტანჯვა მკითხველზე დღესაც წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს.

ტარიელის, ნესტანის, ავთანდილისა და თინათინის სახეების შექმნისას შოთა რუსთაველი მათი ხასიათის სწორედ ამ მხარეს — მიჯნურობას — აქცევს მთავარ ყურადღებას. „ვეფხისტყაოსნის" გმირები, უპირველეს ყოვლისა, მიჯნურები, ანუ სიყვარულის სიშმაგით, ვნებით არიან შეპყრობილი. მიჯნურობა პოემის გმირთა ხასიათის შექმნის ერთ-ერთი ძირითადი საშუალებაა; ტარიელი, ნესტანი, ავთანდილი და თინათინი მიჯნურები არიან და სწორედ ეს გრძნობა აძლევს მიმართულებას ყოველ მათ მოქმედებას. რადგან მიჯნურობას ძალიან დიდი ადგილი უკავია „ვეფხისტყაოსანში", ამიტომ შოთა რუსთაველი ამ მოვლენის განსაზღვრას, ე. ი. მისი დამახასიათებელი ნიშნების გარკვევას და დადგენას, თავისი პოემის შესავლის მესამედს, ანუ 12 სტროფს უთმობს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პოემის პროლოგში მიჯნურობის შესახებ მოცემული ვრცელი მსჯელობა და ამ მიჯნურობის ესოდენ ფართოდ წარმოდგენა საკუთრივ „ვეფხისტყაოსანში", კიდევ ერთი დამადასტურებელი საბუთია იმისა, რომ „შესავალი" პოემის განუყრელ ნაწილს წარმოადგენს და იგი რუსთაველის კალამს ეკუთვნის.

ჩვენ ამ თავში მიჯნურობას მხოლოდ ერთი კუთხით განვიხილავთ, როგორც მხატვრული გამოსახვის ერთ-ერთ საშუალებას, რომელსაც მიმართავს რუსთაველი პოემის გმირების ხასიათის შესაქმნელად, ჯერ განვიხილოთ ზოგადად, თუ რას წარმოადგენს ის მიჯნურობა, რომლითაც გამსჭვალული არიან პოემის მთავარი გმირები.

მიჯნურობა, რუსთაველის განსაზღვრით, ისეთი გრძნობაა, ანუ ადამიანის ისეთი სულიერი მდგომარეობაა, როდესაც სატრფიალო ობიექტის მიუწვდომლობის გამო ადამიანს დაეუფლება დაუძლეველი სურვილი, ნდომა. ეს არის უძლიერესი, ყველა სხვა გრძნობისა და მისწრაფების გამომრიცხავი და დამთრგუნავი ლტოლვა. რომელსაც გაშმაგებამდე მიჰყავს ადამიანი. რუსთაველი ამბობს, რომ მიჯნური შმაგს ნიშნავს:

> მიჯნური შმაგსა გვიქვიან არაბულითა ენითა,
> მით რომე შმაგობს მისისა ვერ-მიხდომისა წყენითა[22].

ასეთი ლტოლვის, შმაგობის, ანუ მიჯნურობის განცდა ყველას არ შეუძლია. ეს დახვეწილი, კრისტალური გრძნობა მხოლოდ რჩეულთა ხვედრია, რომლებიც ამაღლდნენ ჩვეულებრივ სჭესობრივ, ქვენა გრძნობებზე და შესწევთ მეორე არსების მიმართ სულიერი კონტაქტის განცდის უნარი. ფაქტიურად აქ საქმე გვაქვს ესთეტიკურ განცდასთან, სატრფიალო ობიექტით ხელშეუხებელ ტკბობასთან. ამრიგად, ის მიჯნურობა, რომელსაც უმღერის რუსთაველი, არის არა ხორციელი, არამედ სულიერი. ეს არის ლტოლვა, დაუოკებელი სწრაფვა, სურვილი მიზნის მიღწევისა. ასეთი ლტოლვა, რუსთაველის განსაზღვრით, ადამიანს უჩნდება მაშინ, როდესაც მის წინაშე რაიმე დაბრკოლებანი აღიმართებიან, როდესაც რაღაცა ხელს უშლის სატრფიალო ობიექტით ტკბობას და მიზნის მისაღწევად საჭიროა წინააღმდეგობათა დაძლევა.

ამავე დროს ეს არის უაღრესად ადამიანური გრძნობა, დამახასიათებელი მხოლოდ რჩეულთათვის, იმათთვის, ვინც ადამიანობის უმაღლეს საფეხურს მიაღწია. ეს, უპირველეს ყოვლისა, არის მშვენიერის განცდით გამოწვეული ესთეტიკური გრძნობა და ამ გრძნობას რუსთაველი იყენებს, როგორც ხასიათების შექმნის საშუალებას.

აქედან კეთდება რუსთაველის ესთეტიკური პრინციპებისათვის დამახასიათებელი კიდევ ერთი ზოგადი დასკვნა:

შოთა რუსთაველი თავისი ეპიკური პოემის დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მქონე, საკმაოდ გამჭვირვალე პოლიტიკური იდეის ნათელსაყოფად მიმართავს ისეთ ადამიანურ გრძნობებს, როგორიცაა მეგობრობა და მიჯნურობა, რადგან მხატვრულ ნაწარმოებში მათი განსახიერება გულში ჩამწვდომი, მკითხველზე დიდი ზემოქმედების ძალის მქონეა.

ამიტომაა, რომ რუსთაველი მათზე დიდ იმედებს ამყარებს და უშუალოდ იმის შემდეგ, რაც თავისი ნაწარმოების მთავარ იდეაზე ლაპარაკობს, მთელი კატეგორიულობით დასძენს:

> დავეძლერდი, მიჯნურთათვის კვლა წამალი არსით არი,
> ანუ მომცეს განკურნება, ანუ მიწა მე სამარი.

რუსთაველმა კარგად იცის, რომ მეგობრობა უკეთილშობილესი ადამიანური გრძნობაა. ამ გრძნობის მატარებელი ადამიანი კი, უდავოდ, სიმპათიებსა და კეთილგანწყობილებას იმსახურებს. ამიტომ მთავარი გმირების ხასიათების შესაქმნელად იგი სწორედ ამ გრძნობას მიმართავს, რათა მკითხველში მათდამი სიყვარული და აღტაცება გამოიწვიოს. რუსთაველი მიზნად ისახავდა, შეექმნა „გულის გასაგმირი“, გულში ჩამწვდომი ნაწარმოები. ამ მიზანს იგი აღწევს ტარიელის ტრაგიკული სახის შექმნით. რუსთაველმა კარგად იცის, რომ ტრაგიკულის განცდა მხოლოდ ტრაგიკულ მოვლენას შეუძლია გამოიწვიოს. რადგან მიჯნურობა თავისთავად დრამატიზმის შემცველია, ამიტომ იგი საუკეთესო საშუალებაა მკითხველში სიბრალულისა და თანაგრძნობის გამოსაწვევად.

რუსთაველი 41-ე სტროფში წერს:

> საბრალოა სიყვარული, კაცსა შეიქმს გულმოკლულად.

როგორც ამ სტრიქონიდან ჩანს, სიყვარული, მიჯნურობა თავისთავად „საბრალოა“ და კაცის გულისმკვლელი და, ცხადია, მიჯნურობით გულმოკლული, საბრალო ადამიანი მკითხველშიც სიბრალულს გამოიწვევს, მკითხველსაც გულს განუგმირავს. რუსთაველმა ეს თეორიული პრინციპი ბრწყინვალედ განახორციელა „ვეფხისტყაოსანში“ და ტარიელის, ნესტანდარეჯანის, ავთანდილის, თინათინის სახით ღრმად შთამ-

ბეჭდავი ხასიათები შექმნა, რომელთა ბედი მართლაც გულის განმგმირავად მოქმედებს მკითხველზე.

ამრიგად, მეგობრობა და მიჯნურობა რუსთაველისათვის ძხატვრული გამოსახვის საშუალებას წარმოადგენენ. ის მათი მეშვეობით ნაწარმოების იდეის ნათელსაყოფად საჭირო ხასიათებს ქმნის. ეს კი იმის მომასწავებელია, რომ რუსთაველის ერთ-ერთ ძირითად პრინციპს წარმოადგენს შემდეგი: მოშაირემ თავის ნაწარმოებში უაღრესად ადამიანური გრძნობები უნდა ასახოს, პოეტმა უნდა უმღეროს ისეთ წმიდათა-წმიდა გრძნობებს, როგორიცაა მეგობრობა და სიყვარული.

### 2. ალეგორია „ვეფხისტყაოსანში", როგორც მხატვრული გამოსახვის საშუალება

რუსთაველის მკვლევართა მიერ არაერთგზის ყოფილა აღნიშნული ის გარემოება, რომ „ვეფხისტყაოსანი" ალეგორიული ნაწარმოებია. ჩვენც ღრმად ვართ დარწმუნებული იმაში, რომ „ვეფხისტყაოსანი" ალეგორიული ნაწარმოებია და რომ რუსთაველი მიმართავს ალეგორიას, როგორც მხატვრული გამოსახვის ერთ-ერთ საშუალებას. ამასთან დაკავშირებით მკვლევარის წინაშე რამდენიმე პრობლემა იჭრება, რომლებიც გადაუდებელ დამუშავებას მოითხოვენ.

1) რა ხასიათის მატარებელია „ვეფხისტყაოსნის" ალეგორიულობა?

2) რა მიზნით მიმართავს რუსთაველი ალეგორიას, ანუ რამ განაპირობა ალეგორიის ხმარება „ვეფხისტყაოსანში"?

უპირველეს ყოვლისა, განვსაზღვროთ მხატვრული ალეგორიის ცნება.

ალეგორია (alleqoria) ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს აზრის იგავით, ქარაგმით, გადაკვრით გამოთქმას. ალეგორიის საშუალებით მწერალი, მოქანდაკე, მხატვარი გამოსახავს რაიმე საგანს ან მოვლენას, რათა ჩვენში გამოიწვიოს სხვა საგნის და მოვლენის ცოცხალი და შთამბეჭდავი წარმოდგენა. ალეგორია მწერალს აძლევს საშუალებას, მოახდინოს კონკრეტული მოვლენების აბსტრაჰირება და მიაღწიოს ფართო განზოგადებას.

ამას გარდა, ალეგორიულ სახეს გაცილებით მეტი შთამბეჭდავი და ზემოქმედებითი ძალა აქვს იმ ტიპიური ნიშნების გამო, რომლებიც პოეტური ფანტაზიის მეშვეობით მწერალს შეაქვს რომელიმე კონკრეტულ მოვლენაში.

ალეგორიას მწერალი იმ შემთხვევაშიც მიმართავს ხოლმე, როდესაც სხვადასხვა მიზეზის გამო პირდაპირ აზრის გამოთქმა მიზანშეწონილი არ არის. ეს შემდეგ შემთხვევაში ხდება: როდესაც მოსალოდნელია „ამა ქვეყნის ძლიერთაგან“ ავტორის მიმართ ანგარიშსწორება მხატვრულ ნაწარმოებში სახელმწიფოებრივი იდეოლოგიის საწინააღმდეგო აზრების გატარების გამო. როდესაც ნაწარმოებში ასახული ზოგიერთი სიტუაციები და პერსონაჟები იმდენად ახლოს დგანან ისტორიულ სინამდვილესთან, რომ შეიძლება არასასურველი პარალელები გამოიწვიონ მკითხველში, რაც შეიძლება საჩოთირო იყოს ხელისუფალთათვის; ამ შემთხვევაშიც მწერალი ალეგორიას მიმართავს, მოქმედება ერთი ქვეყნიდან მეორე ქვეყანაში გადააქვს, ცვლის გმირთა სახელებს და ცდილობს, აჩვენოს, რომ ეს მხოლოდ ანალოგიური შემთხვევა, ანალოგიური სიტუაციაა და არა თვით ისტორიული, ნამდვილად მომხდარი ამბავი.

მითითება იმის შესახებ, რომ „ვეფხისტყაოსანი“ ალეგორიული ნაწარმოებია, პოემის შესავლის მე-9 და მე-19 სტროფებში გვაქვს. ამას გარდა, საკუთრივ პოემის იდეურ-მხატვრული ანალიზი და მისი შინაარსის თამარ მეფის დროინდელ საქართველოს ისტორიულ სინამდვილესთან შედარებაც იმის დამადასტურებელია, რომ შოთა რუსთაველმა ალეგორიულად ასახა ზოგიერთი ისტორიული მოვლენა არაბი ავთანდილისა და ინდოელი ტარიელის თავგადასავლის სახით. ერთი სიტყვით, მოქმედების გადატანა არაბეთსა და ინდოეთში მე-12 საუკუნის საქართველოში წარმოებული პოლიტიკური ბრძოლის არსის ალეგორიულ გადმოცემას წარმოადგენს.

რადგანაც მე-9 და მე-19 სტროფები რუსთველოლოგებს სხვადასხვაგვარად ესმით, ამიტომ, უპირველეს ყოვლისა, შევეცადოთ, დავადგინოთ მათი ჭეშმარიტი შინაარსი, გავარკვიოთ, თუ რის თქმა უნდოდა შოთა რუსთაველს ამ სტროფებით.

მე-9 სტროფში ეკითხულობთ:

ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები,
ვით მარგალიტი ობოლი, ხელის-ხელ საგოგმანები,
ვპოვე და ლექსად გარდავთქვი, საქმე ვქმენ საჭოჭმანე,
ჩემმან ხელ-მქმნელმან დამმართოს ღაღმან და ღამაზმა ნები.

ზოგიერთი რუსთველოლოგის მიერ ამ სტროფის არასწორმა გაგებამ გამოიწვია მცდარი შეხედულება „ვეფხისტყაოსნის“ ამბის „ნასესხობის“ შესახებ, რომელსაც ესოდენ თავგამოდებით იცავდნენ აკად. ნიკო მარი, პროფ. იუსტინე აბულაძე, ა. ხახანაშვილი და სხვები. მათი აზრით, არავითარი საფუძველი არა გვაქვს, ეჭვი შევიტანოთ რუსთაველის სიტყვებში იმის შესახებ, რომ მან სპარსულიდან ნათარგმნი ამბავი გალექსა და ამიტომ უდავოდ უნდა იყოს მიჩნეული, რომ „ვეფხისტყაოსანი“ არ არის ორიგინალური ნაწარმოები და იგი, უკეთეს შემთხვევაში, მოარული სიუჟეტის გადაკეთებას წარმოადგენს. ეს თეორია[1] საფუძვლიანად გააკრიტიკა ჩვენმა დიდმა მეცნიერმა აკად. კორნელი კეკელიძემ, ამიტომ უკვე თქმულს აღარ გავიმეორებთ. ჩვენ მხოლოდ დავძენთ, რომ ამ მცდარ და დღეს საბოლოოდ უარყოფილ თეორიას საფუძვლად უდევს მე-9 სტროფის და, კერძოდ, სიტყვა „ნათარგმანების“ შინაარსის არასწორი გაგება.

მე-9 სტროფი მე-4, 5, 6, 7 და მე-8 სტროფებში განვითარებული აზრის დამაგვირგვინებელია. იგი უშუალოდ მოსდევს იმ სტროფებს, რომელშიც ლაპარაკია ავტორის მიზანდასახულებაზე — შექმნას ისეთი ნაწარმოები, რომელიც თამარის ქება და განდიდება იქნება. აღსანიშნავია, რომ მე-8 და მე-9 სტროფებს შორის ღრმა, უშუალო კავშირი არსებობს. განსაკუთრებით ეს იგრძნობა მე-8 სტროფის მეოთხე და მე-9 სტროფის მეოთხე სტრიქონებიდან. პირველ მათგანში ლაპარაკია იმაზე, რომ რუსთაველი არის აღგზნებული, გახელებული, დაუძლეველი ლტოლვით შეპყრობილი იმისათვის, ვისაც „ჰმორჩილებს ჯარი სპათა“, ანუ თამარ მეფისათვის. მე-9 სტროფის მეოთხე სტრიქონშიც ისევე გახელებაზე, ანუ შემოქმედებით აღგზნებაზე, ლტოლვაზე, წვაზეა ლაპარაკი:

[1] იხ. კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, თბ., 1958, გვ. 160 — 169.

ვინც მე აღმაგზნო შემოქმედებისათვის, „ხელმქნა“, მან დაჩრთოს ნება, შევქმნა ეს ნაწარმოებიო. როგორც ვხედავთ, ამ სტროფებს შორის ორგანული კავშირი არსებობს და მათში ლაპარაკია თამარ მეფის ქების შემცველ ნაწარმოებზე, რომელიც შოთა რუსთაველს შეუქმნია. აქ უნებლიედ იბადება კითხვა — სპარსული ამბის თარგმანი იქნებოდა თუ არა თამარის ქება? ცხადია, რომ არა. მაშასადამე, აქ რაღაც სხვა რამ იგულისხმება და არა სპარსული ამბის თარგმნა, როგორც ეს რუსთაველის ზოგიერთ მკვლევარს ესმოდა და ახლაც ესმის. „ესე ამბავი სპარსულის“ შესახებ, უპირველესად ყოვლისა, უნდა ითქვას, რომ „ვეფხისტყაოსანში“ გალექსილი ამბავი წარმოუდგენელია იყოს სპარსული, რადგან ამბავი, რომელზედაც აქ არის ლაპარაკი, შეიძლება იყოს არაბული, ინდური და არავითარ შემთხვევაში — სპარსული. როგორც ცნობილია, „ვეფხისტყაოსნის“ მოქმედება წარმოებს არაბეთში, ინდოეთში; მისი მთავარი გმირები კი ან არაბები, ან ინდოელები არიან. სპარსეთი მხოლოდ ორჯერ არის მოხსენებული პოემაში და ისიც უარყოფითად. ცნობილია ისიც, რომ არც სპარსულ ფოლკლორში და არც სპარსულ ლიტერატურაში მსგავსი ამბის ან ნაწარმოების ნაკვალევიც კი არ მოიპოვება. ამრიგად, „ვეფხისტყაოსანში“ აღწერილი ამბის სპარსეთთან დაკავშირება სრულიად გამორიცხულია.

ზემოთქმულიდან გამომდინარეობს ერთადერთი დასკვნა: რუსთაველი, როდესაც წერს „ესე ამბავი სპარსული“-ო, მიგვანიშნებს, რომ თუმცა ვამბობ, რომ ამბავი სპარსულიაო, მაგრამ სინამდვილეში მას სპარსულთან არაფერი აქვს საერთო, რომ „ვეფხისტყაოსანში“ მოყოლილი ამბების ქვეშ არ იგულისხმება არც არაბული, არც ინდური და არც სპარსული სინამდვილე, არამედ ქართული. ეს რომ ასეა, ამაზე ნათლად მეტყველებს მე-9 სტროფის პირველი სტრიქონის მეორე ნახევარი — „ქართულად ნათარგმანები“.

ეს ორი სიტყვა რუსთაველის მკვლევარებს ესმით, როგორც რაღაც ამბის სპარსულ ენიდან გადმოქართულება, ანუ თარგმნა ამ სიტყვის დღევანდელი მნიშვნელობით, როგორც ამბის, აზრის ერთი ენიდან მეორეზე გადმოღება.

სიტყვა „ნათარგმანებს“ კი სხვა მნიშვნელობებიც აქვს —

ეს სიტყვა იხმარებოდა, ერთი მხრივ, იგავის, ხოლო, მეორე მხრივ, კომენტარის, ანუ განმარტების, მნიშვნელობით.

ასე მაგალითად, ვახტანგ მე-6 თავის კომენტარებს, „ვეფხისტყაოსნის“ ცალკეული სტროფების განმარტებას „თარგმანს“ უწოდებს, თუმცა ეს „თარგმანი“ ქართულიდან ქართულზეა გაკეთებული და არა უცხო ენაზე. ეს რომ ნათელი გახდეს, მოვიტანოთ ვახტანგის თარგმანის შესავლიდან ერთერთი ადგილი: „და აწ ესე მისმინეთ ვეფხისტყაოსანი მე ასე მითარგმნია: და თუც უწესოდ იყოს და ანუ უკეთ სცნოთ ვინმე თქვენცა სთარგმნეთ: მრავალი ორთა და სამთა უთარგმნია: ერთი მე ასე მივხედი და მითქვამს რაც რუსთაველისაა იმის გარდა არა მითქვამს რა: და ვინც გინდათ იმათ სთარგმნეთ“[1]. ვახტანგისეული კომენტარების სათაურიც — „თარგმანი პირველი წიგნისა ამის ვეფხის ტყაოსნისა თქმული ბატონის შვილის გამგებლის პატრონის ვახტანგისა“ ნათლად მეტყველებს იმაზე, რომ ვახტანგს სიტყვა „თარგმანი“ ნახმარი აქვს განმარტების, გაშიფვრის, კომენტარის მნიშვნელობით.

ასევე აქვს განმარტებული სიტყვა „თარგმანი“ თავის ლექსიკონში ნიკო ჩუბინაშვილს:

„თარგმანი განმარტება წერილითა და ჰაზრთა მათთა აღსნა“[2]. დიდ ინტერესს წარმოადგენს ამავე სიტყვის საბასეული განმარტება. მის ლექსიკონში ვკითხულობთ:

„თარგმანი იგავიანი სიტყვის გაცხადება“[3]. აქ განმარტებიდან ჩანს, რომ „თარგმანი“ ყოფილა იგავად, ანუ არაკად თქმულის „გაცხადება“ ანუ გაშიფვრა. იგავი კი ალეგორიული ნაწარმოების ერთ-ერთი ფორმაა.

სიტყვა „ნათარგმანების“ მნიშვნელობის სწორი გაგება მოცემულია აგრეთვე მოსე ჯანაშვილის მიერაც: „გარდა ამისა, სიტყვა „თარგმნა“, „ნათარგმანები“ რუსთაველის დროსაც განა იმავე მნიშვნელობით იხმარებოდა, როგორც დღეს?“ —

---

1 ვახტანგისეული ვეფხისტყაოსანი, ტფ. 1937, გვ. სპზ: (კურსივი ყველგან ჩვენია, დ. ქ.).

2 ნიკო ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი, გვ. 230.

3 სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, ტფ. 1928 წ., გვ. 137.

კითხულობს მკვლევარი და იქვე იძლევა ამომწურავ პასუხს: — „ვისაც შეუსწავლია ჩვენი მწერლობის ძველი ნიმუშები, ის, უეჭველია, შენიშნავდა, რომ ამ ნაწერებში სიტყვა „თარგმნა“ მუდამ იხმარება **ახსნისა** და **განმარტების** მნიშვნელობით [1]. ამავე მნიშვნელობით ხმარობს ამავე სიტყვას მეათე საუკუნის მწერალი დაჩი — „ფსალმუნთა თარგმანება“ (იხ. „შატბერდის კრებული“), აგრეთვე მეფე ვახტანგი (იხ. მის მიერ გამოცემ. ვეფხისტყაოსნის), სულხან-საბა ორბელიანი (**თარგმანი**, იგავიანის სიტყვის განცხადება; **თარგმანება**, სიტყვა განცხადების თქმა) და სხვ.“[2].

ამრიგად „ვეფხისტყაოსნის“ მე-9 სტროფში სიტყვა „ნათარგმნები“ უნდა გავიგოთ არა როგორც ერთი ენიდან მეორეზე გადმოღება რაღაც ამბისა, არამედ, როგორც ქართულად „იგავიანი სიტყვის გაცხადება“, როგორც მინიშნება „ვეფხისტყაოსნის“ ალეგორიულ ხასიათზე.

მე-9 სტროფის მეორე სტრიქონი — „ვით მარგალიტი ობოლი, ხელის-ხელ საგოგმანები“ მსაზღვრელია და განსაზღვრავს, თუ როგორია „ესე ამბავი სპარსული“. აქ საინტერესოა, რომ ეს ამბავი ყოფილა მარგალიტივით ერთადერთი. ყურადღებას იპყრობს ისიც, რომ ამ სტრიქონით მე-9 სტროფი უკავშირდება მე-7 სტროფს, რომელშიც აგრეთვე ლაპარაკია წყობილ მარგალიტზე. გამოდის, რომ „ობოლი მარგალიტი“, ანუ ამბავი, რუსთაველის ხელში „მარგალიტი წყობილი“ გახდა და ეს „მარგალიტი წყობილი“ — „ვეფხისტყაოსანი“ — არის თამარ მეფის ქება და განდიდება. აქ უნებურად ისმის კითხვა: „ვეფხისტყაოსანი“ რომ მხოლოდ სპარსული ამბის უბრალო თარგმანი იყოს, ამ სიტყვის დღევანდელი გაგებით, იქნებოდა თუ არა იგი თამარ მეფის ქება? ცხადია, რომ არა! მაშასადამე „ვეფხისტყაოსანი“ უბრალო თარგმანს კი არ წარმოადგენს, არამედ თამარის მეფობის ალეგორიულ მხატვრულ ასახვას. ეს რომ ასეა, ამას ამავე სტროფის მესამე სტრიქონიც გვიდასტურებს. ამ სტრიქონში რუსთაველი ამბობს, რომ მან სპარსული ამბის ლექსად გარდათქმით „საშოშმანები“ საქმე ქნა.

---

[1] თარგმნა, თარგმანება (ძველად).

[2] მოსე ჯანაშვილი, შოთა რუსთაველი, ტფ. 1896 წ. გვ. 67.

ვინაიდან სიტყვა „საპოჭმანების“ გაგებაში დიდი არევ-დარევა შეინიშნება, ამიტომ ჩვენ მოგვიხდება მისი შინაარსის დაზუსტება. ვახტანგ მე-6 ასე განმარტავს ამ სიტყვას: „**ჭოჭმანი** საქმე რომ ვერა ექნას კაცსა და დია მქნელისა იყოს, ამას ჰქვია („საქმე ეჰქმენ საპოჭმანები“)[1]“. განმარტების მიხედვით გამოდის, რომ კაცს ძალა შესწევს რაიმეს გაკეთებისა და რატომღაც ვერ აკეთებს, ეს არის ჭოჭმანი. მაგრამ ეს საკმაოდ ბუნდოვანი განმარტება საკუთრივ ჭოჭმანს ეხება, ხოლო რას ნიშნავს „საპოჭმანები“, განმარტებული მაინც არ არის.

თეიმურაზ ბაგრატიონი თავის „განმარტება პოემა „ვეფხისტყაოსანისა“-ში წერს: „**საპოჭმანები-ჭოჭმანი** სასურველი რამ ძნელი, ანუ გასაძნელებელი რამ საქმე (52) ბევრს წართქმასა და უკუთქმაში რომ იყო და ურვიდეს კაცი, მას ნიშნავს. **ჰმუნვა-მწუხარებით ურვა** ანუ მოწყენა“[2]. ეს განმარტებაც კერძოობითია და მხოლოდ ისეთ ჭოჭმანს ეხება, რომელმაც შეიძლება ურვა, ანუ ჰმუნვა გამოიწვიოს. ვახტანგ მე-6 და თეიმურაზ ბაგრატიონის განმარტებებს საერთო ისა აქვთ, რომ ორივენი მიუთითებენ საჭოჭმანო საქმის განსაზღვრულ სიძნელეებთან კავშირზე.

სამწუხაროდ, სიტყვა „საპოჭმანები“ და „ჭოჭმანი“ სულხან-საბა ორბელიანის და ნიკო ჩუბინაშვილის ლექსიკონებში განმარტებული არ არის.

ახლა ვნახოთ, როგორ განმარტავენ ამ სიტყვას თანამედროვე მკვლევარები.

პროფ. იუსტინე აბულაძე მის მიერ 1926 წელს გამოცემულ „ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკონში ასე განმარტავს სიტყვა „საპოჭმანებელს“: „საპოჭმანები, X 13, საპოჭმანო, საძნელო; საქები, სასახელოა“[3]. იმასვე იმეორებს იგი 1937 წელს „სახელგამის“ მიერ გამოცემულ „ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკონში.

სარგის კაკაბაძის მიერ 1927 წელს გამოცემული „ვეფხის-

---

1 ვახტანგისეული „ვეფხისტყაოსანი“, გვ. 387.

2 თეიმურაზ ბაგრატიონი, განმარტება პოემა „ვეფხისტყაოსნისა“, გვ. 8.

3 შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, 26-ე გამოცემა იუსტ. აბულაძის რედაქტორობით, ტფ. 1926, გვ. 278.

ტყაოსნის“ ლექსიკონში ვკითხულობთ: **საჭოჭმანები** 9 — საჭოჭმანო, საყოყმანო, (ამავე ძირისაა სომხ. **ճոճալ** — ქანაობა)“[1].

აკაკი შანიძეს ლექსიკონში, რომელიც დართული აქვს „ვეფხისტყაოსნის“ 1957 წლის გამოცემას, სიტყვა „საჭოჭმანები“ შემდეგნაირად აქვს განმარტებული: „**საჭოჭმანებ-ი** 9, 3 მოსაწონები, საქებური(?)“[2].

ამრიგად, სიტყვა „საჭოჭმანების“ განმარტებიდან ირკვევა მისი სამი ძირითადი მნიშვნელობა: პირველი — როგორც საძნელო საქმე, მეორე — მოსაწონი, საქებარი, სასახელო და მესამე — საყოყმანო.

„ვეფხისტყაოსნის“ პროლოგის მე-9 სტროფში სიტყვა „საჭოჭმანები“, ჩვენი აზრით, ნახმარია სადავოს, საყოყმანოს, საცილობელის, საკამათოს, ორჭოფულის მნიშვნელობით.

ასეთი ვარაუდის საფუძველს, ერთი მხრივ, იძლევა ამ სიტყვის საყოველთაოდ გავრცელებული მნიშვნელობით ხმარება, ხოლო, მეორე მხრივ, თვით მეცხრე სტროფის აზრობრივი რაობა.

სიტყვა „საჭოჭმანები“, „ჭოჭმანი“ ქართულ ენაში, განსაკუთრებით ქართლში, იხმარება სადავოს, საცილობელის, საყოყმანოს, მერყეევის, ორჭოფულის, საეჭვოს მნიშვნელობით და არსად არ გეხვდება მოსაწონის, საქების, სასახელოს მნიშვნელობით. ეს კარგად ჩანს თუნდაც „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონიდანაც“.

აქ „საჭოჭმანო“ და „საჭოჭმანები“ ორი მნიშვნელობით არის მოცემული:

„1)**საჭოჭმანებ-ი** (საჭოჭმანებისა) ძვ. მოსაწონი, საქები, სასახელო, ეს ამბავი სპარსული, ქაროულად ნათარგმანები, ...ვპოვე და ლექსად გარდავთქვი, საქმე ვქმენ საჭოჭმანები (რუსთაველი).

2) საჭოჭმანო (საჭოჭმანოსი), რაც ჭოჭმანს იწვევს, — საყოყმანო, საეჭვო, საჩოთირო. საჭოჭმანო ეს იყო, ცოქალაა სწორედ ისეთ დროს ჩამოდიოდა... როცა მარიამ დედოფალი

---

[1] შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, სარგის კაკაბაძის რედ. 1927 წ., გვ. 204.

[2] შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, თბ., სახელგამი, 1937, გვ. 381.

აფხაზეთს... გაემგზავრებოდა (კ. გამს.). ერთი წელი რა დრო არის, ფრინველივით გაფრინდება! — საჭოჭმანო რაღა მქონდა, აღვასრულე ხალხის ნება (ხ. ბერულ.).

„ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“ მე-7 ტომშიც სიტყვები „შეჭოჭმანდება“, „შეჭოჭმანება“, განმარტებულია, როგორც შეყოყმანდება, დაეჭვდება. შეყოყმანება, დაეჭვება [1].

ფრიად სიმპტომატურია, რომ პირველ შემთხვევაში „საჭოჭმანების“, როგორც მოსაწონის, საქების, სასახელოს, განმარტების საილუსტრაციოდ მოყვანილია „ვეფხისტყაოსნის“ ცნობილი სტროფი და სხვა მაგალითი კი არა. ეს მაგალითი ძალიან საეჭვოა და იგი მე-9 სტროფის არაჯეროვნად გაგებაზეა დაფუძნებული.

სიტყვა „საჭოჭმანებს“ აქვს მხოლოდ მეორე მნიშვნელობა და შოთა რუსთაველიც ამ გავრცელებული მნიშვნელობით ხმარობს ამ სიტყვას მე-9 სტროფში — საცილობელის, საკამათოს, საყოყმანოს აზრით. ასე აქვს გაგებული ეს ადგილი პროფ. ვუკოლ ბერიძეს. იგი წერს: ა. „საქმე ვქმენ საჭოჭმანები“, ე. ი. საყოყმანები, ძნელად გადასაჭრელი საქმე გადავწყვიტეო“ [2].

ამრიგად, მე-9 სტროფის მესამე სტრიქონი ასე უნდა გავიგოთ:

სპარსული ამბის ლექსად დაწერით მე სადავო, საკამათო, საყოყმანო საქმე გავაკეთეო, ანუ ისეთი ნაწარმოები შევქმენი, რომელიც მსმენელში კამათს, აზრთა შეტაკებას გამოიწვევსო. ამ სტრიქონში განმარტებას მოითხოვს სიტყვა „ვპოვე“. როგორ უნდა გვესმოდეს ეს სიტყვა, რა მნიშვნელობით აქვს იგი ნახმარი რუსთაველს?

„პოვნა“ სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში დაკარგულის ხილვაა, მაგრამ პოვნას აქვს სხვა მნიშვნელობაც: მანამდე უჩინარის აღმოჩენა, ხილვა, მიგნება, სწორედ ამ მეორე გაგებით აქვს ნახმარი შოთა რუსთაველს სიტყვა „ვპოვე“ მე-9 სტროფის მესამე სტრიქონში. „ვპოვე“ აქ ნიშნავს მივაგენი, აღმოვაჩინე; ამ შემთხვევაში აუცილებელი არ არის, რომ

[1] ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. 7, გვ. 1343.

[2] ვუკ. ბერიძე, რუსთველოლოგიური ეტიუდები. თბ., 1961 წ., გვ. 280.

ის, რაც მან აღმოაჩინა, ჰპოვა. მანამდე სხვისი კუთვნილება, სხვის მიერ დაკარგული იყოს.

ამრიგად, როდესაც რუსთაველი ამბობს, სპარსული ამბავი ვჰპოვეო, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ იგი სხვის მიერ იყო დანატოვარი და ჩვენმა პოეტმა იპოვა, როგორც, მაგალითად, სხვის კუთვნილ დანაკარგ საგანს პოულობენ. პირიქით, მან სრულიად დამოუკიდებლად მიაგნო მას, აღმოაჩინა, ანუ ჰპოვა. ამიტომ, სრულიად მართალი უნდა იყოს ვახტანგ მე-6, როდესაც ამბობს, რომ რუსთაველმა „ამბავიც თვითონ გააკეთა და ლექსადაც იმისთვის უბნობს"-ო.

მე-9 სტროფის მეოთხე სტრიქონი არაერთგზის ყოფილა რუსთველოლოგთა დეტალური განხილვის საგანი და მის გაგებაში ახლა უკვე ერთგვარი ერთსულოვნება იგრძნობა. ასეა თუ ისე, ამ სტრიქონის ვუკ. ბერიძისეული ინტერპრეტაცია, ძირითადად, მისაღები ჩანს. იგი ეკამათება კ. ჭიჭინაძეს და წერს:

„აქედან: ჩემმა ხელმქნელმა დამმართოს, ლაღმან და ლამაზმა ნები, იქნება: ჩემმა გამაგიჟებელმა (თამარმა) ეს ჩემი წამოწყება დამიდასტუროსო"[1].

თუმცა ამ სტრიქონის ასეთი ინტერპრეტაცია ძირითადად სწორია, მაგრამ მცირე დაზუსტებას მაინც მოითხოვს. უფრო ზუსტი იქნება შემდეგი წაკითხვა: „ჩემში ამ დაუძლეველი შემოქმედებითი ლტოლვის გამღვიძებელმა (თამარმა), ლაღმან (სამეფო პერსონის შემამკობელი ეპიტეტი) და მშვენიერმა დამრთოს ნება, ანუ უფლება მომანიჭოს მისი ქებისა. ეს უკანასკნელი სტრიქონი იმით იქცევს ყურადღებას, რომ აქ ხაზგასმულია ის გარემოება, რომ, თუმცა ეს ვითომც სპარსული ამბის გალექსვაა, მაგრამ საკმაოდ სერიოზული ნაწარმოებია, იმდენად სერიოზული, რომ პოეტი ნებართვას ითხოვს მეფე თამარისგან.

ეს რომ უბრალო თარგმანი ყოფილიყო, როგორც ეს ზოგიერთ მკვლევარს ეგონა, მაშინ პოეტს არ დასჭირდებოდა, სპეციალური ნებართვის გამოთხოვა.

ამრიგად, მე-9 სტროფით შოთა რუსთაველი მიგვანიშნებს,

[1] ვუკ. ბერიძე, რუსთველოლოგიური ეტიუდები, თბ., 1961 წ., გვ. 49.

რომ ის ამბავი, რომელიც გალექსილია „ვეფხისტყაოსანში“, ქართულად გასაშიფრავ, ქარაგმულად, ალეგორიულად თქმულ თამარის ქებას წარმოადგენს. მან, რუსთაველმა, ობოლი მარგალიტის მსგავსი ამბავი ლექსად თქვა, ამით ისეთი საჭოჭმანები საქმე გააკეთა, რომელიც გამოიწვევდა ყოყმანს, დავასა და კამათს. რადგან ეს ძალზე საძნელო საქმეა და შეიძლება საჩოთიროც, ამიტომ თამარ მეფეს სთხოვს, ამ ნაწარმოების მზის სინათლეზე გამოტანის ნება დართოს.

მაშასადამე, მე-9 სტროფში, უპირველეს ყოვლისა, ჩვენ გვაქვს პოეტის მითითება „ვეფხისტყაოსნის“, როგორც მხატვრული ქმნილების, ალეგორიულ, იგავურ, ქარაგმულ ხასიათზე.

„ვეფხისტყაოსნის“ ალეგორიულ ხასიათზე პოეტი მიგვითითებს აგრეთვე პროლოგის მე-19 სტროფშიც. ეს სტროფი, როგორც ვიცით, დამაგვირგვინებელია შაირობის იმ თეორიისა, რომელიც გაშლილია მე-12, 13, 14, 15, 16, 17, 18 სტროფებში. შოთა რუსთაველი მე-19 სტროფის მეოთხე სტრიქონში პირდაპირ გვამცნობს, რომ თამარი შენიღბულად (შეფარვით) არის შექებული „ვეფხისტყაოსანში“ და ეს ნათქვამია იმის შემდეგ, რაც წინა სტრიქონებშიც თამარის ქება აღიარებულია პოეტის სიცოცხლის ერთადერთ მიზნად.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, პოემის პროლოგში რუსთაველი გარკვევით ამბობს, რომ მან თამარის საქებრად შექმნილ „ვეფხისტყაოსანში“ მიმართა, როგორც მხატვრული გამოსახვის ერთ-ერთ საშუალებას, შეფარვით, შენიღბულად ქებას; ანუ, როგორც ვიტყოდით, ალეგორიას.

„ვეფხისტყაოსანი“ თავიდან ბოლომდე გრანდიოზულ ალეგორიას წარმოადგენს, რომლის მსგავსი თავისი მასშტაბებით ძალზე იშვიათი მოვლენაა ხელოვნების ისტორიაში.

მაგრამ აქ მკვლევარის წინაშე დგება ერთი საკითხი, რა ხასიათისაა ალეგორია „ვეფხისტყაოსანში“, როგორია მისი დამახასიათებელი ნიშნები და რაობა?

დიდი ქართველი მეცნიერი კორნელი კეკელიძე ამ საკითხს შემდეგნაირად აყენებს: „ახალი დროის მკვლევარნი ამ საკითხს ისტორიული თვალსაზრისით უდგებიან, ისინი ეძებენ—არის

თუ არა „ვეფხისტყაოსანში“ თეგინდ იგავ-გაკვრით, გადაკრული სიტყვით, ალეგორიით,. რომელიც განსაკუთრებით აშკარა იქნებოდა თანამედროვეთათვის, აღნიშნული რაიმე ფაქტი ან მოვლენა საქართველოს იმდროინდელ ისტორიიდან? თანამედროვე ამბების ალეგორიულად ასახვა მხატვრულ ლიტერატურაში ჩვეულებრივი ამბავია, ასე შეეძლო მოქცეულიყო ჩვენი პოეტიც, და თუ მის ნაწარმოებში ასეთი რამე აღმოჩნდებოდა, ეს უტყუარი დადასტურება იქნებოდა იმისა, რომ თხზულება საქართველოში ქართველის მიერ არის დაწერილი. დღევანდელ პირობებში ასეთი გზა, თუ ერთადერთი არა, ერთ-ერთი საიმედო და მისაღები გზაა, თუ რასაკვირველია, ალეგორია და ისტორიული სინამდვილე ერთმანეთს ზუსტად ემთხვევიან და ისტორიული ინტერპრეტაცია ნაძალადევი არაა“[1].

პირველი მკვლევარები, რომლებმაც სცადეს „ვეფხისტყაოსნის“, როგორც ალეგორიული ნაწარმოების, განხილვა, იყვნენ პროფ. დ. ჩუბინაშვილი და აკადემიკოსი ბროსე. შოთა რუსთაველის პოემას, როგორც ალეგორიულ ნაწარმოებს, განიხილავენ ს. ქვარიანი და მ. ჯანაშვილი.

გენიალური ვაჟაც „ვეფხისტყაოსანს“ ალეგორიულ ნაწარმოებად თვლიდა, იგი თავის ბრწყინვალე ნაშრომში—„ფიქრები „ვეფხისტყაოსანის“ შესახებ“ წერდა: „შესაძლებელია ესა, თუ მთელი „ვეფხისტყაოსანი“ ალეგორია არ არის? სწორედ რომ ალეგორიაა, სხვაფრივ არ შეგვიძლია ავხსნათ“[2].

შოთა რუსთაველის გენიალურ ქმნილებაში ალეგორიის უდავო ნიშანს ხედავს აგრეთვე პროფ. დიმიტრი ბენაშვილი. იგი „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტის შესახებ წერს: „როგორც ხასიათების ანალიზიდან ჩანს, უნდა ვიფიქროთ, რომ „ვეფხისტყაოსნის“ თემად შოთა რუსთაველმა აიღო რეალურად მომხდარი ამბავი და ამ ამბის მონაწილე ადამიანები. ამ ამბავში ორი კონცეფცია ებრძვის ერთიმეორეს, რომელიც ნაწარმოებში

---

1 კორნ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, გვ. 169—170.

2 ვაჟა-ფშაველა, რჩეული, სახელგამი, თბ., 1953 წ., გვ. 347.

განწმოკიდება ინდური და არაბული ტიპის ალეგორიულ სახელმწიფოს ობიექტური წესრიგის სახით"[1].

ამრიგად, რუსთაველის მკვლევართა დიდი ნაწილი „ვეფხისტყაოსანს" განიხილავს, როგორც ალეგორიული შინაარსის ნაწარმოებს, თუმცა არიან ისეთებიც, რომლებიც ამა თუ იმ მიზეზით „ვეფხისტყაოსანში" ალეგორიის ელემენტებს ვერ ამჩნევენ. მათ რიცხვს ეკუთვნის, მაგალითად, პროფ. ალ. ბარამიძე. იგი თავის მონოგრაფიულ ნაშრომში „ვეფხისტყაოსნის" შესახებ წერს: „ჩვენ ვერ გავიზიარებთ „ვეფხისტყაოსნის" ალეგორიული ინტერპრეტაციის თვალსაზრისს"[2].

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩვენც მკვლევართა უმრავლესობასთან ერთად „ვეფხისტყაოსანი" ალეგორიულ ნაწარმოებად მიგვაჩნია, მაგრამ საქმე ისაა, რომ სხვადასხვა მკვლევარები სხვადასხვანაირად განმარტავენ „ვეფხისტყაოსნის" ალეგორიულობას. ამრიგად, დავას ის კი არ იწვევს, არის თუ არა „ვეფხისტყაოსანი" ალეგორიული ნაწარმოები, რაც უდავოა, არამედ—ის, თუ რა ხასიათისაა ეს ალეგორია პოემაში, ანუ რაში და რანაირად ვლინდება იგი.

სამწუხაროდ „ვეფხისტყაოსნის" ალეგორიულად გაგების მომხრეები—დ. ჩუბინაშვილი, მ. ბროსე, მ. ჯანაშვილი, ს. ქვარიანი, პ. ინგოროყვა და სხვები ცდილობდნენ, ისტორიული პარალელებისა და ანალოგიების გატარების საშუალებით დაემტკიცებინათ პოემაში მოცემული ალეგორიებისა და ისტორიული სინამდვილის ზუსტად დამთხვევა და ამით გაემართლებინათ საკუთარი თეორია.

ჩვენმა დიდმა მეცნიერმა კორნელი კეკელიძემ გამოაშკარავა მათი ისტორიული პარალელების შეუსაბამობა და სრულიად მართებულად შემდეგ დასკვნამდე მივიდა: „როგორც ვხედავთ, ნამდვილი, არსებითი პარალელები და ანალოგები არსად, არც ერთს ჰიპოთეზაში არა გვაქვს. შემთხვევითი ხასიათის მსგავსებანი კი სხვა ნაწარმოებშიც შეიძლება იპოვოს ადამიანმა. განსკუთრებით თუ ისეთ ძალადობას ვიხმართ შედარებისას, როგორც ამას მოყვანილ მოსაზრებათა ავტორები სჩადიან.

---

[1] დ. ბენაშვილი, სახისა და ხასიათის პრობლემა „ვეფხისტყაოსანში", თბ., 1951 წ., გვ. 284.

[2] ალ. ბარამიძე, შრთა რუსთაველი, თბ., 1958, გვ. 54.

ტარიელისა და ავთანდილის გაიგივება დავით სოსლანთან, დემნა ბაგრატიონთან, ან კიდევ შოთა რუსთაველთან, ხოლო ნესტან-დარეჯანისა და თინათინისა თამარ დედოფალთან, არ არის გამართლებული არც მხატვრული ნაწარმოების ანალიზის პრინციპების თვალსაზრისით და არც ფაქტიური ისტორიულ-ლიტერატურული მასალით"[1].

ამიტომ „ვეფხისტყაოსნის" ალეგორიულობა უნდა ვეძიოთ არა ისტორიული სინამდვილისა და პოემაში აღწერილი ამბების ზუსტად დამთხვევაში, არამედ სულ სხვა მოვლენაში, რის შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ალეგორია მხატვრული გამოსახვის ერთ-ერთი საშუალებაა და არა ერთადერთი. ხელოვანი სხვა ისეთ გამოსახვით საშუალებებსაც მიმართავს, როგორიცაა ჰიპერბოლა, ფანტასტიკური ელემენტი და სხვა, ამიტომ მხატვრული ნაწარმოების ყოველ დეტალში მხოლოდ და მხოლოდ ალეგორიის ძიება არ იქნება სწორი, რადგან ისეთ დიდ ეპიურ პოემაში, როგორც „ვეფხისტყაოსანია", ალეგორიის გარდა, სხვა გამოსახვით საშუალებათა ელემენტებიც უხვადაა გამოყენებული.

ამას გარდა, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ალეგორიული სახისათვის ანდა ალეგორიული ამბისათვის სრულებით არ არის აუცილებელი იმ რეალურ სინამდვილესთან სრული დამთხვევა, რომელსაც იგი გამოხატავს. ანალოგიებისა და ისტორიული პარალელების თეორიების ავტორებს ეიწყებათ, რომ „ვეფხისტყაოსანი" ისტორიული ტრაქტატი კი არ არის, არამედ მხატვრული ნაწარმოებია. ამიტომ ისინი მასში ამაოდ ეძებენ ისტორიული ფაქტების, ანდა შოთა რუსთაველის ბიოგრაფიის შესატყვის ზუსტ ანალოგიებს. ისინი არ არიან „ვეფხისტყაოსანში" და არც შეიძლება იყვნენ.

ცნობილია, რომ ალეგორია განსხვავდება როგორც სიმბოლოსაგან, ისე მეტაფორისაგან და ზოგჯერ სრულიად გამორიცხავს ანალოგიასაც.

ალეგორიული განსახიერების დროს ხელოვანის მიერ შექმნილი სახე თავისი მოქმედებით და ხასიათით უნდა აღძრავ-

---

[1] ქ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, გვ. 183.

დეს ჩვენს წარმოსახვაში რაიმე აბსტრაქტულ იდეას, გვინერგავდეს სიკეთისადმი, სათნოებისადმი სწრაფვას, სამშობლოსადმი სიყვარულს, თავდადებას და სხვა ამდაგვარს.

ის მიზანი, რომლისთვისაც ავტორი მიმართავს ალეგორიას, განსაზღვრავს ალეგორიის ხასიათსა და არსს.

შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანშიც“ ალეგორიულად განსახიერებული არიან არა კონკრეტული ისტორიული პირები ან მოვლენები, არამედ—ეპოქის სული, იმ დროის ზოგადი იდეები და საჭირბოროტო საკითხები.

ალეგორიის შეშველებით შოთა რუსთაველი თავის „ვეფხისტყაოსანში“ ფართო და ღრმა განზოგადებებს აღწევს, რასაც თავის მხრივ საქართველოს სინამდვილესთან მიმართებაში კონკრეტული საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა ენიჭება და ემოციურ-ზემოქმედებითი ძალა აქვს.

„ვეფხისტყაოსანში“ მოცემული ალეგორიების გაგებია ყველაზე სწორ გზაზე პროფ. დიმიტრი ბენაშვილი დგას, რომელმაც პირველად რუსთველოლოგიაში ალეგორიულობა სწორედ იდეურ-ესთეტიკურ ასპექტში დაინახა. იგი წერს: „იმისათვის, რომ სამშობლოსადმი სიყვარულის დიდი გრძნობა, მეგობრობის იდეა, მიჯნურობა, ადამიანის თავისუფლებისადმი მისწრაფების იდეალი ათმაღლებინა მშვენიერის დონემდე, რუსთაველი თავისი უკვდავი ნაწარმოების კოლიზიად იღებს ქალის ადამიანური უფლებისადმი დამოკიდებულების საკითხს. ამ საკითხისადმი დამოკიდებულებაში რეალურად არსებული ორი მოწინააღმდეგე კონცეფციის საფუძველზე რუსთაველი ალეგორიულად ქმნის არაბული და ინდური ტიპის სახელმწიფოთა ობიექტურ წესრიგს. არაბული ტიპის სახელმწიფოს ობიექტური წესრიგი არ არის იმის წინააღმდეგი, რომ თუკი მეფეს არა ჰყავს მამრობითი მემკვიდრე, ქალმა დაიკავოს სამეფო ტახტი და ამავე დროს თავისი სურვილით აირჩიოს საქმრო“[1].

აქ მოტანილ ამონაწერში ზოგი რამ შეიძლება სადავო იყოს, მაგრამ ერთი უდავოა, რომ მასში სწორადაა გაგებული

[1] დ. ბენაშვილი, სახისა და ხასიათის პრობლემა „ვეფხისტყაოსანში“, თბ., სახელგამი, 1954, გვ. 306.

რუსთაველური ალეგორიის არსი და ხასიათი. მკვლევარი ალეგორიის თავისების დროისათვის დამახასიათებელ პოლიტიკურ საკარპეროტო იდეის აბსტრაჰირებაში დამის სხვა ქვეყნებში: არაბეთის და ინდოეთის სახელმწიფოებში გადატანაში ხედავს. ეს. უდავოდ, პირველი წინ გადადგმული სწორი ნაბიჯია „ვეფხისტყაოსნის“ კვლევის საქმეში, კერძოდ „ვეფხისტყაოსნის“ ალეგორიულობის ხასიათის დადგენაში. მაგრამ ეს სწორი გზა შემდგომ განვითარებასა და დასრულებას მოითხოვს.

ახლა ვნახოთ, თუ რაში ვლინდება, რაში მდგომარეობს „ვეფხისტყაოსნის“ ალეგორიულობა, ანუ რა ფარგლებში იყენებს შოთა რუსთაველი ალეგორიას, როგორც მხატვრული გამოსახვის ერთ-ერთ საშუალებას?

უპირველეს ყოვლისა, „ვეფხისტყაოსნის“ ალეგორიულობა ჩანს შოთა რუსთაველის მიერ საქართველოს ფარგლებს გარეთ ნაწარმოების მოქმედების გადატანაში. პოემაში აღწერილი ამბები წარმოადგენენ თამარ მეფის დროინდელი საქართველოს სინამდვილის უტყუარ ანარეკლს, მაგრამ რუსთაველმა ისინი განგებ გაუცხოურა და ისე წარმოუდგინა მკითხველს, ვითომც ეს ყველაფერი საქართველოს პოლიტიკურ და სახელმწიფოებრივ ცხოვრებას კი არ ეხებოდეს, არამედ არაბეთსა და ინდოეთში ხდებოდეს. საქართველოს სახელმწიფოებრივი და გეოგრაფიული გარემოს გადატანა სხვა ქვეყნებში სხვა რა უნდა იყოს თუ არა ალეგორია?!

პოემის პერსონაჟების — ტარიელისა და ნესტან-დარეჯანის, ავთანდილისა და თინათინის, ფრიდონის, ასმათის და სხვების— ინდოელებად, არაბებად გამოცხადება, მათი გამაჰმადიანება იმ დროს, როდესაც ისინი თავისი არსებით, მთელი თავისი შინაგანი ბუნებით ქართული ნაციონალური ხასიათისა და ყოფის გამოვლინებას წარმოადგენენ, ცხადია, ალეგორიაა.

„ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟები შენიღბულად ქართველი ადამიანის გამოხატულებანი არიან და, რაც მთავარია, იმდენად ქართულნი, რომ ასაკი წერეთელმა მათში საქართველოს სხვადასხვა კუთხის წარმომადგენლებიც კი დაინახა. ცხადია, ჩვენ არ ვიზიარებთ მთლიანად ასაკის კონცეფციას, მაგრამ იგი მაინც არ არის ინტერესმოკლებული, როგორც იმის დამადასტურებელი, თუ რამდენად ქართული ხასიათების ანარეკლს

წარმოადგენენ ტარიელი, ნესტან-დარეჯანი, თინათინი და ავთანდილი.

ალეგორიულობა ჩანს იმ იდეურ-თემატიურ კავშირში და საერთო ტენდენციაში, რომელიც იგრძნობა თამარ მეფის-დროინდელ საქართველოში სინამდვილესა და „ვეფხისტყაოსნის“ შინაარსს შორის. შეუძლებელია არ შეიძლება იყოს დამთხვევა, რომელიც ამ მხრივ არსებობს.

მე-12 საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების ძირითადი პრობლემა, რომლის გარშემო წლების განმავლობაში უმძაფრესი ბრძოლა სწარმოებდა, იყო ქალის მეფედ ყოფნის კანონზომიერების და მისი შეუზღუდავი უფლებების დაცვის საკითხი. იგივე პრობლემა უდევს საფუძვლად „ვეფხისტყაოსნის“ შინაარსს. ამიტომ აშკარა ხდება, რომ ის პოლიტიკური საკითხები, რომელიც წლების განმავლობაში აღელვებდა საქართველოს და რომლის სწორ გადაწყვეტასაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ქართველი ერის სასიცოცხლო ინტერესებისათვის, აგრეთვე შენიღბულად არის გადაწყვეტილი „ვეფხისტყაოსანში“.

ამრიგად, ალეგორია „ვეფხისტყაოსანში“ ზოგად ხასიათს ატარებს და არ წარმოადგენს კონკრეტული ისტორიული პირების ბიოგრაფიის შენიღბულად გადმოცემას.

აქ ისმის კიდევ ერთი საკითხი—რატომ მიმართავს შოთა რუსთაველი მხატვრული გამოსახვის ისეთ ხერხს, როგორიცაა ალეგორია. რამ აიძულა იგი, მოქმედება საქართველოდან უცხო ქვეყნებში გადაეტანა და ქართული სინამდვილე შენიღბულად აესახა?

ალეგორიის საშუალებით რუსთაველი ხაზს უსვამს ორ გარემოებას: უპირველეს ყოვლისა, იმას, რომ მისი საწარმოები არ არის სინამდვილის ზუსტი ასლი, ხოლო, მეორე მხრივ, იმას, რომ მასში არის შეტანილი ისეთი ელემენტები, რომლებიც შეიძლება სინამდვილეში არ იყვნენ, მაგრამ ხახატერული ნაწარმოებისათვის აუცილებელნი არიან.

ალეგორიის საშუალებით რუსთაველი აღწევს განზოგადებას და ის, რაც ჰეშმარიტია ზოგადად, ჰეშმარიტია და გამოსადეგი კონკრეტულად საქართველოს სინამდვილისათვის. ამრიგად, დასკვნა თამარის მეფედ ყოფნის ფაქტის კანონზომიერე-

ბის შესახებ მკითხველს უნდა გაეცნობინა დედუქციური მეთოდით—ზოგადიდან კონკრეტულისკენ სვლით.

ყურადსაღებია ის გარემოებაც, რაც არაერთხელ იყო აღნიშნული რუსთველოლოგების მიერ, რომ „ვეფხისტყაოსანში“ ზოგმა ისეთმა ისტორიულმა ფაქტმა და მოვლენამ ჰპოვა ასახვა, რაც შენიღბვას მოითხოვდა. მათზე აშკარად ლაპარაკს მხატვრულ ნაწარმოებში შეეძლო არასასურველი პოლიტიკური გართულებების გამოწვევა სინამდვილეში, მით უმეტეს, რომ, საფიქრებელია, პოლიტიკური ბრძოლა, გამართული თამარის მეფედ ყოფნის კანონიერების ირგვლივ, დაწყებული „ვეფხისტყაოსნის“ შექმნის პერიოდში, ჯერ დასრულებული არ იყო და თამარის მოწინააღმდეგენი კვლავ ინარჩუნებდნენ საკმაო ძალასა და გავლენას სახელმწიფოში.

შოთა რუსთაველმა ალეგორიას მიმართა იმ მიზნით, რათა თავიდან აეცილებინა ის არასასურველი ასოციაციები და პარალელები, რაც შეიძლება გამოეწვია მის ქმნილებას თამარის კარზე და საერთოდ, ხალხში.

### 3. გამონაგონი ანუ პოეტური ფანტაზია, რომლის შოთა რუსთაველის მხატვრული გამოსახვის ერთ-ერთი საშუალება

მართალია, შოთა რუსთაველი „ვეფხისტყაოსნის“ შესავალში არაფერს არ ამბობს მხატვრული გამოსახვის ერთ-ერთ ისეთ ძირითად საშუალებაზე, როგორიცაა გამონაგონი ანუ პოეტური ფანტაზია. მაგრამ საკუთრივ ეპოპეის ანალიზი გვიჩვენებს, რომ მხატვრული გამოსახვის ამ საშუალებას შოთა რუსთაველი ფართოდ იყენებს.

ვიდრე შევუდგებოდეთ „ვეფხისტყაოსნის“ იმ სახეების განხილვას, რომლებიც შექმნილია შოთა რუსთაველის პოეტური ფანტაზიით და მხატვრულ გამონაგონს წარმოადგენს, მანამდე საერთო ხაზებში განვსაზღვროთ, თუ რა იგულისხმება გამონაგონის ანუ პოეტური ფანტაზიის ცნებაში, როგორია მისი არსი და მისი მხატვრული დანიშნულება.

მხატვრული ნაწარმოების იმ ელემენტებს, რომლებიც წა-

რმოადგენენ მწერლის მხატვრული წარმოსახვის ნაყოფს, ანუ ის, რაც უშუალოდ სინამდვილიდან არ არის აღებული, და მწერლის მიერ შეტანილია თავის ქმნილებაში, ჩვენ მხატვრულ გამონაგონს ვუწოდებთ.

შემოქმედებით პროცესში გამონაგონის შესაქმნელად მწერალი მიმართავს წარმოსახვის უნარს, რათა გამონაგონის მეშვეობით უფრო მეტი სისავსით ასახოს მოვლენების არსი და ისე წარმოუდგინოს მკითხველს, რომ მასზე იდეურ-ემოციური ზემოქმედება მოახდინოს.

მკითხველზე ზემოქმედების ძალას ცხოვრებისეული ფაქტები მხოლოდ მწერლის ფანტაზიით გადამუშავების შემდეგ იძენენ. რადგან მხატვრულად ასახული სინამდვილე, გამონაგონი სახეები გაცილებით მეტ ემოციურ ზეგავლენას ახდენენ ადამიანის სულზე და გონებაზე, მის გრძნობებზე, ვიდრე ამავე ფაქტების მშრალი გადმოცემა, ამიტომ მწერლის ფანტაზიას დიდი მნიშვნელობა აქვს შემოქმედებით პროცესში.

ფაქტობრივი სიმართლე ჯერ კიდევ არ არის მხატვრული სიმართლე. მათ შორის დიდი განსხვავებაა. ყოველი ჭეშმარიტად მხატვრული ნაწარმოები, რომელშიაც შერწყმულია ცხოვრებისეული ფაქტები და მხატვრული გამონაგონი, გაცილებით ფართეა, ვიდრე რომელიმე კერძო ცხოვრებისეული შემთხვევა. ამიტომ არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს ხელოვნების ისეთი ნაწარმოები, რომელშიც სინამდვილესთან ერთად დიდი ადგილი არ ეკავოს მხატვრულ გამონაგონს. გამონაგონი ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა ჭეშმარიტად მხატვრული ნაწარმოების შესაქმნელად.

თუმცა გამონაგონი, როგორც ზემოთ ვთქვით, შემოქმედებითი ფანტაზიის ნაყოფია და არ არსებობს რეალურ სინამდვილეში, მაგრამ რაც არ უნდა გამოსხვავებული იყოს იგი სინამდვილის კონკრეტული ფაქტებისგან, მასში უთუოდ არის მინიშნება სინამდვილეში მომხდარ მოვლენებზე და საბოლოო ანგარიშში ამ რეალური მოვლენებითაა გაპირობებული. ხელოვანი ამა თუ იმ რეალური, ცხოვრებისეული მოვლენის გაზვიადებით, ანდა მასში ფანტასტიკური ელემენტის შეტანით ქმნის გამონაგონს. ამრიგად, ჰიპერბოლა, ფანტასტიკური ელე-

მენტი გამონაგონის შექმნის ძირითად საშუალებას წარმოადგენს.

გაზვიადება, ჰიპერბოლა კი მხატვრული ნაწარმოების ტიპიზაციის ერთ-ერთი საშუალებაა. აი, რას წერდა მაქსიმ გორკი ამის შესახებ: „სიტყვიერ ხელოვნებაში გაზვიადება გვევლინება, როგორც ტიპიზაცია“. უფრო მეტიც, მაქსიმ გორკი მაღალმხატვრულობის ერთ-ერთ დამახასიათებელ ნიშნად გაზვიადებას აცხადებდა: „ყველა დიდი ნაწარმოები, ყველა ის ნაწარმოები, რომლებიც მაღალმხატვრულობის ნიმუშს წარმოადგენენ, რომლებიც გვევლინებიან მაღალმხატვრული ლიტერატურის ნიმუშად, დაფუძნებული არიან გაზვიადებაზე, მოვლენების ფართო ტიპიზაციაზე“.

მოტანილი ციტატიდან ჩანს, რომ გაზვიადება და ტიპიზაცია ურთიერთკავშირში იმყოფებიან და ერთმანეთის გარეშე არ არსებობენ. ეს გასაგებიცაა, რადგან მხატვრული გაზვიადება, გროტესკი, ჰიპერბოლა მწერალს ისე სჭირდება, როგორც გამადიდებელი შუშა. მწერალი შემოქმედებითი გამონაგონის შეშველობით გაზვიადებულად წარმოგვიდგენს ცხოვრებისეული მოვლენის იმა თუ იმ მხარეს, ამახვილებს მკითხველის ყურადღებას ამ მოვლენებზე, ხდის მათ უფრო ხელშესახებს და ძვირფასად დასანახს. გაზვიადების წყალობით მწერალი აშიშვლებს სინამდვილის არსებით მხარეებს, რომლებიც აქამდე შეუმჩნეველი ან დაფარული იყო მკითხველისათვის.

ეს მხატვრული გაზვიადება, გამონაგონი ხშირად ფანტასტიკურ ხასიათს ატარებს, მაგრამ როგორადაც ფანტასტიკური არ უნდა იყოს იგი, აუცილებლად სინამდვილის რომელიმე მხარეზე მიგვანიშნებს.

ამრიგად, ზღაპრულ, ფანტასტიკური ფორმით გადმოცემულ ამბავსაც ძალუძს, ცხოვრებისეული სიმართლე გამოხატოს.

დიდი ხვედრითი წონა აქვს გამონაგონს, ხელოვანის ფანტაზიას მსოფლიო ლიტერატურის ისეთ შედევრებში, როგორიცაა ჰომეროსის „ილიადა“ და „ოდისეა,“ დანტეს „ღვთაებრივი კომედია“, მილტონის „დაკარგული სამოთხე“, შელის— „მიჯაჭვული პრომეთე“, გოეთეს „ფაუსტი“, ბალზაკის „შაგრენის ტყავი“, ლერმონტოვის „დემონი“ და მრავალი

ხვა. შეიძლება თამამად ითქვას, რომ რაც მეტია გამონაგონი მხატვრულ ნაწარმოებში, მით უფრო მეტია მასში მხატვრული სიმართლე, მით უფრო უბადლოა და შეუდარებელი მისი მხატვრული ღირსება, იდეური სილრმე და ემოციური ზემოქმედების ძალა.

შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ ისეთ ნაწარმოებთა რიცხვს ეკუთვნის, რომელშიც დიდი ადგილი უკავია მხატვრული ფანტაზიის ნაყოფს—გამონაგონს, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს საკითხი არასდროს არ ყოფილა რუსთველოლოგების სპეციალური კვლევის საგანი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზოგადი ხასიათის მითითებებს პოემაში ზღაპრული ელემენტის არსებობის შესახებ. ამიტომ ეს საკითხი სპეციალურ კვლევა-ძიებას და დამუშავებას მოითხოვს. ამ თავში ჩვენ განვიხილავთ მხოლოდ ზოგიერთ პრობლემას, დაკავშირებულს გამონაგონის ცნებასთან „ვეფხისტყაოსანში“, კერძოდ:

1. არის თუ არა „ვეფხისტყაოსანში“ გამონაგონი, და თუ არის, როგორია მისი ხვედრითი წონა?

2. რა ხასიათს ატარებს გამონაგონი რუსთაველის ეპოპეაში და რა როლი აკისრია მას?

3. რა საშუალებებით იქმნება გამონაგონი „ვეფხისტყაოსანში“ და რა მიზნით?

4. გამონაგონი, როგორც რუსთაველის ესთეტიკის შემადგენელი ნაწილი.

პირველ კითხვაზე დადებითი პასუხი უნდა გაიცეს: „ვეფხისტყაოსანში“ გამონაგონს, პოეტის ფანტაზიით წარმოსახულ მხატვრულ სინამდვილეს დიდი ადგილი უკავია.

ეს შემჩნეული და აღნიშნულია მრავალი მკვლევარის მიერ, მაგრამ, ერთია შეამჩნიო რაიმე მოვლენა, აღნიშნო მისი არსებობა, ხოლო მეორე — გახსნა მისი არსი, დაადგინო მისი დამახასიათებელი ნიშნები, განსაზღვრო მისი ფუნქციები და ადგილი პოემაში. ამ მიმართულებით რუსთველოლოგიაში ჯერჯერობით ძალზე მცირე რამ არის გაკეთებული, უფრო მეტიც, კვლევა ზოგჯერ ცალმხრივი იყო, რაც დიდ ზიანს აყენებდა „ვეფხისტყაოსანში“ გამონაგონის ბუნების გამოვლინებისა და ახსნის საქმეს.

ასე, მაგალითად, მკვლევართა ნაწილი „ვეფხისტყაოსანში“

არსებულ ზღაპრულ და ფანტასტიკურ ელემენტებს განიხილავს მხოლოდ და მხოლოდ რეალურ სინამდვილესთან და საქართველოს ისტორიულ ფაქტებთან მიმართებაში.

ისინი ცდილობენ ფანტასტიკურში, ზღაპრულში, რაც პოეტის წარმოსახვითი უნარითაა შექმნილი, დაინახონ მხოლოდ და მხოლოდ რეალურად არსებული ფაქტობრივი სინამდვილე. ასეთი მიდგომის დროს, ცხადია, გამორნაგონისათვის ადგილი აღარ რჩება და რუსთაველის შემოქმედების ესთეტიურად მნიშვნელოვანი მხარე დავიწყებას ეძლევა. უდავოა, რომ გამორნაგონს რაღაც კავშირი აქვს რეალურ სამყაროსთან და ნაკარნახევია რეალური ამბებით, მაგრამ გამორნაგონი მაინც გამორნაგონია და განსხვავდება სინამდვილისაგან.

ასე, მაგალითად, „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტი იმ სახით, როგორც იგი ეპოპეაშია გაშლილი, მთლიანად პოეტური გამორნაგონის ნაყოფია. არაბეთში და ინდოეთში გათამაშებული ამბები, მათი დაპირისპირება შოთა რუსთაველის შემოქმედებითი ფანტაზიის მიერაა შექმნილი და ამაო იქნება მათი მსგავსი ანეკდოტური სიტუაციების ძებნა საქართველოში, ანდა რომელიმე სხვა ქვეყნის სინამდვილეში. ამიტომ საკვირველი არ არის, რომ მრავალი მკვლევარის მიერ ამ მიმართულებით გაწეულმა შრომამ არაფითარი შედეგი არ გამოიღო. ამბავი თვითონ რუსთაველს მიერ არის შექმნილი და მას საქართველოს სინამდვილესთან აკავშირებს ის საერთო იდეა და სული, რომელიც შეინიშნება როგორც პოემაში, ისე თამარ მეფის ეპოქაში, კერძოდ, ქალის მეფედ ყოფნის და მისთვის ყველა სამეფო უფლებების მინიჭების აუცილებლობა, რომელსაც მეფეს ერთადერთი ქალის მეტი მემკვიდრე არა ჰყავს. ამ იდეითაა გაპირობებული — საქართველოს სინამდვილეში არსებული პოლიტიკური ბრძოლაც მე-12 საუკუნის ბოლოს და მე-13 საუკუნის დასაწყისში და აგრეთვე, „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტი და კომპოზიცია.

პოეტის ფანტაზიის ნაყოფია, და უდავოდ, გამორნაგონს წარმოადგენს ის გაზვიადებული ფიზიკური ძალა, რომლითაც დაჯილდოებულნი არიან ტარიელი და ავთანდილი. მაგალითად, ხუთი წლის ტარიელი, „ვით კატასა ხოცდა ლომსა“, შემდგომ კი ამარცხებდა დევებს და სხვა. ავთანდილიც ასევე ზეადამი-

ანური, უჩვეულო ღონის პატრონია. იგი მეკობრეებთან ბრძოლაში საოცარ ძალას ამეღავნებს. მან მოწინააღმდეგის ნავს „კეტი ჰკრა, ძელი მოსტეხა“, ხოლო ნავში მყოფი ლაშქარი ამოწყვიტა:

მათ ლაშქართა გულ-უშიშრად ასრე ჰხოცდა, ვითა თხასა;
ზოგი ნავსა შეანარცხის, ზოგსა ჰყრიდა შიგან ზღვასა;
ერთმანერთსაა შემოსტყორცნის, რვა ცხრასა და ცხრა ჰკრის რვასა 1032.

როგორც ვხედავთ, პოეტის შემოქმედებითი ფანტაზიის წყალობით ტარიელი და ავთანდილი, როგორც ფიზიკურად, ისე სულიერად გოლიათები, ტიტანური ძალის მქონე ადამიანები არიან.

ამ შემთხვევაში გამონაგონის შესაქმნელად რუსთაველი გაზვიადებას, ჰიპერბოლას იყენებს.

ასევე რუსთაველის შემოქმედებითი ფანტაზიის ნაყოფია ფრიდონისეული არაჩვეულებრივი ცხენი, რომლითაც ველად გაჭრილი ტარიელი უზარმაზარ სივრცეებს დროის ზღაპრულ მონაკვეთებში გადის. ამ ცხენს შეუძლია მდევარს უკვალოდ დაეკარგოს, გასცუროს ზღვა, გაუჩინარდეს, თვალის დახამხამებაში წარმოუდგენლად დიდი მანძილი გაიაროს და სხვა.

ფანტასტიკური სისწრაფის და მანევრირების უნარის მქონეა ის ნავიც, რომლითაც დავარის მონებს ნესტან-დარეჯანი ზღვის ჭიპისკენ მიჰყავთ.

ფანტასტიურია, აგრეთვე „მრლი“, რომელსაც ფატმანის მონა წამოისხამს, რათა ბანის-ბან გადაფრინდეს ქაჯეთის მიუვალ ციხე-სიმაგრეში შესასვლელად.

ამრიგად, გამონაგონის შესაქმნელად შოთა რუსთაველი ფართოდ იყენებს ფანტასტიკურ ელემენტს.

გამონაგონს წარმოადგენს, აგრეთვე, რუსთაველის პოეტური ფანტაზიით გადამუშავებული ზღაპრული ელემენტები. ამ ნიჭიერ დიდ ინტერესს იწვევს ქაჯებისა და დევების, როგორც მოჭედილ ძალის გამოყენება ეპოპეაში.

მკვლევართა ერთი ნაწილი თვლის, რომ „ვეფხისტყაოსანში“ არავითარ გამონაგონს არა აქვს ადგილი და მასში მხოლოდ და მხოლოდ ალეგორიულადაა რეალური სინამდვილე

ასახული. ამ თეორიის მიმდევრები ცდილობენ, ქაჯებიც და დევებიც რეალურად არსებულ ტომებად წარმოგვიდგინონ.

ასე, მაგალითად, მოხე ჯანაშვილი ქაჯებს აიგივებდა რეალურად არსებულ მოლიდთა ორდენთან. იგი ამბობდა, რომ ქაჯეთის ციხე ყაზვინის მახლობლად მდებარე ალმუთის ციხეა, ხოლო ქაჯებში რუსთაველი ვითომ მხოლოდ ორდენს გულისხმობდა[1].

ზ. ავალიშვილის აზრით, „ვეფხისტყაოსნის“ ქაჯები სამხრეთ ავღანისტანში მცხოვრები თურქთა ჰოდგმის ქაჯები არიან, რომლებიც ქებული მეომრები და მეფეთა დარაჯებიც ყოფილანო[2]. ალ. სვანიძე კი ქაჯეთს ესპანეთის მავრიტანიასთან აიგივებს და ქაჯებად იქ დასახლებული მავრები მიაჩნია.

ამრიგად, ჰ. ჯანაშვილს, ს. ავალიშვილსა და ალ. სვანიძეს „ვეფხისტყაოსანში“ გამოგონილი ქაჯები რომელიღაც რეალურად არსებულ ტომად მიაჩნიათ და არა რუსთაველის პოეტური ფანტაზიით შექმნილ არსებებად.

აკად. კორნელი კეკელიძესაც ერთგვარი ეჭვი შეაქვს ივანში, რომ „ვეფხისტყაოსანში“ ზღაპრული დევები და ქაჯებია გამოყვანილი. იგი თვლის, რომ „ქაჯის“ მაგივრად უნდა იკითხებოდეს „ქუჯნი“, ხოლო „დევები“ არიან მოლიდ-ასასინების ორდენის წარმომადგენლები — „დაველები“ ან „ფედაველები“. აი, რას წერდა ამის შესახებ იგი: „პოეტს (რუსთაველს) არც ერთხელ არ უწოდებია მათთვის (ტარიელ, ავთანდილ, ფრიდონისათვის) ფანტასტიური ან მითოლოგიური არსების დევის სახელი. ამიტომ, საფიქრებელია, თავდაპირველ ტექსტში იკითხებოდა არც „ქაჯნი“ და არც „დევთა“. როგორც ყამთა აღმწერელის სიტყვებიდან ჩანს, ქართველებს სცოდნიათ, რომ მონღოლებს, ერთ-ერთი მათი ტომის, უიღურთა, სახელით სხვათაშორის ეწოდებოდათ „ქუჯნი“ ხოლო მალიდ-ასასინების ორდენის ორ საფეხურს ეწოდებოდა დავი და ფედავი, როგორც ეს მათი ისტორიიდან ვიცით. ისე რომ თავდაპირველ ტექსტში უნდა ყოფილიყო: — „თუ ქუჯნი დავთა შეებნენ“, ესე იგი — თუ მონღოლები ასასინ-მოლოდებს შე-

---

1 თამარ მეფე და ისტორიკოსნი, „მოამბე“, 1904, 4, გვ. 65—66.

2 ზ. ავალიშვილი, ვეფხისტყაოსნის საკითხები, პარიზი, 1931 წ.

ებნენ. შემდეგი დროის გადამწერებმა, რომელთაც არ ესმოდათ ეს სიტყვები, წაიკითხეს ისინი, როგორც „ქაჯნი“ და „დევთა“[1].

ზოგი მკვლევარი იზიარებს იმ აზრს, რომ „ვეფხისტყაოსნის“ „ქაჯთა სამეფო“ უეჭველად ისტორიული ქვეყანაა“... თუმცა საამისო საბუთები მათ არ მოაქვთ.

„ვეფხისტყაოსნის“ ქაჯების და დევების რეალურად არსებულ ტომებად წარმოდგენის თეორიას დღესაც ჰყავს თავისი მომხრეები. 1963 წლის გაზეთ „თბილისის“ მე-5 ნომერში განხილვის წესით დაიბეჭდა ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის შ. ჩიჯავაძის წერილი სათაურით — „ვეფხისტყაოსანში“ სინამდვილის ასახვის საკითხისათვის“. ამ წერილში მოცემულია „ვეფხისტყაოსანში“ ხსენებული ქაჯების და დევების რეალურად არსებულ ტომებთან გაიგივების კიდევ ერთი ცდა. შ. ჩიჯავაძე დევების შესახებ წერს: „წინასწარ უნდა შევნიშნოთ, რომ „ვეფხისტყაოსნის“ დევებს არ გააჩნიათ არავითარი ზღაპრული, არაადამიანური თვისებები... ირკვევა, რომ სიტყვა „დევი“ ნახმარი როდია ახლანდელი მნიშვნელობით. იგი ადამიანს ნიშნავს და სხვა არაფერს“[2]. ხოლო ქაჯების შესახებ ვკითხულობთ: „ქაჯი“ (ეს სახელიც თხზულებაში რეალურ ადამიანს ეწოდება), აქ მხოლოდ ერთხელ აღნიშნავს ჩვენთვის ზღაპრებით ცნობილ ქაჯს, სახელდობრ, „არ ქაჯნია, კაცნიაო“...[3] ამის შემდეგო, განაგრძობს ავტორი, „საფუძველი გვაქვს, ვიფიქროთ, რომ რუსთაველისათვის ცნობილი იყო ინდური წარმოშობის ტომი— დევთა სახელწოდებით. პოეტმა ტარიელის მიერ დევების დამარცხების ამბით მისდროინდელი ან ადრინდელი სინამდვილე დაგვიხატა და არა ზღაპრული ამბავი“. შ. ჩიჯავაძის ამ მოსაზრების წინააღმდეგ ამავე გაზეთ „თბილისის“ ფურცლებზე გაილაშქრეს ივ. ლოლაშვილმა და შ. ღლონტმა

---

1 კორნ. კეკელიძე, ავტორი ვეფხისტყაოსანისა და დრო მისი დაწერისა, მნათობი, 1927 წ. №3, გვ. 215.

2 გაზ. „თბილისი“, 1963 წ., № 5, ვეფხისტყაოსანში სინამდვილის ასახვის საკითხისათვის.

3 იქვე.

(გაზ. „თბილისი“, 1963 წ. № 83, „სინამდვილე და ფანტასტიკა „ვეფხისტყაოსანში“).

უნდა აღინიშნოს, რომ ივ. ლოლაშვილმა და შ. ღლონტმა საკმაოდ საფუძვლიანად გვიჩვენეს იმ არგუმენტების უსაფუძვლობა, რომლითაც ჩიჯავაძე ცდილობს თავისი მცდარი ჰიპოთეზის დასაბუთებას.

ჩვენი აზრით, სცდებიან ისინიც, რომლებიც ამბობენ, რომ შოთა რუსთაველმა დევებისა და ქაჯების სახით რომელიღაც ისტორიული ტომები აღწერა, და ისინიც, ვინც ამბობენ, რომ ქაჯები და დევები ხალხურ შემოქმედებაში ცნობილი ავი სულები ანდა ზღაპრული არსებანი არიან.

„ვეფხისტყაოსნის“ ანალიზიდან ნათლად ჩანს, რომ მასში მოცემული დევები და ქაჯები ისეთი ფანტასტიკური თვისებებით ჰყავს აღჭურვილი შოთა რუსთაველს, რომ რეალურად არსებულ ადამიანთა ბოდგომის ტოტებად მათი გამოცხადება სრულიად გამორიცხულია.

აღნიშნული დებულების ნათელსაყოფად ვნახოთ, თუ რას წარმოადგენენ ქაჯები „ვეფხისტყაოსანში“, და რა დამახასიათებელი ნიშნებით დააჯილდოვა ისინი პოეტმა.

პირველ ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ სიტყვა ქაჯს „ვეფხისტყაოსანში“ ორი სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს.

ერთი მხრივ, შოთა რუსთაველი სიტყვა ქაჯს ხმარობს მითოლოგიურ-რელიგიური, ზღაპრული მნიშვნელობით, უფრო სწორად, ქრისტიანულ-რელიგიური გაგებით, და პარალელურად რომელიღაც კუნძულზე, მთებში მცხოვრები ხორციელი არსებების მნიშვნელობითაც.

არახორციელი არსებების, სულის მნიშვნელობით შოთა რუსთაველი ქაჯებს მხოლოდ შედარებისათვის იყენებს. მაგალითად, ტარიელს ავთანდილი ეუბნება — „ვითა ქაჯი დაგვემალე“-ო. ასეთი ასოციაცია როსტევანში და ავთანდილში გამოიწვია ტარიელის უეცრად, უკვალოდ გაქრობამ, გაუჩინარებამ. ამ შემთხვევასთან დაკავშირებით რამდენჯერმეა ნახმარი სიტყვები — ქაჯი, დევი, უჩინო, უშობელი.

ზღაპრულ, მითოლოგიურ-რელიგიურ ქაჯს „ვეფხისტყაოსანში“ შემდეგი დამახასიათებელი ნიშნები აქვს:

1. მთავარი დამახასიათებელი ნიშანი ქაჯისა არის ის, რომ

იგი ავ, მავნე სულს წარმოადგენს, უხორცოა. ეს კარგად ჩანს ავთანდილის ფატმანთან საუბრიდან. ავთანდილი ამბობს:

მაგრამ საქმე ქაჯეთისა გამაგონე უფრო მრთელად,
ქაჯნი ყველა უხორცოა, რამან შექმნა ხორციელად 1233.

2. ადამიანთა საპირისპიროდ, ქაჯნი უშობელნი არიან, ესე იგი ვინმესგან არ არიან შობილნი და ბოროტ საწყისს წარმოადგენენ.

ეს კარგად ჩანს თინათინის რჩევიდან, რომელსაც იგი როსტევანს აძლევს:

ადრე სცნობ, არის იგი ყმა შობილი, თუ უშობელი 113.

როდესაც ტარიელის საძებნად გაგზავნილი მონები ხელცარიელი დაბრუნდნენ, როსტევანმა გადაწყვიტა, რომ ის, რაც მან ნახა ტარიელის სახით, იყო „უშობელი“:

ვნახე რამე ეშმაკისა სიცუდე და სიბილწეო,
ჩემად მტერად წამოსრული, გადმოჭრილი ზეცით ზეო 117.

ეს ადგილი ასე აქვს განმარტებული ერთ მკვლევარს. იგი წერს: „ღმერთმან შექმნა ანგელოზები. ესენი იყვნენ კეთილნი სულნი, კარგი არსებანი, მაგრამ ზოგნი ანგელოზნი აღზევებისა და ამპარტავნების შედეგად დაეცნენ და ბოროტ არსებად გადაიქცნენ: გახდნენ სატანად და ღმერთმა ისინი ზეცით გადმოყარა. აი, ეს სატანა არის უშობელი...

სწორედ ეს ზეცით „წარმოსული“, „გარდმოჭრილი“, „მტერი“ — ეშმაკი არის „უშობელი“.

3. ქაჯები, ეშმაკები ადამიანთა მტრები არიან, ბოროტნი და ბილწნი. ეს კარგად ჩანს ზემოთ განხილული 117-ე სტროფიდან და თინათინის სიტყვებიდანაც:

შენგან ჩემი სიყვარული ამით უფრო გაამყარე,
რომე დამხსნა შეპირება, ეშმა ბილწი ასაპყარე 130.

4. ქაჯებს, შოთა რუსთაველის მიხედვით, დამალვის, უეცრად გამოცხადებისა და გაუჩინარების უნარი აქვთ.

ავთანდილი ტარიელის ერთბაშად გაჭრობას ადარებს ქაჯის ამ თვისებას. იგი ამბობს:

მეფე შეჯდა, დაგვეკარგე, კვალი შენი ვერ მოვკვეთეთ,
ვითა ქაჯი დაგვემალე, მონებიცა დავაფეთეთ 285.

ამრიგად, „ვეფხისტყაოსნის“ მითიური ქაჯები არიან „არვისგან შობილნი, ზეცით წამოსულნი“, „გარდმოჭრილნი“, უხორცო ანუ არამიწიერი ავი სულები, ბილწნი, ადამიანთა მტერნი, მათ ძალუძთ, გაუჩინარდნენ, ანდა სახეშეცვლილნი მოეელინონ ადამიანებს. ერთი სიტყვით, ისინი არიან მითიური არსებანი, რელიგიური ფანტასტიკის ნაყოფნი. ამ ქაჯებს შოთა რუსთაველი თავის ეპოპეაში მხატვრული შედარებისათვის ორ შემთხვევაში იყენებს: ტარიელის არაბეთში უეცრად გამოჩენისა, უკვალოდ გადაკარგვის და გაუჩინარების აღსანიშნავად, და აგრეთვე, ნესტანის დამატყვევებელი გრძნეული ტომის ქაჯების დასახასიათებლად.

ჩვენი დიდი მეცნიერი ივანე ჯავახიშვილი წერს: „ქაჯისა და ჭინკის არსებობა დასავლეთს საქართველოშიც სჯერათ, იმერეთსა და სამეგრელოში ქაჯები ბალნიან კლანჭებიან სულიერად მიაჩნიათ, მის ბალანს ღამე ლაპლაპი გააქვს და ანათებსო, დიდი ტანისაა და ღონიერი არის, თანაც კლანჭები და წვეტიანი მკერდიც ისეთი მჭრელი აქვს, რომ ადამიანს, თუ მოინდომა, ორად გააპობსო. ჭინკები კი ტანდაბლები არიან, მაგრამ ქაჯებივით ბალნიან-კლანჭებიანი. ერთსაც და მეორესაც ტყეებში აქვთ ბინაო“ [1]. ასეთია, ივანე ჯავახიშვილის აზრით ხალხური წარმოდგენა ქაჯებზე.

ლექსიკოგრაფი ნიკო ჩუბინაშვილი ქაჯს ალის სინონიმად მიიჩნევს და იმერულ ჭინკას უკავშირებს.

ჭინკას სახე მეგრული მითოლოგიის მიხედვით შემდეგნაირად აქვს დახასიათებული თედო სახოკიას: „ტანით ჭინკები სამი წლის ბავშვის ოდენა თუ-ღა არიან, თმა პატარა კაეებად აქვთ დაწნული, ხმა ბავშვური აქვთ, საერთოდ, როგორც ტანით, ისე სახით ნამდვილ ბავშვებს ჰგვანან... მათი მთავარი თვისებაა — ჯკუაზე შეშალონ მათს წრეში ჩავარდნილი ადა-

[1] ივანე ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, ტ. I, 1960 წ. გვ. 96.

მიანი... უყვართ, აქენონ ხოლმე ტყეში ჯოგად მავალი ცხენები... სხედან ცხენის კისერზე. ამისათვის ფაფარს კისერქვევით გამოუნასკვავენ შიგ ფეხების გასაყოფად, უზანგების მაგივრად. ცხენებს მთელი საათობით აქენებენ, სანამ არაქათი არ გამოეცლებათ... გარდა ამისა, ჭინკებს უყვართ ადამიანთა გამასხარავებაც. ძალიან უხარიათ, როცა ქვებს ისვრიან სახლების სახურავებზე და აკრთობენ ამ სახლებში მყოფთ... ხმა როგორცა ვსთქვით, ჭინკებს ბავშვისა აქვთ და ისე მშვენივრად აჯავრებენ ბავშვის ტირილს, რომ ტყეში მიმავალს კაცს ეგონება, — ადამიანის შვილი დარჩენილა ტყეში და ისა ტირისო. ძებნას რომ დაიწყებს, წააწყდება ჭინკების მთელ გროვას, რომლებიც მისცივდებიან და მოუნდომებენ ცემას და ჭკუაზე შეშლას...“[1]

ახლა მივმართოთ სულხან-საბა ორბელიანს:

„ჭაჯი მაცთურთა რასმე იტყჳან საეშმაკოთა, ვითარცა მინოათა ჭიმკათა, ალსა კორვიანტსა და ირონსა (+ჰაერის მცველთა B)“[2]. ხოლო ჰაერის-მცველნი ამავე ლექსიკონში შემდეგნაირადაა განმარტებული: „ჰაერის-მცველნი ესენი არიან ეშმაკნი, ოდეს გარდამოითხივნეს უბოროტესნი, ჯოჯოხეთად შთაკდნენ და უდარესნი ჰაერთა შინა დაშთენ, რომელნი მუნცა იტანჯებიან. მათგან არს საოცრებათა ჩვენება, დაფეთება, ღამე კაცთა მრავალ-სახედ ჩვენება, სახლთა და ცხენთა დაუფლება, ქვათა სროლა, ნაკლულის ჭურჭლის აღვსება და ეგეგვითარნი. მსოფლიონი ქაჯად და ჭიმკად სახელსდებენ, ხოლო მოჰმადიანნი. ჰური, ფერი და ყალმანად იტყჳან და ანგელოზად ესვენ“[3].

მოტანილი ციტატიდან ჩანს, რომ ქაჯის საბასეული განმარტება განსხვავდება ხალხის შეგნებაში ქაჯებზე შემუშავებული წარმოდგენისაგან. საბას განსაზღვრით, ქაჯი სულია და მას მატერიალური სუბსტანცია არა აქვს. ეს განმარტება შეესატყვისება, როგორც რელიგიურ-ქრისტიანულ, ისე რუსთაველისეულ წარმოდგენას ქაჯზე, რომელსაც მხატვრული შედარებისათვის, ტროპისათვის იყენებს იგი. ამრიგად, სულხან-

---

1 თ. სახოკია, ეთნოგრაფიული ნაწერები, თბ., 1956. გვ. 11—12.

2 სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, 1928 წ. გვ. 366.

3 იქვე, გვ. 472—473.

საბას „ქართულ ლექსიკონში“ სიტყვა ქაჯი განმარტებულია რელიგიურ წარმოდგენასთან შეფარდებით — როგორც ღმერთის მიერ დევნილი სულები, უხორცო არსებანი. მაგრამ იმავე სულხან-საბას ცნობილი იგავ-არაკების წიგნის ერთ-ერთ ნოველაში — „ქაჯთა შემპყრობელი“ პერსონაჟად გამოყვანილი ჰყავს ისეთი ქაჯები, რომლებიც შეესაბამებიან ხალხური ზღაპრების ქაჯებს. ეს უკვე ავი სული კი არ არის, არამედ ხორციელი არსება, რომელიც ღვინოს სვამს, თვრება და ა. შ. ამ ქაჯებმა „დაიმკვიდრეს ხიდთან და მასზე მავალს კაცს ზოგს ლოდს ესროდნენ, ზოგს ეფეთებოდნენ და შეშლიდენ. ერთმა კაცმა ღვინოში საძილო წამალი გაურია და ხიდზე ქვეფი დაიწყო. მასთან ორი ქაჯი მივიდა, ღვინო დალიეს და ორივე ქაჯს დაეძინა. კაცმა ორივე ღორის საბლით შეკრა და მეფესთან მიიყვანა. ქაჯებმა, როცა გაიღვიძეს, მათ მეფემ ჰკითხა: „თქვენა ხართ ქაჯნი?“ შერცხვენილმა ქაჯებმა უპასუხეს: „ჩვენ არა ვართ ქაჯნი, ეს თქვენი კაცი ყოფილა ქაჯიცა და ეშმაკიცაო“ [1].

ამ ზღაპარში, როგორც ვხედავთ, ქაჯები ხორციელი, რეალური არსებანი არიან, თუმცა ბოროტ ძალას განასახიერებენ. ისინი, განსხვავდებიან რელიგიური ავსულებისაგან და აშკარად ემსგავსებიან ხალხის წარმოდგენაში არსებულ ზღაპრულ ქაჯებს.

ამრიგად, უნდა დავასკვნათ, რომ სულხან-საბა ორბელიანი ერთმანეთისაგან ასხვავებდა რელიგიურ ქაჯებსა და ხალხის წარმოდგენაში არსებულ ქაჯებს.

ის ქაჯი კი, რომელსაც რუსთაველი შედარებისათვის მიმართავს, არის მავნე სული. მას ბინა მიღმა ირეალურ სამყაროში აქვს და ხორცი არ გააჩნია. ასეთ ქაჯს რუსთაველი მიმართავს სამ შემთხვევაში: პირველი, ნადირობის დროს როსტევანისა და ავთანდილის მიერ ნახული ტარიელის უეცარი და უკვალო დაკარგვის დასახასიათებლად, მეორე—ნესტან-დარეჯანის შემპყრობელი რომელიღაც გრძნეული ტომის და მესამე, დავარისა და მისი ორი მონის შედარებითი დახასიათებისათვის.

1 სულხან-საბა ორბელიანი, „ქაჯთა შემპყრობი“, თხზ., ტ. I, თბ., 1959, გვ. 143—144.

ახლა ვნახოთ, რას წარმოადგენენ ის ქაჯები, რომლებსაც ტყვედა ჰყავთ ნესტან-დარეჯანი?

ფატმანმა ავთანდილს აცნობა, რომ ნესტან-დარეჯანი ქაჯებმა შეიპყრეს და იგი ქაჯეთის ციხეში იმყოფება. ამ ცნობამ ავთანდილი გააოცა, რადგან ქაჯები, მისი წარმოდგენით, უხორცონი არიან, ფატმანის ნაამბობიდან კი გამოდიოდა, რომ მათ საკუთარი ციხე-ქალაქიც კი ჰქონდათ. ავთანდილი სრულიად კანონზომიერად სვამს კითხვას: „ქაჯნი ყველა უხორცოა, რამან შექმნა ხორციელად?".

ამ კითხვაზე ფატმანი შემდეგ პასუხს იძლევა:

ფატმან უთხრა: მომისმინე, მართლაც გხედავ მანდა მკრთალსა.
არ ქაჯნია, კაცნიაო, მინდობიან კლდესა სალსა 1234.

ქაჯნი სახელად მით ჰქვიან, არიან ერთად კრებულნი
კაცნი გრძნებისა მცოდნენი, ზედა გახელოვნებულნი,
ყოველთა კაცთა მავნენი, იგი არვისგან ენებულნი;
მათნი შემბმნელნი წამოელენ დამბრმალნი, დაწბილებულნი 1235.

იქმენ რასმე საკვირველსა, მტერსა თვალსა დაუბრმობენ,
ქართა აღსძრვენ საშინელთა, ნავსა ზღვა-ზღვა დაამხობენ,
ვითა ხმელსა გაირბენენ, წყალწა წმიდად დააშრობენ,
სწადდეს — ღრესა ბნელად იქმენ, სწადდეს — ბნელსა ანათობენ 1236.

ამისთვის ქაჯად უხმობენ გარეშემონი ყველანი,
თვარა იგიცა კაცნიაო ჩვენებრვე ხორციელანი 1237.

ამ სტროფებში შოთა რუსთაველი, პირველ ყოვლისა, გვითითებს, რომ ნესტან-დარეჯანის დამატყვევებელნი, რელიგიურ-მითიური უხორცო ავი სულები ანუ ქაჯები კი არ არიან, არამედ „კაცნი ჩვენებრვე ხორციელნი". ამრიგად, რუსთაველი ერთმანეთისაგან ასხვავებს მითიურ-რელიგიურ ქაჯებსა და ადამიანთა მოდგმის რომელიღაც ტომს, რომლებსაც ირგვლივ მყოფი სხვა ხალხები ქაჯებს უწოდებენ. ესე იგი, ნესტანის შემპყრობნი ნამდვილი ქაჯები კი არ არიან, არამედ მხოლოდ ქაჯებად წოდებულნი („ქაჯად უხმობენ"), „ქაჯნი სახელად... ჰქვიან". ისინი მიწიერი, ხორციელი არსებანი არიან და არა ზეციდან დევნილი ანდა ჯოჯოხეთით მოსული, არაამქვეყნიური სულები.

რა ნიშნებით ახასიათებს რუსთაველი ამქვეყნიურ ქაჯებს, რომლებმაც ნესტანი დაატყვევეს?

1. ჩვენ უკვე ვთქვით, რომ ეს ქაჯები, მითიური ქაჯებისაგან განსხვავებით, ხორციელნი ანუ ადამიანის მოდგმის კაცნი არიან.

2. „ვეფხისტყაოსანში“ აქტიურად მოქმედი, ეგრეთწოდებული ქაჯები, წარმოადგენენ ადამიანთა გარკვეულ ჯგუფს, ერთობლიობას („ქაჯნი სახელად მით ჰქვიან, **არიან ერთად კრებულნი**“).

3. მითოლოგიურ ქაჯთაგან განსხვავებით, ნესტანის შემპყრობი ქაჯები ქვესკნელის ან ზესკნელის ბინადარნი კი არ არიან, არამედ საკუთარი სახელმწიფო აქვთ, განსაზღვრული გეოგრაფიული კოორდინატებით. ეს სახელმწიფო რეალურად არსებობს, რომელიღაც კუნძულზე სხვა მოდგმის ადამიანთა სახელმწიფოთა გარემოცვაში. უფრო მეტიც, მათ მეზობელ სახელმწიფოებთან მტრობაცა აქვთ და მოყვრობაც. მაგალითად, ინდოეთის მეფის და დავარი ქაჯეთში ყოფილა გათხოვილი („დავარ იყო და მეფისა, ქვრივი, ქაჯეთს გათხოვილი“). შოთა რუსთაველი, რამდენადაც ეს შესაძლებელია, აკონკრეტებს და რეალურად ხატავს ქაჯების ადგილსამყოფელს: მათ საცხოვრებელ ტერიტორიას სალ-კლდოვანი მხარე წარმოადგენს. ქაჯებს დიდად გამაგრებული ციხე-ქალაქი აქვთ, რომელიც ძალზე ჰგავს ადამიანთა ციხე-ქალაქებს.

აი, ეს აღწერილობაც:

> ქაჯთა ქალაქი აქამდის მტერთაგან უბრძოლველია:
> ქალაქსა შიგან მაგარი კლდე მაღალი და გრძელია,
> მას კლდესა შუა გვირაბი, ასაძრომელი ხერელია 1230.

ერთი სიტყვით, აქ აღწერილი ციხე-სიმაგრე იმდროინდელი საფორტიფიკაციო ხელოვნების უკანასკნელი სიტყვის მიხედვითაა აგებული და ისე რეალურადაა დახატული, რომ ალ. სვანიძემ იგი გიბრალტარის ციხე-სიმაგრის ზუსტ აღწერილობად მიიჩნია.

4. მაგრამ ეს ქაჯები ჩვეულებრივ მოკვდავთაგან დიდად განსხვავდებიან, და განსხვავდებიან, პირველ ყოვლისა იმით, რომ გრძნეულნი ანუ „გრძნებისა მცოდნენი“ არიან. შოთა რუსთაველი იქვე აკონკრეტებს, თუ რაში გამოიხატება მათი „გრძნების ცოდნა“.

თურმე, ამ ქაჯებს შეუძლიათ ისეთი განაოცარი საქმეების ჩადენა, როგორიცაა: მტრის დაბრმავება, საშინელი ქარის აღძვრა, ზღვაში გემების გადატრიალება და პირქვე დამხობა, წყალზე, როგორც ხმელეთზე სიარული, უეცრად წყლის დაშრობა, დღის დაბნელება და ღამის განათება. ეს ცოდნა მათ უძლეველებად აქცევთ.

ამრიგად, ქაჯები ჩვეულებრივ მოკვდავთაგან დიდი ცოდნით და დახელოვნებით განირჩევიან. საინტერესოა, რომ გრძნების ეს ცოდნა, თავისებური სიბრძნე, შეუძლია ჩვეულებრივმა მოკვდავმა ადამიანმაც აითვისოს, თუ ქაჯები მას თავის საიდუმლოს გაანდობენ. ეს კარგად ჩანს დავარისა და ფატმანის მონების მაგალითზე, რომლებსაც რაღაც კავშირი ჰქონიათ ქაჯებთან.

ამიტომ არის, რომ „ვეფხისტყაოსანში“ ბრძენი და გრძნების მცოდნე დავარიც ქაჯად იწოდება („დავარ ქაჯსა“), თუმცა იგი ჩვეულებრივი ადამიანის — ფარსადან მეფის ღვიძლი დაა.

ასეთია ეგრეთწოდებულ ქაჯთა ის ძირითადი ნიშნები, რომლებიც მოცემულია „ვეფხისტყაოსანში“.

თუ ჩვენ ამ ძირითადი ნიშნების მიხედვით „ვეფხისტყაოსნის“ ქაჯებს შევადარებთ ზღაპრულ ქაჯებს, იმ ჯადოსნურ-მითოლოგიურ არსებებს, რომლებიც ხალხის ფანტაზიამ შექმნა და ხალხის წარმოდგენაში არსებობდა, მათ შორის განსხვავებას უფრო მეტს დავინახავთ, ვიდრე მსგავსებას, და თუ მათ შორის არის რაიმე მსგავსება, ისიც ძალზე შორეული და ზოგადია.

ამიტომ, მცდარად უნდა ჩაითვალოს ი. მეგრელიძის მტკიცება იმის შესახებ, რომ „რუსთაველის მიერ მოცემული ქაჯეთის დახასიათება ემთხვევა ქართულ ხალხურ წარმოდგენას ქაჯსა და ქაჯეთზე“.

შოთა რუსთაველი ემიჯნება ხალხურ წარმოდგენას ქაჯებზე და ამბობს, რომ მისი ქაჯები არ არიან ის ავი სულები, რომლებიც ხალხის ცრუმორწმუნეობის შედეგს წარმოადგენენ. მართლაც, ხალხურ წარმოდგენას ქაჯებზე რუსთაველის მიერ გამოყვანილ „ეგრეთწოდებულ ქაჯებთან“ არაფერი საერთო არა აქვთ სახელის გარდა. ეს ნათელი ხდება ზერელე

შედარებითაც კი. ხალხურ წარმოდგენაში ჭაჭი თავისი ფიზიკური მონაცემებით განსხვავდება ადამიანისაგან. იგი მხეცივით ბალნიანია, ადამიანის მტერია. არასდროს არ არის მასთან ნათესაურ კავშირში, ირეალური არსებაა, ცხოვრობს წყალში, შეუძლია გადაიქცეს რომელიმე ცხოველად და ისე მოევლინოს ადამიანს, ერთი სიტყვით, სახეს იცვლის. ხალხური ჭაჭი დაუჯერებელ ტყუილს წარმოადგენს და რეალური შესაძლებლობის გარეშე დგას.

ჭაჭი, რომელიც ხალხურ ზღაპრებში გვხვდება, განსხვავდება რელიგიური ქაჯისაგანაც. რელიგიური ქაჯი მავნე სულია, უხორცოა და მისი მოკვლა შეუძლებელია. ხალხური წარმოდგენით კი ჭაჭი ხორციელია და მისი მოკვლა შეიძლება. რელიგიური ქაჯის ადგილსამყოფელი ჯოჯოხეთია, ქვესკნელია, ხოლო ხალხური ჭაჭი წყალში ან ტყეში ბინადრობს. რუსთაველთან სრულიად იგნორირებულია ხალხური ჭაჭი, რომელიც ცრუმორწმუნეობის შედეგია. ორი ჯურის ქაჯებიდან, რომლებიც „ვეფხისტყაოსანში“ გვხვდებიან, ერთნი რელიგიური ქაჯები, მავნე სულები არიან, და მათ რუსთაველი მხოლოდ მხატვრული შედარებისათვის მიმართავს. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ჭაჭი რელიგიურ-მითოლოგიური გაგებით „ვეფხისტყაოსანში“ მოქმედ აქტიურ ძალად არსად არ არის გამოყვანილი და მას რუსთაველი მხოლოდ შედარებისათვის მიმართავს.

შოთა რუსთაველი თავის ეპოპეაში, ერთი მხრივ, ლაპარაკობს ქაჯებზე, რომლებიც მხოლოდ ადამიანის წარმოდგენაში არსებობენ და ცრურწმენის შედეგი არიან და ამიტომ, არც პოემის მოქმედების განვითარებაში იღებენ მონაწილეობას. მათ რუსთაველი მიმართავს შედარებისათვის, რათა ამა თუ იმ მოვლენის მოჩვენებით, არარეალურ ხასიათს გაუსვას ხაზი. მეორე მხრივ, რუსთაველს გამოჰყავს „ეგრეთწოდებული ქაჯები“, რომლებიც გარკვეული რეალური ტომის სახით არსებობენ და როგორც რეალურად არსებული ძალა, მონაწილეობას იღებენ ეპოპეის მოქმედების განვითარებაში.

რუსთაველმა ქაჯები ისეთი თვისებებით დააჯილდოვა, რომ მათი არსებობა რეალურად, როგორც რომელიმე ადამიანთა მოდგმის ტომისა, გამორიცხულია. მართლაც, წარმოუდგენე-

ლია, რომ რუსთაველის დროს, ან მანამდეც არსებულიყო ისეთი ტომი, რომელიც შესძლებდა ქარის გამოწვევას, წყლის დაშრობას, ღრის დაბნელებას, ღამის განათებას და სხვა ამდაგვარი. მართალია, შოთა რუსთაველის აზრით, ჭაჯები ამას თავისი განსწავლულობით, მეცნიერებითა და ხელოვნებით აღწევდნენ, მაგრამ იმ დროს ეს წმინდა წყლის ფანტასტიკა იყო. ისევე, როგორც ამ რამდენიმე ათეული წლის წინათ კოსმოსში, მთვარეზე გაფრენა, ორ საათში თბილისიდან მოსკოვში გადაფრენა, იმის დანახვა, რაც ათასი კილომეტრის დაშორებით ხდება და სხვა ამდაგვარები. ახლა, ცხადია, უკვე კაცობრიობა სადაცაა შესძლებს, წვიმისა და ქარის გამოწვევას, ღამის დღედ ქცევას, წყალზე სიარულს, როგორც ხმელეთზე, მაგრამ მაშინ, რუსთაველის დროს, ასეთი ცოდნა არც ერთ ხალხს არ გააჩნდა და მხოლოდ პოეტის ფანტაზიის ნაყოფი იყო.

ამრიგად, შოთა რუსთაველმა ჯერ კიდევ მე-12 საუკუნეში გაარღვია ცრუმორწმუნეობის ჯადოსნური რკალი, გვიჩვენა, რომ არავითარი ჭაჯები, ეშმაკები და მავნე სულები არ არსებობენ და ისინი მხოლოდ მოჩვენებით ხასიათს ატარებენ; ამაღლდა ხალხურ, ზღაპრულ ფოლკლორზეც და პოეტური ფანტაზიის წყალობით შექმნა ეგრეთწოდებული ჭაჯეთი და ჭაჯთა სამყარო, რომელიც სხვა არაფერია, თუ არა მეცნიერულ-ფანტასტიკური ელემენტების შეტანის პირველი ცდა ეპიკურ ნაწარმოებში. „ვეფხისტყაოსნის“ „ეგრეთწოდებული ჭაჯეთი“ და მისი მკვიდრნი მხატვრულ გამონაგონს, რუსთაველის პოეტური ფანტაზიის ნაყოფს წარმოადგენს. ამიტომ ჭაჯეთი და ჭაჯები არც ხალხური შემოქმედებიდან აღებული ზღაპარია და არც რომელიმე კონკრეტული ტომი, რომელიც ოდესღაც სახლობდა დედამიწაზე, როგორც ამას რუსთაველის ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს.

ანალოგიური მდგომარეობა შეინიშნება „ვეფხისტყაოსანში“ დევების მიმართ. ისინიც, როგორც ჭაჯები, შოთა რუსთაველის პოეტური ფანტაზიით გადამუშავებულ ფანტასტიკურ პერსონაჟებად გვევლინებიან.

სიტყვა „დევი“ „ვეფხისტყაოსანში“ რვაჯერ არის ნახმარი. აქედან მხოლოდ ერთხელაა ეს სიტყვა ნახმარი შედარებისათ-

კის, რაღაც ავი სულის, არახორციელი არსების მნიშვნელობით.

97-ე სტროფში ვკითხულობთ:

> კვალი ძებნეს და უკვირდა ვერ პოვნა ნაკვალევისა,
> აგრე კვალ-წმიდად წახდომა კაცისა, ვითა დევისა.

როგორც ვიცით, როსტევან მეფე და ავთანდილი ლაშქრის თანხლებით შესაპყრობად უკან დაედევნენ ტარიელს. ტარიელი კი მათ თვალწინ ისე გაქრა, რომ კვალიც ვერ ნახეს. აი, სწორედ ტარიელის უკვალოდ გაუჩინარების აღსანიშნავად რუსთაველი ხმარობს შედარებას — კვალწმინდად დევივით გაქრაო. ამ სტროფის მიხედვით, დევი ისეთი არსებაა რომელიც შეიძლება გამოეცხადოს ადამიანს და მაშინვე უკვალოდ გაქრეს. აქ დევი დაჯილდოებულია იმავე თვისებით, რითაც ქაჯი ანუ ავი, ბოროტი სული. ეს რომ ასეა, ამაზე მეტყველებს თუნდ ისიც, რომ ტარიელის ეს უკვალოდ დაკარგვა პოემის სხვა ადგილას კვალიფიცირებულია, როგორც ქაჯის გაქრობა („ვითა ქაჯი დაგვემალე" 285). სხვა ადგილას კი ტარიელის დაკარგვა შედარებულია ეშმაკის გაუჩინარებასთან („ვითა ეშმა დამეკარგა" 109).

ამრიგად, ამ შემთხვევაში ეშმაკი, ქაჯი, დევი ერთ სიბრტყეშია მოქცეული. ისინი ერთი და იმავე მოვლენის აღსანიშნავად არიან ხმარებული რუსთაველის. მიერ, და რაც მთავარია, ხაზი ესმის მათს უეცრად გაუჩინარების თვისებას.

საინტერესოა, რომ თეიმურაზ ბაგრატიონიც თავის კომენტარებში დევსა და ქაჯს ერთ სიბრტყეში განიხილავს. იგი წერს:

„99/98

1. ნაკვალევი — კვალ ყოფილი,

2. წმინდად წახდომა — რეცა სრულად განქარვება და ანუ ეგრე მიფარება, როგორითაცა დევნი ანუ ქაჯნი თვალთა წინაშე მიეფარებიან კაცთა"[1]. ამ განმარტებიდან ირკვევა, რომ დევებს, ისევე, როგორც ქაჯებს, აქვთ უეცრად გაუჩინარების თვისება.

---

1 თეიმურაზ ბაგრატიონი, განმარტება პოემა ვეფხისტყაოსანისა, გვ. 26.

სულხან-საბა ორბელიანი კი სიტყვა „დევს“ შემდეგნაირად განმარტავს:

„დევი სომხურად ეშმაკსა ჰქვიან, ხოლო ქართულად რომელთამე წერილთა შინა დევი გველეშაპის ალაგს აღუწერიათ და გარეშეთა წერილთა, რომელი საწარმართოჲ აღუწერიათ ავსახე, კაცის მსგავსი, რქიანი, იგი მოგონებული ტყუილია (...ხოლო საწარმართოთა ზღაპართა ტყუილი რამე გრძნეული უთქვამთ მოგონებით, რომ ვითარცა იპპოკენტავროსი...) [1]. აქედან გამომდინარეობს: ა. დევი და ეშმაკი ერთი და იგივეა. ბ. დევს იგივე მნიშვნელობა აქვს, რაც გველეშაპს და გ. „დევი“ ზღაპრულ დევს ნიშნავს, რომელიც, დიდი ლექსიკოგრაფის აზრით, ტყუილს ანუ სიცრუეს, რაღაც კაცის მსგავს რქიან არსებას წარმოადგენს.

რუსთაველის მიერ შედარებისათვის გამოყენებული დევი თავისი ხასიათით უფრო იმ გაგებას უდგება, რომელსაც საბა იძლევა. დევი არის ეშმაკის მსგავსი ავი სული. ეშმაკი კი, საბას განმარტებით, ქრისტიანულ-რელიგიური ავი სულია.

ამრიგად, იმ ერთადერთ შემთხვევაში, როდესაც სიტყვა „დევს“ შოთა რუსთაველი ხმარობს შედარებისათვის, რათა გვიჩვენოს ტარიელის უეცრად გაუჩინარება, იგი არის რელიგიურ-ქრისტიანული დევი; ავი სული, ღმერთისგან ციდან განდევნილი, რომელიც ჭაჯის, ეშმაკის, უშობელის სინონიმად გვევლინება.

სხვა შემთხვევებში შოთა რუსთაველი სიტყვა „დევს“ უკვე სხვა მნიშვნელობით ხმარობს. ეს ის დევები არიან, რომლებიც რეალურად არსებობენ და მოქმედებენ „ვეფხისტყაოსნის“ გმირების გვერდით, რომლებიც ტარიელმა ამოწყვიტა და რომელთა სახლებშიც იგი ასმათთან ერთად ბინადრობს.

ახლა ვნახოთ, რას წარმოადგენენ ეს დევები და რა დამახასიათებელი ნიშნები აქვთ მათ?

ზოგიერთი მკვლევარის ვარაუდით, „ვეფხისტყაოსანის დევნი არიან საზღაპრო არსებანი და ისინი აქ გამოყენებულნი არიან ვით მხატვრული ხერხი რომანის მოქმედების განსაკითა-

[1] სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, 1928 წ. გვ. 97.

რებლად, გასართულებლად და გასაძლიერებლად". ასევე ხალხის წარმოდგენაში არსებულ დევებად მიაჩნიათ „ვეფხისტყაოსნის" დევები ივ. ლოლაშვილსა და შ. ღლონტს. წერილში „სინამდვილე და ფანტასტიკა ვეფხისტყაოსანში" ისინი წერენ: „ვეფხისტყაოსანის დევები არიან ზღაპრული გოლიათები და ბუმბერაზები" [1]. საპირისპირო აზრით დევები რეალურად არსებული რომელიღაც ტომია. ამ თვალსაზრისს ამჟამად იცავს შ. ჩიჯავაძე.

ამთავითვე უნდა ითქვას, რომ „ვეფხისტყაოსნის" ის დევები, რომლებიც ტარიელმა ამოწყვიტა, არც ზღაპრული, ანუ ხალხის წარმოდგენაში არსებული არსებანი არიან და არც რომელიღაც რეალურად არსებული ტომი. „ვეფხისტყაოსნის" დევები თავიდან ბოლომდე შოთა რუსთაველის პოეტური ფანტაზიის ნაყოფს წარმოადგენენ, ისევე, როგორც ქაჯები.

შოთა რუსთაველი არ იძლევა დევების ისეთ დახასიათებას, როგორც ამას ადგილი აქვს ქაჯებისა და ქაჯეთის მიმართ, მაგრამ მაინც მოეპოვება საკმაო მასალა იმისათვის, რათა ზოგადი წარმოდგენა შეგვიქმნას მათ შესახებ.

ტარიელის მიერ დამარცხებული დევები ტანით და ფიზიკური მოყვანილობით, დაახლოებით, ისეთნი არიან, როგორიც ტარიელი, ავთანდილი და ფრიდონი. ასეთი დასკვნის გაკეთების უფლებას გვაძლევს დევების ჯაჭვ-მუზარადი, აბჯარი, საბარკული და სხვა საჭურველი, რომელიც ჩვენს გმირებს კარგად მოერგოთ ტანზე. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ისინი თუმცა ფანტასტიკური ღონისანი არიან, მაგრამ ტარიელი უფრო ძლიერია, იგი მაჯ ამარცხებს ბრძოლაში.

„ვეფხისტყაოსნის" დევები ხორციელი არსებანი არიან, რადგან ტარიელმა მათ სისხლი ადინა და დახოცა.

შემდეგ, დევებს გარკვეული გეოგრაფიული ადგილმდებარეობა უკავიათ და განსაზღვრულ ურთიერთობაში იმყოფებიან რეალურ სამყაროსთან, ისე, რომ მათ ქაჯებთან ომიც კი მოელით.

---

[1] გაზ. „თბილისი", 1963 წ., № 83.

დევებს უამრავი საჭურჭლე, ძვირფასი ქვები და სიმდიდრე აქვთ დაგროვილი, რაც ჩვეულებრივ ადამიანებსაც გამოადგებათ. გავიხსენოთ, რომ დევთა მთელი სიმდიდრე ტარიელმა ფრიდონს აჩუქა.

როგორც ვხედავთ, ეს ფანტასტიკური დევები განსხვავდებიან ხალხის წარმოდგენაში არსებული ზღაპრული დევებისაგან, რადგან ისინი არც ცხრა თავიანი, არც რქიანი და არც არაჩვეულებრივი ზომის გოლიათები არ არიან.

ამრიგად, უნდა დავასკვნათ, რომ ის დევები, რომლებიც ტარიელმა დახოცა, მთლიანად შოთა რუსთაველის პოეტური ფანტაზიის ნაყოფნი არიან და პოეტურ გამონაგონს წარმოადგენენ.

აქ ჩვენს წინაშე დგება კიდევ ერთი საკითხი: რამდენად დასაშვებია ეპიკურ ნაწარმოებში რეალურ ადამიანებთან გვერდი-გვერდ მოქმედებდნენ ისეთი პერსონაჟები, რომელთა ადგილი მეცნიერულ-ფანტასტიკურ რომანებშია. სხვანაირად რომ ვთქვათ, რამდენად დასაშვებია რეალისტური და ფანტასტიკური ელემენტების შეთავსება ეპიკურ ნაწარმოებში. ამ კითხვაზე პასუხი არისტოტელეს „პოეტიკაში“ მოიპოვება.

აი, რას ამბობს არისტოტელე: „ვთქვათ, ასახულია ისეთი რამ, რაც შეუძლებელია. ეს შეცდომაა, მაგრამ ხელოვნება მართალია, თუ მისი მიზანი მიღწეულია. მიზანი მიღწეულია ხომ, თუ ამ გზით იგი უფრო შთამბეჭდავად აქცევს ამა თუ იმ ნაწილს“. ცოტა ქვემოთ კი ვკითხულობთ: „პოეზიისათვის უკეთესია დასაჯერებელი შეუძლებელი“ [1]. სწორედ ასეთ „დასაჯერებელ შეუძლებელს“ წარმოადგენს „ვეფხისტყაოსანში“ ქაჯები და დევები. ის ფაქტი, რომ ხუთი წლის ტარიელი „ვით კატასა ხოცდა ლომსა“; ავთანდილის მიერ ნავების გადაბრუნება და სხვა. ამ შესაძლებლობის ფარგლებს გარეშე მყოფი ამბების აღწერით შოთა რუსთაველი ტარიელისა და ავთანდილის თავგადასავალს უფრო შთამბეჭდავად აქცევს. ფანტასტიკის, გამონაგონის წყალობით პოეტი მკითხველზე მეტ ემოციურ ზემოქმედებას ახდენს და ამით აღწევს იმ მიზანს, რომელზედაც ლაპარაკობს არისტოტელე, და რაც ხელოვნე-

[1] არისტოტელე, პოეტიკა, გვ. 52.

ბის სპეციფიკას წარმოადგენს. პოეტი გამონაგონით, შეიძლება, სცოდავს ცხოვრებისეული სიმართლის წინაშე, სამაგიეროდ, იგი მხატვრულ სიმართლეს ქმნის — ეს კი ხელოვნების მიზანს წარმოადგენს.

ამრიგად, შოთა რუსთაველი თავის ეპოპეაში ფართოდ იყენებს პოეტური ფანტაზიით შექმნილ ფანტასტიკურ-მითიურ სახეებს. ეს ფანტასტიკური გმირები, ჩვეულებრივ, ცხოვრებისეულ პერსონაჟებთან ურთიერთმოქმედებაში არიან და ერთმანეთის გვერდით მოქმედებენ. ასე გასინჯეთ, ფარსადანის და დავარი ქაჯების რძალიც კი იყო. ხოლო ნესტან-დარეჯანი ქაჯეთის მეფეს სარძლოდ უნდოდა. ეს მხატვრული ხერხი, რომელსაც „ვეფხისტყაოსანში“ მიმართავს რუსთაველი, არ არის უნიკალური, მსგავს სიტუაციებთან გვაქვს საქმე უდიდესი მხატვრული ქმნილებების მეტ ნაწილში, როგორც შოთა რუსთაველამდე, ისე მის შემდეგაც.

ეპიკურ ნაწარმოებებში მსოფლიოს უდიდესი მწერლები, ძალზე ხშირად, ჩვეულებრივი, რეალური ადამიანების გვერდით ამოქმედებენ არარეალურ, მითიურ ან ფანტასტიკურ პერსონაჟებს; მათ ნაწარმოებებში რეალურ სიტუაციებთან ერთად ვხედავთ ირეალურ სიტუაციებსა და ფანტასტიკურ ამბებს, რაც სრულებით არ უშლის ხელს, რომ ისინი უდიდესი რეალისტები იყვნენ.

მაგალითისათვის შორს არ მოგვიხდება წასვლა, საკმარისია დავასახელოთ ჰომეროსი, დანტე, გოეთე, ბალზაკი, ლერმონტოვი და სხვ.

ჰომეროსს თავის უკვდავ ეპიკურ ნაწარმოებში უხვად აქვს შეტანილი მითოლოგიური, ფანტასტიური ელემენტები. „ილიადაში“ და „ოდისეაში“ ჩვეულებრივ მოკვდავთა გვერდით მოქმედებენ ოლიმპის ღმერთები. თუმცა აქ ჰომეროსი ხშირად „სცოდავს“ ცხოვრებისეული ჭეშმარიტების წინააღმდეგ, მაგრამ თხზავს მხატვრულ სინამდვილეს და ამიტომ მართალია მხატვრული ჭეშმარიტების წინაშე. ამიტომ იყო, რომ არისტოტელე ამბობდა ჰომეროსის შესახებ: „ჰომეროსმა აგრეთვე ძალიან კარგად ასწავლა სხვებს, თუ როგორ უნდა

ტყუილის თქმა“ [1]. ხოლო ცოტა ქვემოთ ეკითხულობთ: „თქმულებები ღმერთების შესახებ: შესაძლებელია, რომ არც სინამდვილეზე უკეთესი იყოს და არც ჭეშმარიტი მათ შესახებ ასე უბნობა, არამედ მართალი იყოს ქსენოფანტე, მაგრამ მაინც ხომ ლაპარაკობენ“ [2].

ანტიკური ლიტერატურისათვის დამახასიათებელია ცხოვრებისეული და ფანტასტიკური, მითოლოგიური ელემენტების შერწყმა.

შემდგომი ეპოქების უდიდესმა პოეტებმაც არ დაივიწყეს გამოსახვის ეს მხატვრული საშუალება და ხშირად მიმართავდნენ მას.

უკვდავი დანტეს „ღვთაებრივი კომედიაც“ ხომ ამის საუკეთესო ილუსტრაციაა. მასში მითოლოგია, რელიგიური წარმოდგენები ცხოვრებისეულ ფაქტებთან და მოვლენებთან ისეა შერწყმული, რომ ზოგჯერ ძნელია გარჩევა, სად იწყება პოეტის ფანტაზიით შეთხზული და სად თავდება რეალური სინამდვილის ანარეკლი.

ანტიკური ხანისა და შუა საუკუნეების შემდგომაც ხელოვნებაში არ იყო დავიწყებული მხატვრული გამოსახვის ეს ნაცადი საშუალება და უდიდესი მწერლები არაერთგზის მიმართავდნენ პოეტურ ფანტასტიკას.

ავიღოთ თუნდაც გოეთე. მისი „ფაუსტი“ მითოლოგიის, ფანტასტიკის მხატვრულ სამოსელში გახვეული სინამდვილეა. ამ ნაწარმოებში თანამოქმედებაში არიან ისეთი, რეალურად არსებული ადამიანები, როგორიცაა, ერთი მხრივ, ფაუსტი, ვაგნერი, გრეთხენი და, მეორე მხრივ, ანგელოსთა გუნდი, მეფისტოფელი, ქაჯი და სხვა ავი სულები.

ბალზაკიც თავის გენიალურ „შაგრენის ტყავში“ მიმართავს ფანტასტიკას.

აქ არ შეიძლება არ აღინიშნოს ერთი საინტერესო დეტალი: „ვეფხისტყაოსანშიც“ ლაპარაკია საოცარ ქსოვილზე, რომლისგანაც გაკეთებულია ის რიდე, რომელიც ტარიელმა

[1] არისტოტელე, პოეტიკა, გვ. 53.

[2] იქვე, გვ. 56.

ხატაელებთან ომში მოიპოვა და შემდეგ ნესტან-დარეჯანს აჩუქა, აი, როგორ ახასიათებს ტარიელი ამ რიდეს:

ერთგან ვნახე საკვირველი ყაბაჩა და ერთი რიდე,
თუმცა ნახე, სახელისა ცოდნასაცა ინატრიდე 453!

ვერა შევიგენ, რა იყო, ანუ ნაქმარი რაულად!
ვისცა ეუჩვენი, უკვირდის, ღმრთისაგან თქვის სასწაულად;
არცა ლარულად ჰგებოდა მას ქსელი, არ ორხაულად;
სიმტკიცე ჰგვანდის ნაქედსა, ვთქვი ცეცხლთა შენართაულად 454.

ის საოცარი მატერია, რომლისგანაც გაკეთებულია ნესტან-დარეჯანის რიდე, თავისი ფანტასტიკური თვისებებით წააგავს ბალზაკის მიერ აღწერილ შაგრენის ტყავს, რომელსაც, აგრეთვე, საოცარი სიმტკიცე და ელასტიურობა გააჩნია. როგორც „ვეფხისტყაოსანში“, ისე ბალზაკის რომანში — ვინც კი ნახა ეს საოცარი საგნები, ვერავინ დაადგინა, თუ რისაგან არიან ისინი გაკეთებული. საინტერესოა აღინიშნოს ისიც, რომ როგორც ბალზაკის რომანში, ისე „ვეფხისტყაოსანში“ ეს საგნები აღმოსავლური წარმოშობისაა. შაგრენის ტყავს სანსკრიტული წარწერა აქვს, ხოლო ტარიელმა ხატაეთიდან წამოიღო ზემოაღნიშნული რიდე.

ცხადია, ჩვენ არ ვლაპარაკობთ ამ ორი საგნის ინდენტურობაზე, მაგრამ ერთი რამ უდავოა, რომ ისინი პოეტურ გამონაგონს წარმოადგენენ და მათში ამა თუ იმ დოზით მოცემულია ფანტასტიკის ელემენტი. შეიძლებოდა კიდევ მოგვეყვანა მხატვრულ ნაწარმოებში რეალურისა და ფანტასტიკურის შერწყმის მრავალი მაგალითი, მაგრამ ვფიქრობთ, საკმარისია.

ფანტასტიკური ელემენტის შეტანა მხატვრულ ნაწარმოებში მხატვრული გამოსახვის ძველის-ძველი საშუალებაა და მას დღესაც მიმართავენ ხელოვანნი. შოთა რუსთაველმაც ფართოდ გამოიყენა ეს საშუალება და ამით ტარიელისა და ნესტან-დარეჯანის ამბავი უფრო ემოციური, უფრო გულში ჩამწვდომი გახადა, ხოლო მათი სახეები უფრო რელიეფურად გამოკვეთა.

ასეთია ფანტასტიკურის ბუნება „ვეფხისტყაოსანში“. ასეთია მხატვრული გამონაგონის შექმნის ერთ-ერთი ხერხი, რომელსაც შოთა რუსთაველი იყენებს.

თავი მეოთხე

## მიჯნუროგისა და მხატვრული სახის პროგლემა „ვეფხისტყაოსანში“

გენიალური რუსთაველის შთაგონების უშრეტი წყარო იყო მეთორმეტე საუკუნის საქართველოს დიდი სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების მქონე პროგრესული იდეა — მოწოდება ერთმმართველობის გაძლიერებისაკენ, რაც მთავართა და დიდგვაროვანთა თვითნებობის ალაგმვას, საქართველოს მონოლითურსა და ძლიერ სახელმწიფოს ჩამოყალიბებას ნიშნავდა. ეს იდეა დიდი პოეტის შეგნებაში გამოიკვეთა, როგორც ბრძოლა ბოროტზე სიკეთის გამარჯვებისათვის, ბრძოლა სინათლის დამკვიდრებისათვის დედამიწაზე. ამ იდეის გამარჯვებას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს მომავალი ბედ-იღბლისათვის მონღოლთა შემოსევის მოახლოებული საფრთხის წინაშე.

აქ არ შეიძლება არ გავიხსენოთ კარლ მარქსის შეფასება, რომელიც მან მე-12 საუკუნის კიევის რუსეთის ლიტერატურულ ძეგლს — „ამბავი იგორის ლაშქრობისას“ მისცა. ამ ძეგლის უდიდეს ღირსებას კ. მარქსი იმაში ხედავდა, რომ იქ მოცემულია მოწოდება რუსეთის გაერთიანებისაკენ, სწორედ მონღოლების შემოსევის წინ[1]. კ. მარქსის ასეთი შეფასება შეიძლება განვრცობილ იქნას შოთა რუსთაველის უკვდავ ქმნილებაზეც. „ვეფხისტყაოსანშიც“ ხომ იგრძნობა დიდი ზრუნვა ერთიანი, მონოლითური და ძლიერი სახელმწიფოს შექმნისათვის, სწორედ მონღოლთა შემოსევის წინ.

[1] კ. მარქსი და ფრ. ენგელსი, თხზულებანი, ტ. 22, გვ. 122 (რუსული გამოცემა).

შეიძლება თამამად ითქვას, რომ საქართველოს ბედი, და არა მარტო საქართველოსი, არამედ სხვა ქვეყნების ბედიც, სხვანაირად წარიმართებოდა, რომ ჯერ ჯალალ-ედინს, ხოლო შემდეგ მონღოლებს უფრო ძლიერი და მონოლითური საქართველო აღდგომოდა წინ და რომ ადგილი არ ჰქონოდა ქართველ დიდებულთა ურთიერთ შურს, შუღლსა და გამცემლობას.

მაგრამ შოთა რუსთაველის უკვდავი პოემის ღირსება არ ამოიწურება მარტო იმით, რომ მასში პოეტმა ნათელჰყო თავისი დროის ერთ-ერთი საჭირბოროტო სოციალურ-პოლიტიკური პრობლემა. ეს, უდაოდ, მისი დიდი ღირსებაა, მაგრამ არა ერთადერთი ღირსება. ჩვენ რომ „ვეფხისტყაოსანში“ დაგვენახა მხოლოდ და მხოლოდ ეს მხარე, მაშინ მას მარტო ისტორიულ-ლიტერატურული მნიშვნელობა ექნებოდა და ჩვენთვის ესოდენ მიმზიდველი და სათაყვანებელი არ იქნებოდა... დღეს, მეოცე საუკუნეში — კოსმოსური თანამგზავრების, ატომური ენერგიის, უზარმაზარი სოციალური ძვრების ეპოქაშიც, „ვეფხისტყაოსანმა“ არ დაკარგა თავისი ღირებულება და მას არა მარტო შემეცნებითი, არამედ ესთეტიკური მნიშვნელობაც აქვს. თუმცა ის სოციალურ-პოლიტიკური პრობლემატიკა, რომელიც აღელვებდა შოთა რუსთაველის თანამედროვეებს, დიდი ხანია ისტორიას ჩაბარდა.

შოთა რუსთაველის მარად უჭკნობმა ქმნილებამ დიდი ხანია დაამსხვრია ვიწრო ეროვნული და ეპოქალური ჩარჩოები და ყველა ხალხისა და დროის მხატვრული შემოქმედების შედევრად იქცა.

შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ სიდიადე, პირველ რიგში, განისაზღვრება მისი მაღალი მხატვრული ღირსებით.

ჰომეროსის პოემების, დანტეს „ღვთაებრივი კომედიის“ შემდეგ ძნელია დავასახელოთ სხვა ნაწარმოებები, რომლებიც მხატვრულად ესოდენ სრულყოფილი და დასრულებული იყოს, როგორც „ვეფხისტყაოსანია“.

ცნობილია, რომ მხოლოდ ისეთი ნაწარმოებები მიიღო მკითხველმა და მხოლოდ ისეთი ნაწარმოებები შემორჩა ლიტერატურის ისტორიას, რომლებიც განირჩეოდნენ თავიანთი მაღალი იდეურობით, რომლებიც თავისი ეპოქის, თავისი ხალ-

ხის ისტორიული მნიშვნელობის საზოგადოებრივ მოვლენებს ასახავდნენ, რომლებიც ხელს უწყობდნენ საზოგადოებრივი ცხოვრების წინსვლასა და თავისი დროის მოწინავე იდეების დამკვიდრებას.

მეორე მხრივ, დიდი მნიშვნელობის მქონე პრობლემები, რომელთა გადაწყვეტას ემსახურებოდა მწერალი, თავის მხრივ განსაზღვრავდნენ ნაწარმოების ფორმას, მის მაღალმხატვრულობას. ეს გასაგებიცაა, რადგან ვიწრო პირადული კრძნობა, პატარა მნიშვნელობის ამბავი ვერასდროს ვერ იქნება დიდი მხატვრული ტილოს საფუძველი. „ვეფხისტყაოსნის“ დიდმა და მნიშვნელოვანმა იდეამ განსაზღვრა მისი მაღალმხატვრულობაც. ამიტომ არის, რომ დღეს ასე გვაოცებს „ვეფხისტყაოსნის“ უკიდურესობამდე დახვეწილი კომპოზიცია და სიუჟეტი. ამ მხრივ „ვეფხისტყაოსანი“ ისეთ ნაწარმოებთა რიცხვს ეკუთვნის, რომლიდანაც არც ერთი ეპიზოდის არც ამოღება შეიძლება და არც მიმატება ისე, რომ არ დაირღვეს მთელი მისი არქიტექტონიკა.

პოემის ყოველი ეპიზოდი ძირითადი იდეით არის მოტივირებული და გააზრებული; ყოველი სურათი უაღრესად ნათელი, გულში ჩამწვდომი, დამაჯერებელი და სამუდამოდ დასამახსოვრებელია.

„ვეფხისტყაოსანი“ არის მე-12 საუკუნის ენციკლოპედია. მასში მხატვრულად აირეკლა მეცნიერებისა და ხელოვნების თითქმის ყველა დარგის ის პოზიტიური ცოდნა, რომელიც დააგროვა კაცობრიობამ თავისი განვითარების მთელ მანძილზე და რომელიც ცნობილი იყო იმ დროინდელი საქართველოს განათლებული საზოგადოებისათვის.

ანტიკური და ბიზანტიური ფილოსოფია, ესთეტიკური და ეთიკური, ასტრონომიული და გეოგრაფიული, რელიგიური და მითოლოგიური წარმოდგენები; ცხოველთა და მცენარეთა სამყაროს უბადლო ცოდნა; სამართალი, სამხედრო ხელოვნება, კლიმატოლოგია — აი, არასრული ნუსხა იმ სამეცნიერო დისციპლინებისა, რომელთა უმნიშვნელოვანესმა მეცნიერულმა მონაპოვარმა პოვა თავისი გამოვლენა შოთა რუსთაველის უკვდავ პოემაში.

გასაოცარი ის არის, რომ მე-12 საუკუნეში შოთა რუს-

თაველი ჭადაგებდა, როგორც ახლა ვამბობთ ხოლმე, თეორიისა და პრაქტიკის ერთიანობის იდეას. იგი ამბობდა:

არა ვიქმ, ცოდნა რას მარგებს ფილოსოფოსთა ბრძნობისა!
მით ვისწავლებით, მოგვეცეს შერთვა ზესთ მწყობრთა წყობისა (781).

ან კიდევ:

არას გარგებს სწავლულება, თუ არა იქმ ბრძენთა თქმულსა:
არ იხმარებ, რას ხელსა ხდი საუნჯესა დაფარულსა (892)?

პოემაში თავმოყრილია უამრავი აფორიზმი, ბრძნული გამოთქმა, აღებული ელადის ფილოსოფოსთა თხზულებებიდან, ბიბლიიდან. გამოყენებულია ის სიბრძნე, რომელიც დააგროვეს მრავალი საუკუნის მანძილზე აღმოსავლეთის ხალხებმა.

ამ აფორიზმებში და ბრძნულ გამოთქმებში მოცემულია იმ დროისათვის ჰეშმარიტებად მიჩნეული შეხედულებები სამყაროს არსზე, იმაზე, თუ რა მიმართებაშია ადამიანი ამ სამყაროსთან. გადმოცემულია ადამიანთა ყოფაქცევის ნორმები. ერთი სიტყვით, მოცემულია იმდროინდელი საზოგადოების მორალური კოდექსი ყველა დეტალში.

„ვეფხისტყაოსანში“ დიდი სისავსით არის დახატული იმდროინდელი საზოგადოების თითქმის ყველა ფენის ცხოვრების, ზნე-ჩვეულებათა განუმეორებელი სურათები — სამეფო კარი (შეფის ოჯახი, ვაზირები); პატრონ-ყმობის ინსტიტუტი, ვაჭართა წრე, მეკობრეები, მონები და სხვა.

ამრიგად, „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით, მკითხველს ექმნება სრული წარმოდგენა შუა საუკუნეების ფეოდალური სახელმწიფოს სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების, ფილოსოფიური, ესთეტიკური შეხედულებების რაობაზე.

შოთა რუსთაველი ლექსთწყობის უდიდესი ვირტუოზია. ამ მხრივ მას მხოლოდ თამარიანის ავტორი — ჩახრუხაძე თუ შეედრება. რუსთაველური ლექსი დღესაც მიუწვდომელ სიმაღლეზე დგას თავისი განუმეორებელი რიტმულობით, უაღრესად დახვეწილი რითმებით, შეუდარებელი ალიტერაციით, შინაგანი ინტონაციის მრავალფეროვნებითა და მუსიკალობით. შოთა რუსთაველის ვერსიფიკაცია საკმაოდ კარგად არის

დამუშავებული რუსთველოლოგიურ ლიტერატურაში (პროფ. აკ. გაწერელია, აკად. გ. ჯიბლაძე და სხვ.), ამიტომაც ჩვენ აქ მხოლოდ ამ ზოგადი დახასიათებებით დავკმაყოფილდებით.

როდესაც „ვეფხისტყაოსანზე“, როგორც ჰეპტერული შემოქმედების ნაყოფზე ვლაპარაკობთ, არ შეიძლება დავივიწყოთ მისი ავტორის უბადლო ენა, რომელსაც იგი ჯადოქრულად ფლობს.

შოთა რუსთაველის ენა საოცრად მდიდარია ლექსიკის მხრივ, რაფინირებული და დაწმენდილი. მან უზარმაზარი ნახტომი გააკეთა მწიგნობრული ენის ხალხის სალაპარაკო ენასთან დაახლოების მიმართულებით: ეს ნათელი ხდება მე-11 და მე-12 საუკუნის სხვა ლიტერატურული ძეგლებისა და „ვეფხისტყაოსნის“ ზერელე შედარებითაც კი. რუსთაველის ენა მოქნილია და მას უნარი შესწევს, გადმოგვცეს ადამიანის შინაგანი განცდების უმცირესი ნიუანსები, უფაქიზესი მოძრაობანი, ღრმა ფილოსოფიური აზრები. რუსთაველისაფვის, როგორც იგი ამბობს, ენა გამოთქმის საშუალებაა („აწ ენა მინდა გამოთქმად“) და, მართლაც, მის ენას გამოთქმის დიდი ძალა შესწევს. რუსთაველი პოეტური სიტყვის საშუალებით გვიხატავს ბატალური სცენების, ბუნების მოვლენების, პეიზაჟების ისეთ ხელშესახებ, სანახაობითს სურათებს, რომლებიც ფერწერულ ტილოებს მოგვაგონებენ.

მაგრამ, რაც მთავარია, შოთა რუსთაველმა თავის უკვდავ პოემაში შექმნა საკაცობრიო ღირებულების მხატვრული სახეები, მორალურად და ფიზიკურად სრულყოფილი ადამიანები. მან თავის პოემაში უმღერა ჰეშმარიტი ადამიანისათვის დამახასიათებელ ისეთ თვისებებს, როგორიცაა მიჯნურობა, მეგობრობა, სიმამაცე, კაცთმოყვარეობა, სათნოება, თავდადება, შეუპოვრობა მიზნის მიღწევაში, სამშობლოსადმი სიყვარული, მისი კეთილდღეობისათვის ზრუნვა, მორალური სიწმინდე და სიფაქიზე, სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემისადმი ჯანსაღი დამოკიდებულება, საკუთარი თავის ღირსების შეგნება და ა. შ.

ცნობილია, რომ „ვეფხისტყაოსანში“ შოთა რუსთაველმა მთელი ხმით უმღერა უსპეტაკეს გრძნობებს — მიჯნურობასა და მეგობრობას. ქვემოთ შევეცდებით, გავარკვიოთ, თუ

როგორ აქვს წარმოდგენილი დიდ პოეტს ეს გრძნობები და რა როლს ასრულებენ ისინი პოეტის ჩანაფიქრის ნათელყოფაში.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მიჯნურობას დიდი ადგილი აქვს დათმობილი პოემის პროლოგში და საკუთრივ „ვეფხისტყაოსანშიც“. ამ გრძნობით პოეტმა უხვად დააჯილდოვა პოემის მთავარი გმირები — თინათინი და ავთანდილი, ნესტან-დარეჯანი და ტარიელი. ისინი, პირველ რიგში, მიჯნურები არიან, ერთმანეთისადმი დაუოკებელი ლტოლვით შეპყრობილი. შოთა რუსთაველი სწორედ ამაში ხედავს მათი, როგორც ადამიანების ღირსებასა და მშვენიერებას.

„ვეფხისტყაოსნის“ პროლოგში მიჯნურობის, როგორც მოვლენის, განმარტებას, შოთა რუსთაველმა 12 სტროფი დაუთმო — პროლოგის მესამედზე მეტი. ეს უკვე თავისთავად ლაპარაკობს იმაზე, თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა პოეტი მიჯნურობის განსაზღვრას, მისი სახესხვაობების დადგენას. შესაბამისად, „ვეფხისტყაოსნის“ მთელი ტექსტის მესამედზე მეტი მთავარ გმირთა სამიჯნურო თავგადასავალს, მათი სამიჯნურო განცდების აღწერას ეთმობა.

ვახტანგ მე-6-ით დაწყებული, რუსთველოლოგები არაერთგზის აღნიშნავდნენ, რომ მიჯნურობასა და მეგობრობას „ვეფხისტყაოსანში“ დიდი ადგილი უკავია. უფრო მეტიც, ზოგიერთი მათგანი ფიქრობდა, რომ სწორედ მიჯნურობა და მეგობრობა არის უკვდავი პოემის ძირითადი თემაც და იდეაც; ის, რისთვისაც დაწერა შოთა რუსთაველმა „ვეფხისტყაოსანი“. ამ შეხედულების დამცველთა შორის დავაც კი წარმოებდა იმის შესახებ, თუ რა არის „ვეფხისტყაოსანში“ მთავარი— სიყვარული თუ მეგობრობა. აზრთა სხვადასხვაობა შეინიშნება რუსთაველის მკვლევართა შორის „ვეფხისტყაოსანში“ აღწერილი მიჯნურობის არსისა და ხასიათის შესახებაც.

ასე მაგალითად, ვახტანგ მეექვსე თვლიდა, რომ შოთა რუსთაველი „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგში ლაპარაკობს ღმერთის მიმართ სიყვარულზე, იმ სიყვარულზე, რომელსაც ქრისტიანული რელიგია ქადაგებს, იმ სიყვარულზე, რომელსაც ხალხში სამღვდელოება უნდა ნერგავდეს. ასე გასინჯეთ,

ვახტანგ მეექვსე შესავლის 23-ე სტროფშიაც კი რელიგიური სიყვარულის დახასიათებას ხედავდა. იგი წერდა: „მიჯნურსა თვალთა სიტურფე: რასაც მიზეზით ეს წიგნი თქვა ის ამბავი გაათავა ახლა მეორეთ სამღვთოსავ მოჰყუა: აბა ზოგი ვინმე რომ იტყუის, რუსთველის ნათქუამში სამღთო არა ურევია რა: მაშ ეს რა არის: თუ ჯორცის მიჯნურობაზედ თქვა ეს რომლის ჯორციელ კაცისაგან იქნება: სამდიდრე და სიყრმე ჰქონდეს და მოცლა ან ეს როგორ იქნება მოცლილი თუ იყოს და უთმობდეს, მძლე მტერს ერეოდეს: მძლის მტრის მორევა და მოთმინება როგორ იქნება: ასრე აბირებულსა და ტყუილს როგორ იტყოდა: მაგრამ ეს საერთოდ არ უთქვამს, სამღვდელოს კაცზედ უთქვამს: ასე რომ სამღვდელო კაცი წირვის იარაღის გაწყობითა, სულიერად ქცევითა და მადლით ერის კაცს ასრე უნდა ეჩვენოს: ტურფად და მზეებრ გაბრწყინებული"[1]. ერთი სიტყვით, ვახტანგს „ვეფხისტყაოსანში" აღწერილი მიჯნურობა გააზრებული აქვს, როგორც რელიგიური სიყვარული ღმერთისადმი, და ყოველი სტროფი, რომელშიც მიჯნურზე ან მიჯნურობაზეა ლაპარაკი, განმარტებული აქვს ამავე თვალსაზრისით.

უფრო უახლოვდება ჭეშმარიტებას თეიმურაზ ბაგრატიონი, რომელიც თავის კომენტარებში ასხვავებს ორი სახის მიჯნურობას: „მიჯნურობას ჯორციელს, ბიწიერებისა მიმართ მიდრეკილს" ანუ ბიწიერს და „პატიოსან ტრფიალებასა და მიჯნურობას... ეგრეთვე ვინცა შეიყვარებს მშვენიერსა ვისმე"[2]. ეს წმინდა პატიოსანი სიყვარული თეიმურაზ ბაგრატიონს ცოლ-ქმრულ ურთიერთობამდე დაჰყავს. თანამედროვე რუსთველოლოგიაში გავრცელებულია აზრი, ვითომც შოთა რუსთაველი მხოლოდ მიწიერ, ხორციელ, სქესობრივ სიყვარულს ქადაგებს და უმღერის. აკად. ალ. ბარამიძე წერს: „ვეფხისტყაოსნით" რუსთაველი უმღერის მაღალზნეობიან, უალრესად ადამიანურ, ენგელსის სიტყვებით რომ ვთქვათ, სქესობ-

---

1 შოთა რუსთაველი, „ვეფხისტყაოსანი", ვახტანგ მე-6 კომენტარები, გვ. სჟა-სჟბ.

2 თ. ბაგრატიონი, განმარტება პოემა ვეფხისტყაოსნისა, გვ. 12—13.

რივ სიყვარულს"... „რუსთაველური სიყვარული შეუღლების საფუძველია" [1].

შ. ნუცუბიძეს „ვეფხისტყაოსანში" აღწერილი მიჯნურობა გაიგივებული აქვს დასავლეთ ევროპის რაინდულ რომანებში მოცემულ რაინდულ სიყვარულთან.

ზურაბ ავალიშვილს რუსთაველური მიჯნურობა მხოლოდ ხორციელ ვნებამდე დაჰყავს. იგი ცდილობს, მაგალითად, თინათინისა და ავთანდილის წმინდა, ამაღლებულ სიყვარულში შეიშველი სქესობრივი ურთიერთობა დაინახოს.

ზურაბ ავალიშვილის ამ მცდარი შეხედულების დამაჯერებელი კრიტიკა მოცემული აქვს არაერთ მკვლევარს.

რა შეიძლება ითქვას ზემოაღნიშნული შეხედულებების შესახებ რუსთაველური მიჯნურობის რაობის გამო?

აღნიშნული მკვლევარნი რუსთაველურ მიჯნურობას სუბიექტურად უდგებიან, თვითეული მათგანი ცდილობს, „ვეფხისტყაოსანში" დაინახოს ისეთი მიჯნურობა, როგორიც მას ესმის და სწამს. მათ შეხედულებას მყარი საფუძველი არა აქვს და ამასთან ზერელე ხასიათს ატარებს.

ასე თუ ისე, მეცნიერებაში რუსთაველური მიჯნურობის შესახებ გამოთქმულია ორი ურთიერთსაწინააღმდეგო აზრი:

1. რუსთაველის მიჯნურობა არის სულიერი, საზეო და არა ხორციელი.

2. რუსთაველი უმღერის ცოლქმრულ, ხორციელ სიყვარულს, თუ გნებავთ სქესობრივ სიყვარულს.

სამწუხაროდ, საკითხის ასე დაყენება და გადაჭრა ცალმხრივია და, ჩვენი აზრით, საერთო არა აქვს რა რუსთაველის დახვეწილ, დეტალურად დამუშავებულ მიჯნურობის თეორიასთან.

ახლა ვნახოთ, თუ რას წარმოადგენს სინამდვილეში მიჯნურობა რუსთაველის გაგებით?

ამ პრობლემის გადაჭრისათვის საკმაო მასალა მოიპოვება როგორც პროლოგში, ისე თვით პოემის ტექსტში. პროლოგში მოცემულია მიჯნურობის თეორია, პოემაში კი, პროლოგში გამოთქმული დებულებები მხატვრულად ხორცშესხმუ-

---

1 ქართული ლიტერატურის ისტორია, ტომი I, 1954, გვ. 269.

ლია და გამოვლენილი ორი გამიჯნურებული წყვილის — ნესტან-ტარიელისა და თინათინ-ავთანდილის ურთიერთდამოკიდებულებასა და თავგადასავალში.

მიჯნურობაზე მსჯელობას რუსთაველი იწყებს მე-20 სტროფიდან. მე-20 და 21-ე სტროფებში ლაპარაკია იმაზე, რომ არსებობს მიჯნურობა, რომელიც განეკუთვნება უმაღლეს გვარს; არის საზეო საქმე, აღმაფრენის მიმცემი: „იგია საქმე საზეო, მომცემი აღმაფრენათა“.

ასეთი მიჯნურობა მხოლოდ ერთეულთა ხვედრია. ასეთი მიჯნურობის საგანი, რუსთაველის აზრით, არის ღმერთი („ზოგთა აქვს საღმრთო სიახლე“).

გ. ნადირაძე თვლის, რომ ამ მიჯნურობას რუსთაველი „ნეგატიურად“ უყურებს: „რაც შეეხება მეხუთეს (სტროფს), იგი მხოლოდ ნეგატიურად არის დახასიათებული პოემის პროლოგში. საზეო სიყვარული, რუსთაველის აზრით, ირაციონალური მოვლენაა. იგი მიუწვდომელია საღად მოაზროვნე გონებისათვის და გამოუთქმელია ენის, ჩვენ ვიტყოდით, ცნებების საშუალებით“[1].

გ. ნადირაძის ასეთი დასკვნა არ არის მართებული. რუსთაველი „საზეო“ სიყვარულისადმი უარყოფით, ნეგატიურ დამოკიდებულებას კი არ ამჟღავნებს, პირიქით, ასეთ მიჯნურობას აკუთვნებს უმაღლეს, უზენაეს გვარს და თვლის მას აღმაფრენის მომცემად. როგორც ცნობილია, ღმერთი, რუსთაველის გაგებით, უმაღლესი არსებაა, რომლის შეცნობა შეუძლებელია და იგი ენით გამოუთქმელია. ისიც ცნობილია, თუ რა მოწიწებით მიმართავს დიდი პოეტი ღმერთს, რომლის ხატი, მისი აზრით, მზეა. მე-20 და 21-ე სტროფებშიც სწორედ ასეთი ღმერთისადმი — სიკეთისა და მშვენიერების აბსოლუტური განსახიერებისადმი, მიჯნურობაზეა ლაპარაკი. და რადგან თვით მიჯნურობის საგანი ძნელად შესაცნობია, ენით ძნელად გამოსათქმელია, ამიტომ მისდამი მიჯნურობაც ასეთსავე ხასიათს ატარებს. ჩვენ ვფიქრობთ, აქ საქმე გვაქვს აბსოლუტური მშვენიერებისადმი პლატონური მიჯნურობისა და რუსთაველის შეხედულებების დამთხვევასთან.

---

[1] გ. ნადირაძე, რუსთაველის ესთეტიკა, გვ. 197.

პლატონიც ხომ ცნობილ „ნადიმში“ წერს: „რას ვიფიქრებდით ჩვენ, თუ ვინმე შესძლებდა ეხილა ეგ მშვენიერება, ნათელი, წმინდა, შეურყვნელი და შეურევნელი, კაცის ხორცით, ფერებითა და სხვა ხრწნადი გარსით შებღალული კი არა, ერთსახოვანი, ღვთაებრივი მშვენიერება; როგორ გგონიათ, ფუჭია განა სიცოცხლე კაცისა, რომელიც ცისკენ მიმართული თავისი მზერით გამუდმებით უჰვრეტს მაგ მშვენიერებას და წამითაც არ სწყდება მას? გჯერა თუ არა შენ, რომ ის, ვინც მშვენიერებას იმ ორგანოთი უჰვრეტს, რომელსაც ძალუძს მისი აღქმა, მხოლოდ აქ შესძლებს მოჩვენებითს კი არა, ჭეშმარიტ სათნოებათ მიანიჭოს სიცოცხლე, რადგან ჭეშმარიტებასთან აქვს საქმე და არა მოჩვენებებთან. ჭეშმარიტ სათნოებებს რომ შობს და ზრდის, იგი უფლის კეთილგანწყობასაც იხვეჭს და თუ ერთი ვინმე მაინც ეზიარება უკვდავებას, ეზიარება ისიც“[1].

პლატონის აზრით, ღვთაებრივი სიყვარული, სიყვარული აბსოლუტური, არა მიწიერი მშვენიერებისადმი, ჩვეულებრივ მოკვდავთათვის მიუწვდომელია და თუ გამოჩნდება ისეთი ვინმე, ვინც მას მიწვდება, იგი უმაღლეს ბედნიერებასაც ეზიარება. რუსთაველიც ასეთ მიჯნურობას უწოდებს საზეოს, მიუწვდომელს, ენით გამოუთქმელს, მაგრამ აღმაფრენის მომცემს. რუსთაველიც ფიქრობს, რომ მას ადამიანი ჭკუის, გონების თვალით ვერ შეიცნობს, ვერ მისწვდება. ამისთვის საჭიროა რაღაც სხვა ორგანო, შეიძლება „მხედველობა სულისაჲ“, როგორც დავით აღმაშენებელი იტყოდა.

ამ უმაღლესი გვარის, საზეო მიჯნურობის გვერდით შოთა რუსთაველი განიხილავს „ქვენა“, მიწიერ მიჯნურობას, რომელიც მიწიერი, ხორციელი მშვენიერებისადმი ლტოლვას წარმოადგენს.

ვთქვნე ხელობანი ქვენანი, რომელნი ხორცთა ხვედებიან (21).

ამ სტრიქონიდან ნათლად ჩანს, რომ რუსთაველი ზეციური მიჯნურობის გარდა მიწიერსაც იცნობს.

ამრიგად, სიყვარულის ობიექტი, რუსთაველის მიხედვით, შეიძლება იყოს ზეციური და მიწიერიც. მაგრამ ისმის კითხვა,

[1] პლატონი, ნადიმი, გვ. 63—64.

რა ხასიათის უნდა ატარებდეს მიწიერი მიჯნურობა, ანუ ლტოლვა „ქვენა“ ობიექტის მიმართ. პოეტი ასე განსაზღვრავს ასეთი მიჯნურობის ხასიათს: „მართ მასვე ჰბაძავენ, თუ ოდეს არ სიძვენ, შორით ბნდებიან“. მაშასადამე, მიწიერი მიჯნურობაც მხოლოდ მაშინ არის ჭეშმარიტი, როდესაც მიჯნური უხეში სქესობრივი ლტოლვით კი არ არის შეპყრობილი და ვნების დაკმაყოფილებისაკენ კი არ ისწრაფვის, არამედ შორიდან ეტრფის სათაყვანებელ არსებას. ეს აზრი უფრო ნათლად აქვს გამოთქმული რუსთაველს ცოტა ქვემოთ:

მიჯნური შმაგსა გვიქვიან არაბულითა ენითა,
მით რომე შმაგობს მისისა ვერ-მიხვდომისა წყენითა;
ზოგთა აქვს საღმრთო სიახლე, დაშვრების აღმაფრენითა;
კვლა ზოგთა ქვე უც ბუნება კეცლუცთა ზედან ფრფენითა 22.

გავარჩიოთ პირველი სტრიქონი. მიჯნურობას რუსთაველი შმაგობას (Исступление) უწოდებს, ხოლო მიჯნურს შმაგს (Исступленный). სიტყვა „შმაგი“ სიგიჟის ერთ-ერთი სახესხვაობის აღმნიშვნელია. „შმაგის“ სინონიმი იქნება: აღტყინებული, გახელებული. გაშმაგება ადამიანის ისეთ ექსტაზში ყოფნა, ისეთი სულიერი მდგომარეობაა, როდესაც ერთი რომელიმე გრძნობა, სიყვარული იმდენად ძლიერად და ჭარბად ეუფლება, რომ სხვა გრძნობები და სურვილები დათრგუნვილი და ატროფირებული არიან.

თუმცა რუსთაველი გვარწმუნებს, რომ სიტყვა „მიჯნური“, როგორც სიშმაგის გამომხატველი, არაბული ენიდან აიღო, მაგრამ ერთი უდავოა, რომ ეს ცნება, როგორც ეროტიული სიყვარულის დამახასიათებელი, კლასიკური პერიოდის ანტიკურ ფილოსოფოსებთან და, კერძოდ, პლატონთან გვხვდება. უდიდესი ბერძენი ფილოსოფოსი პლატონი „ფედროსში“ და „ნადიმში“ იძლევა ეროსის სრულყოფილ დახასიათებას. „ფედროსში“ პლატონი აღნიშნავს, რომ სულიერი აღტყინება, გახელება და სიშმაგე არის სიყვარული ანუ მიჯნურობა. „Ведь Эроса мы назвали каким-то исступлением“, — წერს პლატონი. ხოლო მიჯნურად მას მიაჩნია ისეთი ადამიანი, რომელიც ექსტაზში იმყოფება, გახელებული ლტოლვით მშვენიერისადმი.

[1] Платон, Сочинения, часть IV, СПБ, 1863, გვ. 90.

ამრიგად, მიჯნურობა, როგორც პლატონის, ისე რუსთაველის მიხედვით, არის გაშმაგება, ხელობა, აღტყინება, უჩვეულო ექსტაზი.

22-ე სტროფის მეორე სტრიქონში შოთა რუსთაველი გვამცნობს, თუ რით არის გამოწვეული ეს შმაგობა, რა არის მისი საფუძველი.

რუსთაველი ამბობს, მიჯნურს იმიტომ ვუწოდებთ შმაგს, რომ მას აქვს დიდი სურვილი, ლტოლვა სატრფიალო ობიექტის მიუწვდომლობის გამო: „მით რომე შმაგობს მისისა ვერ მიხვდომისა წყენითა“. ამ სტრიქონიდან ორი დასკვნა კეთდება, რომლებიც მიგვითითებენ სიყვარულის ბუნებასა და გამომწვევ მიზეზზე.

პირველი დასკვნა იქნება: სიყვარული არის დაუძლეველი, უძლიერესი ლტოლვა, მისწრაფება რაიმესადმი ან ვინმესადმი. მეორე: ამ ლტოლვას, მისწრაფებას ასაზრდოებს და აღვივებს ის წყენა, რომელიც ადამიანის გულში გროვდება და გამოწვეულია იმ წინააღმდეგობებით, რომლებიც ეღობება სატრფიალო ობიექტთან დაახლოების გზაზე. ამავე სტროფის მომდევნო მე-3 და მე-4 სტრიქონებში რუსთაველი ამბობს, რომ ეს ლტოლვა, ანუ სიყვარული ორგვარია, იმის მიხედვით, თუ რა არის ლტოლვის ობიექტი — საღმრთო ანუ საზეო, როცა ზეციერს ეტრფი და მიწიერი, — როდესაც მიწიერ სილამაზეს შეჰფრფინავ.

აქ არ შეიძლება არ აღინიშნოს პლატონის მოძღვრებასა და რუსთაველს შორის კიდევ ერთი საინტერესო პარალელი.

პლატონი ღვთაებრივი სიშმაგის, ხელობის ოთხ სახესხვაობას ასახელებს: წინაწარმეტყველურს, სრულმქმნელს, პოეტურს და ეროტიკულს.

«Исступление божественное, — дар четырех богов, разделили мы на четыре вида: пророческое, внушаемое Аполлоном; усовершительное, производимое Дионисом; поэтическое, происходящее от муз, и четвертое — эротическое, посылаемое Афродитою и Эросом»[1].

რუსთაველს „ვეფხისტყაოსანში“ ეროტიკული გრძნობა — სიყვარული, შმაგობად, ხელობად მიაჩნია. ხელობად (Исступ-

[1] Платон. Сочинения, часть IV, 1863, გვ. 91.

ლეონ) მიაჩნია მას აგრეთვე ხელოვნებაც. გავიხსენოთ: „მე, რუსთველი ხელობითა ვიქმ საქმესა ამა დარი“... აქ, უდავოდ, პოეტურ გახელებაზეა ლაპარაკი, პლატონური გაგებით. რუსთველმა იცის, აგრეთვე, წინასწარმეტყველური გახელების რაობაც. ასეთი გახელებით არის შეპყრობილი თინათინი, როდესაც იგი, რაღაც წინათგრძნობით შეპყრობილი, აგზავნის ავთანდილს უცხო მოყმის ამბის გასაგებად. ასეთივე წინათგრძნობა ეუფლება ავთანდილსაც, როდესაც იგი გადაწყვეტს, დაუახლოვდეს ფატმანს, რათა ნესტან-დარეჯანის ამბავი გაიგოს. როგორც ცნობილია, არც პირველ და არც მეორე შემთხვევაში წინათგრძნობას არ უღალატია „ეეფხისტყაოსნის“ გმირებისათვის და მათ სასურველ მიზანს მიაღწიეს.

23-ე სტროფში რუსთაველი იძლევა პასუხს კითხვაზე, თუ ვის შეუძლია იყოს მიჯნური, რა თვისებებით უნდა იყოს დაჯილდოებული ადამიანი, რომ შეძლოს სიყვარულის გრძნობამდე ამაღლება.

> მიჯნურსა თვალად სიტურფე ჰმართებს მართ ვითა მზეობა,
> სიბრძნე, სომდიდრე, სიუხვე, სიყმე და მოცალეობა.
> ენა, გონება, დათმობა, მძლეთა მებრძოლთა მძლეობა.
> ვისაც ეს სრულად არა სჭირს, აკლია მიჯნურთ ზნეობა (23).

პირველ რიგში, შოთა რუსთაველი მიჯნურისათვის ერთერთ აუცილებელ თვისებად აცხადებს გარეგნულ სიტურფეს, სილამაზეს. რომ ამ სტრიქონში ლაპარაკია გარეგნულ, სხეულებრივ სიტურფეზე, არავითარ ეჭვს არ იწვევს. მსაზღვრელი სიტყვა „თვალად“ ამაზე აშკარად მეტყველებს (შევადაროთ ეს ადგილი უსენის დახასიათებას — „თვალად ნასი“).

ამრიგად, რუსთაველის მიხედვით, მიჯნური გარეგნულად ტურფა, მშვენიერი უნდა იყოს. 23-ე სტროფის პირველი ტაეპიდან გამომდინარეობს, რომ მიჯნური თავისი სხეულით მახინჯი არ შეიძლება იყოს. აქ, ცხადია, ლაპარაკია მიჯნურის ერთ-ერთ დამახასიათებელ თვისებაზე, მაგრამ ეს ერთერთი თვისება, გამომდინარეობს და შეთანხმებულია რუსთაველის მთლიან კონცეფციასთან მიჯნურობასა და მიჯნურის ბუნების შესახებ.

შოთა რუსთაველი თვლის, რომ მიჯნურობა მხოლოდ რჩეულთა ხვედრია, რომ ყველა ვერ ამაღლდება ამ უწმინდესსა და უფაქიზეს გრძნობამდე, ყველას არ შეიძლება დაეუფლოს ის ლტოლვა, სიშმაგე, აღტყინება, რომელსაც სიყვარული ეწოდება. მიჯნური უნდა იყოს სრულყოფილი ფიზიკურად, გონებრივად, მორალურად და თავისი მდგომარეობით საზოგადოებაში. სხეულებრივი მშვენიერება კი სრულყოფილი ადამიანის ერთ-ერთი აუცილებელი ატრიბუტია. რუსთაველის აზრი იმის შესახებ, რომ მიჯნური უსათუოდ ტურფა და მშვენიერი უნდა იყოს, ერთგვარად შეესაბამება პლატონის შეხედულებას ამავე საკითხზე. პლატონიც თვლის, რომ მიჯნურობა, სასიყვარულო ლტოლვა შეჰფერით ლამაზი, მშვენიერი სხეულის მქონე არსებებს.

პლატონის „ნადიმში“ ვკითხულობთ: „ღმერთებს შორის წესრიგი მიტომ დამყარდა, რომ სიყვარული მოევლინა მათ, რა თქმა უნდა, მშვენიერების სიყვარული, რადგან არ არსებობს სიყვარული სიმახინჯისა“[1].

ან კიდევ, იგივე პლატონი წერს: „ეროსის სიმეტრიულობასა და მოქნილობაზე ნათლად მეტყველებს მისი კეთილსახიერებაც, რითაც, საყოველთაო აღიარებით, განუზომლად მაღლა დგას სხვებზე, რადგან დაუძინებელი მტერია სიმახინჯისა. იგი ყვავილთა შორის არჩევს ცხოვრებას და ამიტომ ეპკვს არ იწვევს სილამაზე მისი კანისა“.

სიტურფესთან ერთად, რუსთაველი მიჯნურის აუცილებელ თვისებად ასახელებს სიბრძნეს. მიჯნური განსწავლული უნდა იყოს, ანუ როგორც ახლა ვიტყოდით, თავისი დროის მეცნიერებისა და კულტურის დონეზე უნდა იდგას, რათა ამაღლდეს სულიერი სიყვარულის გრძნობამდე.

მიჯნური მდიდარიც უნდა იყოს. ზოგში ამან შეიძლება გაოცება და გაკვირვება გამოიწვიოს — რა კავშირშია სიმდიდრე მიჯნურობასთან. განა ღარიბს არ შეიძლება ჰქონდეს ამაღლებული და მგრძნობიარე გული, რათა ჩასწვდეს სულიერი მიჯნურობის მთელ დამატყვევებელ მშვენიერებას?

---

1 პლატონი, „ნადიმი“, გვ. 44;

ზოგიერთ რუსთველოლოგს ეს ტაეპი დამახინჯებულიც კი ეგონა და სიტყვა „სიმდიდრე“ — „სიმდაბლით“ შეცვალა. ასე მოიქცნენ „ვეფხისტყაოსნის“ თავიანთ გამოცემაში იუსტ. აბულაძე და პ. ინგოროყვა.

ეს, უდავოდ, განაპირობა აღნიშნული მკვლევარების მიერ შოთა რუსთაველის მიჯნურობის თეორიის გაუგებრობამ, ერთი მხრივ, ხოლო, მეორე მხრივ, იმ ისტორიული პირობების გაუთვალისწინებლობამ, რომელშიაც იქმნებოდა გენიალური პოემა.

კლასობრივ, ფეოდალურ საზოგადოებაში, ადამიანის ჭონებრივ მდგომარეობას, ცხადია, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ღარიბსა და ღატაკს, მონას სად ექნებოდა დრო და საშუალება თავისი სულიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის, ანდა ექნებოდა კი პირობები იმისა, რომ სულიერი კულტურის მწვერვალებამდე ასულიყო? რუსთაველმა ეს კარგად იცოდა და ამიტომ ამბობდა, რომ მიჯნური მდიდარი უნდა იყოს და „მოცალეობაც“ უნდა ჰქონდესო.

შემდეგ, შოთა რუსთაველი მიჯნურისათვის აუცილებელ თვისებად მიიჩნევს „სიუხვეს“. აქ უდავოდ ლაპარაკია სულიერ სიუხვეზე (щедрость души). სიუხვე ეგოიზმის, თავის „მე“-ში ჩაკეტილობის საწინააღმდეგო ცნებაა. რაოდენ საჭიროა ეს თვისება მიჯნურისათვის, კომენტარების გარეშეც ნათელია. მიჯნური არ უნდა ზოგავდეს თავის თავს, სულიერ ძალ-ღონეს და მზად უნდა იყოს, თავიც კი გასწიროს სატრფიალო არსების გულისათვის. ეს კი შეუძლებელია, თუ ადამიანს არა აქვს „უხვი“ სული და სხვისათვის დაუნანებლად თავის შეწირვის უნარი, სულიერი ხელგაშლილობა. ძუნწი ვერასდროს გახდება მიჯნური.

რუსთაველის გაგებით, მიჯნური აუცილებლად ახალგაზრდა უნდა იყოს. მას „ჰმართებს სიყრმე“. საინტერესოა შევადაროთ ეს შეხედულება პლატონის თეზისს. „ეროსს მთელის არსებით სძულს სიბერე და ერთ ნაბიჯზეც არ ეკარება მას. ის ნორჩია, ამიტომაც ჰაბუკთა წრეში ტრიალებს მუდამ და წამითაც არ სტოვებს მათ... მართლაც, ეროსი წამითაც არ

ჩერდება მასზე, რაც არ ყვავის, ან უკვე დაჭკნა, სულერთია, რა იქნება ეს — სხეული, სული, თუ სხვა საგანი"[1].

მართლაც, სასაცილო იქნებოდა დაჩაჩანაკებული მოხუცის მიჯნურობა. ამიტომ რუსთაველი სრულიად მართებულად მიჯნურის ერთ-ერთ აუცილებელ თვისებად „სიყრმეს" ანუ ახალგაზრდობას ასახელებს.

23-ე სტროფის მესამე ტაეპში შოთა რუსთაველი ყურადღებას ამახვილებს, რომ მიჯნურისათვის აუცილებელია „ენისა" და „გონების" ქონა.

ენა, როგორც ცნობილია, აზრების, გრძნობების გამოხატვის, ადამიანთა შორის ურთიერთობის საშუალებაა. და მიჯნურს თუ ეს საშუალება არ გააჩნია, სიყვარულის გამოცნობასაც არ ექნება ადგილი.

„გონებაც" მიჯნურის აუცილებელი ატრიბუტია, ანუ, როგორც რუსთაველი ამბობს — აუცილებელი „ზნეა". მართლაც, ჭეშმარიტი, ამაღლებული სიყვარული მხოლოდ დიდად განვითარებული ინტელექტის მქონე ადამიანს შეუძლია, რადგან მიჯნურობა გულისხმობს სულიერ ტრფობას, ესთეტიკურ ტკბობას, სწრაფვას მშვენიერებისაკენ და არა ფიზიკურ სიახლოვეს, სქესობრივ ლტოლვას და უხეშ ვნებათა დაკმაყოფილებას. ასეთი ამაღლებული განცდებისათვის, ლტოლვისათვის უდავოდ აუცილებელია ადამიანი ინტელექტუალური იყოს, „გონება" გააჩნდეს.

მიჯნურს, რუსთაველის აზრით, „დათმობის" უნარიც უნდა ჰქონდეს. „დათმობა" აქ, უდავოდ, უნდა ნიშნავდეს თვითშეზღუდვას, პირადი კეთილდღეობის ინტერესების მსხვერპლად მიტანას, თუ ეს სათაყვანებელი არსებისათვის საჭიროა: „მისთვის ჭირი ლხინად უჩნდეს, მისთვის ცეცხლსა მოიდებდეს".

ამ შემთხვევაშიც რუსთაველისა და პლატონის შეხედულებანი ერთმანეთს ემთხვევა. პლატონიც ხოტბას ასხამდა უანგარო მოყვარულის, მიჯნურის მზრიგ სატრფოსათვის თავგანწირვას: „ამრიგად, თვითონ ღმერთებიც დიდ პატივს

[1] პლატონი, ნაღიმი, გვ. 41—42.

სცემენ უანგარო და თავგანწირულ სიყვარულს!"[1] — წერს პლატონი „ნადიმში".

და ბოლოს, რუსთაველი აცხადებს, რომ მიჯნურს უნდა ჰმართებდეს „მძლეთა მებრძოლთა მძლეობა", ანუ, როგორც ახლა ვიტყოდით, ვაჟკაცობა, გმირული სული, საგმირო საქმეების ჩადენის უნარი. საინტერესოა, რომ პლატონიც მიგვითითებს მიჯნურისათვის დამახასიათებელ ამ თვისებაზე: „ერთი სიტყვით, — წერდა იგი, — თუ ჰომეროსი ამბობდა — ღმერთი მხნეობას უნერგავს გმირებსო, ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეროსი საგმირო საქმეთათვის აღაგზნებს მიჯნურთ"[2].

აკი ნესტან-დარეჯანიც მიმართავს გამიჯნურებულ ტარიელს: „ბედითი ბნედა, სიკვდილი რა მიჯნურობა გგონია? სჯობს საყვარელსა უჩვენნე საქმენი საგმირონია!"

ამრიგად, „ვეფხისტყაოსნის" 22-ე და 23-ე სტროფებში შოთა რუსთაველმა გვიჩვენა, თუ რა თვისებები უნდა გააჩნდეს ადამიანს, რომ მიჯნურად ჩაითვალოს და იქვე დასძინა, რომ თუ ამ თვისებათაგან რომელიმე აკლია ადამიანს, მიჯნურად არ გამოდგება: „ვისცა ეს სრულად არა სჭირს, აკლია მიჯნურთ ზნეობა".

შემდეგ, „ვეფხისტყაოსნის" შესავალში რუსთაველი იძლევა იდეალური მიჯნურობის დახასიათებასა და სიძვისაგან განმასხვავებელ ნიშნებს.

პირველ რიგში, შოთა რუსთაველი იდეალური მიჯნურობის ორ დამახასიათებელ ნიშანზე მიგვითითებს: 1. მიჯნურობა არის უმშვენიერესი რამ თავისი ბუნებით; 2. მიჯნურობა მხოლოდ რჩეულთა ხვედრია და ძნელად მისაწვდომ მოვლენათა რიგს ეკუთვნის („საცოდნელად ძნელი გვარი"), მაგრამ, უფრო ზუსტად რომ განვსაზღვროთ, თუ რას წარმოადგენს მიჯნურობა, შოთა რუსთაველი მას უპირისპირებს სიყვარულის მახინჯ გამოვლენას — სიძვას. დიდმა პოეტმა, ეტყობა, კარგად იცის, რომ ხშირად ამ ორ ცნებას ერთმანეთში ურე-

---

1 პლატონი, ნადიმი, გვ. 19.

2 იქვე, გვ. 18.

ვენ, ერთმანეთისაგან ვერ ასხვავებენ, ამიტომ 24-ე სტროფში თხოულობს ისინი ერთმანეთში არ აურიონ.

მიჯნურობა სხვა რამეა, არ სიძვისა დასადარი:
იგი სხვაა, სიძვა, სხვაა, შუა უზის დიდი ზღვარი,
ნუვინ გარევთ ერთმანერთსა, გესმის ჩემი ნაუბარი (24).

რუსთაველი მიჯნურობის შემდეგ კლასიფიკაციას იძლევა:

1. „საზეო“ მიჯნურობა გამოიხატება აბსოლუტური მშვენიერების, საღმრთო, არამიწიერი, გონებით მიუწვდომელი ობიექტის ჭვრეტასა და ტრფიალში, რაც წარმოადგენს სულიერ სწრაფვას უხრწნადისა და მუდმივი მშვენიერების მიმართ.

2. „ქვენა“ მიჯნურობა, რომლის ტრფიალის საგანს წარმოადგენს მიწიერი მოვლენები და მიწიერი არსებანი, ანუ ისეთი ობიექტები, რომლებსაც ხორცი გააჩნიათ.

სწორედ ამ „ქვენა“, მიწიერ მიჯნურობას ჰყოფს ორ სახესხვაობად რუსთაველი: „ტურფა“, „საცოდნელად ძნელი გვარ“ მიჯნურობად და სიძვად.

პირველი რიგის მიჯნურთ რუსთაველი მიაკუთვნებს იმათ, ვისაც შესწევთ უნარი ხანგრძლივი ლტოლვისა ერთი რომელიმე სატრფიალო ობიექტის მიმართ, გინდაც სატრფოს მხრივ ასეთივე გრძნობის გამოვლენას ადგილი არ ჰქონდეს („ხამს მიჯნური ხანიერი“... „გული ერთსა დააჯეროს, კუშტი მიჰხვდეს, თუნდა ქუში“). კარგმა მიჯნურმა კი არ უნდა დაივიწყოს მოყვარე, რომელსაც განშორდება, არამედ, პირიქით, უნდა „გაამრავლოს სულთქმა, უში“; მას დღენიადაგ უნდა თვალწინ ედგას მისი ხატება, „თავის წინა იგონებდეს, ნიადაგმცა ჰქონდეს ხალვა“.

სიძვისაგან მიჯნურობა იმითაც განსხვავდება, რომ მიჯნურობა არის ორი არსების ლტოლვა სულიერი სიახლოვისკენ, მშვენიერით ესთეტიკური ტკბობა, ამაღლებული გრძნობა, რომლისთვისაც მთავარია არა ფიზიკური სიახლოვე, სქესობრივი ვნება, არამედ სულიერი კონტაქტი.

რუსთაველი პირდაპირ ამბობს, რომ მას სძულს სიძვა, აღვირახსნილი ვნებათა-ღელვა. იგი 25-ე სტროფში ამბობს: „მძულს უგულოდ სიყვარული, ხვევნა, კოცნა, მტლაში-მტლუში“. ამ ტაეპიდან ორი რამ ირკვევა: რუსთაველი სიძვად

თვლის ისეთ სიყვარულს, რომელიც უგულოა და ფაქიზი, ამაღლებული გრძნობიდან კი არ გამომდინარეობს, არამედ უხეში სქესობრივი ვნების გამოვლენაა. მეორე, შოთა რუსთაველი გმობს ისეთ აღვირახსნილ ვნებას — ხვევნას, კოცნას, მტლაშა-მტლუშს, რომლის მიზანია მხოლოდ ვნების დაკმაყოფილება.

ამ საკითხზე რუსთაველის შეხედულება ჩვენთვის უფრო ნათელი გახდება, თუ გავიხსენებთ დიდი ბერძენი ფილოსოფოსის, პლატონის, დამოკიდებულებას ამავე პრობლემასთან.

პლატონის „ნადიმში“ ვკითხულობთ: „ეროსი მიწიერი აფროდიტესი მართლაც რომ მიწიერია და აღვირახსნილი. სწორედ ეს ეროსი მეფობს ბიწიერ კაცთა შორის, რომელნიც განურჩეველად ეტრფიან როგორც დიაცებს, ისე ყრმებსაც, ხოლო ვისაც ეტრფიან, მასში სხეული უფრო ხიბლავთ მისი, ვიდრე სული. თავისი სიყვარულის საგანს ისინი ყველაზე უფრო თავქარიან არსებათა შორის ირჩევენ, და თუ ვნება დაიცხრეს, ნაკლებად დაგიდევენ, კანონიერის გზით მიაღწიეს ამას თუ არა“ [1]. ცოტა ქვემოთ პლატონი განაგრძობს. „ხოლო ავს მე ვუწოდებ იმ „მიწიერ“ მიჯნურს, რომელიც სხეულს უფრო ეტრფის, ვიდრე სულს, ამასთან ის უპიროა და ცვალებადი, ისევე, როგორც ცვალებადია და წარმავალი მისი ტრფობის საგანი. საკმარისია დაჭკნეს სხეული, რომელსაც იგი ეტრფოდა, რომ მყისვე მიფრინავს მისგან და სამარცხვინოდ ივიწყებს ყველა თავის ფიცსა და აღთქმას. ხოლო ტრფიალი მშვენიერის სულისა მთელი სიცოცხლის განმავლობაში მისი ერთგული რჩება, რადგან მარადიულსა და წარუდინებელთანაა შეერთებული“ [2]. როგორც ვხედავთ, რუსთაველი, ისევე როგორც პლატონი, გმობს იმათ, ვინც სხეულს ეტრფის და არა საყვარელი არსების სულს. პლატონთანაც ისევე, როგორც რუსთაველთან, დაგმობილია ისეთი მიჯნური, რომელიც „უპიროა“ და „ცვალებადი“ (შევადაროთ: „დღეს ერთი უნდეს, ხვალე სხვა, სთმობდეს გაყრისა თმობასა“). რუსთაველიც, როგორც

---

[1] პლატონი, ნადიმი, გვ. 21.

[2] იქვე, გვ. 24—25.

პლატონი, ქადაგებს ტრფიალს მშვენიერი სულისადმი მთელი სიცოცხლის განმავლობაში.

იდეალური მიჯნურობისა და სიძვის მაგალითები მოცემულია მაღალმხატვრული სახეებისა და ეპიზოდების საშუალებით საკუთრივ „ვეფხისტყაოსანში“. ამრიგად, შესავალში გამოთქმული თეორიული დებულებები მიჯნურობის რაობის შესახებ მხატვრულად ხორცშესხმულია პოემაში.

იდეალური მიჯნურობა „ვეფხისტყაოსანში“ განსახიერებულია ნესტან-დარეჯანისა და ტარიელის, თინათინისა და ავთანდილის ურთიერთდამოკიდებულებაში, ხოლო სიძვის კლასიკურ ნიმუშს წარმოადგენს ფატმანის კავშირი ჯერ ჭაშნაგირთან, ხოლო შემდეგ ავთანდილთან. სიძვის მაგალითია, აგრეთვე ტარიელისა და ასმათის სააშიკო მიმოწერა და მათ შორის სასიყვარულო სცენის გათამაშება, ვიდრე გამოირკვეოდა, რომ ასმათი ნესტანისაგან იყო გამოგზავნილი.

როგორც ზემოთ ვთქვით, იდეალური მიჯნურები არიან თინათინი და ავთანდილი.

ჯერ დავსვათ კითხვა, მოეპოვება თუ არა ავთანდილს ის აუცილებელი თვისებები, ანუ „ზნეობა“, რომელიც, რუსთაველის აზრით, უნდა ჰქონდეს იდეალურ მიჯნურს. ამ კითხვაზე მხოლოდ დადებითი პასუხი არსებობს. ავთანდილი სრულყოფილი სილამაზის მქონე ვაჟკაცია: „საროსა მჯობი ნაზარდი, მსგავსი მზისა და მთვარისა“. გავიხსენოთ მიჯნურის დამახასიათებელი თვისება, მოცემული შესავალში: — „მიჯნურსა თვალად სიტურფე ჰმართებს, მართ ვითა მზეობა“. ავთანდილი ახალგაზრდაა — „ჯერ უწვერული, სადარო, ბროლ-მინა საცნობარისა. „რუსთაველიც ხომ შესავალში ამბობს, რომ მიჯნურს მართებს „სიყმე“. დიდი პოეტი მიჯნურის აუცილებელ „ზნედ“ თვლის, აგრეთვე, სიმდიდრეს ანუ საზოგადოებაში სათანადო წონას. ავთანდილიც — სპასპეტია, ძე ამირ-სპასალარისა, მას აქვს ციხე-დარბაზები და სიმდიდრე („მაქვს საქონელი ურიცხვი, ვერვისგან ანაწონები“).

რუსთაველის სამიჯნურო კოდექსის თანახმად, მიჯნური აუცილებლად ბრძენი უნდა იყოს. ავთანდილი ამ მხრივაც აკმაყოფილებს მიჯნურისათვის დასახულ ნორმატივს. ავთანდილი დიდად განსწავლულია, იცნობს ბერძენ ფილოსოფო-

სებს, მოციქულთა მოძღვრებას. სხვათა ხალხთა სიბრძნეს და ასე შემდეგ. „ვეფხისტყაოსანში“ არაერთგზის ნაჩვენებია, თუ რაოდენ ბრძნულად იქცევა ავთანდილი საკმაოდ მძიმე სიტუაციებში. სიბრძნით აღსავსეა „ანდერძი ავთანდილისა როსტევან მეფის წინაშე“. დიდი სიბრძნე გამოიჩინა ავთანდილმა იმ დროსაც, როდესაც მან დაბნედილი ტარიელი მოასულიერა. ტარიელისა და შემდეგ ნესტან-დარეჯანის კვალის მიგნებაც ავთანდილის შეუდარებელ სიბრძნეზე ლაპარაკობს.

ავთანდილისათვის დამახასიათებელია, აგრეთვე, „ენა, გონება, დათმობა, მძლეთა მებრძოლთა მძლეობა“. მისი ენით აღტაცებული რუსთაველი იმის შემდეგ, რაც ავთანდილმა საკვდილოდ თავგადადებული ტარიელი მოაბრუნა, ამბობს:

დამორჩილდა. გაემართნეს ავთანდილ და ამირბარი,
ვერ მიგია ქება მათი, ვერა ქება საქებარი:
კაცნი — ვითა მარგალიტი, ბაგე — ვარდი ნაპობარი.
გველსა ხვრელით ამოიყვანს ენა ტკბილად მოუბარი (891).

ამ ეპიზოდში ავთანდილმა დიდი სიბრძნე და „გონება“, ინტელექტი გამოიჩინა.

რუსთაველის განსაზღვრით, მიჯნური არ შეიძლება იყოს ის, ვისაც არ შესწევს „მძლეთა მებრძოლთა მძლეობა“. ავთანდილმაც არაერთგზის დაამტკიცა, რომ იგი სწორუპოვარი ყმა არის. გავიხსენოთ ნადირობის ეპიზოდი, რომელშიაც მან დაამტკიცა, რომ არაბეთში ყველაზე საუკეთესო მშვილდოსანია; გავიხსენოთ აგრეთვე ავთანდილის მიერ მეკობრეთა დახოცვა, ჭაშნაგირის მოკვლა და სხვა.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, ავთანდილს სრულად „სჭირს მიჯნურთა ზნეობა“, ანუ მას, როგორც პიროვნებას, აქვს ყველა ის თვისება, ურომლისოდაც კაცი მიჯნური ვერ იქნება.

ავთანდილს ყველა თვისება აქვს მიჯნურობისათვის, მაგრამ მიჯნურობა მხოლოდ საყვარლისადმი დამოკიდებულებაში ვლინდება. ამიტომ ახლა გასარკვევია, თუ რამდენად შეესაბამება ავთანდილის გრძნობები, დამოკიდებულება თინათინისადმი „ვეფხისტყაოსნის“ შესავალში შოთა რუსთაველის მიერ დახასიათებულ მიჯნურობას.

ავთანდილის სატრფიალო დამოკიდებულება თინათინისად-

მი უკვე პოემის დასაწყისში მჟღავნდება. შოთა რუსთაველი გვამცნობს, რომ „მას თინათინის შვენება ჰკლვიდის წამწამთა ჯარისა“ (41,4).

კულსა შისსა მიჯნურობა მისი ჰქონდა დამალულად;
რა მოშორდის, ვერ-მჭვრეტელმან ვარდი შექმნის ფერ-ნაკლულად;
ნახის ცეცხლი გაუახლდის, წყლული გახდის უფრო წყლულად (41).

ამ ტაეპიდან ირკვევა, რომ ავთანდილს ფარულად უყვარს თინათინი, ე. ი. ისეთი მიჯნურობითაა შეპყრობილი, რომლის შესახებაც რუსთაველი „ვეფხისტყაოსნის“ შესავალში ამბობს:

არს პირველი მიჯნურობა არ-დარჩენა ჴირთა, მალვა,
თავის წინა იგონებდეს, ნიადაგმცა ჰქონდა ხალვა,
შორით ბნედა, შორით კვდომა, შორით დაგვა, შორით ალვა (27).

ავთანდილი არ ამჟღავნებს თავის სიყვარულს თინათინისადმი, რადგან მოკრძალებულია, მაგრამ გულში ისეთი ცეცხლი უტრიალებს, რომელიც მოსვენებას არ აძლევს. საინტერესოა აღინიშნოს ისიც, რომ ავთანდილის ლტოლვა შემოფარგლულია მხოლოდ სატრფოს ჭვრეტის სურვილით, ანუ მისი მშვენების ესთეტიკური ტკბობით.

შეიძლება თამამად ითქვას, რომ ავთანდილი, როგორც ეს მიჯნურს შეჰფერის, იმდენად მოკრძალებულია, რომ ვერ გაბედობდა თავის გულისნადებს თინათინს, ამ უკანასკნელს რომ თვითონ არ გამოეჩინა ინიციატივა. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ტარიელიც ნესტანის მიმართ ასეთივე იქცეოდა. იგი ცდილობს დამალოს, არ გაამჟღავნოს თავისი გრძნობები ნესტანის მიმართ. ამ შემთხვევაშიც პირველ ნაბიჯს მიჯნური კი არ დგამს, არამედ ქალი — ნესტან-დარეჯანი.

ავთანდილის თინათინთან პირისპირ შეხვედრა სულ ორჯერ მოხდა: პირველად, როდესაც თინათინმა ავთანდილს დავალება მისცა — მოეძებნა ტარიელი და მისი თავგადასავალი გაეგო, ხოლო მეორედ, სამი წლის შემდეგ, როდესაც ავთანდილმა ტარიელის ამბავი გაიგო და შორეული მგზავრობიდან არაბეთს დაბრუნდა.

სცენა, რომელშიც აღწერილია თინათინისა და ავთანდილის პირველად პირისპირ შეყრა, მოთავსებულია თავში—„თინათინისაგან ავთანდილის გაგზავნა მის ყმის საძებრად“. ეს არის

კდემამოსილებით აღსავსე სცენა, რომელიც გამორიცხავს ავთანდილსა და თინათინს შორის რაიმე ფიზიკურ, ხორციელ სიახლოვეს, ანდა ინტიმიურ კავშირს.

როდესაც თინათინმა მოიხმო ავთანდილი, უკანასკნელს აზრადაც არ მოსდის, რომ მათ შორის შეიძლება ინტიმური სიახლოვეს ჰქონდეს ადგილი, ამაზე ავთანდილი არ ფიქრობს და არც კი ოცნებობს. მას უხარია, რომ საშუალება ექნება, უმზირონ თავის სათაყვანებელ არსებას. ეს კარგად ჩანს შემდეგი ტაეპებიდან:

> უხარის ნახვა ვარდისა, არ ერთგან შეუყრელისა.
> ამოა პერეტა ტურფისა, სიახლე საყვარელისა (120).

ან კიდევ, ავთანდილს უხარია, რომ „მას ნახავს. ვისთა ვამთგან ცრემლი მრავალჯერ სდენოდა".

მათი შეხვედრა თავიდანვე თავდაჭერილი, კდემამოსილი და საქმიანი იყო. თინათინმა სთხოვა ავთანდილს — დამჯდარიყო. მათ შეხვედრას მესამე პირიც ესწრებოდა, რადგან მონამ ავთანდილს „სელნი დაუდგნა". მოთა რუსთაველი განსაკუთრებით ხაზს უსვამს ავთანდილის მოკრძალებას — „დაჯდა კრძალვით და რიდითა".

თინათინი ყოველგვარი შესავლის გარეშე, საკმაოდ საქმიანად ეუბნება ავთანდილს, რომ მან იცის მისი სიყვარულის შესახებ („მაგრა შორით სიყვარული შენგან ჩემი შემიტყვია") და იგი თავისი მიჯნურისაგან მოითხოვს სამსახურს. თინათინი აძლევს დავალებას — მოძებნოს უცხო მოყმე და გაიგოს მისი ამბავი. ამ დავალების შესასრულებლად ავთანდილს ეძლევა ვადა — სამი წელი.

თინათინი ფიცს აძლევს ავთანდილს, რომ როდესაც დაბრუნდება, იგი მას ქმრად შეირთავს. ამის შემდეგ ისინი ისე დაშორდნენ ერთმანეთს, რომ არაფითარ ინტიმურ სიახლოვეს არ ჰქონია ადგილი, თუმცა ორივემ კარგად იცის, რომ ერთმანეთი უყვართ და დიდი ლტოლვაც აქვთ ერთმანეთისადმი.

ეტყობა, თინათინიცა და ავთანდილიც თვლიან, რომ მათ არ შეჰფერით „ხვევნა-კოცნა, მტლაში-მტლუში", ინტიმური სიახლოვე შეუღლებამდე.

ამრიგად, აქ საქმე გვაქვს იმ ამაღლებული მიჯნურობის

განსახიერებასთან, რომელსაც „ვეფხისტყაოსანში“ ეწოდება: „შორით ბნელა, შორით კვდომა, შორით დაგვა, შორით ალვა“.

თავის სატრფოს მოშორებული ავთანდილი სამი წლის განმავლობაში დღენიადაგ იგონებს თინათინს, მისი ხატება მუდამ თვალწინ უდგას და ტირის სიყვარულით გახელებული, ისე, როგორც ეს შესაფალშია ნათქვამი: „რა მოჰშორდეს მოყვარესა, გაამრავლოს სულთქმა, უში“. ავთანდილიც სწორედ ისე განიცდის თინათინის განშორებას, როგორც ეს ნამდვილ მიჯნურს შეჰფერის.

უფრო დიდ ინტერესს წარმოადგენს თინათინისა და ავთანდილის პირისპირ შეყრა მეორედ, მით უმეტეს, რომ ეს ეპიზოდი რუსთაველის მკვლევართ სხვადასხვანაირად ესმით. ამიტომ შევეცადოთ, ობიექტურად წარმოვიდგინოთ ეს ეპიზოდი ისე, როგორც ეს „ვეფხისტყაოსანშია“.

ავთანდილმა სამი წელი ეძება ტარიელი, ბოლოს, იპოვა უცხო მოყმე, გაიგო მისი ტრაგიკული თავგადასავალი და არაბეთში დაბრუნდა. ამრიგად, მან პირნათლად შეასრულა თინათინის დავალება. ავთანდილის მშვიდობით დაბრუნების გამო მეფემ ნადიმი გამართა. ნადიმის შემდეგ თინათინს, როსტევან მეფესა და დიდებულებს ავთანდილმა უამბო ტარიელის თავგადასავალი. ტარიელის თავგადასავლის მოსმენამ ძალზე გაახარა თინათინი: „გამხიარულდა თინათინ ამა ამბისა სმენითა“. შინ დაბრუნებულ ავთანდილს თინათინის მონა დახვდა; თინათინს ებრძანებინა, ავთანდილი მეახლოსო. თინათინი ავთანდილს სამეფო ტახტზე დამჯდარი დახვდა. „მზე უკადრი ტახტსა ზედა ზის მორჭმული, არ-ნადევრი“. მეფე-ქალმა ავთანდილი თავის წინაშე დასვა სკამზე: „ყმა მხიარული წინაშე დასვა სკამითა მისითა“.

შემდეგ მათმა საუბარმა საქმიანი, თითქმის ოფიციალური ხასიათი მიიღო. ავთანდილმა ხელახლა უამბო, ეტყობა, უფრო დაწვრილებით, ტარიელის თავგადასავალი. შემდეგ კი იმაზე დაიწყეს მსჯელობა, თუ როგორ დაეხმარონ გასაჭირში მყოფ მიჯნურს — ტარიელს.

თინათინი ურჩევს ავთანდილს, შეასრულოს ტარიელისად-

მი მიცემული ფიცი — წაიდეს ნესტანის მოსაძებნად და ტარიელის დასახმარებლად.

განშორების წინ ავთანდილი სთხოვს თინათინს:

> მაგრა, მზეო, თავი მზესა, ჩემთვის სრულად დააგვანე!
> სიცოცხლისა საიმედო ნიშანი რა წამატანე (700).
> ყმა ტაბილი და ტაბილ-ქართული, სიყვთისა ხელის მბდელი,
> ამაზედა ეუბნების, ვით გაზრდილსა ამო მზრდელი (701).

ამ თხოვნის საპასუხოდ „ქალმა მისცა მარგალიტი, სრულქმნა მისი საწადელი".

შეყვარებულები ერთმანეთს სცილდებიან. არავინ იცის, რამდენი ხნით. ავთანდილს მრავალი გასაცდელი მოელის წინ, და სრულიად ბუნებრივია, მას უნდა, რომ ფატრფომ რაიმე სამახსოვრო ნიშანი გაატანოს („წაატანოს") თან. თინათინი იხსნის ხელიდან მარგალიტის სამკაულს და აძლევს ავთანდილს. ასეთია ამ კდემამოსილებით, ერთმანეთისადმი მოწიწებით გამსჭვალული ეპიზოდის ჰეშმარიტი აზრი. შინ დაბრუნებულმა, მარტოდ დარჩენილმა ავთანდილმა აიღო თინათინის ნაჩუქარი მარგალიტი და აკოცა. ეჭვი არ არის, რომ ეს სწორედ ის მარგალიტია, რომელიც თინათინმა უსახსოვრა.

ეს სცენა რუსთაველური ამაღლებული მიჯნურობის ერთერთი კლასიკური ილუსტრაციაა, იმის დამადასტურებელი, თუ რა ანკარა და ხორციელი ვნებით შეუბღალავი იყო მათი გრძნობები. ამას ადასტურებს, აგრეთვე, რუსთაველის სიტყვები, თქმული თინათინისა და ავთანდილის ამ შეხვედრის დასახასიათებლად. 701-ე სტროფში ავთანდილი ისე ელაპარაკებოდა თინათინს, როგორც გამზრდელი თავის გაზრდილს, „ამაზედა ეუბნების, ვით გაზრდილსა ამო მზრდელი".

ცნობილია, რომ გამზრდელ-ზრდილის ურთიერთობა უწმინდესია და აქ რაიმე ხორციელ ვნებათაღელვაზე ლაპარაკი წარმოუდგენელია.

ამრიგად, ამ ეპიზოდიდანაც კარგად ჩანს, რომ ავთანდილი იდეალური მიჯნურია, მიჯნური იმ გაგებით, რომელზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი. თინათინსა და ავთანდილს შორის ამ მომენტში ფიზიკური სიახლოვე — „ხვევნა, კოცნა, მტლაშა-მტლუში" სრულიად გამორიცხულია. ისინი მხოლოდ ერთმანეთის ჭკვრეტით ტკბებოდნენ და ეს ანიჭებდა მათ დიდ, განუზო-

მელ ბედნიერებას; იმ სულიერ ბედნიერებას, რომელიც გაცილებით მაღლა დგას ხორციელ ენებათაგან მიღებულ ტკბობაზე. ეს რომ ასეა, კარგად ჩანს ამ ეპიზოდის ბოლო სტროფიდანაც: „მათ მიჰხვდა ლხინი ყოველი ერთმანეთისა ჰვრეტითა".

ამავე სტროფში ლაპარაკია, აგრეთვე, იმ სევდაზე, რომელმაც მოიცვა მიჯნური ავთანდილი საყვარელთან განშორების გამო:

ყმა წამოვიდა გაყრილი, მივა გულითა რეტითა.
მზე ტირს სისხლსა ცრემლითა, ზღვისაცა მეტის-მეტითა.
იტყვის: „ვერ გაძღა სოფელი, ვა, ჩემთა სისხლთა ხვრეტითა" (703).

ამ შემთხვევაშიც ავთანდილი ისე იქცევა, როგორც იდეალურ მიჯნურს შეჰფერის — „რა მოჰშორდეს მოყვარესა, გაამრავლოს სულთქმა, უში". და, მართლაც, არაბეთიდან მეორედ წასული ავთანდილი, ვიდრე უკან მობრუნდებოდეს, ცრემლსა ღვრის სატრფოსთან განშორების გამო.

რუსთაველის სამიჯნურო კოდექსის მიხედვით, მიჯნური საქვეყნოდ კი არ უნდა ყვიროდეს თავისი სიყვარულის, თავისი გრძნობების შესახებ, კი არ უნდა იმჩნეოდეს მიჯნუროობას, არამედ მის დაფარვასა და დამალვას უნდა ცდილობდეს, მიჯნურს სამიჯნურო ცეცხლი გულში უნდა უტრიალებდეს და გარეგნულად არ ამჟღავნებდეს. ეს აზრი ნათლად არის გამოთქმული შესავლის 28-ე სტროფში:

ხამს, თავისსა ხვაშიადსა არვისთანა ამჟღავნებდეს,
არ ბედითად „ჰაის" ზმიდეს, მოყვარესა აყივნებდეს,
არსით აჩნდეს მიჯნურობა, არასადა იფერებდეს,
მისთვის ჭირი ლხინად უჩნდეს, მისთვის ცეცხლსა მოიდებდეს (29).

სწორედ ასე იქცევიან „ვეფხისტყაოსნის" გმირები — ავთანდილი და ტარიელი.

თინათინს განშორებული ავთანდილი ამბობს:

კვლა იტყვის: გულო, რაზომცა გაქვს სიკვდილისა წადება,
სჯობს სიცოცხლისა გაძლება, მისთვის თავისა დადება,
მაგრა დამალე, არ გაჩნდეს შენი ცეცხლისა კვლა დება,
ავად შეჰფერობს მიჯნურსა მიჯნურობისა ცხადება (718).

გავიხსენოთ, აგრეთვე, თუ რა დიდი ნებისყოფის დაძაბვის ფასად ცდილობს ტარიელი, არ გამოამჟღავნოს თავისი მიჯ-

ნურობა ნესტანის მიმართ, დაბოლოს, მიჯნურობისაგან გონებამიხდილმა ტარიელმა სისხლიც კი გამოაშვებინა ექიმებს, რათა თავისი დაბნეულის მიზეზის კვალი დაეფარა.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ ტარიელიც იმთავითვე იდეალური მიჯნურია, როგორც ავთანდილი, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ისინი პოეტის მიერ ნიველირებულნი არიან და მათ მიჯნურობას არა აქვს ერთმანეთისაგან განსხვავებული ნიშნები.

ტარიელსა და ავთანდილს, როგორც მიჯნურებს, საერთო ისა აქვთ, რომ მათი გრძნობები სატრფოსადმი ხასიათდება საოცარი კდემამოსილებით, უბიწოებით, მორალური სიწმინდით, სიძლიერით და უცვლელობით. მათი ტრფობის ობიექტები, თუმცა მიწიერი არსებანი — ქალები არიან, მაგრამ მათი სიყვარული სულიერია და არა ხორციელი. მათი მიჯნურობა სულიერ კონტაქტში გამოიხატება და საბოლოოდ წარმოადგენს დაუშლელ სურვილს, ლტოლვას მშვენიერებისადმი, როგორც ესთეტიკური, ეთიკური, გონებრივი სრულყოფის მქონე ერთეულის მიმართ. ორივე გმირის მიჯნურობა გამოწვეულია სატრფიალო ობიექტის მიუღწევლობით, იმ წინააღმდეგობებით, რომლებიც ხელს უშლიან მათ, სატრფიალო ობიექტის ახლოს იყვნენ და ტკბებოდნენ სულიერი კონტაქტით.

რამდენადაც დაუძლეველი და დიდია ეს დაბრკოლება, შესაბამისად, ძლიერია მათი სიშმაგე და ლტოლვა სატრფოსადმი. რადგან ტარიელის წინაშე უფრო დიდი დაბრკოლებებია აღმართული, ამდენად იგი უფრო მეტად „შმაგობს“, მისი მიჯნურობა ნესტანისადმი უფრო დიდი ძალით ვლინდება, ვიდრე უფრო „შმაგობს მისისა ვერ-მიხვდომისა წყენითა“. ამიტომ არის, რომ ტარიელს უფრო ძლიერი სამიჯნურო განცდები აქვს, ვიდრე ავთანდილს. ავთანდილიც რომ ტარიელის მდგომარეობაში ყოფილიყო, იგიც ისევე მოიქცეოდა, როგორც ტარიელი. ავთანდილს ჰქონდა საშუალება, ემზირა თავისი სათაყვანებელი არსებისათვის, განსაკუთრებით მას ეს საშუალება ეძლევა თინათინის გამეფების შემდეგ. „სთქვა: ზედა-ზედა მომხვდების ნახვა მის ბროლ-ფიქალისა“. ტარიელი, პირიქით, სრულიად მოკლებულია ასეთ რამეს: ფარსადანმა ნესტან-დარეჯანს ცალკე კოშკი აუგო და არავის არ ჰქონდა მისი ნახვის უფლება. ტა-

რიელმაც იგი სრულიად შემთხვევით ნახა. ასეთი მდგომარეობა, ცხადია, გამახელებლად მოქმედებს ტარიელზე და მიუწვდომელის მიწვდომის სურვილს უძლიერებს. შემდეგ წარმოიშვა საფრთხე ნესტანის დაკარგვისა: ფარსადანმა გადაწყვიტა, თავისი ქალი ხვარაზმშას შვილს მიათხოვოს. და, ბოლოს, ნესტანის უგზოუკვლოდ დაკარგვა უკიდურეს სიშმაგემდე მიიყვანს ტარიელს. ამის შემდეგ ტარიელის მიჯნურობა, სიშმაგე უდიდეს დაძაბულობას აღწევს. როგორც ვხედავთ, ტარიელს ჰქონდა საფუძველი, გაშმაგებულიყო, მიჯნური გამხდარიყო.

ტარიელს, როგორც ავთანდილს, აქვს მიჯნურისათვის აუცილებელი ყველა თვისება, რომელთაც რუსთაველი „ვეფხისტყაოსნის“ შესავალში ასახელებს.

1. ტარიელი იდეალური მიჯნურია, ამქვეყნებს დაუოკებელ ლტოლვას სატრფოსადმი, როგორც მშვენიერების განსახიერებისადმი.

2. ტარიელი „ტურფაა“. რუსთაველი მისი გარეგნობის დასახასიათებლად ხშირად მიმართავს ეპითეტებს: მზე, ლომი, ვარდი და სხვ.

როსტევანი გაკვირვებულია მისი სილამაზით: „გაეკვირვა მეფე მისსა თვალადობა სიტურფესაა“. ავთანდილიც აღნიშნავს, რომ „მისსა მნახავსა ნახული აღარა მოეწონების“ (შევადაროთ შესავალში ნათქვამს: „მიჯნურსა თვალად სიტურფე ჰმართებს, მართ ვითა მზეობა“).

3. ტარიელს მიჯნურისათვის ისეთი აუცილებელი თვისებებიც აქვს, როგორიცაა სიბრძნე, გონება. (გავიხსენოთ თუნდაც ტარიელისა და ავთანდილის დიალოგი ლომ-ვეფხის დახოცვის შემდეგ, ანდა თათბირი ქაჯეთის ციხის აღების წინ; ტარიელს აქვს სიყმე (თექვსმეტი წლისაა), სიმხდალე (ამირბარია, ამავე დროს ინდოეთის ერთ მეშვიდედს ფლობს); მძლეთა მებრძოლთა მძლეობა (ბატაელებზე გამარჯვება, დევებისა დახოცვა, ფრიდონისადმი დახმარების გაწევა, ქაჯეთის ციხის აღებისას გმირობის გამოჩენა და სხვ.).

4. შოთა რუსთაველს მიჯნურობის აუცილებელ პირობად მიაჩნია მუდმივი, უცვლელი „ხანიერი“ ლტოლვა სატრფოსადმი.

ამა საქმესა მიჯნური ნუ უხმობს მიჯნურობასა:
დღეს ერთი უნდეს, ხვალე სხვა, სთმობდეს გაურისა თმობასა (26).

წერს რუსთაველი „ვეფხისტყაოსნის“ შესავალში.

ტარიელი სწორედ ისეთ მიჯნურთა რიცხვს ეკუთვნის, რომელიც მხოლოდ ერთადერთ სათაყვანებელ არსებას ეტრფის, ხოლო მისგან დაშორებისა და უკვალოდ დაკარგვის შემთხვევაშიც, მისი სიყვარული კი არ ნელდება, პირიქით, ძლიერდება. ტარიელს ნესტანის მეტი არავინ უნდა და უიმისოდ მას სიცოცხლე ვერ წარმოუდგენია. ამის დამადასტურებელია ტარიელის გაჭრა ვეფხვლად, ცრემლის ღვრა და სასოწარკვეთილებამდე მისვლა.

მართლაც, მიჯნურობა წარმოუდგენელია მუდმივი გრძნობის, ლტოლვის გარეშე. ტარიელს რომ მუდმივი სიყვარული არ ჰქონოდა ნესტანისადმი, არც მიჯნური იქნებოდა.

ამრიგად, ყველა ზემოთქმულის შემდეგ შეგვიძლია დავასკვნათ:

ავთანდილი და ტარიელი იდეალური მიჯნურები არიან. მათი მიჯნურობა არის ლტოლვა, სიშმაგე, გამოწვეული იმ წინააღმდეგობებით, რომლებიც სასურველი მიზნის მიღწევის გზაზე ელობებათ; მათი მიჯნურობა არის ამაღლებული, ფაქიზი სულიერი სიყვარული, რადგან ისინი ოცნებობენ არა ხორციელ სიახლოვეზე თავიანთ სატრფოსთან, არამედ სულიერ შერწყმაზე.

ამაღლებულ მიჯნურობასთან ერთად შოთა რუსთაველი შესავალში ლაპარაკობს სიძვაზე, იძლევა მის დახასიათებას და საკუთრივ „ვეფხისტყაოსანშიც“ სიძვის მაგალითებს გვიხატავს.

სიძვა, შოთა რუსთაველის განსაზღვრით, ორ სქესს შორის ისეთი ურთიერთდამოკიდებულებაა, როდესაც მათ მხოლოდ-დამხოლოდ ხორციელი ვნება, ფიზიკური სიახლოვე ამოძრავებთ. იგი სრულიად განსხვავდება მიჯნურობისაგან. ამ გარემოებას განსაკუთრებით უსვამს ხაზს შოთა რუსთაველი. 24-ე სტროფში იგი ამბობს:

მიჯნურობა სხვა რამეა, არ სიძვისა დასადარი:
იგი სხვაა, სიძვა სხვაა, შუა უზის დიდი ზღვარი,
ნურვინ გაჰრეთ ერთმანეთსა! გესმის ჩემი ნაუბარი?

ეტყობა, დიდმა პოეტმა კარგად იცოდა, რომ ამ ორ ცნებას ხშირად ურევენ ერთმანეთში და ცხოველურ ინსტიქტს, ავხორცობას მიჯნურობად მიიჩნევენ. თუ რამდენად მართალი იყო შოთა რუსთაველი, ეს დღესაც კარგად ჩანს, როდესაც გამოჩნდნენ ისეთი რუსთველოლოგები, რომლებიც სიძვას და მიჯნურობას ერთმანეთისაგან ვერ ასხვავებენ და ცდილობენ, რუსთაველური წმიდათა-წმიდა, უბიწო, კდემამოსილი, გამაკეთილშობილებელი მიჯნურობა სიძვამდე, ხორციელ ლტოლვამდე, ავხორკობამდე დაიყვანონ.

რამდენიმე სიტყვა ტერმინი „სიძვის“ გაგებისათვის. ეს ტერმინი ჯერ კიდევ ქართულ ოთხთავში შემდეგი მნიშვნელობითაა ნახმარი: „ს ი მ ძ ვ ა, იუობ. (გარყვნილება): მუნთქუესვე ი ს ი მ ძ ვ ა მის თანა გულსა შინა თჳსსა, მ. 5,28.

რომელმან დაუტევოს ცოლი თჳსი თჳნიერად სიტყჳს სასიძვისა, მან ამრუშა იგი, მ. 5,32; რომელმან განუტეეოს ცოლი თჳსი თჳნიერად სიძვისა და სხუაჲ შეირთოს იმრუშოს. მ. 19,9; ჩუენ სიძვირისაგან არა შობილ ვართ, ი. 8,41 [1].

ქართული ოთხთავიდან მოტანილი ადგილებიდან ცხადი ხდება, რომ „სიძვა“ უარყოფითი მოვლენის, გარყვნილებისა და საზოგადოებაში დაკანონებული თანაცხოვრების მორალური ნორმიდან გადახვევის აღმნიშვნელია. კერძოდ, კანონიერი ცოლის გაგდება და სხვა ქალთან კავშირი მრუშობად, სიძვად ითვლება. სიძვად ისიც ითვლება, თუ ადამიანი გულში გაივლებდა ხორციელ ნდომას სხვა ქალის მიმართ, გარდა თავისი ცოლისა. ამრიგად, ქალისა და კაცის სქესობრივი ურთიერთობა, თუ ის ცოლქმრობის ფარგლებს სცილდებოდა, სიძვად ითვლებოდა.

ახლა ვნახოთ, რას ამბობს სიძვის შესახებ „ვეფხისტყაოსნის“ ბრწყინვალე კომენტატორი თეიმურაზ ბაგრატიონი: „ტრფიალება ორგვარი არის — ერთი უბიწო, რომელიც ცოლქმრობისათვის არის და მეორე ბიწიერი, ცუდი და უგვანო, რომელიც რომ სიძვისა და არაწმინდებისათვის არის“ [2].

როგორც ვხედავთ, თეიმურაზ ბაგრატიონიც ისეთ „ტრფია-

[1] ი. იმნაიშვილი, ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონი, 1949, გვ. 541.

[2] თეიმურაზ ბაგრატიონი, განმარტება პოემა „ვეფხისტყაოსნისა“, 1960, გვ. 6.

ლებას“, რომელიც ცოლქმრობისათვის არ არის, ბიწიერად, უგვანოდ, უარყოფით მოვლენად აცხადებს და სიძვას უწოდებს.

სულხან-საბა ორბელიანი თავის ლექსიკონში ამ სიტყვას ასე განმარტავს: „სიძვა — უმეუღლოსაგან ბოზობა (15, 19 გალატ.) (ნ. ბოზობა, სიძვა, ისიძვა, მსიძავი)“[1], ხოლო სიტყვა „ბოზობა“ იმავე ლექსიკონში ასეა განმარტებული: „ბოზობა — სიბოზის ქნა. ბოზობა ორად განიყოფების: სიძვად და მრუშებად. სიძვა არს უმეუღლეოს მიერ ქმნილი, ხოლო მრუშება მეუღლიანისა მიერ ქმნილი ბოზობა“[2].

უფრო ზუსტია სიტყვა „სიძვის“ სულხან-საბასეული განმარტება; ჩვენი აზრით, იმავე გაგებით აქვს ნახმარი ეს სიტყვა შოთა რუსთაველს „ვეფხისტყაოსანში“.

სიძვის ცნება შოთა რუსთაველს საოცარი სიზუსტით და ყოველმხრივად აქვს განსაზღვრული და ამავე დროს მოცემული აქვს ამ მოვლენისადმი თავისი დამოკიდებულებაც. სიძვა, რუსთაველის მიხედვით, არ არის ხანგრძლივი და მუდმივი გრძნობა. თუ ადამიანი ხან ერთს ეტრფის, ხან მეორეს, ადვილად ივიწყებს საყვარელ არსებას, ასეთ გრძნობას სიძვა ეწოდება; თუ ის გულით ძრ ეტრფის საყვარელ არსებას, და მხოლოდ ზერელე ცხოველური გრძნობები ამოძრავებენ — ესეც სიძვაა და არა მიჯნურობა.

„ვეფხისტყაოსანში“ სიძვის კლასიკურ მაგალითს წარმოადგენს ფატმანის დამოკიდებულება ჯერ ჭაშნაგირთან, ხოლო შემდეგ ავთანდილთან. ფატმანი მეძავი ანუ, როგორც ახლა ვიტყოდით, მსუბუქი ყოფაქცევის ქალია. იგი არ ამაღლებულა იმ კეთილშობილურ, სულიერ სიყვარულამდე, რომელსაც რუსთაველი მიჯნურობას უწოდებს. მისი ნდომა, მამაკაცისადმი დამოკიდებულება მხოლოდ და მხოლოდ სექსუალური, ხორციელი ნდომის ხასიათს ატარებს.

ფატმანი ქმრის მოღალატეა. ქმრის ღალატი, როგორც ვიცით, სიძვაა. ფატმანმა კი ქმარს უღალატა არა იმიტომ, რომ იგი

---

1 სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, გვ. 318.

2 იქვე, გვ. 41.

მის სულიერ მოთხოვნილებებს არ შეესაბამებოდა (ფატმანის წინაშე ასეთი პრობლემა არც წამოჭრილა), არამედ იმიტომ, რომ დიდვაჭარი უსენი მასში ფიზიკურ ზიზღს იწვევს; ფატმანს იგი, როგორც მამაკაცი, არ მოსწონს, ამას ის არც მალავს: „მით არ ჯერ ვარ ქმარსა ჩემსა, მჭლე არის და თვალად ნასი“, ესე იგი, ფატმანი ღალატობს ქმარს იმიტომ, რომ იგი გარეგნულად მახინჯია და ხორციელი ვნებების დასაკმაყოფილებლად უვარგისი. უნდა ვივარაუდოთ, რომ ფატმანს ქმარი არასდროს არ ჰყვარებია და მათი შეუღლება რაღაცა საქმიანი გარიგებით ჩოხდა.

ასევე, სიძვას წარმოადგენს ფატმანისა და ჭაშნაგირის დამოკიდებულება. მათი სიყვარული არ არის უბიწო და უანგარო, შთაგონებული ამაღლებული იდეალებით. ფატმანისა და ჭაშნაგირის „სიყვარულს“ საფუძვლად მხოლოდ სექსუალური გრძნობა, უხეში ცხოველური ვნების დაკმაყოფილება უდევს საფუძვლად. იგი ამბობს: „მე, გლახ, ვიყავ მისი ნეზვი, იგი იყო ჩემი ვაცი“. ეს შედარება საუკეთესოდ გადმოგვცემს ფატმანისა და ჭაშნაგირის „ტრფობის“ რაობას. არც ჭაშნაგირს და არც ფატმანს მთელი გულით ამაღლებულად არ უყვართ ერთმანეთი. ჭაშნაგირიც ფატმანს უგულოდ ეკიდება და მას, როგორც თავისი ვნებების დაკმაყოფილების ობიექტს, ისე უყურებს.

ამავე ეპიზოდში რუსთაველი ვერ იკავებს თავს და კომენტარს უკეთებს ფატმანისა და ჭაშნაგირის ეროტიკულ კავშირს: „კაცსა დასვრის უგულობა და დიაცსა ბოზი ნაცი“—დაასკვნის რუსთაველი და ამით თავის უარყოფით დამოკიდებულებასაც ამჟღავნებს სიძვის მიმართ. ამ ტაეპიდან კეთდება კიდევ ერთი საინტერესო დასკვნა: სიძვა არის ისეთი დამოკიდებულება, რომელიც გულის კარნახით არ არის გამოწვეული. ცხადია, როდესაც რუსთაველი ლაპარაკობს გულის შესახებ, არა მარტო გრძნობა აქვს მხედველობაში, არამედ გონებაც. გავიხსენოთ რუსთაველის აფორიზმი:

> გული, ცნობა და გონება ერთმანეთს ზედა ჰკიდიან:
> რა გული წყვა, იგიცა წავლენ და მისკენ მიდიან;
> უგულო კაცი ვერ კაცობს, კაცთაგან განაკიდიან (838).

საინტერესოა, რომ სულხან-საბა გულს გონებას უკავშირებს. იგი სიტყვა „გულის-თქმას“ ასე განმარტავს: გონებით ნდომა (105,4 ფსალ.) [1]. შეიძლება თამამად ითქვას, რომ ჭაშნაგირს „გონებით ნდომა“ ანუ გულისთქმა არ ჰქონია ფატმანისადმი, და არც ფატმანს ჭაშნაგირის მიმართ. პირიქით, მათი ურთიერთდამოკიდებულება იყო ბიწიერი, ანგარებიანი და მიზნად ისახავდა მხოლოდ ფიზიკურ სიახლოვეს, „მტლაშა-მტლუშსა“ და სექსუალური ვნების დაკმაყოფილებას.

თქვენ თვითონ განსაჯეთ: ფატმანმა ჭაშნაგირი იმიტომ გაიხადა საყვარლად, რომ „ისი კაცი ჭაშნაგირი დარბაზს იყო მეტად ხასი“, ანუ მეფესთან დაახლოებული პირი, სამეფოში გავლენა ჰქონდა. აქ აშკარა ანგარებასთანაც გვაქვს საქმე, გარდა იმისა, რომ იგი, ეტყობა, „თუალად“ სჯობდა თავის ქმარს. ფატმანს ჭაშნაგირისადმი რომ არავითარი ამაღლებული გრძნობები, რაიმე სულიერი ნათესაობა, ან მეგობრობა არ ჰქონდა, იქიდანაც ჩანს, რომ ფატმანმა იგი ავთანდილს უყოყმანოდ მოაკვლევინა. ჭაშნაგირის მოკვლამ არამცთუ დაამწუხრა ფატმანი, არამედ გაახარა.

ჭაშნაგირსაც ასეთივე უსულგულო, მხოლოდ გაშიშვლებული სქესობრივი ლტოლვა აკავშირებდა ფატმანთან. ჭაშნაგირის მხრივ ფატმანის მიმართ რაიმე პატივისცემის ნატამალიც კი არ შეინიშნება, არამცთუ სიყვარული. როდესაც ფატმანი მისდამი გულგრილობას იჩენს, მაშინ ჭაშნაგირი შანტაჟსაც კი მიმართავს, რათა ფატმანის „კეთილგანწყობილება“ დაიბრუნოს.

მართალია, „ვეფხისტყაოსანში“ პირდაპირ არაფერია ნათქვამი, თუ რამდენად ხშირად იცვლიდა ფატმანი სატრფოებს, მაგრამ არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ ჭაშნაგირი და ავთანდილი არც პირველნი და არც უკანასკნელნი იყვნენ. მით უმეტეს, რომ ფატმანი იმის წინამეც არ იხევდა უკან, რომ ერთდროულად ორი საყვარელი ჰყოლოდა. მაგალითად, ფატმანი ჭაშნაგირის საყვარელიც იყო და ავთანდილსაც გაუაშიკდა. როგორც ცნობილია, ჭაშნაგირს გული იმაზე მოუვიდა, რომ ფატმანს ავთანდილთან მწოლიარეს მოუსწრო.

---

[1] სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, გვ. 75.

ახლა განვიხილოთ ფატმანის დამოკიდებულება ავთანდილისადმი და ვნახოთ, ეს მიჯნურობაა თუ სიძვა?

ფატმანის მხრივ ავთანდილისადმი გააშიკება უდავოდ სიძვაა, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ფატმანს ქმარი ჰყავს და ქმრისადმი ღალატი სიძვაა. რაც მთავარია, ფატმანის ლტოლვა ავთანდილისადმი ეროტიკული წდომა იყო, ამ სიტყვის დღევანდელი გაგებით, სწრაფვა ფიზიკური სიახლოვისათვის და არა სულიერი შერწყმისაკენ. მოთა რუსთაველი პირდაპირ ამბობს: „ფატმან ხათუნს ავთანდილის გულსა ნდომა შეუვიდა“.

ფატმანს სხვა რაიმე ამაღლებული ინტერესები არ ამოძრავებს, გარდა ავხორცობისა და თავისი ვნების დაცხრომისა. ეს იქიდანაც ჩანს, რომ იგი ავთანდილს ღამე იბარებს და ატყობინებს, რომ მარტო იქნება:

> აწ ვიქმნები თავის წინა, აქა მპოვებ მარტო სამე,
> მოისწრაფე შეყრა შენი, რა შეღამდეს, მოდი ღამე (1084).

როგორც ცნობილია, ღამე საუკეთესო დროა ბნელი ზრახვების სისრულეში მოსაყვანად. და, მართლაც, როგორც კი ავთანდილი მივიდა ფატმანთან, „ერთაგან დასხდეს და დაიწყეს კოცნა, ლაღობა წყლიანი“. საშიკო საქმეებში გამოცდილი ჭაშნაგირიც კი გააკვირვა მათმა ერთად წოლამ: „მან გაკვირვებით უჰკრიტა მათსა ლაღობა-წოლასა“, — ამბობს რუსთაველი.

ფატმანს არ შეიძლებოდა რაიმე სერიოზული გრძნობა ჰქონოდა ავთანდილის მიმართ, რადგან იგი, ჯერ ერთი, ხეირიანადაც არ იცნობდა ავთანდილს, და მეორეც, ფატმანმა ისიც კარგად იცოდა, რომ ავთანდილი დროებით იყო მოსული გულანშაროს, მაშასადამე, მათი სიყვარული ხანმოკლე უნდა ყოფილიყო. როგორც ვიცით, სწორედ ხანმოკლე სიყვარულს უწოდებს რუსთაველი სიძვას, ხოლო ხანგრძლივსა და მუდმივს — მიჯნურობას.

ფატმანი რუსთაველს დახატული ჰყავს როგორც მსუბუქი ყოფაქცევის ქალი. მან შექმნა მეძავი ქალის ტიპობრივი და განუმეორებელი პორტრეტი. ეს პორტრეტი მოცემულია ერთ სტროფში და ისეთი სისრულით, რომ ასეთი ქალებისათვის დამახასიათებელი არც ერთი ნიშანი არ არის გამოტოვებული. აი, ეს სტროფი:

ფატმან ხათუს თვალად მარჯვე, არ-ყმაწვილი, მაგრა მზმელი,
ნაკეთად კარგი, შავგრემანი, პირ-მსუქანი, არა პირ-ხმელი,
მუტრიბთა და მომღერალთა მოყვარული, ღვინის მსმელი;
დია უდვა სასალუქო დასაბერავ-ჩასაცმელი (1065).

ამ სტროფში ჩამოთვლილია კურტიზანი ქალის ყველა დამახასიათებელი ნიშანი. ფატმანს კურტიზანი ქალისათვის შესაფერი გარეგნობაცა აქვს, ასაკიც, ხასიათიც და ყოფაქცევაც.

ფატმანი ისეთ ასაკშია, რომ საკმაო გამოცდილება აქვს დაგროვილი სატრფიალო ხელოვნებისა; კარგად მოყვანილი ტანი აქვს, პირ-მსუქანია, ე. ი. ხორც-სავსეა, ხორციელი ვნებების აღმძვრელი და დამაკმაყოფილებელი: დროსტარების მოყვარულია, ღვინოს სვამს, უყვარს გართობები, ცეკვა, სიმღერა. კურტიზანი ქალისთვის მცირე მნიშვნელობა არა აქვს მორთულობას, ტანსაცმელს, რომელიც უკეთესად გამოაჩენს, მიმზიდველს გახდის მის ხორციელ სილამაზეს. ესეც არ დაივიწყა შოთა რუსთაველმა. ფატმანს ძალზე ბევრი აქვს „დასაბერავ-ჩასაცმელი“. ერთი სიტყვით, ფატმანს ყველაფერი მოეპოვება სექსუალური გრძნობის გამოსაწვევად და დასაკმაყოფილებლად. ამავე დროს რუსთაველი არაფერს ამბობს მის გონებაზე, გულზე, სიბრძნეზე, რაც ესოდენ აუცილებელია მიჯნურისათვის.

ფატმანი სერიოზული მიჯნურობისათვის არ არის დაბადებული, იგი ვერაფერს ამაღლებს ამ უფაქიზეს, უწმინდეს, გამაკეთილშობილებელ გრძნობამდე, იგი განკუთვნილია სალაღობოდ, ზერელე, ზედაპირული, ხორციელი გართობისათვის, როგორც რუსთაველი ამბობს, „ხევენა, კოცნა, მტლაშა-მტლუშისათვის“. ფატმანი კურტიზანი ქალია. მისი ყოფაქცევის ეს მხარე როგორც ავტორის, ისე ავთანდილის გმობას იმსახურებს. მაგრამ რუსთაველის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან ფატმანი გვაჩვენა არა მარტო როგორც მეძავი ქალი, არამედ როგორც ადამიანი, რომელსაც უარყოფითთან ერთად ბევრი კარგი თვისებაც აქვს. ამ მხრივ, პირველ რიგში, აღსანიშნავია ფატმანის გულკეთილობა, გასაჭირში ჩავარდნილი ადამიანისადმი თანაგრძნობა, სხვისი ჭირის, დარდის გულთან ახლოს მიტანა, თუ გნებავთ, სხვისი კეთილდღეობისათვის თავისდადების უნარიც. გავიხსენოთ, თუ როგორი დელიკატური მზრუნველობა გამოიჩინა მან ნესტანის მიმართ, როგორ დაეხმარა მძიმე განსაცდელში ჩავარდნილ ქალს. ფატმანი

ნესტანს გაქცევაში ეხმარება, თუმცა კარგად აქვს შეგნებული, მეფემ ეს რომ გაიგოს, ქმარშვილიანად ამოწყვეტს. ამ თავდადებისათვის ავთანდილი და ტარიელი ფატმანს დიდ პატივს სცემენ დადდაც კი იხსენიებენ.

ახლა *ისმის* კიდევ ერთი საკითხი: როგორია ავთანდილისა და ტარიელის დამოკიდებულება სიძვისადმი და ხომ არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ტარიელი და ავთანდილიც, მიჯნურობასთან ერთად, სიძვის მიმყოლნიც არიან... უფრო ზუსტად: ავთანდილმა სიძვა ხომ არ ჩაიდინა თავისი დამოკიდებულებით ფატმანის მიმართ, ან ტარიელს ხომ არ ჰქონდა სიძვის მცდელობა ასმათის მიმართ?

ამ კითხვაზე მხოლოდ უარყოფითად შეიძლება ვუპასუხოთ. ავთანდილი და ტარიელი ბოლომდე მიჯნურები დარჩნენ და სიძვა მათთვის სრულიად უცხო მოვლენაა.

ტარიელი მიჯნურია, მას გაშმაგებით უყვარს ნესტანი, შოთა რუსთაველის სამიჯნურო კოდექსის მიხედვით, მიჯნურს ერთი ვინმე უნდა უყვარდეს. ისიც ვიცით, რომ სიძვა სხვაა, მიჯნურობა კი სხვა, მათი ერთად შეთავსება შეუძლებელია. მიუხედავად ამისა, როდესაც ტარიელს ასმათის მონამ ორგზის მოუტანა საამიკო წერილი, მან ასმათი დაიბარა და საწოლ ოთახში შეიყვანა. მართალია, მათ შორის არაფერი მომხდარა, რადგან გამოირკვა, რომ ასმათი ნესტანისაგან იყო გამოგზავნილი, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება, ტარიელი გამზადებული იყო სიძვის ჩასადენად.

მიუხედავად ამისა, ტარიელის საქციელი სიძვად მაინც არ ჩაითვლება და ეს რატომ: 1. ამ ეპიზოდიდან ნათლად ჩანს სიძვისადმი ტარიელის უარყოფითი დამოკიდებულება. მას სძულს სიძვა და ზიზღითაა აღვსილი მისი გული იმ მომენტში, როდესაც იგი თავის საწოლში შედის, სადაც მას ასმათი ელოდება. აი, რას ამბობს ტარიელი ამის შესახებ:

> გამოვე და საწოლს შევე, მონა მოდგა კარის მცველად.
> გული მივეც თმობა-ქვნათა აუგისა საკრძალველად (364).

როგორც ვხედავთ, თავის ამ საქციელს ტარიელი ცუდს, „აუგს“ უწოდებს. მართალია, ტარიელი ასმათის „აშიკობას“

უყურადღებოდ არ ტოვებს და შინაც კი იბარებს „აუგის საქნელად“, მაგრამ ამას ტარიელი გარკვეული მოსაზრების გამო აკეთებს, თავისი ნება-სურვილის საწინააღმდეგოდ. ეს კარგად ჩანს 353-ე სტროფიდან:

> მე გამიკვირდა: „სით ვეყვარ, ანუ ვით მყადრებს თხრობასა?
> მიუყოლობა არ ვარგა, დამწამებს უზრახობასა,
> ჩემგან იმედსა გარდასწყვედს, მერმე დამიწყებს გმობასა“,
> დაეწერე, რაცა პასუხად მართებდა აშიკობასა (353).

ტარიელი თავდავიწყებამდე გატაცებულია ნესტანით და არავითარი სურვილი არა აქვს ვიღაც სხვა ქალში გაცვალოს იგი. ეს განწყობილება ტარიელის ყოველ სიტყვაში გამოსჭვივის, იგი საკმაოდ აგდებულად პასუხობს იმ მომაბეზრებელ წერილზე, რომელიც ასმათმა მეორედ გაგზავნა:

> პასუხად გაეც: „ჟამია, მართალ ხარ გაკვირვებასა;
> მოვალ, თუ მიხმობ, მე ნუ მეკვე მოსლვისა დაზარებასა“ (357).

როგორც ვხედავთ, დიდი აღტაცება არაა გამოთქმული ამ პასუხში. ტარიელი მზად ჰრის, ჩაიდინოს სიძვა, რათა ზიანი არ მიაყენოს თავის მიჯნურობას ნესტანის მიმართ.

ტარიელს კარგად აქვს შეგნებული, რომ თუ ფარსადანი შეიტყობდა მის გამიჯნურებას, ინდოეთიდან გაძევება ელოდა. ამიტომ მიჯნურობის დაფარვის მიზნით, თავს ძალას ატანს და ასმათს გაუაშიკდება. ამრიგად, ტარიელი ამ შემთხვევაშიც მიჯნური რჩება, ნესტანის სიყვარულის ერთგული.

ტარიელი თავის თავს ძალას ატანს, გააკეთოს ის, რის გაკეთებაც არ სურს, რადგან თავის სიყვარულს უფრთხილდება. ამიტომაა, რომ იგი თავის გულს შემდეგი სიტყვებით მიმართავს:

> გულსა ვარქვი, თუ „ლახვარნი ეგე ვით დაგაღონებენ?
> ამირბარი ვარ, ხელმწიფე, სრულად ინდონი მმონებენ;
> აზრად შეიქმენ, საქმესა ათასჯერ შეაწონებენ;
> თუ შეიგებენ, მე მათთა არეთა არ მარონებენ“ (358).

ასევე ფაქიზი, ამაღლებული მიჯნურობის ბოლომდე ერთგული რჩება ავთანდილიც. იგიც ზიზღით უყურებს სიძვას და, თუ ფატმანის სურვილს დაჰყვება, ისევ და ისევ იმისთვის, რა-

თა გამჯნურებულ ტარიელს რაიმე არგოს, რათა მიჯნურობამ ვა-შარჯვოს.

როდესაც ავთანდილი ფატმანისაგან საამიკო წერილს მიიღებს, უკიდურესად აღშფოთებული ამბობს:

> თქვა: „ყვავი ვარდსა რას აქნევს, ანუ რა მისი ფერია!
> მაგრა მას ზედა ბულბულსა ჯერთ ტკბილად არ უმღერია.
> უმსგავსო საქმე ყოველი მოკლეა, მით ოხერია,
> რა უთქვამს, რა მოუჩმახავს, რა წიგნი მოუწერია (1078).

იმ სიყვარულს, რომლისკენაც ისწრაფვის ფატმანი, ავთანდილი უწოდებს „უმსგავსო საქმეს“, მოკლესა და „ოხერს“, ხოლო მის სატრფიალო წერილს — მოუნაჩმახს. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ავთანდილმა დიდი ტაქტი და თავდაჭერილობა გამოიჩინა ფატმანის მიმართ. როდესაც ავთანდილმა ფატმანისაგან ნესტანის ამბავი გაიგო, მან უხეშად კი არ გაწყვიტა მასთან კავშირი, არამედ ისეთი ტაქტით, რომ ფატმანის ადამიანური და, რაც მთავარია, ქალური თავმოყვარეობა არ შეელახა. ავთანდილს სულაც არ ეპიტნავება ფატმანის ხვევნა-კოცნა, მაგრამ „ნამუსსა ინახავდა, სიყვარულსა იფერებდა“. რომ ავთანდილს ეზიზღება სიძვა და უგულო, გაშიშვლებული ავხორცობა, ეს რუსთაველის სიტყვებიდან ნათლად ჩანს. რუსთაველი შემდეგნაირად აგვიწერს ფატმანისა და ავთანდილის ერთად ყოფნის ეპიზოდს:

> მას ღამე ფატმან იამა ავთანდილთანა წოლითა;
> ყმა უნდო-გვარად ეხვევის ყელსა ყელთა ბროლითა,
> ჰკლავს თინათინის გონებას, ძრწის იდუმლითა ძრწოლითა,
> გელი მზეც-ქმნილი გასჭრია მხეცთაგე თანა რბოლითა (1240).

> ავთანდილ მალით ცრემლსა სწვიმს, სდის ზღვათა შესართავისად,
> შიგან მელნისა მორევსა, ცურავს გიშრისა ნავი სად;
> იტყვის, თუ: „მნახეთ, მიჯნურნო, იგი ვინ ვარდია ვისად,
> უმისოდ ნეხვთა ზედა ვზი ბულბული მსგავსად ყვავისად“ (1241).

> მუნ ცრემლნი, მისგან ნადენნი, ქვათაცა დასალბონია;
> გიშრისა ტევრსა აგუბებს, ვარდისა ველსა ფონია;
> ფატმან მას ზედა იხარებს მართ ვითა იქდონია.
> თუ ყვავი ვარდსა იშოვნის, თავი ბულბული ჰგონია (1242).

—ამაზე უკეთესად ძნელია იმ განწყობილების გადმოცემა, რომელიც დაეუფლა ავთანდილს ფატმანთან ყოფნის დროს. ეროველგვარი კომენტარის გარეშეც ამ სტროფებიდან კარგად ჩანს, თუ რა ზიზღით იყო ალსავსე ავთანდილის მთელი არსება, იმის გამო, რომ მას ფატმანთან ხვევნა-კოცნა და წოლა უხდება. ფატმანი მეძავი ქალია და მას სიამოვნებს ავთანდილთან წოლა. ავთანდილი მიჯნურია და მის ამაღლებულ გრძნობებს შეურაცხყოფს ეს ეპიზოდური სიახლოვე. ავთანდილი მალულად ტირის და თავს ყვავს ადარებს, რომელიც ნეხვზე ზის (ნეხვი—ფატმანია). რუსთაველიც თვლის, რომ ფატმანი ბულბული კი არ არის, არამედ ყვავია, რომელმაც, რადგან ვარდი (ავთანდილი) იშოვნა, თავი ბულბულად წარმოიდგინა. ამაზე მეტად სიძვისადმი უარყოფითი დამოკიდებულების გამომქლავნება შეუძლებელია. როგორც ვხედავთ, „ვეფხისტყაოსნის“ გმირები გმობენ სიძვას და ამაღლებულ მიჯნურობას ქადაგებენ.

ნიშნავს თუ არა ყველაფერი ეს იმას, რომ შოთა რუსთაველი ასკეტია და გმობს, საერთოდ, ხორციელ სიყვარულს? უდაოდ, შეცდომა იქნებოდა რუსთაველის ასკეტიზმის მქადაგებლად წარმოდგენა. რუსთაველის გმირებისათვის უცხო არ არის მისწრაფება სულიერ შერწყმასთან ერთად, ფიზიკური სიახლოვისკენაც. ტარიელს აღეძრა სურვილი ნესტანის კოცნისა, როდესაც მან ვეფხი შეიპყრო:

ხრმალი გავსტყორცე, გადვიპერ, ვეფხი შევიპყარ ხელითა,
მის გამო კოცნა მოვინდა, ვინ მწვავს ცეცხლითა ცხელითა (900).

ან კიდევ:

მერმე ავდეგ წამოსავლად, მან დამიწყო ქვევე წვევა,
მწადდა, მაგრამ ვერ შევმართე შემოკდომა, შემოხვევა (539).

როგორც ვხედავთ, ტარიელისათვის უცხო არ არის „შემოკდომის“, „შემოხვევის“ სურვილი, მაგრამ იგი ძალზე თავშეკავებულია. ეს კვლევამოძიებულება რუსთაველური მიჯნურობისათვის დამახასიათებელია. მიუხედავად იმისა, რომ ნესტანი ამ შემთხვევაში თვითონ იძლევა ფიზიკური სიახლოვის საბაბს, ტარიელი საოცარ თავშეკავებულობას იჩენს.

რუსთაველური მიჯნურობის რაობის დასადგენად საჭიროა

გაჩნდეს კიდევ ერთი საკითხი: რა ურთიერთმიმართულებაშია მიჯნურობა და ცოლქმრობა?

პროფ. ალ. ბარამიძე მიჯნურობას ცოლ-ქმრულ სიყვარულთან აიგივებს. ეს აზრი ჩვენ მართებულად არ გვეჩვენება. მიჯნურობა არის ცოლქმრობამდელი ეტაპი; ეს არის ლტოლვა მიუწვდომელისადმი, ხოლო როდესაც მიჯნურები ცოლქმრობას მიაღწევენ, მაშინ ისინი მიჯნურები კი არ იქნებიან, არამედ ცოლ-ქმარი; გაქრება ის შიშმაგი, „წყენა“ და მიჯნურობაც სულ სხვა ეტაპში გადავა. ერთი კი უდავოა: რუსთაველი ხორციელ, ფიზიკურ სიახლოვეს მიჯნურთა შორის მხოლოდ ცოლქმრობის ფარგლებში თვლის შესაძლებლად. ამის გარეშე „ხვევნა კოცნას“ იგი სიძვად თვლის.

ამრიგად, შოთა რუსთაველმა „ვეფხისტყაოსანში“ მიჯნურობის მადიდებელი უკვდავი სიმღერა თქვა. იგი უმღერის ადამიანის გამაკეთილშობილებელ გრძნობას, ლტოლვას მშვენიერებისადმი, ადამიანთა შორის ღრმა ურთიერთგაგებას, სათნოებას, კეთილშობილებას, სატრფოსათვის თავდადებას და მარადიულ სიყვარულს. ამ უკეთილშობილესი გრძნობებით შოთა რუსთაველმა უხვად დააჯილდოვა თავისი გმირები—აფთანდილი და თინათინი, ტარიელი და ნესტან-დარეჯანი.

შოთა რუსთაველმა კარგად იცის, მიჯნურობა ადამიანის შემამკობელი. უფაქიზესი გრძნობაა, რომ მიჯნურობა ყოველგვარი სიკეთის საწყისია; ადამიანი, რომელიც ამ უფაქიზეს, უწმინდეს გრძნობამდე აჰაღლდა, ბოროტი, ცუდის ჩამდენი არ იქნება.

იმის წყალობით, რომ რუსთაველის გმირები მიჯნურობის, მეგობრობის გრძნობით უხვად არიან დაჯილდოებული, უბრწყინვალეს მხატვრულ სახეებს წარმოადგენენ და მკითხველში თანაგრძნობას და უზომო აღტაცებას იწვევენ.

ამიტომ არის, ქართველმა ხალხმა ესოდენ შეიტკბო და შეიყვარა „ვეფხისტყაოსნის“ გმირები და სათაყვანებელ, მისაბაძ მაგალითად გაიხადა. განუზომელია „ვეფხისტყაოსნის“ გმირების აღმზრდელობითი მნიშვნელობა, მათი კეთილშობილი სახეები 7 საუკუნეზე მეტია დიდ გავლენას ახდენენ მთელი ერის მორალური სახის ჩამოყალიბებაზე. და დღეს თუ ქართველ ერში არსებობს უბიწო, უანგარო და ამაღლებული სუ-

ლიერი სიყვარულისკენ მიდრეკილება. კდემამოსილება ახალგაზრდა ქალწულს შორის, ამაში დიდი წვლილი შოთა რუსთაველის უკვდავ პოემასაც აქვს შეტანილი. მეგობრობა, ძმადნაფიცობა, გმირული სული, მეგობრისათვის თავის დადება—ამ საუკეთესო თვისებებს ქართველ ხალხში ამტკიცებდა და აღვივებდა საუკუნეების განმავლობაში „ვეფხისტყაოსანი“.

შოთა რუსთაველმა კარგად იცოდა მიჯნურობის გამაკეთილშობილებელი ძალა; კარგად იცოდა, რომ მიჯნურობა ადამიანში გმირული სულის შთამბერავია. და ისიც იცოდა, რომ ამას დიდი ეროვნული და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობაც ჰქონდა.

აქ არ შეიძლება არ გავიხსენოთ პლატონის აზრი მიჯნურობის იმ დიდ მნიშვნელობაზე, რომელიც მას ხალხის ცხოვრებაში აქვს. პლატონი „ნადიმში“ წერდა: „და რომ შეიძლებოდეს მთელი სახელმწიფოს ან მთელი ლაშქრის შექმნა, სადაც მხოლოდ მიჯნურნი და მათი სატრფონი იცხოვრებდნენ თუ იბრძოლებდნენ მხარდამხარ, მაშინ ვინ შესძლებდა მეტოქეობა გაეწია მათთვის ბიწისადმი სიძულვილისა და სათნოებისადმი სწრაფვაში? ხოლო ასე შეკავშირებულ თუნდაც მცირერიცხოვან ხალხს ბრძოლის ველზე, შეიძლება ითქვას, მთელი მსოფლიოც ვერ აღუდგებოდა წინ. რადგან თუ არის ვინმე, რომლის თვალწინაც მიჯნური არ ისურვებდა იარაღი არ დაეყარა და მტრისთვის ზურგი ეჩვენებინა, ეს სატრფოა მისი. ის ათასწილ არჩევდა ბრძოლაში დაცემულიყო, ვიდრე მარტო დაეგდო საყვარელი არსება და გასაჭირში არ მიშველებოდა მას, რადგან ამ დროს ეროსი ყველაზე ჯაბანსაც კი გმირულ სულს შთაბერავს ხოლმე. ერთი სიტყვით, თუ ჰომეროსი ამბობდა—ღმერთი მხნეობას უნერგავს გმირებსო, ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეროსი საგმირო საქმეთათვის აღაგზნებს მიჯნურთ“.[1]

როგორც ვხედავთ, პლატონი მიჯნურობას სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას ანიჭებს და ადამიანში გმირული სულის აღმძრელად თვლის.

შეიძლება თამამად ვთქვათ, რომ რუსთაველის მიერ „ვეფხისტყაოსანში“ ესოდენ წარმტაცად აღწერილ მიჯნურობაზე

---

1 პლატონი, ნადიმი, გვ. 18.

აღზრდილი ქართველობა გმირული სულით იმსჭვალებოდა. და სწორედ ამ გმირულმა სულმა შეაძლებინა მცირერიცხოვან ქართველ ხალხს სამშობლოს დაცვა და შენარჩუნება. მიუხედავად იმისა, რომ ქართველ ხალხს ბევრი დაუძინებელი მტერი ჰყავდა, იგი ვერავინ დაიმონა, და მან თავისი მეობა დღევანდლამდე შეინარჩუნა. ქართველი ხალხი გმირულმა სულმა გადაარჩინა, იმ გმირულმა სულმა, რომლის საწყისები მიჯნურობაში უნდა ვეძებოთ. შოთა რუსთაველის გენიალობა ის არის, რომ მან მთელი ხმით უმღერა ადამიანის ამაღლებულ, გამაკეთილშობილებელ, გმირული სულის შთამბერავ გრძნობას — მიჯნურობას. ვიდრე ეს სული იცოცხლებს ქართველ ხალხში, რაგინდ მცირერიცხოვანიც არ იყოს იგი, მტერი მას ვერაფერს დააკლებს, და როგორც პლატონი იტყოდა, მის წინსვლასა და დღეგრძელობას მთელი მსოფლიოც ვერ აღუდგება წინ.

რამდენადაც მიჯნურობა ერისათვის საჭიროებლოა და სიკეთის მომტანი, იმდენად სიძვა მავნეა და დამაკნინებელი. ამიტომ იყო, რომ შოთა რუსთაველი გატაცებით უმღეროდა მიჯნურობას, სიძვას კი გმობდა და სიძულვილით იხსენიებდა.

სიძვა, ალვირახსნილობა, ავხორცობა, წმინდა და ამაღლებული იდეალებისაგან განდგომა, რწმენის დაკარგვა არაერთგზის ყოფილა მთელი ხალხის დაკნინების, ძლიერი სახელმწიფოების დასუსტებისა და დამხობის მიზეზი. სხვათა შორის, „ქართლის ცხოვრებაში“, ყამთააღმწერელი, თამარ მეფის შემდგომ პერიოდში საქართველოს დაუძლურებისა და აოხრების მიზეზს მორალურ, ზნეობრივ დაცემულობაში, სიძვისა და მრუშობის გავრცელებაში ხედავს. აი, რას წერდა ყამთააღმწერელი ლაშა-გიორგის მეფობის დროსა და შემდგომში საქართველოს აოხრების მიზეზის შესახებ:

„ეგრეთვე იქმნა ნათესავსაცა ამას შინა ქართველთასა, რამეთუ განძლეს და იშვებდეს და უწესოებად მიდრკეს სიძვათა შინა და მთრვალობათა უგუნურნი კაცნი, მეფის კარსა ზედა არა-ყოფისა-ღირსნი და არ კარსა ზედა მყოფნი. დაღათუ კათალიკოსთა ორთაჲე და თავადთა ამის სამეფოსათა, და უმეტეს ივანე ათაბაგსა უმძიმდა საქმე ესა, არღარა ინებეს მას თანა სამარადისო ყოფა, არამედ განეშორნეს და თჳს-თჳსად იყოფოდეს. ამისათჳს აღმოსცენდეს მიზეზნი, ცოდვათა სიმრავ-

ლითა, საქართველოსა მოყვრებისანი, რომელი ქუემორე სიტყვამან ცხად ყოს“ [1].

შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ დღესაც ჩვენი ხალხის ზნეობრივი სიწმინდის, კდემამოსილი სიყვარულის, ამაღლებული მიჯნურობის შთამაგონებელი, უშრეტი წყაროა. მომავალი თაობებიც კიდევ დიდხანს იპოვიან სულიერ საზრდოს „ვეფხისტყაოსანში“ და უწმინდესი იდეალების მილწევისათვის აინთებიან.

ამიტომ დაუთმო ესოდენ დიდი ადგილი თავის უკვდავ პოემაში მიჯნურობას შოთა რუსთაველმა და ასეთი თავდავიწყებით უმღერა ყველაზე ფაქიზ და ამამაღლებელ გრძნობას, სიყვარულს.

ამიტომ არის, რომ შოთა რუსთაველი შველას, განკურნებას მხოლოდ მიჯნურობისაგან ელის და მჯაზე დიდ იმედებს ამყარებს, ერთადერთ შემწედ თვლის.

> დავუძლურდი მიჯნურთათვის, კვლა წამალი არსით არი,
> ანუ მომცეს განკურნება, ანუ მიწა მე სამარი (8).

მიჯნურობა უდიდესი გამაკეთილშობილებელი ძალაა. მას უმღეროდნენ ყველა დროის უგვნიალურესი პოეტები და მათ შორის — შოთა რუსთაველი. ზნეობრივი სიწმინდის, სათნოების, სრულყოფილების მისაღწევად, ბიწიერებისაგან განსაკურნავად უკეთესი წამალი არ არსებობს, ვიდრე მიჯნურობა. ამიტომ იყო, რომ პლატონი ამბობდა: „ამ მიზნის მისაღწევად, კაცის ბუნება ძნელად თუ ჰპოვებს ეროსზე უკეთეს მწყსა და მეოხს. აი, რად ვამბობ, ყველა კაცი უნდა ადიდებდეს-მეთქი მას“ [2].

მიჯნურობა „ვეფხისტყაოსანში“ შოთა რუსთაველს გამოყენებული აქვს, აგრეთვე, როგორც მხატვრული სახეების შექმნის საშუალება. ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, თუ როგორ გაღარიბდებოდნენ ტარიელისა და ავთანდილის მხატვრული სახეები, მათ რომ წაგართვათ ის, მათთვის დამახასიათებელი

---

1 „ქართლის ცხოვრება“, ტომი II, გვ. 157.
2 პლატონი, ნაღიმი, გვ. 64.

და გამაკეთილშობილებელი თვისებები, როგორიც მიჯნურობა და მეგობრობაა.

შოთა რუსთაველის გენიალობა და მისი პოემის მარად უჭკნობი მშვენიერება, საკაცობრიო მნიშვნელობა იმაშია, რომ მან ჯერ კიდევ მე-12 საუკუნეში, იმ დროს, როდესაც ესოდენ ძლიერი იყო ადამიანთა შორის ბიწიერება, უხეში ცნებათა ღელვა, ავხორცობა, სიძვა და მრუშობა, მთელი ზმით უმღერა კაცთმოყვარეობას, ადამიანთა გამაკეთილშობილებელ, უწმინდეს გრძნობას, სულიერ ლტოლვას — მიჯნურობას.

შოთა რუსთაველი იმ დიდ პოეტთა რიცხვს ეკუთვნის, ვინც ადამიანთა შორის სათნოებასა და უბიწო სიყვარულს ქადაგებს და განუზომელი წვლილი შეაქვს ადამიანის გაკეთილშობილებაში, სრულყოფის საქმეში.

თავი მეხუთე

## თამარ მეფის დრო და „ვეფხისტყაოსანი"

### 1. არსებული თეორიების კრიტიკული მიმოხილვა

რუსთველოლოგიის ერთ-ერთი კარდინალური საკითხი, რომელიც გადაუდებელ გადაწყვეტას მოითხოვს, იყო და არის შოთა რუსთაველის გენიალური ქმნილების საქართველოს სინამდვილესთან ურთიერთკავშირის გარკვევა. ამ საკითხის მართებულად გადაჭრასთან არის დაკავშირებული ისეთი მნიშვნელოვანი პრობლემების ნათელყოფა, როგორიცაა ვეფხისტყაოსნის თემის, იდეის, დაწერის თარიღისა და ჟანრის განსაზღვრა.

უკანასკნელი ორი საუკუნენახევრის განმავლობაში ამ საკითხის ირგვლივ დიდძალი ლიტერატურა დაგროვდა და მრავალ საყურადღებო აზრთან ერთად ბევრი მცდარი თეორიაც შეითხზა.

უპირველესად ყოვლისა, რუსთაველის მკვლევარები შეეცადნენ დაედგინათ, „ვეფხისტყაოსანი" ორიგინალური ნაწარმოებია, თუ რომელიმე, მანამდე არსებული ლიტერატურული ძეგლის თარგმანი. რუსთველოლოგთა ერთი ნაწილი, იღებდა რა მხედველობაში შოთას სიტყვებს

„ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები,
უპოვე და ლექსად გარდათქვი, საქმე ექმენ საპოემანები"

„ვეფხისტყაოსანს" სპარსულიდან ნათარგმნად აცხადებდა და მის ორიგინალობაში ეჭვი შეჰქონდა.

მაგალითად, აკად. ნ. მარი წლების განმავლობაში იმ აზრს ადგა, რომ „ვეფხისტყაოსანი" არ არის ქართულ ნიადაგზე

აღმოცენებული ორიგინალური ნაწარმოები, არამედ რომელიღაც დაკარგული სპარსული ჟრომანის თარგმანია. თუ რამდენად დარწმუნებული იყო აკად. ნ. მარი ამ შეხედულების ჰეშმარიტებაში, ეს მისი შემდეგი სიტყვებიდან ჩანს: „ველი ცნობებს ერთ სპარსულ ხელნაწერზე, რომელიც ბრიტანულ მუზეუმში ინახება, ლონდონში, და იქნება ოვით ვეფხისტყაოსნის დედანია“ [1].

ჩვენ აქ არ გავიხსენებდით ნ. მარის ამ მცდარ შეხედულებას, მით უმეტეს, რომ შემდეგ მან თვითონ თქვა უარი მასზე, რომ აღნიშნული შეხედულება სხვა მკლევრებსაც არ გაეზიარებინათ. მაგალითად, პროფ. იუსტინე აბულაძემაც ვეფხისტყაოსანში მაჰმადიანური სამყაროს ყოფა და რელიგია დაინახა [2].

საბედნიეროდ, ეს მცდარი შეხედულება შოთა რუსთაველის გენიალურ ქმნილებაზე ერთხელ და სამუდამოდ დაგმობილია და არა გვგონია, რომ რუსთველოლოგიის განვითარების თანამედროვე ეტაპზე ვინმეს დაებადოს სურვილი მისი დაცვისა და განვითარებისა. ახლა ეს ჰიპოთეზა მხოლოდ იმის კლასიკურ ნიმუშად შეიძლება იქნას მოყვანილი, თუ რა გაუგებრობამდე და მცდარ დასკვნებამდე შეიძლება მივიდეს მკვლევარი, როდესაც იგი მხატვრულ ნაწარმოებს განიხილავს მის წარმომშობ ისტორიულ გარემოსაგან მოწყვეტილად.

ნათარგმნ ნაწარმოებად „ვეფხისტყაოსნის“ გამოცხადების თეორიამ მაინც შეასრულა დადებითი როლი იმ მხრივ, რომ მან გამოიწვია ქართული კულტურის საუკეთესო წარმომადგენლების კანონიერი აღშფოთება და გაცხოველებული პოლემიკა, რომელმაც ნათელი მოჰფინა ვეფხისტყაოსანთან დაკავშირებულ მრავალ საკითხს.

რუსთველოლოგთა მეორე ნაწილი „ვეფხისტყაოსანს“ ორიგინალურ ნაწარმოებად აცხადებდა, მას საქართველოსთან ამა თუ იმ მიმართებაში განიხილავდა და მასში ქართველი ხალხის

---

[1] გაზ. „თეატრი“, 1890 წ., № 12.

[2] პროფ. იუსტინე აბულაძე წერდა: „სიუჟეტი, ისე როგორც მთელი შინაარსი პოემისა, სრულიად ეუცხოება ქართულ სინამდვილეს“. (იხ. თ. ს. უ. შრომები, № 1, 1936, გვ. 145, „ვეფხისტყაოსნის სიუჟეტებისათვის“).

ცხოვრების ანარეკლს ხედავდა. მაგრამ აღნიშნულ მკვლევართა შორისაც აზრთა დიდი სხვადასხვაობა შეინიშნება. დავა ორი მიმართულებით წარმოებს: ერთი მხრივ, კამათობენ იმის შესახებ, თუ „ვეფხისტყაოსანში“ საქართველოს ისტორიული განვითარების რომელმა პერიოდმა ჰპოვა თავისი ასახვა და, მეორე მხრივ, იმაზე, თუ რამდენად და რა სახით აირეკლა ეს სინამდვილე.

რუსთველოლოგთა ერთი წყება თვლიდა, რომ „ვეფხისტყაოსანი“ დიდი თამარის ეპოქის პირმშოა და მასში იმდროინდელი სინამდვილე აისახა. მათ რიცხვს ეკუთვნის: მ. ბროსე, დ. ჩუბინაშვილი, ა. მურავიოვი, ს. ბარათოვი, მ. ჯანაშვილი, გ. იოსელიანი, დ. ბაქრაძე, ე. სტალინსკი, ა. ნანეიშვილი, ნ. ურბნელი (ხიზანიშვილი), ე .ბარსოვი, ს. ქვარიანი და სხვები. მაგრამ დასახელებულ მკვლევართა მეტი ნაწილი არ ითვალისწინებდა მხატვრული ნაწარმოების, კერძოდ, „ვეფხისტყაოსნის“, როგორც მხატვრული ქმნილების, სპეციფიკას და ცდილობდა „ვეფხისტყაოსნის“ გმირებსა და თამარის დროის ისტორიულ პიროვნებებს შორის პარალელების გავლებით დაესაბუთებინა თავისი აზრი შოთას უკვდავი ქმნილების ორიგინალობის შესახებ.

„ვეფხისტყაოსნის“ გმირებსა და თამარის ეპოქის ისტორიულ პირებს შორის პარალელების გავლების იდეა პირველად მ. ბროსემ წამოაყენა. იგი წერდა, რომ „მოქმედნი პირნი „ვეფხისტყაოსნისა“ თვით ქართველნი არიან და წარმოადგინებენ თვითო მათგანი საქმეთა თამარ მეფის დროს მომხდართა“ [1]. ავტორის აზრით, „ხვარაზმელ სასიძოს ნესტან-დარეჯანზე გამიჯნურება — ხორაზმ-შახის ტფილისს თამარ მეფის სათხოვნელად მოსვლის გამოხატულებას წარმოადგენს“.

მსგავსი შეხედულება აქვს გამოთქმული დავით ჩუბინაშვილს. იგი ამბობდა, რომ პოეტს თავის თხზულებაში თამარის დროის საქართველოს სოციალურ-ეკონომიური პირობების სურათი მოუცია, გამოუხატავს საქართველოს სახელმწიფოებრივი ურთიერთობანი სხვა სახელმწიფოებთან და პოე-

[1] ბროსეტ. წინა-სიტყვაობა ვეფხისტყაოსნის გამოცემისათვის, სანკტ-პეტერბურგის სტამბაში სახელმწიფო აკადემიის მეცნიერებათა. 1841. გვ. 6—14.

ძის გმირებიც შეუქმნია თამარ მეფის, დავით სოსლანისა და სხვათა მიხედვით. დ. ჩუბინაშვილი დიდ მსგავსებას ხედავს თამარ მეფესა და ნესტან-დარეჯანს, დავით სოსლანსა და ტარიელს შორის. ამ აზრს მკვლევარი იმით ასაბუთებს, რომ საქართველოც შეიდ სამეფოდ იყო დაყოფილი ისევე, როგორც ინდოეთი „ვეფხისტყაოსანში“. ნესტანი ინდოეთის მეფის ფარსადანის ერთადერთი ქალია, თამარიც გიორგი III ერთადერთი ასული იყო. ნესტანის გაზრდა ფარსადანმა თავის დას დაჳარს მიანდო, გიორგი მესამემ კი თავის დას — რუსუდანს. ნესტანი და ტარიელი ერთად იზრდებოდნენ. თამარ მეფე და დავით სოსლანიც ერთად იზრდებოდნენ. ქაჯეთის ციხე დ. ჩუბინაშვილს გაიგივებული აქვს ახალციხის ციხესთან და სხვა [1].

მ. ბროსეს და დ. ჩუბინაშვილის შემდეგ ვეფხისტყაოსნის გმირებსა და საქართველოს ისტორიულ პიროვნებებს შორის პარალელების მოძებნას მრავალმა მკვლევარმა მიჰყო ხელი და მრავალი ჰიპოთეზაც შეიქმნა. გიორგი III აიგივებდნენ ხან ფარსადანთან, ხან როსტევანთან, თამარ მეფეს კი ხან ნესტან-დარეჯანთან, ხან თინათინთან, ტარიელს აცხადებდნენ დავით სოსლანად, უფლისწულ დემნად, თვით შოთა რუსთაველადაც კი და ასე შემდეგ. მაგალითად, ა. ნ. მურავიევი თვლიდა, რომ როსტევანი გიორგი მეფეა, ხოლო თინათინი — თამარი [2]. ამავე დებულებას იმეორებდა გულაკიც.

გ. იოსელიანი 1875 წელს გაზეთ „Кавказ“-ში მოთავსებულ წერილებში ამტკიცებდა, რომ ნესტან-დარეჯანი თამარია, მისი შეყვარებული ტარიელი კი დავით სოსლანი. ეს შეხედულება გაიმეორეს ე. სტალინსკიმ (1888 წ.), ა. ნანეიშვილმა (1890), ე. ბარსოვმა (1898) და სხვებმა.

„ვეფხისტყაოსნის“ გმირებსა და თამარ მეფის დროინდელ ისტორიულ პირთა შორის პარალელების გავლების თეორია კიდევ უფრო მეტად განავითარეს მ. ჯანაშვილმა და ს. ქვარიანმა.

---

[1] Д. Чубинов, Грузинская хрестоматия. Санктпетербург, 1846, часть вторая, გვ. I—IX.

[2] А. Н. Муравьев, Грузия и Армения, часть III, СПБ, 1848, გვ. 214—235.

მოსე ჯანაშვილმა თინათინი და ავთანდილი თამარ მეფესთან და დავით სოსლანთან გააიგივა, ხოლო ტარიელისა და ნესტან-დარეჯანის ამბავი -— სელჩუკიანთა შაჰის ტოღრილისა და მისი ტახტის ისტორიასთან [1].

სიმონ ქვარიანი პარალელების მონახვამ ისე გაიტაცა, რომ ყალბ დასკვნამდე მივიდა. მისი აზრით, რუსთაველს მიზნად ჰქონია, დაეხატა „მხოლოდ ნესტან-დარეჯან, ესე იგი თამარ ბედშავი, თამარ ზენარად შეყვარებული, თამარ ტანჯული და ქაჯეთის, ე. ი. ქობულეთის ციხეში დამწყვდეული, თამარ ვმობილი და უდანაშაულოდ გაქირდული. აი, როგორია თამარის ქება და მისი პიროვნების აღდგენა უბრძანეს შოთას“[2]. ამ მცდარი დებულებიდან გამომდინარე, ს. ქვარიანი აიგივებს „ვეფხისტყაოსნის“ გმირებსა და მე-12 საუკუნის ბოლოსა და მე-13 საუკუნის დასაწყისის ისტორიულ პირებს. იგი ამბობს: „შოთას დავით სოსლანი ჰყავს გამოყვანილი ავთანდილად“. შემდეგ ს. ქვარიანი სვამს კითხვას: „მაშ ვინაა ტარიელი? ვინაა ფრიდონი? ერთი და იგივე პირებია ნესტან და თინათინ, როსტევანი და ფარსადან, თუ სხვადასხვა?“[3] ამ კითხვაზე მკვლევარი ასეთ პასუხს იძლევა: „როსტევან მეფე და ფარსადან ერთი და იგივე პირი ყოფილა, ე. ი. გიორგი მეფე; ნესტან და თინათინ ერთი და იგივე პირი ყოფილან, ე. ი. თამარი... ტარიელი და დემნა ერთი და იგივე პირია... მაგრამ ავთანდილი და ტარიელი არაა ერთი და იგივე პირი, ორადი“[4]. ს. ქვარიანის თეორია იმის საუკეთესო ნიმუშია, თუ როგორ არასწორ დასკვნამდე შეიძლება მიიყვანოს მკვლევარი მხატვრული ნაწარმოების გმირთა გაიგივებამ ისტორიულ პიროვნებებთან.

„ვეფხისტყაოსნის“ გმირებსა და თამარ მეფისდროინდელ ისტორიულ პირებს შორის პარალელების მოძებნას დღესაც მიმართავს მკვლევარი პავლე ინგოროყვა.

1963 წელს გამოცემულ. თხზულებათა კრებულის პირველ ტომში პ. ინგოროყვა ცდილობს „ვეფხისტყაოსნის“ ავტო-

---

1 თამარ მეფის მეხოტბენი, გაზ. „ტრიბუნა“, 1923, № 478, 481, 483.

2 ს. ქვარიანი, შოთა რუსთაველი და მისი პოემა, ქუთაისი, 1914, გვ. 39.

3 იქვე, გვ. 40.

4 იქვე, გვ. 49—61.

რი, შოთა რუსთაველი პოემის ერთ-ერთ მთავარ პერსონაჟთან — ტარიელთან, ხოლო თამარ მეფე ნესტან-დარეჯანთან გააიგივოს. „რუსთველიანაში“ პ. ინგოროყვას შეტანილი აქვს თავები მრავლისმეტყველი სათაურებით: „ა. ტარიელისა და შოთას საგვარეულო ისტორიის იგივეობა“, „ბ. ნესტან-დარეჯანი და თამარი“, „გ. ტარიელ-შოთა ტახტის მემკვიდრე“.

პ. ინგოროყვა წერს: „ამრიგად, ამ გამჭვირვალე ჩვენებათა მიხედვით ცხადი ხდება, რომ ნესტან-დარეჯანი წარმოგვიდგენს პოეტურ ასპექტში თამარს, ხოლო ტარიელი თვით პოეტს შოთას. თამარი — ნესტან-დარეჯანი არის ჯიქი, მშვენიერი, მაგრამ განრისხებული ვეფხი, ხოლო პოეტს, თვით მისივე სიტყვით, „მიხდომია“ (ე. ი. წილად რგებია) — „ველთა რბენა“. ველად გაჰრა ტარიელის მსგავსად. ამიტომაა, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ერთ ძველ ინტერპოლაციაში შოთას ეწოდება „ტარიელის დარი“.

ცოტა ქვემოთ კი ვკითხულობთ: „...ვეფხისტყაოსანში ტარიელის საგვარეულო ისტორიის სახით მოთხრობილია შოთას საგვარეულო ისტორია“ [1]. „ამრიგად, მდგომარეობა ტარიელისა და შოთასი სავსებით ანალოგიურია. შოთა, ისევე როგორც ტარიელი, ტახტის მემკვიდრენი იყვნენ“ [2].

პ. ინგოროყვა განაგრძობს: „ამრიგად, როგორც ვხედავთ, ნესტან-დარეჯანის იდეალურს პორტრეტში განმეორებულია ცალკეული ხაზები თამარის ბიოგრაფიისა“.[3] ვეფხისტყაოსნის დანარჩენი პერსონაჟების შესახებ იგი იმეორებს უკვე არაერთგზის გამოთქმულ აზრებს. ფარსადანისა და გიორგი III, დავარისა და რუსუდანის იგივეობის შესახებ, აი, რას წერს დავარის შესახებ მკვლევარი: „მსგავსება რუსუდანისა და დავარისა იმდენად ახლოა, რომ პოეტი თითქოს შეგნებულად ხაზს უსვამს მათს იგივეობას, რომ მკითხველს არ დარჩეს ამაში არავითარი ეჭვი“[4]. რაც შეეხება ხვარაზმშას, იგი პ. ინგორო-

---

1 პ. ინგოროყვა, თხზულებათა კრებული, I, გვ. 204.
2 იქვე, გვ. 208
3 იქვე, გვ. 207
4 იქვე, გვ. 211

ყვას თამარის პირველი ქმრის, გიორგი რუსის, ორეული ჰყონია: „ასე სვარაზმში მოწვეული ნესტანის საქმროდ, რომელიც უბედურად იღუპება, პოეტურ ასპექტში წარმოგვიდგენს თამარის საქმროდ მოწვეულ გიორგი რუსს, რომელსაც თანამედროვე საისტორიო წყარო „სვე-უბედურს“ უწოდებს“ [1].

პ. ინგოროყვას ამ თეორიის ძირითადი თემაა ტარიელისა და შოთა რუსთაველის გაიგივება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პატივცემული მკვლევარი ამ შემთხვევაში დიდ ორიგინალობას არ იჩენს, რადგან მწერლის ბიოგრაფიის გაიგივება მის მიერ შექმნილ პერსონაჟებთან კვლევის საკმაოდ ცნობილი ხერხია, რომელმაც ჯერჯერობით არავის მოუტანა წარმატება. ჩვენმა საბჭოურმა ლიტერატურათმცოდნეობამ დიდი ხნია დაგმო ეს არამეცნიერული ძიების ცდები — პერსონაჟებში მათი შემქმნელი მწერლის ბიოგრაფიის დანახვისა.

— საილუსტრაციოდ მოვიტანთ პ. ინგოროყვას კვლევის სქემას, რომელსაც იგი არსად აღარ ღალატობს. ასეთი კვლევის, ანუ, როგორც თვითონ უწოდებს, ძიების პირველ ეტაპზე იგი ჩვეულებრივად წერს: „ზოგიერთ გარემოებათა გამო... უშვილო და უმემკვიდრო გიორგიმ, საფიქრებელია, შოთა რუსველა და აღსაზრდელად აიყვანა იგი“.

კვლევის მეორე ეტაპი: „როგორც ირკვევა, მაგალითად, თამარი ყოფილა შოთაზე უფროსი ხუთი წლით და საფიქრებელია, ისინი ერთად იზრდებოდნენ“. ამ მთელი რიგი ყოველგვარ ფაქტობრივ საფუძველს მოკლებული დაშვების შემდეგ, კვლევის მესამე ეტაპზე კეთდება დასკვნა: „ამრიგად, როგორც ვხედავთ, ვეფხისტყაოსანში ტარიელის საგვარეულო ისტორიის სახით მოთხრობილია შოთას საგვარეულო ისტორია“.

პ. ინგოროყვას კვლევის ყველაზე სუსტ ადგილს წარმოადგენს პირველი ეტაპი, სადაც ხდება ესა თუ ის დაშვება, ანუ ამა თუ იმ ვარაუდის გამოთქმა, მით უმეტეს, თუ ეს ვარაუდი ფაქტების არასწორი გაგების შედეგია.

---

[1] პ. ინგოროყვა, თხზულებათა კრებული, I, გვ. 210.

ჯერ განვიხილოთ, თუ რა „უტყუარ საბუთებს“ ეყრდნობა პ. ინგოროყვა, როდესაც იგი ამა თუ იმ დასკვნას აკეთებს, და შემდეგ ვნახოთ, თუ რამდენად სარწმუნონი არიან ისინი.

1. პ. ინგოროყვას იმ ჰიპოთეზის დასამტკიცებლად, რომ ტარიელის სახით რუსთაველმა თავისი თავი გამოიყვანა ეპოპეაში და რომ ტარიელის და შოთას საგვარეულო ისტორიებს შორის იგივეობა არსებობს, შემდეგი მოსაზრებები მოაქვს:

ა. ვეფხისტყაოსნის მიხედვით, ინდოეთი „შვიდთა სამეფოთაგან“ შედგება. მეშვიდე სამეფოს მეფე იყო სარიდანი, ტარიელის მამა. საქართველოში „ამ დროს ერთი და იგივე სამეფო გვარეულობის — ბაგრატიონთა გვარის ორი შტო იყო: პირველი — ძირითადი შტო — ესენი იყვნენ მეფენი სრულიად საქართველოსი (რომელიც შვიდი სამეფოს გაერთიანებას წარმოადგენდა), ხოლო მეორე შტო — ჰერეთის მთავრები (მეშვიდე სამეფოს ყოფილი მფლობელები).

ეს ანალოგია არ შეიძლება მიჩნეულ იქნას იმის დამტკიცებელ საბუთად, რომ ტარიელის სამეფო ჰერეთის საერისთავოა, რადგან არ არის გამორიცხული, რომ, როგორც ჩვენი დიდი მეცნიერი კორნელი კეკელიძე თვლის, „ინდოეთის შვიდ სამეფოდ დანაწილება და აგრეთვე საქართველოსიც არაფერს არ გვეუბნება, ვინაიდან „შვიდი სამეფო“, „შვიდი იყლიმი“, „შვიდი ქიშვარი“ შაბლონური ადგილია სპარსულ რომანებში, მაგალითად, იოსებ ზილიხანიანში (უცნობი მთარგმნელისა), ლეილმაჯნუნიანში, ბარამგურიანში და სხვა. ბარამგურიანში პირდაპირ ინდოეთია დაყოფილი შვიდ სამეფოდ. აქ ნათქვამია, რომ ინდოეთის მეფემ ომაინმა თავის მეგობარს ახის მისცა „შვიდთაგან ერთი სამეფო“ ინდოეთისა: ზალუმჯანიანში ვკითხულობთ: ინდოეთის მეფემ „შვიდიე სახელმწიფო ინდოეთისა თავისითა ხმლითა და სიმამაცითა დაიპყროვო“ [1].

როგორც ვხედავთ, პავლე ინგოროყვას მიერ მოტანილი „შვიდი სამეფოს“ არგუმენტი საკმაოდ საეჭვოა, რადგან არგუმენტს მაშინ აქვს მეცნიერული ღირებულება, როდესაც

[1] კორნ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II, 1958, გვ. 170.

ას მხოლოდ ერთადერთი გაგება აქვს. ამიტომ ეს არგუმენტი ტარიელისა და შოთას საგვარეულო ისტორიათა იგივეობის დასამტკიცებლად არ გამოდგება.

2. პ. ინგოროყვა ცდილობს დაამტკიცოს, რომ შოთა, ისევე როგორც ტარიელი, ტახტის ერთადერთი მემკვიდრე არის. ერთ-ერთ თავში, რომელსაც ეწოდება „ტარიელ-შოთა ტახტის მემკვიდრენი", ინგოროყვა წერს: „და აი ინდოეთში პირველი ძირითადი შტოს მამრობითი ხაზი შეწყდა. სრულიად ინდოეთის მეფეთ-მეფეს ფარსადანს ვაჟი არა ჰყავს. ამის შემდეგ სრულიად ინდოეთის ტახტი, ბუნებრივი მემკვიდრეობის წესით, უნდა გადავიდეს იმავე გვარეულობის მეორე გვერდის შტოზე," ე. ი. ინდოეთის მეშვიდე სამეფოს ყოფილ მფლობელებზე, რომლის წარმომადგენელია ტარიელი". ინგოროყვას აზრით, ანალოგიურ მდგომარეობას ჰქონდა ადგილი გიორგი III-ის დროს. იგი წერს: „ამრიგად, სამეფო გვარეულობის ძირითადი შტოს მამრობითი ხაზი შეწყდა. ამის შემდეგ სრულიად საქართველოს ტახტი ბუნებრივი მემკვიდრეობის წესით უნდა გადასულიყო ამავე გვარეულობის მეორე გვერდის შტოზე, — ჰერეთის სახლზე, რომლის წარმომადგენელიც იყო შოთა" [1].

მკვლევარი თავისი ჰიპოთეზის დასაბუთებას ძირშივე არასწორად გაგებული ფაქტიური მასალით ცდილობს. საქმე იმაშია, რომ „ვეფხისტყაოსანში" არსად არ არის ნათქვამი და არსაიდან არ ჩანს, რომ ტარიელი და ფარსადანი ერთი საგვარეულოს წარმომადგენლები ანუ ერთი გვარისანი იყვნენ. პირიქით, პოემა საწინააღმდეგო დასკვნის გაკეთების საშუალებას იძლევა. უფრო საფიქრებელია, რომ ტარიელსა და ფარსადან მეფეს შორის არავითარი ნათესაური კავშირი არ არსებობდა.

ტარიელი და ფარსადანი ერთი სამეფო გვარისანი, მით უმეტეს, ახლო ნათესავები რომ ყოფილიყვნენ, მაშინ, ჯერ ერთი, ნესტანსა და ტარიელს ცალ-ცალკე კი არ დაუწყებდნენ ზრდას, არამედ ერთად, როგორც ამას ადგილი ჰქონდა საქართველოს სინამდვილეში. ცნობილია, რომ დავით სოს-

[1] პ. ინგოროყვა, თხზულებათა კრებული, I, 1963, გვ. 208.

ლაბა და თაჰმარა რუსუდანი ერთად ზრდიდა. მეორე მხრივ, თუ ნესტანი და ტარიელი ახლო ნათესავები იქნებოდნენ, მათ შეტი სიახლოვის უფლება ექნებოდათ. გავიხსენოთ: ტარიელს ნესტან-დარეჯანის ნახვის უფლებაც კი არ ჰქონდა.

3. ფარსადანისა და სარიდანის ურთიერთდამოკიდებულებიდან არ ჩანს, რომ ისინი ერთი და იგივე სამეფო გვარის წარმომადგენლები არიან. პირიქით, „ვეფხისტყაოსნის“ სათანადო სტროფის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ფარსადანი უფრო გავლენიანი, აღზევებული სამეფო გვარის წარმომადგენელი იყო, ვიდრე სარიდანი.

მაგალითად, 312-ე სტროფში ვკითხულობთ:

> თვით მეფემან მამა-ჩემი დაიჭირა სწორად თავსა.
> ჰქვა: „ჩემებრი ამირბარი, ნაძლევი ვარ ცისმცა ჰყავსა!“
> ლაშქრობდის და ნადირობდის, აძლევდიან მტერნი ზავსა.
> მას არა ვჰგავ ასრე, ვითა მე სხვა კაცი არა მგავსა [1].

ამ სტროფის პირველი სტრიქონიდან ჩანს, რომ თუმცა სარიდანი თავისი გვარიშვილობით უფრო დაბლა იდგა ფარსადანზე, მაგრამ ეს უკანასკნელი მას, როგორც თავის სწორს, ისე ეპყრობოდა.

ამის კითხვა, ეს თუ ასეა, მაშინ საიდან დაებადა პ. ინგოროყვას აზრი იმის შესახებ, რომ ტარიელი და ფარსადანი ერთი და იგივე სამეფო გვარის სხვადასხვა შტოს წარმომადგენლები არიან. ეს აზრი გამომდინარეობს „ვეფხისტყაოსნის“ 313-ე სტროფის მეოთხე სტრიქონის მცდარი გაგებიდან.

აი, ეს სტრიქონიც: „მეფემან თქვა, შვილად გაეზრდი, თვით ჩემივე გვარი არსა“. პ. ინგოროყვას „ვეფხისტყაოსნის“ ეს ადგილი ასე ესმის: „რაკი ინდოეთის „შვიდთა სამეფოთა“ მეფე ფარსადანი უშვილო იყო და ტახტი უმემკვიდროდ რჩებოდა, ფარსადანმა გადაწყვიტა შვილად აეყვანა და თავის მემკვიდრედ გაეზარდა ტარიელი, რადგან ისიც „ჩემივე გვარისა არისო“ [2].

---

[1] საიუბილეო გამოცემაში, ჩვენი აზრით, შეცდომაა დაშვებული, რადგან იქ მხოლოდ მეორე სტრიქონია ბრჭყალებში ჩასმული. სინამდვილეში კი მომდევნო შესამე და მეოთხე სტრიქონიც ფარსადანის სიტყვებია. ამიტომ ბრჭყალები სტროფის ბოლოში უნდა იქნას გადატანილი.

[2] პ. ინგოროყვა, თხზულებათა კრებული, I, გვ. 209.

საქმე იმაშია, რომ სიტყვა „გვარი“ კონტექსტში — „თვით ჩემი გვარი არსა“ — ნახმარია არა ხათესაური დამოკიდებულების, არამედ მსგავსების აღმნიშვნელად. ფარსადანი აქ ხაზს უსვამს ტარიელის მეფურ შთამომავლობას, ჩემსავით სამეფო გვარის წარმომადგენელიაო, ამბობს იგი.

„ვეფხისტყაოსანში“ სიტყვა „გვარი“ ხშირად იხმარება მსგავსების მნიშვნელობით. მოვიყვანოთ მაგალითები: „თვით ჩემივე გ ვ ა რ ი არსა“, 318,4; „ბინდის გ ვ ა რ ი ა სოფელი“, 1090,3; „მართ ვითა შენი გ ვ ა რ ი ა“, 1648,2; „გ ვ ა რ ა დ უცხონი ყვავილნი“, 1061,3; „ქალი ჯდა კუშტ-გ ვ. ა რ ა დ“ 244,1; „ფერმიხდილ-გ ვ ა რ ა დ ვშეენოდი ვარდი“, 478,3; „ასმათ დამსვა შორს გ ვ ა რ ა დ“ და სხვ.

რომ კონტექსტში — „თვით ჩემივე გვარი არსა“ სიტყვა „გვარი“ მსგავსსა ნიშნავს, იქიდანაც ჩანს, რომ „გვარი“ სახელობით ბრუნვაშია და არა ნათესაობითში (გვარისა). ეს უხერხულობა, ეტყობა, იგრძნო ინგოროყვამ და ამიტომ თავის განმარტებაში დაწერა: „ჩემივე გვარისა არისო“.

ამის შემდეგ, ცხადია, არავითარი საფუძველი აღარ რჩება შოთა რუსთაველისა და ტარიელის საგვარეულოების იგივეობის მტკიცებისათვის.

ამრიგად, „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტიდან არ ჩანს, რომ ტარიელი და ფარსადანი ერთი და იგივე სამეფო შტოს წარმომადგენლები არიან და რომ ტარიელი თავისი გვარის მიხედვით, ტახტის ერთადერთი კანონიერი მემკვიდრე იყოს. ამიტომ აღარავითარი ფასი არა აქვს დასკვნას იმის შესახებ, რომ „ვეფხისტყაოსანში“ ტარიელის საგვარეულოს ისტორიის სახით მოთხრობილია შოთას საგვარეულო ისტორია“ [1].

4. ჩვენი აზრით, მეცნიერულ საფუძველსაა მოკლებული, აგრეთვე, პ. ინგოროყვას ჰიპოთეზა იმის შესახებაც, რომ „ის, რასაც მოგვითხრობს ტარიელი თავისი ქვეყნისა და გვარის ისტორიის შესახებ, წარმოადგენს ს ა ვ ს ე ბ ი თ იმავე სურათს, რაც ჩვენ ვიცით შოთას საგვარეულო ისტორიისა და მისი

1 პ. ინგოროყვა, თხზულებათა კრებული I, გვ. 207.

სამშობლო მხარის პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ“ [1].

აქ არ შეიძლება არ შევნიშნოთ ის საყოველთაოდ ცნობილი ფაქტი, რომ ისტორიულ წყაროებში სრულებით არაა შემონახული ცოტად თუ ბევრად პირდაპირი ცნობები გენიალური რუსთაველის შესახებ. ეს კარგად იცის თვით პავლე ინგოროყვამაც, როდესაც წერს: „შოთას ახალგაზრდობის წლების შესახებ ცნობები არ შემონახულაო“ [2]. მაგრამ მიუხედავად ამისა, იგი მაინც მიუთითებს: „ზოგიერთ გარემოებათა გამო საფიქრებელია, რომ შოთას თავგადასავალი ბავშვობის წლებში იგივე უნდა ყოფილიყო, რაც ტარიელისა“. სამწუხაროდ, ამ „ზოგიერთ გარემოებათა“ შესახებ არსად არაფერს არ გვამცნობს პატ. მკვლევარი. და ეს გასაგებიცაა, რადგან არავითარ „ზოგიერთ გარემოებათა შესახებ“ არსად არავითარი ცნობები არ არსებობს სინამდვილეში.

ზემოთ ჩვენ შევეცადეთ მკითხველისათვის გვეჩვენებინა, თუ საიდან წარმოდგა პ. ინგოროყვას მცდარი დებულება ტარიელისა და ფარსადანის ერთი და იგივე სამეფო გვარისადმი კუთვნილების შესახებ და აქედან გამომდინარე, ინდოეთის ტახტის ერთადერთ კანონიერ მემკვიდრედ ტარიელის გაძოცხადების იდეა. ახლა კი ვნახოთ, რამდენად შეეფერება ჭეშმარიტებას პავლე ინგოროყვას ვარაუდი იმის შესახებ, რომ შოთა რუსთაველიც ბაგრატიონთა ტახტის ერთადერთი კანონიერი მემკვიდრე იყო და ისიც ტარიელივით იბრძოდა ტახტისათვის.

არ არსებობს ისტორიული წყაროები, რომლის მიხედვით გიორგი მესამის, ანდა თამარის მეფობის დროს ყოფილიყო ვინმე შოთა, რომელსაც 16 წლის ასაკში, როგორც ტარიელს ამირსპასალარობა ჰქონდა და აწარმოებდა ისეთსავე მნიშვნელოვან ომს, როგორსაც „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით ტარიელი აწარმოებს ხარკის ურჩი გადამხდელი ხატაეთის წინააღმდეგ.

საქართველოს მატიანეების მიხედვით, აგრეთვე, სრუ-

---

[1] პ. ინგოროყვა, თხზულებათა კრებული, I, გვ. 205.

[2] იქვე, გვ. 209.

ლიად არ ჩანს საქართველოს ტახტის ცოტად თუ ბევრად სერიოზული რომელიმე პრეტენდენტი, დემნა ბაგრატიონის გარდა. როგორც ცნობილია, დემნას განდგომა და მისი ბრძოლა ტახტისათვის საკმაოდ დაწვრილებითაა გადმოცემული იმდროინდელი ისტორიკოსების მიერ და რომ მსგავს რაიმე შემთხვევას ჰქონოდა ადგილი, ისინი უსათუოდ ამასაც აღნიშნავდნენ. აგრეთვე, არავითარი საბუთი არ არსებობს იმის შესახებ, რომ რუსუდანი თამარ მეფესთან ერთად, გარდა დავით სოსლანისა, სხვა ვინმეს ზრდიდა.

ახლა ვნახოთ, თუ რაზეა დაფუძნებული პ. ინგოროყვას ისტორიული პარალელი ნესტან-დარეჯანისა და თამარ მეფის იგივეობის შესახებ:

1. პროლოგში რუსთაველი თითქოს თამარ მეფეს ადარებს „ჯიქს — ვეფხს", ვეფხისტყაოსანშიც ნესტან-დარეჯანი შედარებულია ვეფხვთან. აქედან გამომდინარე პ. ინგოროყვა ასკვნის: „ეს სიმბოლიკა თამარ ვეფხი-ჯიქი ხსნის პოემის იდეალური პერსონაჟების ვინაობას" [1]. ცოტა ქვემოთ კი მთელი კატეგორიულობით აცხადებს: „ამრიგად, ამ გამჭვირვალე ჩვენებათა მიხედვით ცხადი ხდება, რომ ნესტან-დარეჯანი წარმოგვიდგენს პოეტურ ასპექტში თამარს, ხოლო ტარიელი თვით შოთას. თამარი — ნესტან-დარეჯანი არის ჯიქი, მშვენიერი, შაგრამ განრისხებული ვეფხი, ხოლო პოეტს, — თვით მისივე სიტყვით, „მიხდომია" (?), ე .ი. წილად რგებია „ველთა რბენა", ველად გაჭრა - ტარიელის მსგავსად. ამიტომაა, რომ „ვეფხისტყაოსნის" ერთ ძველ ინტერპოლაციაში შოთას ეწოდება „ტარიელის დარი".

„არ შეიძლება არ შევნიშნოთ ამასთან, რომ ძირითადი სახე „ვეფხისტყაოსნისა", — შედარება თამარ — ნესტან-დარეჯანისა მშვენიერ, მაგრამ განრისხებულ ვეფხთან, ჩანს, წარმოადგენს დიდი პირადი ტრაგედიის ნაჩრდილს (?). პოეტსა და მის ო რ ე უ ლ ს ტარიელს თანა სდევს როგორც განუყრელი აჩრდილი და მწარე მოგონება მიჯნურთან უკანასკნელი შეხვედრისა, როდესაც იგი განრისხებული ვეფხის სახით წარმოუდგა (სტროფი 522)" [2].

1 პ. ინგოროყვა, თხზულებათა კრებული, I, გვ. 202.

2 იქვე, გვ. 204.

ჩვენ აქ ეს ვრცელი ამონაწერი იმიტომ მოვიტანეთ, რომ მასში, ერთი მხრივ, დაშვებულია რამდენიმე ძალზე უხეში ფაქტობრივი შეცდომა, ხოლო, მეორე მხრივ, გვაქვს „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის არაზუსტი, დამახინჯებული ციტირების საშუალებით წინასწარ აკვიატებული აზრის დასაბუთების ცდა.

დავუშვათ, მივიღეთ პ. ინგოროყვასეული სიმბოლიკა და თამარი ჯიქად გამოვაცხადეთ, ხოლო ნესტან-დარეჯანი ვეფხვად. ეს სიმბოლიკა სრულებითაც არ გამოდგება ნესტან-დარეჯანისა და თამარის იგივეობის დასამტკიცებლად. პირიქით, ეს სიმბოლიკა ამ აზრის საწინააღმდეგოდ მეტყველებს, რადგან, როგორც ჯიქი არ არის ვეფხვი, ასევე თამარი არ არის ნესტან-დარეჯანი, და ისეთივე განსხვავებაა მათ შორის, როგორიც ვეფხვსა და ჯიქს შორის. ამ ორ ცხოველს შორის კი არსებითი განსხვავება არსებობს. ჯიქი (леопард) ვეფხვისაგან (Тигр) განსხვავდება როგორც თავისი გარეგნობით, ისე შინაგანი ბუნებით, მიდრეკილებითა და ხასიათით. თუმცა ორივე ეს ცხოველი კატების ოჯახის წარმომადგენლები არიან, მაგრამ მათ შორის ისეთივე დიდი განსხვავებაა, როგორც, მაგალითად, თხასა და ცხვარსა, ცხენსა და სახედარს შორის... მათ შორის საერთო მხოლოდ ის არის, რომ ორივენი მტაცებელი ცხოველები არიან.

სულხან-საბა ორბელიანი წერს: „ჯიქი ვეფხს ჰგავს, უდიდეა, რომელსა სპარსნი ბაბრს უწოდებენ“ [1]. ნიკო ჩუბინაშვილი კი ამ სიტყვას ასე განმარტავს: „ჯიქი (ოთხფ) ბაბრი, ვეფხსა ჰგავს და უდიდესია“ [2].

ახლა ვნახოთ, თუ რამდენად სწორად აქვს გაგებული პ. ინგოროყვას „ვეფხისტყაოსნის“ სიმბოლიკა ჯიქისა და ვეფხის მიმართ.

უპირველესად ყოვლისა, განვიხილოთ მე-19 სტროფი, რომელშიაც რუსთაველი მხატვრული შედარებისათვის მიმართავს ჯიქს.

აი, ეს სტროფიც:

---

1 სულხან-საბა-ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, გვ. 469.

2 ნიკო ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი, გვ. 247.

„ჩემი აწ ცანით ყოველმან, მას ვაქებ, ვინცა მიქია;
ესე მიჩნს დიდად სახელად, არ თავი გამიქიქია!
იგია ჩემი სიცოცხლე, უწყალო ვითა ჯიქია;
მისი სახელი შეფარვით ქვემორე მითქვამს, მიქია".

რადგან ამ სტროფის სხვადასხვანაირი გაგება არსებობს, მოვიტანოთ რამდენიმე მათგანი.

ვახტანგ VI შემდეგ განმარტებას იძლევა: „ჩ ე მ ი ა წ: ა წ ვერც მართლა ამ ზღაპრის თქმას მართლა თამარ მეფეს ადებს: რომე ბატონისათვის ვერ უკადრებია: და თუ კაცი გაუსინჯავს, არც თვითონ იდებს: და უბნობს ჩემი ახლა სცანითო: ვინც მიქია მას ვაქებო: ვითამ ღმერთი უქია და იმასვე ვაქებო და იმისი ქება დიდად სახელად მიმაჩნია და არც თავს გავიქიქებო: განქიქება გაწბილებას ჰქვიან მაგრამე აწ თავის მეფისას უბნობს თავისი მეფე სიცოცხლედ უთქვამს: ასე სიცოცხლეა მეფე კაცთათვინ რომე იმითი რჩებიან და იმას დაფარვით უბნობს: ე ს ჩ ე მ ი ს ი ც ო ც ხ ლ ე უ წ ყ ა ლ ო ა რ ი ს ჩ ე მ თ ვ ი ს ვ ი თ ა ჯ ი ქ ი: (ხაზი ჩემია — დ. ქ.). ჯიქი ბაბრია, რომე ამაზედ არ შემიწყალა რომე ღვთის ქების თქმა არ მიბრძანა: და ზღაპარს მალექსებსო და რადგან ასრე. მოუნდა აწ იმას უბნობს ვისიც მიბრძანა იმათი სახელი ქვემოთ მითქვამს და შეფრქუევით მიქიაო: შერფქუევა ხშირად შეყრას რასმე ჰქვიან" [1].

ვახტანგ VI-ის ეს ინტერპრეტაცია შემდეგ აზრს ატარებს: მე, რუსთაველს, სასახელოდ მიმაჩნია ღ მ ე რ თ ი ს ქ ე ბ ა. მას მე ვაქებდი და ვაქებო, თუმცა ჩემი მეფე ჩემთვის სიცოცხლესავით ძალზე ძვირფასია, მაგრამ ჩემი სიცოცხლე მეფემ უწყალო ჯიქად აქცია იმის გამო, რომ მან ღმერთის ქების დაწერის ნაცვლად ზღაპრის გალექსვა მიბრძანა, რასაც იძულებით ვასრულებ და ქვემოთ მეფის მიერ დასახელებული გმირების ქებას ვამბობო.

ვახტანგ VI-ის ამ განმარტებაშიც იგრძნობა ის საერთო ტენდენცია რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის" „საღმრთო" და არა „სამეძაო" წიგნად გამოცხადებისა, რომელიც საერთოდ ახასი-

[1] შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, ვახტანგისეული გამოცემა, 1712, აღდგენილი აკაკი შანიძის მიერ, გვ. სეთ:

ათებს მის კომენტარებს, მაგრამ მასში მაინც არის რამდენიმე საყურადღებო მომენტი.

პირველი: ვახტანგ VI სრულიად სწორად ესმის სიტყვა „ჯიქი“ და მას „ვეფხად“ არ მიიჩნევს, არამედ თარგმნის როგორც ბაბრს;

მეორე: სტრიქონი — „იგია ჩემი სიცოცხლე, უწყალო ვითა ჯიქია“ — სრულიად მართებულად აქვს გაგებული, რადგან იგი წერს, რომ მეფე კი არ არის მისთვის უწყალო, როგორც ჯიქი, როგორც ეს ზოგიერთ მკვლევართ ესმით, არამედ „ეს ჩემი სიცოცხლე უწყალო არის ჩემთვის, როგორც ჯიქი“. როგორც ვხედავთ, აქ სიტყვა „ჯიქი“ „სიცოცხლის“ მსაზღვრელადაა მიჩნეული და არა მეფის ეპითეტად.

მეორე ცდა ზემომოტანილი მე-19 სტროფის განმარტებისა ეკუთვნის თეიმურაზ ბაგრატიონს, რომელიც, სამწუხაროდ, იძლევა მხოლოდ ცალკეული სიტყვების განმარტებას და მთლიანად კონტექსტის თარგმნას გვერდს უვლის.

თეიმურაზ ბაგრატიონი წერს: „26—19.
ეს სტიხი მაჯამათი არის თქმული.

1. მ ი ქ ი ა — ქებას ნიშნავს, ანუ ქებულებას.

2. გ ა მ ი ქ ი ქ ი ა — განქიქება, უკუწბილება, დიდად შერცხვენა და დაკრთომა და განკიცხვა.

3. ჯიქი — ტიგრი, რომელიც სასტიკი ცხოველი არის მკეცთაგანი, საქართველოშიც იპოება ეს მხეცი. ჯიქი ქართული სახელი არის“ [1].

აქ მოტანილი განმარტებიდან ჩვენს ყურადღებას იპყრობს სიტყვა „ჯიქის“ თეიმურაზისეული გაგება. აქ დიდმა მკვლევარმა რატომღაც საკმაოდ უხეში შეცდომა დაუშვა. მან ჯიქი და ვეფხვი ერთ და იმავე ცხოველად მიიჩნია, რაც სრულიად უმართებულოა. შეიძლება, აქ უნდა ვეძიოთ სათავე იმ უხეში შეცდომებისა, რომლებიც შემდგომში დაუშვეს ამ მიმართულებით რუსთაველის კომენტატორებმა და მთარგმნელებმა. ასე მაგალითად, იუსტინე აბულაძე ლექსიკონში, რომელიც მან დაურთო თავის მიერ გამოცემულ „ვეფხისტყაო-

---

1 თეიმურაზ ბაგრატიონი, განმარტება პოემა ვეფხისტყაოსნისა, გვ. 11, 12.

სანს", წერს: „ჯიქი 20 — აფთარი, ვეფხვი". სინამდვილეში ეს სამი სრულიად განსხვავებული ცხოველია: ჯიქი არის ლათინურად pardus, რუსულად леопард. აფთარი ლათინურად Hyaena, რუსულად гиена, ვეფხვი კი ლათინურად tigris, რუსულად тигр.

დიდი მეცნიერი კორნელი კეკელიძე მე-19 სტროფის შემდეგ განმარტებას იძლევა. იგი, მართალია, არაფერს ამბობს ამ სტროფის მეორე და მესამე სტრიქონების შესახებ, მაგრამ, სამაგიეროდ, იძლევა პირველი და მეოთხე სტრიქონების ინტერპრეტაციას და ამტკიცებს, რომ „ვეფხისტყაოსანი" თუმცა თამარის საქებრადაა დაწერილი („მისი სახელი შეფარვით ქვემორე მითქვამს, მიქია". 19, 4), მაგრამ პირველი სტრიქონი ვითომ მიგვითითებს, რომ ეს ქება, ანუ ვეფხისტყაოსანი მისი — თამარის, სიკვდილის შემდეგაა დაწერილი. ამ აზრის განსამტკიცებლად პატივცემულ მკვლევარს დასჭირდა გაეზიარებინა ამ სტროფის პირველი სტრიქონის მარისეული წაკითხვა — „ჩემი აწ სცანით ყოველთა: მას ვაქებ, ვინ ცამ იქია" [1].

აკად. კორნელი კეკელიძის ინტერპრეტაციის სისუსტე იმაში მდგომარეობს, რომ იგი მთლიანობაში კი არ იხილავს, მთელ მე-19 სტროფს, არამედ ყურადღების გარეშე ტოვებს მე-2 და მე-3 სტრიქონებს და მხოლოდ მე-4 სტრიქონს განიხილავს. ამ განმარტებიდან ერთი დასკვნაც კეთდება. რაკი აკად. კორნელი კეკელიძე თელის, რომ ამ სტროფში ცოცხალ თამარ მეფეზე არ არის ლაპარაკი, მაშასადამე, იგი არ იზიარებს იმ აზრს, რომ მასში დიდი თამარი ჯიქად არის მოხსენიებული.

აკად. შ. ნუცუბიძე „ვეფხისტყაოსნის" რუსულ თარგმანში (მე-19 სტროფი) ჯიქს თარგმნის ძუ ვეფხვად (тигрица) და მას მიიჩნევს თამარის ეპითეტად [2]. ამავე დროს იგი „ვეფხისტყაოსნის" შესავალს უყურებს არა როგორც საკუთრივ პოე-

---

1 კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II, გვ. 149.

2 Ш. Руставели. Витязь в тигровой шкуре. перевод Ш. Нуцубидзе. გვ. 30.

მის პროლოგს, არამედ როგორც ავტობიოგრაფიულ ნარკვევს. მისი აზრით, პროლოგში, ისე როგორც ეპილოგში, მეტია პირადი ელემენტი, რადგან აქ ავტორს შეეძლო თავისუფლად ელაპარაკა თავის თავზე. ამ დებულებებიდან გამომდინარე, შ. ნუცუბიძე შესავლის ყოველ სტროფში და, კერძოდ, მე-19 სტროფშიც, ხედავს ბიოგრაფიულ ელემენტებს, რუსთაველისა და თამარ მეფის ინტიმური გრძნობებისა და დამოკიდებულების ასახვას [1].

დავუბრუნდეთ პ. ინგოროყვას შეხედულებას აღნიშნულ საკითხებზე. თავისი ჰიპოთეზის დასამტკიცებლად, რომლის მიხედვით თამარი ნესტან-დარეჯანია, ხოლო ტარიელი — შოთა, მკვლევარს შრომაში მოტანილი აქვს სამი სტროფი პოემის შესავლიდან შემდეგი სახით:

„თამარს ვაქებდე მეფესა, — სიხლისა ცრემლ-დათხეული!
ვთქვენი ქებანი ვისნი მე, არ ავად გამორჩეული:
მეწნად ვიხმარე გიშრის ტბა, კალმად — მე, ნაი რხეული!
ვინცა ისმინოს, დაესვას ლახვარი გულსა ხეული.

თვალთა მისგან ღუნთლოთა ენატრამცა ახლად ჩენა:
აჰა, გული გამიწურდა, მ ი მ ხ დ ო მ ი ა ველთა რბენა!
მიაჯნეთ, ვინ ხორცსა დაწვად კმა არს, მისცეს სულთა ლხენა:
სამთა ფერთა საქებელთა ღამის ღექსთა უნდა ვლენა.

ჩემი აწ ცანით ყოველმან, მას ვაქებ, ვინ ცამ იქია.
ესე მიჩნს დიდად სახელად, არ თაკი განმაჭ-ქია!
იგია ჩემი სიცოცხლე, უწყალო, ვითა ჯიქია!
მისი სახელი შეფარვით ქვემორე მითქვამს, მ-ქია“.

პ. ინგოროყვას მიერ ამ სახით მოტანილი ტექსტი, როგორც პუნქტუაციის მხრივ, ისე ცალკეული სიტყვებითაც განსხვავდება „ვეფხისტყაოსნის“ არა მარტო 1937 წლის საიუბილეო გამოცემისაგან, არამედ თვით, პ. ინგოროყვას მიერ 1953 წელს გამოცემული „ვეფხისტყაოსნისაგანაც“. ამიტომ ჩვენ არ ვიცით, რომელი მათგანია უფრო სარწმუნო, არ ვიცით, რომელს უფრო დაეჯერება, ინგოროყვა — გამომცემელს, თუ

[1] Ш. Нуцубидзе, Творчество Руставели, Тб., 1958, გვ. 227.

ინგოროყვა — „ვეფხისტყაოსნის“ კომენტატორს. მაგალითად, მის მიერ გამოცემული „ვეფხისტყაოსნის“ მე-4 სტროფის პირველ სტრიქონში ვკითხულობთ „თამარს ვაქებდეთ“. ხოლო „რუსთველიანაში“ ეს ადგილი უკვე პირველი პირის მხოლობით რიცხვშია ნახმარი — „თამარს ვაქებდე“, ასევე მე-10 სტროფის მეორე სტრიქონში პირველ შემთხვევაში იკითხება „მიჰხდომია ველთა რბენა“, ხოლო „რუსთველიანაში“ წერია „მიმხდომია ველთა რბენა“. აქაც სიტყვა „მიჰხდომია“ წარმოდგენილია პირველ პირში — „მიმხდომია“-დ. პ. ინგოროყვა შეეცადა შეეცვალა მე-19 სტროფის პირველი სტრიქონის — „ვინცა მიქია“ — „ვინ ცამ იქია“-თი. თუმცა თავის გამოცემულ „ვეფხისტყაოსანში“ ტრადიციული „ვინცა მიქია“ არის დატოვებული.

რაც შეეხება სასვენ ნიშნებს, ამ მხრივ დასახელებულ სტროფში, აგრეთვე, დიდ აღრეულობასთან გვაქვს საქმე. ინგოროყვა მძიმეებს, წერტილებს, წერტილმძიმეს, ორწერტილს, ტირეს ძალზე თვითნებურად ხმარობს.

პ. ინგოროყვამ ზემოდასახელებული სამი სტროფი: მე-4, მე-10 და მე-19 ამოიღო რუსთაველის მიერ მათთვის მიჩენილი ადგილიდან, დაარღვია სტროფთა თანმიმდევრობა და ერთმანეთს გვერდში ამოუყენა. ამით იმას მიაღწია, რომ ამ სტროფებმა დაკარგეს აზრი, რომელიც მათ ჰქონდათ კონტექსტში თავთავის ადგილას.

თავთავის ადგილას ამ სტროფების დარჩენის აუცილებლობა კარგად გვიჩვენა პროფ. ვუკოლ ბერიძემ თავის წერილში — „ჩემი აწ სცანით ყოველმან, მას ვაქებ, ვინცა მიქია“ სტროფის შესახებ „ვეფხისტყაოსანში“. ვ. ბერიძე წერდა: „ეს სტროფი უნდა იქნას განხილული მის წინ მოთავსებულ სტროფებთან მჭიდრო კავშირში, სადაც ლაპარაკია შაირობის შესახებ“.[1]

ამის შემდეგ პ. ინგოროყვა მე-19 სტროფის ასეთ გაგებას გვთავაზობს: ჩემი აწ სცანით ყოველმან, მე ვაქებ მასვე, ვისაც ვაქებდი, —ზეციურ მნათობს, თამარს. ეს კი არის სა-

---

1 ვუკოლ ბერიძე, რუსთველოლოგიური ეტიუდები, თბ. 1961, გვ. 267 — 281.

მარადისო ძეგლი სხეულისა, აქ არ არის შეურაცხება. იგია ჩემი სიცოცხლე, უწყალო ვითა ჯიქი (განრისხებული მშვენიერი ვეფხი). მისი სახელი შეფარვით არის დასახული და ნაქები ქვემორე (ვეფხისტყაოსანში).

ასეთია ტრაგიკულის გრძნობით გამსჭვალული პოეტის სიტყვები. შოთა ადარებს თამარს — ჯიქს, მშვენიერს, მაგრამ განრისხებულს ვეფხს, იგი ამბობს თამარის შესახებ:

„იგია ჩემი სიცოცხლე, უწყალო ვითა ჯიქია!“

მაგრამ შოთა ამბობს ამაზე მეტსაც. პოეტი გადმოგვცემს, რომ თვით ვეფხისტყაოსანი შთაგონებულია თამარის სახით, რომ ქვემორე (ე. ი. „ვეფხისტყაოსანში“) განსახიერებულია თამარი:

„ჩემი აწ სცანით ყოველმან, მას ვაქებ, ვინ(ცა-მ) იქია.
იგია ჩემი სიცოცხლე, უწყალო ვითა ჯიქია,
მისი სახელი შეფარვით ქვემორე (ე. ი. პოემაში) მითქვამს, მიქია.[1]

აქედანაც კარგად ჩანს, რომ პ. ინგოროყვას ვეფხი და ჯიქი ერთი და იგივე ცხოველი ჰგონია, მაგრამ, რომ არავითარი ეჭვი აღარ დარჩეს, მოვიტანოთ კიდევ ადგილი „რუსთაველიანადან“.

პ. ინგოროყვა წერს: „უწყალო ვითა ჯიქია“ (სტროფი მე-4, ტაეპი მე-3), ჯიქი, ე. ი. მშვენიერი, მაგრამ შეუბრალებელი, გამწყრალი ვეფხი“ [2].

მე-19 სტროფის პირველ სტრიქონს პ. ინგოროყვამ რატომღაც დაუმატა „ზეციურ მნათობს, თამარს“. შემდეგ, მეორე სტრიქონის პირველ ნახევარში რუსთაველის მიერ სრულიად ნათლად და გასაგებად გამოთქმული აზრი — „ესე მიჩნს დიდად სახელად“ (ეს მე მიმაჩნია უაღრესად სასახელო საქმედ) დააბნელა და ბუნდოვანი გახადა იმით, რომ შეიტანა სიტყვები — „სამარადისო ძეგლი სახელისა“. რუსთაველს ამ სტროფში არც „სამარადისო“ აქვს ნახსენები, არც „ძეგლი“ და მით უმეტეს, „სახელის ძეგლი“ (!).

---

[1] პ. ინგოროყვა, თხზულებათა კრებული, I, გვ. 202.

[2] იქვე, გვ. 64.

ამავე სტრიქონის მეორე ნახევარი — „არ თავი გამიქ-ქია“ პ. ინგოროყვას გაგებული აქვს როგორც „აქ არ არის შეურაცხება“. აქაც ტექსტის არასწორ გაგებასთან და დამახინ-ჯებასთან გვაქვს საქმე. რადგან ეს ადგილი ბრწყინვალედ და მართებულად აქვს განმარტებული პროფ. ვუკოლ ბერი-ძეს, ჩვენ აქ ამაზე არ შევჩერდებით, მხოლოდ გავიმეორებთ მის ნათქვამს. „ესე მიჩნს დ ი დ ა დ ს ა ხ ე ლ ა დ — პირველ ნა-ხევარში, ხოლო მეორე ნახევარში ეგევე დებულება დამტკი-ცებულია უარყოფითი კონსტრუქციით: თ ა ვ ი ა რ გ ა მ ი ქ-ქ ი ა, ე. ი. დიდი სასახელო საქმე ჩავიდინე, თავი არ შემირ-ცხვენიაო“ [1].

მესამე სტრიქონში რუსთაველის მიერ ნახმარი სიტყვა ჯიქი ინგოროყვას გადმოუღია ახალ ქართულზე, როგორც ვეფ-ხვი (განრისხებული, მშვენიერი ვეფხი).

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, მესამე სტრიქონის მი-მართ პ. ინგოროყვას ორი ძალზე უხეში შეცდომა აქვს დაშვე-ბული: პირველი — ჯიქი და ვეფხი ერთი და იგივე ჰგონია და მეორე, ჯიქი მას თამარ მეფის მიმართ თქმულ ეპითეტად მიუ-ჩნევია, რაც, აგრეთვე, ტექსტის დამახინჯებაა.

რამდენად დასაშვებია, რომ რუსთაველს თამარ მეფე ჯიქ-თან შეედარებინა და ეთქვა, რომ თამარ მეფე უწყალოა, თუნდაც პოეტის მიმართ, როგორც ჯიქი?

როდესაც ესა თუ ის მწერალი მხატვრული შედარებისა-თვის ცხოველს ან რაიმე მოვლენასა და საგანს მიმართავს, ამ შემთხვევაში მას მხედველობაში აქვს ხოლმე ასახვის ობიექ-ტისა და მხატვრულ განსაზღვრებად გამოყენებული საგნის-თვის დამახასიათებელი საერთო ნიშანი. რუსთაველიც მხო-ლოდ ამ აზრით მიმართავს ხოლმე შედარებებს, რომელთა სა-შუალებითაც ემოციურად და ნათლად წარმოადგენს ასახვის ობიექტს. ჯიქი, მართლაც, სხვა მტაცებლებისაგან, მათ შორის ვეფხისაგანაც, განირჩევა თავისი შეუპოვრობით, მოუთვინიე-რებლობით და იგი, მართლაც, უწყალოა. ჯიქი ქართულ ენაში დიდი ხანია ურჩობის, გაუგონრობის, სიკერპის, მოურიდებე-ლი დაპირისპირების საყოველთაო სახელად იქცა. მაგალითად,

[1] ვუკ. ბერიძე, რუსთველოლოგიური ეტიუდები, გვ. 280.

ნიკო ჩუბინაშვილს ასე აქვს ახსნილი სიტყვა „ჯიქი“: „ჯ ი ქ ი, კერპი, ურჩი, გაუგონარი, დაუჯერებელი, უარშიო, болван, упрям, грубян[1], ხოლო სულხან-საბა გვამცნობს: „ჯიქურ პირის-პირ“ [2]. რომ სიტყვები „ჯიქი“, „ჯიქურ“, „გაჯიქდა“ ნაწარმოებია მტაცებელი ცხოველის ჯიქისგან, ეჭვს არ უნდა იწვევდეს.

ცხოველთა სამყაროს ბრწყინვალე მცოდნე და მკვლევარი, დიდი მეცნიერი ბრემი ჯიქის დახასიათებისას წერს, რომ ამ ცხოველის მოთვინიერება შეუძლებელია, რომ მან უკან დახევა არ იცის, შეუპოვარი და პირდაპირია.

ისმის კითხვა, შეეძლო თუ არა რუსთაველს, განევრცო ჯიქის ეს თვისებები და მით უმეტეს, მისი უწყალობა, თამარ მეფეზე. არ შეეძლო და აი, რატომ: ჯერ ერთი, თამარი იყო მეფე და ქვეშევრდომი ვერ შეჰკადრებდა მეფეს, და ისიც ქალს, ასეთ რამეს, მაშინ როდესაც საქართველოს მატიანეებში ყველა მეფე, მათ შორის ყველაზე უმოწყალოებიც, მოწყალე მეფეებად არიან გამოცხადებულნი და მოწყალება მეფისათვის უპირველესი დადებითი ნიშანია. მოვიტანოთ რამდენიმე მაგალითი ქართლის ცხოვრებიდან. „ხოლო გიორგი მეფე იყო მ ო წ ყ ა ლ ე და განმკითხველი გლახაკთა[3]. ლაშა გიორგის დროინდელი მემატიანე დემეტრე მეფის შესახებ წერს: „...სიმაღლესა და სიმდიდრესა შინა მდაბალი, და გლახაკთა მ ო წ ყ ა ლ ე, ობოლთა და ქვრივთა განმკითხველი“ [4]. გიორგი III შესახებ კი ვკითხულობთ: „დაჯდა მეფედ გიორგი უმაღლესი ყოველთა მეფეთასა, მძლე და მორჭმული მტერთა და შეცოდებულთათვის. კეთილის მსახური ღმერთისა, საყდართა, ეპისკოპოსთა, მეუდაბნოეთა, მღვდელთათვის კეთილისმყოფელი იყო და უკადრი შეცოდებისა დიდთა და ცოტათაგან, გლახაკთა და ქვრივთათვის მ ო წ ყ ა ლ ე იყო და ერთგულთათვის უხვი და მბოძებელი იყო“ [5]. ლაშა გიორგის-დროინდელი მემატიანეც თამარ მეფეს ახასიათებს, როგორც მოწყალე მეფეს: „ვაზირთა

---

[1] ნიკო ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი, გვ. 477.

[2] სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი, გვ. 769.

[3] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 315.

[4] იქვე, გვ. 365.

[5] იქვე, გვ. 367.

შისთა და ლაშქართა განურისხებელი, ღირსთათვის მშობლიურთა წ ყ ა ლ ო ბ ა თ ა მიმფენელი და (ეგზომ), რომელ მისსა სამეფოსა შინა ერთიცა მსახურიცა არ განპატიჟებულა, თვინიერ გუზან ტაოსკარელისაგან კიდე: მას თვალნი დასწვნეს. გაღმა გასული სპარსეთს ზაქარია ასპანის ძემან შეიპყრა და დარბაზს მოგუარეს".[1]

როგორც ვხედავთ, ამ ისტორიულ წყაროში ხაზგასმულია ის, რომ თამარი „წყალობათა მომფენელი", „განურისხებელი" იყო. მემატიანე აღნიშნავს მხოლოდ ერთ შემთხვევას, როდესაც მოღალატე დასაჯეს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არა გვაქვს თამარის არც ერთი ისტორიკოსის ჩვენება იმის შესახებ, რომ რომელიმე კარის პოეტი განდევნილი ანუ ექსორიაქმნილი ყოფილიყო. თუ პ. ინგოროყვას ვარაუდი მართალია, რომ რომელიმე პოეტი, და ისიც ბაგრატიონთა შთამომავალი, თამარს განედევნა, ამის შესახებ უსათუოდ იქნებოდა რაიმე ცნობები შემორჩენილი მატიანეებში.

თამარის ისტორიკოსი ბასილი ეზოსმოძღვარიც აღნიშნავს, რომ თამარი, პირველყოვლისა, მოწყალე იყო: „და სიბრძნითა განმგებითა თვისითა პირველად ყოველთა ზედა დჱსხნა წ ყ ა ლ ო ბა უხუებით, რათა ჟამთა ერთნი ერთგულებით მადლიერობდნენ, ხოლო მეორენი უსიტყუელ იყვნენ მიგებისათვის სამართლისა".[2]

საინტერესოა „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთან"-ის ერთი ცნობა. აქ ვკითხულობთ: „და შეიქმნა მშვიდობა, სიხარული და ერთობა, რომელი არაოდეს სადა ვის უხილავს" და „ერთბაშად ძოვდეს ლომი და ჴარი, და იხარებდეს ვეფხი თიკანთანა თანა, და მგელი ცხვართა თანა. განდიდნა სახელი თამარისი ყოველსჳ ზედა პირსა ქუეყანისასა".[3]

აკად. ივანე ჯავახიშვილი თამარის ხასიათის შესანიშნავ თვისებას ასე გადმოგვცემს: „თამარი არასდროს არ სჯიდა მკაცრად დამნაშავეებს, არ ამტკიცებდა სასიკვდილო განაჩენებს... სასამართლოს განაჩენს „მ ო წ ყ ა ლ ე ბ ი თ" არ ამტკიცებდა და ამ გზით ყველა ამგვარის სასჯელები გააუქმა და მო-

1 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 368.
2 ქართლის ცხოვრება, II, გვ. 117.
3 იქვე, გვ. 54—55.

სპო, „შეწყალებულნი“ დამნაშავენი კი მსუბუქად ისჯებოდნენ“ [1]. აძის შემდეგ როგორ შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ შოთა რუსთაველს, თამარის თანამედროვეს, სათნოების განსახიერებისათვის — დიდი თამარისათვის ჯიქი ან ვეფხვი ეწოდებინოს!

მაგრამ ვინმემ შეიძლება თქვას, რომ თამარი „შემწყალებელი“, „მოწყალე“ იყო სახელმწიფოებრივ მოღვაწეობაში, ხოლო პირად საქმეებში, განსაკუთრებით, თუ ეს ეხებოდა მის ქალურ ღირსებებს, „უმოწყალო იყო, როგორც ჯიქი“. მაგრამ საქმე იმაშია, რომ ამ მხრივაც თამარ მეფე საოცრად მოწყალე იყო. გავიხსენოთ მისი დამოკიდებულება გიორგი რუსთან, რომელმაც ესოდენ დიდი ტკივილები მიაყენა თამარს.

ივანე ჯავახიშვილი წერს: „როდესაც გიორგი რუსის სოდომური ცოდვა გამომჟღავნდა..., გიორგი რუსის ბედიც გადაწყდა და თუმცა „მოწყალისა და გაურისხებელის“ გულის პატრონს თამარს ეცოდებოდა „უბედური რუსი“, მაგრამ მაინც „ცრემლმდინარობისა შინა თამარისა“ იგი მაინც საქართველოდან გააძევეს და „წარიყვანეს ექსორია ქმნად“. თამარ მეფემ „აურაცხელითა ლარითა, სიმდიდრითა და საჭურჭლითა“ დატვირთული გაისტუმრა იგი საქართველოდან“.[2]

როგორც ვხედავთ, აქაც ხაზგასმულია, რომ თამარს მოწყალე და გაურისხებელი გული ჰქონდა. ისმის კითხვა, თუ სოდომური ქცევისათვის, მეფის კარის, დიდებულების და თვით დიდი თამარის შეურაცხყოფისათვის გიორგი რუსი მხოლოდ საქართველოდან განდევნით დასჯეს და ისიც დიდი პატივით გაისტუმრეს, მაშინ ისეთი რა უნდა ჩაედინა კარის პოეტს, რომ ის უწყალოდ დაესაჯათ?

პ. ინგოროყვას აზრით, მას მანიქეველური ნაწარმოები „ქებანი“ შეუქმნია და ეს გამხდარა მისი განდევნის მიზეზი. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ მკვლევარმა თავის სქელტანიან წიგნში ვერ შეძლო შოთას განდევნის მიზეზთა ცოტად თუ ბევრად დამაჯერებლად ჩვენება. ჩვენ დიდ მეცნიერს კ. კეკელიძეს პ. ინგოროყვას არგუმენტების მთელი უსაფუძვ-

[1] ივანე ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 293 — 294.

[2] იქვე, გვ. 293—294.

ლობა კარგად აქვს ნაჩვენები და ამიტომ ჩვენ აქ მათზე არ შევჩერდებით.[1]

„უწყალოს“ საპირისპირო ცნებაა „მოწყალე“ და როგორც ზემოთ დავინახეთ, თამარის მიმართ ყველგან ნახმარია სიტყვა „მოწყალე“. შოთა რუსთაველი ვერ გაბედავდა თამარისათვის ეწოდებინა „უწყალო ჯიქი“, მით უმეტეს, მან კარგად იცოდა, რომ მეფის აუცილებელი დამახასიათებელი ნიშანია წყალობა, მოწყალება. აკი იგი როსტევან მეფის დახასიათებისას წერს: „მოსამართლე და მ ო წ ყ ა ლ ე, მორჩმული, განგებიანი“. როსტევან მეფე თვითონაც მოწყალე მეფედაა გამოყვანილი და თავის ასულსაც ასწავლის, იყოს მოწყალე. „დიდთა და წვრილთა წ ყ ა ლ ო ბ ა შენცა ნუ მოგეწყინების“ — არიგებს როსტევანი თინათინს მეფედ კურთხევის დროს.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, სრულიად გამორიცხულია, რომ შოთა რუსთაველს თამარ მეფისათვის მიემართა სიტყვებით — „უწყალო, ვითა ჯიქია“ შემდეგ მოსაზრებათა გამო: 1. შოთა რუსთაველი, ვინც არ უნდა ყოფილიყო ის, ვერ გაბედავდა ასეთ მიმართვას მეფე-ქალისადმი. ეს იქნებოდა იმდროინდელი ეთიკეტის დარღვევა და მეფის პიროვნების შეურაცხყოფა; 2. მეფეებს, როგორიც არ უნდა ყოფილიყვნენ ისინი, მით უმეტეს სათაყვანებელ მეფეებს ყოველთვის ახასიათებდნენ როგორც „მოწყალეს“. ეს კარგი მეფის ერთ-ერთი ძირითადი დამახასიათებელი ნიშანია; 3. შოთა რუსთაველმა კარგად იცოდა სამეფო კარის ეთიკეტი და ამიტომ იგი „ვეფხისტყაოსანში“ მეფის ერთ-ერთ დადებით თვისებად თვლის „მოწყალებას“; 4. თამარ მეფე, ყველა ისტორიული წყაროს მიხედვით, უაღრესად მოწყალე მეფე იყო და მისთვის სრულიად შეუფერებელია ისეთი ეპითეტი, როგორიცაა „უწყალო, ვითა ჯიქია“.

ახლა ისმის კითხვა, თუ ეპითეტი „უწყალო, ვითა ჯიქია“ არ შეიძლება თქმულიყო თამარ მეფის მიმართ, მაშინ ვის ან რის მიმართაა იგი თქმული და როგორ უნდა გვესმოდეს მე-19 სტროფის ეს სადავო ადგილი?

---

[1] კ. კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, IX, 1963, გვ. 207 — 231.

ახალ ქართულზე ეს სტროფი ასე გამოიყურება: ახლა კი უველამ გაიგეთ, რომ მე ვაქებ იმას (თამარს), ვინც მყავს შექებული, და სხვას არავის. ეს არ არის თავის ტყუილად მოცდენა. ეს მე მიმაჩნია უაღრესად სასახელო საქმედ. ამაშია ჩემი სიცოცხლე უწყალო, როგორც ჯიქი. მისი სახელი ქვემოთ („ვეფხისტყაოსანში") შენიღბულად მაქვს მოხსენიებული, შემკობილი და განდიდებული. აზრის მიხედვით ეს სტროფი კონსტრუქციულად ასე უნდა იყოს დალაგებული: პირველი და მეოთხე სტრიქონი ერთ მთლიან განუყოფელ აზრს წარმოადგენს — ახლა კი უველამ გაიგეთ, რომ მე მხოლოდ და მხოლოდ თამარის ქებას ვამბობ და მისი სახელი ქვემოთ „ვეფხისტყაოსანში" შენიღბულად მაქვს მოხსენიებული, შემკობილი და განდიდებული. პირველ და მეოთხე სტრიქონებს შორის ჩვენ გვაქვს ჩართული წინადადება, რომელიც ლოგიკურად უნდა იყოს მეოთხე სტრიქონის შემდეგ. ეს (თამარის ქება, „ვეფხისტყაოსანი") დიდ სასახელო საქმედ მიმაჩნია და არა თავის განქიქებად (ტყუილად მოცდენად და შერცხვენად), ამაშია მთელი ჩემი ცხოვრების, სიცოცხლის არსი, ჩემი სიცოცხლისა, რომელიც უწყალოა, როგორც ჯიქი.

მაშასადამე, ყოველგვარ ეჭვს გარეშეა, რომ შედარება „უწყალო, ვითა ჯიქია" ეკუთვნის სიცოცხლეს. მაგრამ, აქ ისმის კითხვა: რას თვლის პოეტი თავის სიცოცხლედ: თამარ მეფეს — თავისი შექების ობიექტს, თუ იმ ქებას, რომელსაც იგი წერს, იმ ნაწარმოებს, რომელიც მან შექმნა, ანუ „ვეფხისტყაოსანს"? მე-19 სტროფის შესავლის სხვა სტროფებთან კავშირში განხილვა გვარწმუნებს იმაში, რომ „იგია ჩემი სიცოცხლე" ეხება სწორედ პოეტის შემოქმედებას. მე-19 სტროფი დამაგვირგვინებელი და შემაჯამებელია იმ მსჯელობისა შაირობის, პოეზიის შესახებ, რომელსაც შოთა რუსთაველი აწარმოებს მე-12 სტროფიდან მოყოლებული მე-19 სტროფამდე.

გავიხსენოთ, რაზეა ამ სტროფებში ლაპარაკი. მეთორმეტე სტროფში რუსთაველი ახასიათებს შაირობას, ანუ პოეტურ ხელოვნებას, როგორც სიბრძნის ერთ-ერთ დარგს და ხაზს უსვამს მის სამ დამახასიათებელ ნიშანს: სასარგებლოა მსმენელთათვის, სიამოვნების მომგვრელია და მოვლენების ლაკონურად, სხარტად ასახვის საშუალებაა. მე-13 და მე-14 სტრო-

ფებში რუსთაველი ლაპარაკობს, რომ პოეტური ხელოვნება პოეტისაგან მოითხოვს დიდ დაძაბულობას, ამტანობას. მე-15 სტროფში განსაზღვრულია, თუ ვის აქვს უფლება თავის თავს მოშაირე ანუ პოეტი უწოდოს. დიდი შოთას აზრით, მოშაირე ის არ არის, ვინც ხან ერთს იტყვის, ხან მეორეს, რომელსაც არ გააჩნია ერთი გარკვეული ხაზი. მე-16 სტროფში დასახელებულია მცირე ფორმის პოეტური ქმნილებები და გამოთქმულია ამ ნაწარმოებებისადმი შოთას უარყოფითი დამოკიდებულება. მე-17 სტროფში ლაპარაკია მსუბუქ პოეზიაზე, ისეთ პოეტურ ნაწარმოებებზე, რომელნიც ადამიანთა გასართობად არიან განკუთვნილი. მე-18 სტროფი უპირისპირდება მე-15 სტროფს. რაც ამ უკანასკნელში დამოთქმულია ნეგატურ ფორმაში, პოზიტურად არის გადმოცემული მე-18-ში, რადგან ეს სტროფი უშუალოდ წინ უსწრებს სადავო სტროფს და რადგან იგი საკმაოდ ძნელ გასაგებ ადგილად ითვლება „ვეფხისტყაოსანში“, გავაკეთოთ მისი თარგმანი ახალ ქართულზე:

მელექსემ თავისი მძიმე პოეტური შრომის ნაყოფი („ნაჭირვები)[1] უმიზნოდ კი არ უნდა შექმნას (აბრმკობდეს), არამედ ერთი მისწრაფებით, ერთი რაიმესადმი ან ვინმესადმი ტრფიალით, სიყვარულით უნდა იყოს გამსჭვალული და მთელი თავისი ხელოვნება მის, ამ ერთის, სამსახურს უნდა შეალიოს, მას უნდა ადიდებდეს, მას უნდა ამკობდეს, ამის მეტი მას სხვა სურვილი არ უნდა ჰქონდეს, მან მხოლოდ ერთს უნდა უმღეროს. როგორც ვხედავთ, ამ სტროფში შოთა ლაპარაკობს პოეტური ქმნილების მთლიანობაზე, ერთიან მიზანდასახულობაზე. საერთოდ კი, წინა სტროფებში, მე-12 სტროფიდან მოყოლებული, ლაპარაკია მხოლოდ და მხოლოდ მხატვრული შემოქმედების ნაყოფზე, პოეტურ ქმნილებაზე.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ პოეტურ შემოქმედებას რუსთაველი ადარებს „დიდ რბევას“, აცხადებს „საგოგმანებ“ საქმედ, „დიდ გმირობად“, „ნაჭირვებად“ და სხვ. მე-19 სტროფ-

---

1 „ის, რაზედაც ადამიანს დიდი ჭირი უნახავს, რასაკვირველია, „ნაჭირნახულევი“, ან შემოკლებით „ნაჭირევები“ იქნებოდა. ზემომოტანილი ამონაწერი ცხადჰყოფს, რომ „ნაჭირევები“ უხმარის სახმარად გახდასა და მიწის პირველად დამუშავება-გაშენებას ჰგულისხმობდა“.

(ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, II, გვ. 405).

შიც პოეტური შემოქმედება მთელი სიცოცხლის ფასად მიაჩნია, ისეთი სიცოცხლის, რომელიც უწყალოა, როგორც ჯიქი, ანუ ძნელად დასამორჩილებელი, შეუპოვარი, კერპი, დაპირისპირებული დანარჩენი მოვლენებისადმი და ასე შემდეგ.

ამრიგად, „იგია ჩემი სიცოცხლე, უწყალო ვითა ჯიქია“. თამარის მიმართ კი არ არის ნათქვამი, როგორც ეს პ. ინგოროყვას ესმის, არამედ პოეტური შემოქმედების მიმართ, რომელიც უკომპრომისოდ მთელი მისი სიცოცხლის არსს წარმოადგენს.

ყოველგვარ მეცნიერულ საფუძველსაა მოკლებული ჰიპოთეზაც იმის შესახებ, რომ შოთას და ტარიელის საგვარეულოების ისტორიებს შორის იგივეობა არსებობს. შოთასა და ტარიელის თავგადასავლებს შორის განსხვავება იმდენად დიდია, რომ მათ იგივეობაზე ლაპარაკი სრულიად შეუფერებელია.

პავლე ინგოროყვა, შემთხვევითი მსგავსების წინა პლანზე წამოწევით, ცდილობს ვეფხისტყაოსნის გმირებისა და ისტორიული პირების და თვით ავტორის იგივეობა დაამტკიცოს. ამ მსგავსების ძიებით გატაცებული, იგი სრულიად უგულებელყოფს იმ დიდ განსხვავებას, რომელიც არსებობს, მაგალითად, შოთა რუსთაველსა და ტარიელს შორის, თამარ მეფესა და ნესტან-დარეჯანს შორის, გიორგი მესამესა და ინდოეთის მეფე ფარსადანს შორის (ეს განსხვავება კი იმდენად დიდია და იმდენად არსებითი, რომ გამორიცხავს ყოველგვარ ანალოგიებს ისტორიულ პირებსა და პოემის გმირებს შორის) და ავიწყდება, რომ შოთა რუსთაველი შემოქმედია, ტარიელი კი მისი ქმნილება, მისი პოეტური შთაგონების ნაყოფი და მათ შორის ამიტომ ყოველგვარი ანალოგია გამორიცხულია. თამარ მეფე შოთა რუსთაველის ქებისა და განდიდების საგანია, უდიდესი სახელმწიფო მოღვაწე, ნესტან-დარეჯანი კი მხატვრული სახეა რუსთაველის მიერ შექმნილი; კ. კეკელიძემ სრულიად სამართლიანად გაილაშქრა ანალოგიებისა და ისტორიული პარალელების მოყვარულ მკვლევართა წინააღმდეგ. მან გვიჩვენა, რომ „ნამდვილი, არსებითი პარალელები და ანალოგიები არსად, არც ერთს ჰიპოთეზაში არა გვაქვს, შემთხვევითი მსგავსებანი კი სხვა ნაწარმოებებშიც შეიძლება იპოვოს ადამიანმა, განსაკუთრებით, თუ ისეთ ძალადობას ვიხმართ შე-

დარებისას, როგორც ამას მოყვანილ მოსაზრებათა ავტორები იჩენენ". კორნელი კეკელიძის ეს შეფასება, გამოთქმული დ. ჩუბინაშვილის, ს. ქვარიანის, მ. ჯანაშვილის და სხვათა მიმართ, მთლიანად შეიძლება განვავრცოთ პ. ინგოროყვას მიერ შექმნილ ისტორიულ პარალელებზეც. პავლე ინგოროყვას ჰიპოთეზის უსუსურობა მთელი სიცხადით ჩანს განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ვითვალისწინებთ, თუ რა დიდი განსხვავებაა იმათ შორის, რაც ვიცით გიორგი III, თამარ მეფის შესახებ და რაც არის ნათქვამი „ვეფხისტყაოსანში" ფარსადანზე, ნესტან-დარეჯანზე, ტარიელსა და სხვა გმირებზე. თამარ მეფესა და ნესტან-დარეჯანს შორის განსხვავება იმდენად დიდია და არსებითი, რომ ეს ყოველგვარ ანალოგიას გამორიცხავს. ასე მაგალითად, ნესტან-დარეჯანი ერთადერთი შვილი იყო ფარსადან მეფისა, გიორგი III კი, თამარის გარდა, კიდევ ჰყავდა შვილი რუსუდანი. თამარ მეფე გიორგი III თავისსავე სიცოცხლეში აიყვანა ტახტზე, ფარსადანმა კი ნესტან-დარეჯანი არ სცნო ტახტზე აყვანის ღირსად და მისი გათხოვება დააპირა ხვარაზმშაზე. პ. ინგოროყვა უგულებელყოფს იმ ფაქტს, რომ ფარსადანმა როსტევანივით თავისი ერთადერთი ქალიშვილი კი არ აიყვანა ტახტზე, არამედ მას დაუკითხავად გათხოვება დაუპირა და ხვარაზმშას შვილის ინდოეთის მეფედ დასმა გადაწყვიტა, და რომ სწორედ ეს გახდა მიზეზი არეულობისა, რომელიც ინდოეთში დაიწყო, ამ არასწორი გადაწყვეტილების შედეგად დატრიალდა მთელი ტრაგედია. ინგოროყვა კი წერს: „რაკი ფარსადანს ვაჟიშვილი არა ჰყავს, იგი გადაწყვეტს ქალის გამეფებას. ამას მოჰყვება პოლიტიკური გართულება და თვით ნესტან-დარეჯანიც განსაცდელში ჩავარდება". საინტერესოა, საიდან გააკეთა ასეთი დასკვნა პატივცემულმა მკვლევარმა? „ვეფხისტყაოსნის" არსებული ვარიანტები ამის საშუალებას არ იძლევა. ვიმეორებთ, „ვეფხისტყაოსნის" მიხედვით, ნესტან-დარეჯანი განსაცდელში ჩავარდა არა იმიტომ, რომ ფარსადანმა მისი გამეფება დააპირა, როგორც ეს პ. ინგოროყვას ჰგონია, არამედ იმიტომ, რომ ფარსადანმა იგი არ გაამეფა და მის დაუკითხავად გათხოვება დაუპირა.

შემდეგ, თამარ მეფე, როგორც ცნობილია, ორჯერ იყო

გათხოვილი: პირველად გიორგი რუსზე, მეორედ დავით სოსლანზე. ეს უველაფერი მოხდა თამარის გამეფების შემდეგ. ნესტან-დარეჯანმა კი მხოლოდ ერთხელ იქორწინა ტარიელთან და ისიც ინდოეთის ტახტზე ასვლამდე. თამარ მეფე არასდროს არ ყოფილა განდევნილი საქართველოდან და მით უმეტეს დიდი ხნის განმავლობაში, ტყეებაშიც არ ყოფილა ნესტან-დარეჯანივით. ისტორიულ დოკუმენტებში არავითარი ნიშან-წყალი არ არის იმისა, რომ თამარის ნება-სურვილით და მისი წაქეზებით მისთვის განკუთვნილი სასიძო მოეკლას ამირბარს ანუ ამირსპასალარს, როგორც ამას ადგილი აქვს „ვეფხისტყაოსანში“, შეიძლებოდა კიდევ მრავალი ამგვარი მაგალითის მოტანა, მაგრამ თქმულიდანაც კარგად ჩანს, რომ თამარსა და ნესტან-დარეჯანს შორის შორეული მსგავსებაც კი არ არის, არამცთუ ანალოგია და იგივეობა.

რაც შეეხება შოთა რუსთაველისა და ტარიელის იგივეობას, რომ ვითომც „ის, რასაც მოგვითხრობს ტარიელი თავისი ქვეყნისა და გვარის ისტორიის შესახებ, წარმოადგენს სავსებით იმავე სურათს, რაც ჩვენ ვიცით შოთას საგვარეულო ისტორიისა და მისი სამშობლო მხარის პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ“, არც ერთი ისტორიული დოკუმენტით არ არის არგუმენტირებული. პ. ინგოროყვა ცდილობს, ამ ანალოგიის დასაბუთებას. მაგალითად, იგი წერს: „...ვეფხისტყაოსნის ცნობით, ტარიელი უფროსი იყო ნესტანზე ხუთი წლით, შოთაც ავრეთვე დაახლოებით ხუთი წლით იყო უფროსი თამარზე.

1170-71 წელს მანამდე უშვილო გიორგი III ეყოლა ქალი თამარი. როდესაც თამარი წამოიზარდა, გიორგი III გადაწყვიტა, თავისი ქალი გამოეცხადებინა მემკვიდრედ და სამეფოდ აღეზარდა. შოთა ამის შემდეგ უნდა დაებრუნებინათ თავისი მშობლებისათვის“.

საინტერესოა ვიცოდეთ, საიდან აიღო პ. ინგოროყვამ, რომ შოთა რუსთაველი თამარ მეფეზე ხუთი წლით იყო უფროსი? ჩვენს ისტორიოგრაფიაში ჯერ არ არის დადგენილი თამარ მეფის დაბადების თარიღი.

თამარ მეფის დაბადების თარიღის ირგვლივ მკვლევართა შორის აზრთა დიდი სხვადასხვაობაა. მ. ჯანაშვილის აზრით,

თამარი უნდა იყოს დაბადებული 1156 წელს. ისტორიკოსების მეტი ნაწილი კი, საერთოდ, გვერდს უვლის ამ საკითხს. მხოლოდ პ. ინგოროყვა იოლად წყვეტს ამ პრობლემას საკმაოდ ბუნდოვანი ცნობის საფუძველზე, რომელშიაც ნათქვამია, რომ როდესაც თამარი 1184 წელს ტახტზე აიყვანეს, „ყრმა“ იყო, მაგრამ ტერმინი „ყრმა“ ჯერ კიდევ გამოსაკვლევი და დასადგენია.

შემდეგ პ. ინგოროყვა წერს, რომ გიორგი III გადაწყვიტა თავისი ქალი გამოეცხადებინა მემკვიდრედ. მაგრამ ისტორიული წყაროების მიხედვით, ჩვენ ვიცით, რომ მან არა მარტო გადაწყვიტა, არამედ 1178 წელს ნამდვილად აიყვანა თამარი ტახტზე, მაგრამ საქმე იმაშია, რომ პ. ინგოროყვას სიტყვა „გადაწყვიტა“ იმისათვის სჭირდება, რომ თამარ-ნესტანის იგივეობა დაამტკიცოს. მისი აზრით, ფარსადანმაც გადაწყვიტა ნესტანის გამეფება. ერთი სიტყვით, ერთგან დააკლო, მეორეგან მოუმატა და ნესტანი და თამარი ტოლები გამოიყვანა.

ყოველგვარი ანალოგიის გაჭარწყულებისათვის ის ამბავიც კმარა, რომ ტარიელმა ნესტან-დარეჯანი შეირთო და ბოლოს, ინდოეთის ტახტზე ავიდა, ხოლო თამარი შოთა რუსთაველთან არ შეუღლებულა.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, შოთასა და ტარიელს შორის, თამარსა და ნესტანს შორის რაიმე ისტორიული პარალელის, რაიმე ანალოგიის დაშვება შეუძლებელია.[1] პირიქით, მათ შორის ისეთი დიდი ზღვარია, რომელიც ყოველგვარ ანალოგიას გამორიცხავს.

პ. ინგოროყვა არ კმაყოფილდება ამით, იგი ისტორიულ პარალელების გავლებას ჯიუტად განაგრძობს და ანალოგიებს ვეფხისტყაოსანის სხვა გმირებსაც უძებნის.

მისი აზრით, „ხვარაზმში, მოწვეული ნესტანის საქმროდ, რომელიც უბედურად იღუპება, პოეტურ ასპექტში წარმოგვიდგენს თამარის საქმროდ მოწვეულ გიორგი რუსს“.

---

[1] ამის თაობაზე იხ. ალ. ბარამიძე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, 4, იქ ვკითხულობთ: „ინდოეთისა და საქართველოს სინამდვილე ერთი მეორეს სრულიად არ ემთხვევა“.

თქვენ თვითონ განსაჯეთ:

1. გიორგი რუსი საქართველოს დიდებულებმა მოიყვანეს თამარის საქმროდ. ამ შემთხვევაში ისინი თავისი განსაზღვრული ინტერესებიდან გამოდიოდნენ. გიორგი მესამე ამ დროს ცოცხალი აღარ იყო, ასე რომ მას ფარსადანივით არ შეეძლო სასიძოს მოწვევა, ხოლო რაც შეეხება ხვარაზმშას; იგი თვით მეფემ, ნესტანის მამამ მოიწვია სასიძოდ.

2. ხვარაზმშა, როგორც კი ინდოეთში დაბანაკდა, ტარიელმა — ინდოეთის ამირბარმა, ნესტანის შთაგონებით მალულად მოკლა. ასე რომ, მათი ქორწინება არ შემდგარა. გიორგი რუსმა კი იქორწინა თამარ დედოფალზე და იგი არავის მოუკლავს. როგორც ცნობილია, ორწლინახევრის შემდეგ იგი საქართველოდან გააძევეს.

3. სულ სხვადასხვაა მიზეზი ხვარაზმშას მოკვლისა და გიორგი რუსის გაძევებისა. ხვარაზმშა ფარსადან მეფის წინდაუხედავი, არასწორი გადაწყვეტილების მსხვერპლი გახდა, ხოლო გიორგი რუსი იმიტომ გააძევეს, რომ სოდომური ცოდვა აღმოაჩნდა.

როგორც ვხედავთ, გიორგი რუსსა და ხვარაზმშას შორის განსხვავება ძალზე დიდია, ხოლო მსგავსება არავითარი.

პ. ინგოროყვამ არ დაივიწყა დავარიც და მასაც მოუძებნა ისტორიული პარალელი. უფრო მეტიც, მან სრული იგივეობა დაინახა დავარსა და გიორგი III დას რუსუდანს შორის.

აი, რას გვამცნობს იგი: „მსგავსება რუსუდანისა და დავარისა იმდენად ახლოა, რომ პოეტი თითქოს შეგნებულად უსვამს ხაზს მათს იგივეობას, რომ მკითხველს არ დარჩეს ამაში არავითარი ეჭვი...“ „როგორც რუსუდან, ისე დავარ, — ორივე დაა მეფისა, ორივე უცხოეთშია გათხოვილი, ორივენი დაქვრივდებიან და სამშობლოში დაბრუნდებიან. ორივენი ზრდიან მეფის ერთადერთ ქალიშვილსა და ტახტის მემკვიდრეს. ორივენი გახდებიან მიზეზი თავისი აღზრდილის პირადი უბედურებისა“. აქ მოტანილ ერთ აბზაცში რამდენიმე უხეში შეცდომაა დაშვებული. პირველი — დავარი არასდროს არ ყოფილა ტარიელის გამზრდელი, როგორც გვარწმუნებს ინგოროყვა. ვეფხისტყაოსანში ნათქვამია, რომ თავდაპირველად ნესტან-

დარეჯანს და ტარიელს ერთად მეფე და დედოფალი ზრდიდნენ, ხოლო როდესაც ნესტანი შვიდი წლისა გახდა, მას მეფე ფარსადანმა განცალკევებული კოშკი აუგო და სიბრძნის მასწავლებლად თავისი და დავარი მიუჩინა. ტარიელი კი ისევ მამასთან დააბრუნა. მეორე, რუსუდანის შესახებ „ქართლის ცხოვრებიდან“ მხოლოდ ის არის ცნობილი, რომ ის თამარისა და დავით სოსლანის აღმზრდელი იყო, ხოლო იმის შესახებ, რომ იგი შოთა რუსთაველის აღმზრდელიც იყო, არსად არ წერია. მესამე, არც დავარი და არც რუსუდანი არ ყოფილან თავისი აღზრდილების, ნესტან-დარეჯანისა და თამარის პირადი უბედურების მიზეზნი. დღეს, პ. ინგოროყვას გარდა, ყველამ კარგად იცის, რომ ნესტან-დარეჯანის ტრაგედიის მიზეზი მისი მამის, ფარსადანის, არასწორი გადაწყვეტილება იყო, ხოლო რაც შეეხება დავარს, მან არაფერი იცოდა ტარიელისა და ნესტანის გამიჯნურების შესახებ. დავარი რომ სრულიად უდანაშაულო იყო, ეს დავარის სიტყვებიდანაც კარგად ჩანს:

„მან ეგრე თქვა: „უბრალო ვარ, იცის ღმერთმან სახიერმან“.

რუსუდან დედოფალსაც, რომელმაც ნება დართო თამარის ქორწინებაზე, არავითარი ბრალი არ უძღოდა იმაში, რომ თამარის პირველი ქორწინება ვერ გამოდგა კეთილსასურველი. ამ საქმეში თუ ვინმეს უძღოდა ბრალი, ეს ზანქან ზორაბაბელი და დიდებულები იყვნენ, რომლებმაც თავის დროზე სათანადო სიფხიზლე ვერ გამოიჩინეს და ხეირიანად ვერ შეამოწმეს სასიძოს ზნე და თვისებები. რუსუდანს ამ შემთხვევაში რაიმე უნებლიე ბრალიც რომ ჰქონდეს, ეს კიდევ არაფერს არ ლაპარაკობს, რადგან მეორედ მან ხომ თავისი გაზრდილი დავით სოსლანი შერთო თამარს და ამით თამარს უბედურება კი არა, ბედნიერება მოუტანა. მეოთხე, როგორც ვიცით, „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟი დავარი თავს იკლავს, ხოლო რუსუდანის თვითმკვლელობის შესახებ არავითარი ცნობები არ არის შემონახული. ეს კი ისეთი დიდი განმასხვავებელი ნიშანია, რომ დავარისა და რუსუდანის იგივეობაზე ლაპარაკი სრულიად გამორიცხულია.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, პ. ინგოროყვას ისტორიული პარალელები მოკლებულია ყოველგვარ მეცნიერულ საფუ-

ძველს და აგებულია ამ პოემის ტექსტის არასწორ გაგებაზე, ანდა ისტორიული ფაქტების დამახინჯებაზე. ამიტომ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ისტორიული პარალელებისა და ანალოგიების კიდევ ერთმა თეორიამ მარცხი განიცადა.

არიან ისეთი მკვლევარნიც, რომლებიც ფიქრობენ, რომ შოთას ქმნილებას საერთო არაფერი არა აქვს თამარ მეფის ეპოქასთან და იგი საქართველოს ისტორიის უფრო გვიანდელ პერიოდს ასახავს. ამ თეორიის ყველაზე უფრო თავგამოდებული დამცველები იყვნენ სარგის კაკაბაძე, აკად. ნიკო მარი და სხვ.

სარგის კაკაბაძის შეხედულებით, „შოთა ცხოვრობდა მე-15 საუკუნის პირველ ნახევარში, თავისი შრომა შეასრულა 1405—1412 წლებში, ხოლო, 1436—1440 წწ. მანვე ჩაუმატა პოემის ზოგი რამ ტაეპები...“ [1]

აკად. ნიკო მარიც ფიქრობდა, რომ პოემა დაწერილია მე-14-15 საუკუნეებში.

სარგის კაკაბაძის თეორიის საფუძვლიანი კრიტიკა მოგვცა ჩვენმა დიდმა ისტორიკოსმა ივანე ჯავახიშვილმა.

აი, რას წერდა ივ. ჯავახიშვილი სარგის კაკაბაძის ჰიპოთეზის შესახებ: „ის ვითომცდა საისტორიო საბუთები, რომლებიც ხუხულასავით აგებული აქვს ავტორს (კაკაბაძეს), უმეტეს შემთხვევაში სრულებით საძიებელ საგანს არ შეეხება და უმთავრესად „ვეფხისტყაოსნის“ ყალბ ხანებზე არის დამყარებული, რომელთაც არავითარი ღირსება არა აქვთ“ [2].

სარგის კაკაბაძის შეცდომის მიზეზს ივანე ჯავახიშვილი, სრულიად მართებულად, ფაქტების ზერელე განხილვასა და უგულებელყოფაში ჩედავდა.

„ყოფაცხოვრების, ანუ რეალიების აღწერილობის მიხედვით, დროის განსაზღვრა მკვეთრ სამეცნიერო მეთოდით მხოლოდ მაშინ გამოდგება, როდესაც ხელოვნებისა და შინაური ყოფა-ცხოვრების ისტორია კარგად არის შესწავლილი. თორემ ეს მეთოდი შეიძლება იმ მკვეთრ სამართებლად იქცეს, რომელიც თვით მკვლევარს ყელს გამოსჭრის. როგორც ს. კა-

---

1 სარგის კაკაბაძე, ვეფხისტყაოსანი, ტფ. 1913 წ., გვ. 63.

2 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, 1965, გვ. 312.

კაბაძის წიგნითგანა ჩანს, მას ქართული რეალიების შესახებ არავითარი წარმოდგენა არა ჰქონია და არც გასაკვირველია, თუ რომ ეს მეთოდი მხოლოდ ავტორის უცოდინარობას ამტკიცებს".[1]

აკად. კორნელი კეკელიძემ სცადა „ვეფხისტყაოსანი" დაეკავშირებინა რუსუდანის მეფობის ხანასთან. იგი წერდა: „მას, პოემას, მხედველობაში აქვს რუსუდანის მეფობის დასაწყისი ხანა, ეს ხანა 1230 წელს არ უნდა სცილდებოდეს, რადგანაც ჯალალ-ედინის სიკვდილის შემდეგ 1238 წლამდე, როდესაც მონღოლებმა საბოლოოდ დაიპყრეს საქართველო, აქ შედარებით სიმშვიდეა. ყოველ შემთხვევაში ისეთ საშინელებას აღარ აქვს ადგილი, როგორსაც 1230 წლამდე ჰქონდა. აექდან, ცხადია, პოეტიც ამავე დროს ცხოვრობდა".[2] ამრიგად, კეკელიძის აზრით, „ვეფხისტყაოსანში" აისახა არა თამარ მეფის დრო, არამედ საქართველოს ისტორიის მომდევნო პერიოდი და „პოემა თამარის მეფობაში არ უნდა იყოს დაწერილი. ის შეთხზულია თამარის გარდაცვალების შემდეგ".

თანამედროვე რუსთველოლოგიაში სულ უფრო და უფრო მკვიდრდება აზრი, რომ „ვეფხისტყაოსანი" რუსთაველის მიერ დიდი თამარის სიცოცხლეშია დაწერილი და მასში ასე თუ ისე საქართველოს იმდროინდელმა სინამდვილემ და ქართველი ხალხის სულისკვეთებამ ჰპოვა ასახვა. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს სრულიად მართებული დებულება ჯერჯერობით კიდევ მოითხოვს მეცნიერულ დასაბუთებას.

## 2. „ვეფხისტყაოსნის" ისტორიული სარჩული

ერთი მხრივ, „ქართლის ცხოვრებაში" შემონახული ისტორიული ფაქტების შესწავლისა და ანალიზის, ხოლო, მეორე მხრივ, თვით „ვეფხისტყაოსნის" იდეურ-თემატური და მხატვრული რაობის გათვალისწინებით და თამარ მეფის ეპოქისა და რუსთაველის უკვდავი პოემის ერთმანეთთან შეჯერების შედეგად იმ დასკვნამდე მივედით, რომ „ვეფხისტყაოსანი" არის

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, 1965, გვ. 313.

[2] კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II, 1958, გვ. 159.

ეპიური პოემა, დაწერილი თამარ მეფის საქებად, არა უადრეს 1189 და არა უგვიანეს 1192-93 წლებისა.

თავისი უკვდავი პოემის შექმნისას რუსთაველს ამოძრავებდა ერთი მიზანი — გაემართლებინა თამარის საქართველოს მეფედ ყოფნა, ეჩვენებინა მისთვის შეუზღუდავი სამეფო უფლებების მინიჭების აუცილებლობა, დაეცვა მისი მეფური ღირსება იმ დიდებულთაგან, რომლებიც ილაშქრებდნენ ერთმმართველობის პრინციპის წინააღმდეგ, ამრიგად, „ვეფხისტყაოსნის“ ძირითადი იდეა ასე წარმოგვიდგება: როდესაც მეფეს ქალის გარდა სხვა მემკვიდრე არა ჰყავს, აუცილებელია და მიზანშეწონილი ქალის მეფედ დასმა და მისთვის განუსაზღვრელად ყველა სამეფო უფლების მინიჭება, საქმროს თავისი ნებასურვილით ამორჩევის ჩათვლით. ეს იდეა ნაკარნახევია იმ მწვავე ბრძოლებით, რასაც ადგილი ჰქონდა საქართველოს სინამდვილეში 1177-1191 წლებში, და რომელთა ძირითადი პოლიტიკური არსი იყო დიდებულთა მხრივ მეფის უფლებების შეზღუდვა და ერთმმართველობის შესუსტება. სწორედ ეს პოლიტიკური სიტუაცია აირეკლა „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტის ცალკეულ ეპიზოდებში და კომპოზიციის თავისებურებებში.

ამ დებულების ნათელსაყოფად, პირველ ყოვლისა, გავაკეთოთ საქართველოს იმ ისტორიული ფაქტების მოკლე მიმოხილვა, რომელსაც ადგილი ჰქონდა 1177-1190 წლებში და რომლებიც შემონახულია „ქართლის ცხოვრებაში“.

იმის შემდეგ, რაც 1089 წელს მეფე გიორგიმ თავისი შვილი დავითი აიყვანა საქართველოს ტახტზე, სამეფო კარის პოლიტიკური კურსი ძირფესვიანად შეიცვალა და დაიწყო დაუცხრომელი ბრძოლები მეფის ხელისუფლების განსამტკიცებლად, საქართველოს ცალკეული სამთავროების გასაერთიანებლად და დიდაზნაურთა თავგასულობის ასალაგმავად. ეს პოლიტიკა ქართველი ერის სასიცოცხლო ინტერესების გამოხატულება იყო.

დავით აღმაშენებელის ყველა რეფორმა, მთელი მისი ბრძოლა მიმართული იყო საქართველოს გაერთიანების, ერთმმართველობის განმტკიცებისა და დიდაზნაურთა უფლებების

შეზღუდვისაკენ. ამ მიზანს ემსახურებოდა მისი საეკლესიო პოლიტიკა, სამხედრო ღონისძიებანი (ყივჩაღთაგან 40 000 ცხენოსნისაგან შემდგარი ლაშქრის შექმნა), სახელმწიფო მიწების ფონდის გაზრდა, მეფის მოწინააღმდეგე დიდაზნაურთა მამულების ჩამორთმევის ხარჯზე. ამასვე ემსახურებოდა იმ დროს შემუშავებული ოფიციალური იდეოლოგიაც, რომლის მიხედვით, მეფის უფლება განუსაზღვრელი იყო, რადგან იგი მას ღვთისაგან ჰქონდა მინიჭებული. მეფის ნება ამქვეყნად ღვთის ნების განსახიერებად ითვლებოდა, ამიტომ მეფის წინააღმდეგ მოქმედება თვით ღვთის წინააღმდეგ მოქმედებად იყო გამოცხადებული.

დავით აღმაშენებლის სიკვდილის შემდეგ რეაქციამ დიდაზნაურების სახით ხელახლა წამოყო თავი და ბრძოლამ ერთმმართველობის წინააღმდეგ, მეფის უფლებების შეზღუდვისათვის ახალი ძალით იფეთქა. მეთორმეტე საუკუნის და მეცამეტე საუკუნის პირველი მეოთხედის მანძილზე დიდებული აზნაურები საბაბით თუ უსაბაბოდ შეთქმულებებს აწყობდნენ მეფეების წინააღმდეგ და ცდილობდნენ რამენაირად შეესუსტებინათ, შეეზღუდათ მათი ხელისუფლება. ამიტომ სამეფო კარი იქცა იმ ასპარეზად, სადაც ქვეყნის ყოფნა-არყოფნის ბედი წყდებოდა, სადაც პოლიტიკური ცხოვრების ყველა წინააღმდეგობა იყრიდა თავს.

„მთელი მე-12 საუკუნე და მე-13 საუკუნის პირველი მეოთხედი ალაპარაკებს ამ ბრძოლით.. დიდებული აზნაურები ხან ცალ-ცალკე, ხან ჯგუფობრივ გამოდიან, ხან ტახტის მემკვიდრეს ამხედრებენ არაასაურველი მეფის წინააღმდეგ, ხან უიმისოდაც მოქმედებენ, ხან არსებული წესების დამცველად გამოდიან, ამ წესების დარღვევას მეფეს აბრალებენ და მათ აღდგენას მოითხოვენ“.[1]

დავით აღმაშენებლის სიკვდილის შემდეგ რომ მაშინვე გაჩაღებულა ბრძოლა მეფის უფლებების შეზღუდვისათვის, მოწმობს თუნდაც ის ტრაგიკული ამბები, რომლებიც დემეტრე I კარზე გათამაშდა და რომლებიც წინ უსწრებდნენ გიორგი

---

[1] ნ. ბერძენიშვილი. ე. დონდუა. გ. მელიქიშვილი. შ. მესხია. პ. რატიანი, საქართველოს ისტორია, თბ., 1958, გვ. 188.

III გამეფებას. დავით უფლისწულის განდგომაში თავისი მამის, დემეტრე პირველის, წინააღმდეგ, როგორც ეტყობა, მთავარ როლს დიდებულები თამაშობდნენ. ეს იყო დიდებულთა შეთქმულება დემეტრე I წინააღმდეგ, რომელიც თავისი მამის, დავით აღმაშენებლის, პოლიტიკას აგრძელებდა. ეს იყო რეაქცია ერთმმართველობისა და სამეფო უფლებების გაძლიერების წინააღმდეგ. დავით უფლისწული დიდებულებმა თავისი რეაქციული მიზნების განსახორციელებლად გამოიყენეს. ისიც ცნობილია, რომ დიდებულთა რეაქციამ დროებით გაიმარჯვა და დემეტრე მეფე აიძულეს ბერად შემდგარიყო. მართალია, საბოლოოდ მაინც ძლია მოწინააღმდეგეებს და უფროსი შვილის, დავითის, უდროო სიკვდილის შემდეგ (შეიძლება, ძალდატანებითი სიკვდილის შემდეგ) ტახტი დაიბრუნა, მაგრამ, როგორც ჩანს, ამ ამბავს საკმაო სისხლისღვრა ახლდა თან. დემეტრე მეფემ ასეთი ინციდენტის განმეორების შიშით სასწრაფოდ ტახტზე თავისი შვილი გიორგი აიყვანა და თანამოსაყდრედ გამოაცხადა. ცხადია, დემეტრეს ამ შემთხვევაში დიდებულების შიში ჰქონდა, რადგან სხვა კანონიერი მემკვიდრის მხრივ პრეტენზიები გამორიცხული იყო.

გიორგი III მეფობაშიც ადგილი ჰქონდა ანალოგიურ გართულებებს. „ხიმდიდრით აღზევებულნი“ და დიდგვაროვანნი ყოველ ღონეს ხმარობდნენ, რათა შეეზღუდათ მეფის უფლებები, შეესუსტებინათ ერთმმართველობა და საბელმწიფოს მართვა-გამგეობის საქმეში გადამწყვეტი როლი თვითონ დაესაკუთრებინათ.

1177 წელს იოვანე ორბელის მეთაურობით დიდი აჯანყება მოეწყო გიორგი III წინააღმდეგ. პატივმოყვარე დიდი ფეოდალის ივანე ათაბაგის და მისი მომხრე დიდგვარიან აზნაურთა განზრახვა არავითარ ეჭვს არ იწვევს. მათ უნდოდათ გიორგი III ტახტიდან ჩამოგდება, რადგან იგი დავით აღმაშენებლის პოლიტიკის გამგრძელებელი იყო; დემნა უფლისწულის სახელი აჯანყებულებს თავისი ბნელი ზრახვების დასაფარავად სჭირდებოდათ, რადგან მისი გამეფება დიდგვაროვანთა შეუზღუდავი ძალაუფლების აღდგენას მოასწავებდა.

თუმცა გიორგი III მოახერხა აჯანყების ჩაქრობა, მაგრამ

დიდგვაროვანთა ოპოზიცია იმდენად ძლიერი იყო, რომ მეფემ ვერ შეძლო აჯანყების მონაწილეთა ჯეროვანი დასჯა.

1177 წლის აჯანყების ჩაქრობის შემდეგ ეკლესიის მესვეურებმა წამოაყენეს თავი და მოითხოვეს მეფის უფლებების შეზღუდვა, ეკლესიის შეუვალობის აღდგენა და სამეფო გადასახადებისაგან საეკლესიო ქონების განთავისუფლება. გიორგი III იძულებული იყო დათმობაზე წასულიყო და დაეკმაყოფილებინა ანაფორაში გამოწყობილი დიდგვაროვანი აზნაურების მოთხოვნა. ეს ფაქტი ზღუდავდა მეფის გავლენის სფეროს სახელმწიფო ცხოვრებაში. გიორგი III 1177 წლის აჯანყება თუმცა ჩააქრო, მაგრამ დიდგვაროვანთა მხრივ მეფის უფლებების შეზღუდვის საფრთხე საქართველოში ისევ არსებობდა. სწორედ ამ საფრთხის არსებობით არის გამოწვეული გიორგი III მიერ ახალგაზდა თამარის 1178 წელს დიდი ზეიმით სამეფო ტახტზე აყვანის და მისი თანამოსაყდრედ გამოცხადების ფაქტი.

დიდგვაროვანთა მხრივ სამეფო უფლებების შეზღუდვისთვის ბრძოლით გამოწვეულმა პოლიტიკურმა კრიზისმა მაშინვე იჩინა თავი, როგორც კი გიორგი III გარდაიცვალა. თუმცა ამ კრიზისის შესახებ ქართულ მატიანეებში საკმაო ცნობები არ არის შემონახული, მაგრამ ერთი რამ ნათელია — დიდგვაროვანთა მხრივ უდავოდ ჰქონდა ადგილი ერთმმართველობის შეზღუდვის ცდას. ამით აიხსნება სწორედ ის ფაქტი, რომ 1184 წელს საჭირო გახდა თამარ მეფის ხელმეორედ ტახტზე აყვანა. აი, რას წერს ამის შესახებ ჩვენი დიდი მეცნიერი ივანე ჯავახიშვილი: „სამწუხაროდ, ისტორიკოსი ამ შემთხვევას მხოლოდ გაკვრით იხსენიებს და ამის გამო მკვლევარს არ შეუძლია ამ მეტად საყურადღებო მოვლენას ჯეროვნად ჩაუკვირდეს. რაკი თამარი მამის დროსვე გამეფებული იყო საქართველოში, გიორგის სიკვდილის შემდეგ არავითარი ცვლილება არ უნდა მომხდარიყო. ისტორიკოსი კი გვაუწყებს, სამეფოს დიდებულნი შეიკრიბნენ და იმათ გადაწყვიტეს, თამარმა ხელმეორედ დაიდგას გვირგვინი და მამა-პაპეულ ტახტზე აბრძანდესო. ცხადია, რომ ამ მეორეჯერ მსჯელობის საგანიც ქალის საქარ-

თველოს მეფედ ყოფნის უფლების საკითხი უნდა ყოფილიყო".[1]

სამეფო უფლებების, ერთმმართველობის და კერძოდ, თამარ მეფის უფლებების შეზღუდვის უფრო მკაფიო ცდას ჰქონდა ადგილი თამარის მეორედ ტახტზე ასვლის პირველ წლებშივე. დიდგვაროვანმა ოპოზიციამ გადაწყვიტეს, სამეფო ხელისუფლების შეზღუდვის მიზნით, საქართველოს სახელმწიფო წყობილების შეცვლა. „სიმდიდრით აღზევებულთა" დასი ყუთლუ-არსლანის მეთაურობით განუდგა თამარ დედოფალს და თავისი პოლიტიკური მოთხოვნები წაუყენა. მათი პოლიტიკური პროგრამის განხორციელება ერთმმართველობის მოსპობას და მეფის უფლებების სრულ შეზღუდვას მოასწავებდა, რადგან „მეფეს უნდა მხოლოდ აღმასრულებელი ხელისუფლება შერჩენოდა, კანონმდებელი ხელისუფლება კი მარტო „კარავში დასხდომილთ უნდა ჰქონოდათ".[2]

როგორც ცნობილია, თამარ მეფემ შესძლო განდგომილთა დამშვიდება, მაგრამ მას მაინც მოუხდა ერთგვარ დათმობაზე წასვლა. დიდგვაროვანთა კარავის ცალკე დადგმა უარყოფილ იქნა, მაგრამ მეფეს ამიერიდან აღარ ჰქონდა სახელმწიფო საკითხების ერთპიროვნული გადაწყვეტის უფლება დარბაზის მონაწილე დიდებულთა „თანდგომისა" და „ერთნებაობის" გარეშე. ამრიგად, როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაშიც საქმე გვაქვს მეფის უფლებათა გარშემო მწვავე პოლიტიკური ბრძოლის გამოვლენასთან.

მაგრამ ბრძოლა თამარ მეფის უფლებათა შეზღუდვისათვის ამით არ დამთავრებულა. ფაქტიურად, გიორგი რუსის თამარის საქმროდ მოყვანა, გაძევება და შემდეგ საქართველოს ტახტის დაბრუნების მისი ცდები ამ დაძაბული პოლიტიკური ბრძოლის გაგრძელებას წარმოადგენს.

საფიქრებელია, რომ თამარ მეფის ჭმრად გიორგი რუსის მოყვანა შემთხვევითი არ იყო და ეს აქტი დიდგვაროვანთა დაფარული ზრახვებით იყო გაპირობებული.

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია. წ. II, ნაკ. II, 1929, გვ. 143.

[2] იქვე, გვ. 172.

საკუთარი სამშობლოდან გაძევების გამო უთვისტომოდ ქცეული და უზნეო გიორგი აბოგოლიუბსკი, რომელსაც საქართველოში რეალური მხარდაჭერა არ ექნებოდა, ქართველი დიდებულებისათვის არავითარ საფრთხეს არ წარმოადგენდა და მათ, ეტყობა, იმედი ჰქონდათ, რომ მისი გამეფებით ჯერ თამარის უფლებებს შეზღუდავდნენ და შემდეგ უცხოეთიდან მოყვანილ მეფეს თავის ნებასურვილზე ატარებდნენ.

თვით ის ფაქტი, რომ გიორგი რუსი თამარის სურვილის საწინააღმდეგოდ სხვა ქვეყნიდან მოიყვანეს და მის ქმრად გამოაცხადეს, უკვე წარმოადგენდა თამარის, როგორც მეფის, უფლებების და არა მარტო სამეფო უფლებების, არამედ ქალური ღირსების შეზღუდვასა და დამცირებას.

როგორც ვხედავთ, ამ შემთხვევაშიაც საქმე გვაქვს დიდგვაროვანთა ბრძოლასთან მეფის უფლებების შეზღუდვისათვის. დიდებულებმა აშკარად შეძლეს დავით აღმაშენებელისა და გიორგი III პოლიტიკის გადასინჯვა და დროებით გამარჯვების მოპოვება. თამარ შეფე ორნახევარ წელიწადს ითმენდა არა მარტო გიორგი რუსის თავგასულობას, არამედ დიდებულთა და სომდიდრით აღზევებულთა თვითნებობასაც. რომ გიორგი რუსი დიდებულებმა თამარ მეფეს დაუპირისპირეს და გამოიყენეს, როგორც იარაღი სამეფო უფლებათა შეზღუდვისათვის, ეს კარგად გამომჟღავნდა იმის შემდეგ, როგორც კი თამარმა საქართველოდან გიორგი რუსის გაძევება მოახერხა.

1191 წელს უკმაყოფილო დიდგვარიან აზნაურთა ჯგუფმა, რომლის აქტიური მონაწილენი იყვნენ გუზან ტაოელი, ბოცო სამცხის სპასალარი, მსახურთუხუცესი ვარდან დადიანი, გადაწყვიტა გიორგი რუსის საქართველოს ტახტზე დაბრუნება. ცხადია, რომ მათ გიორგი რუსის გულისთვის კი არ გამოიდეს თავი, არამედ საკუთარი პოლიტიკური მიზნებისათვის: მათ კიდევ ერთხელ სცადეს თამარ მეფის ერთმმართველობის შეზღუდვა. როგორც ცნობილია, ეს ცდა მარცხით დამთავრდა; მაგრამ საფიქრებელია, რომ ამან ქვეყნის შიგნით სისხლისღვრა გამოიწვია და სახელმწიფოს ძლიერებაზე უარყოფითი გავლენა მოახდინა. არსებითად, ასეთივე ბედისათს ატარებდა გიორგი რუსის მიერ საქართველოში მეორედ შემოჭრაც.

ამრიგად, როგორც დავინახეთ, იმის შემდეგ, რაც დავით აღმაშენებელმა საქართველოს ერთიანი ფეოდალური სახელმწიფო შექმნა და ქვეყანაში ერთმმართველობის განსამტკიცებლად მთელი რიგი ღონისძიებანი გაატარა, მეთერთმეტე და მეთორმეტე საუკუნეების მთელ მანძილზე გააფთრებული ბრძოლა წარმოებდა რეაქციულად განწყობილ დიდგვაროვან აზნაურებსა და სამეფო კარს შორის. სიმდიდრით აღზევებულნი და დიდებულნი დაუცხრომლად იბრძოდნენ მეფის უფლებების შეზღუდვისათვის, ერთმმართველობის წინააღმდეგ. ამ ბრძოლამ განსაკუთრებით მწვავე ხასიათი მიიღო გიორგი III და თამარის მეფობაში. ის ფაქტი, რომ გიორგი III მემკვიდრე ვაჟიშვილი არ ჰყავდა და საქართველოს ტახტზე ქალი იჯდა, ხელსაყრელ პირობებსა ქმნიდა რეაქციულად განწყობილ დიდაზნაურთა ბრძოლისათვის, მეფის უფლებათა შეზღუდვისა და ერთმმართველობის მოსასპობად. ამ ბრძოლაში დიდგვაროვანთა გამარჯვებამ და სამეფო უფლებების შეზღუდვა რეაქციის გამარჯვება იქნებოდა, რაც დიდ ზიანს მოუტანდა საქართველოს, როგორც ეკონომიურ, ისე სამხედრო და კულტურულ ძლიერებას. ერთმმართველობის გაძლიერებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა გლეხობის, წვრილი მემამულე აზნაურებისა და ვაჭართათვის, რადგან ცენტრალიზებული ხელისუფლების გაძლიერება ერთგვარად შეამსუბუქებდა იმ ჩაგვრასა და შევიწროებას, რასაც ისინი განიცდიდნენ ცალკეული მთავრებისა და დიდებულებისაგან.

ამიტომაც თამარ მეფის დროს ყველაზე აქტუალურ და საქართველოს სახელმწიფოებრიობისათვის ყველაზე საჭირბოროტო პრობლემას წარმოადგენდა მეფის და, კერძოდ, თამარ მეფის შეუზღუდავი უფლებებისათვის ბრძოლა და ერთმმართველობის განმტკიცება.

თამარ მეფის შექება, რაც გამოიხატებოდა მისთვის მამაკაცის სწორად ყველა სამეფო უფლების მინიჭებისა და მისი მეფობის კანონზომიერების აღიარებაში, უდავოდ, პროგრესული მოვლენა იყო და შოთა რუსთაველის გენიალობაც სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მან თავისი კალამი სწორედ ამ პრობლემის გადაწყვეტას მოახმარა.

ამრიგად, ჩვენ საქმე გვაქვს „ვეფხისტყაოსნის“ ძირითად იდეის და თამარ მეფის დროისათვის დამახასიათებელი ძირითადი პროგრესული პოლიტიკური იდეალების სრულ დამთხვევასთან. შოთა რუსთაველმა შექმნა დიდი ეპიური ნაწარმოები, რომელშიც თავისი დროის ყველაზე საჭირბოროტო საკითხი დააყენა და რომლის სწორი გადაწყვეტისაგან დამოკიდებული იყო მთელი ქართველი ერის და საქართველოს აწმყო და მომავალი.

თუ რამდენად მნიშვნელოვანი იყო ეს პრობლემა და მისი სწორი გადაჭრისაგან, თუ რამდენად იყო დამოკიდებული საქართველოს სახელმწიფოს ბედ-იღბალი, ამაზე ნათლად მეტყველებს საქართველოს მთელი შემდგომი ისტორია. თამარ მეფის გარდაცვალების შემდეგ საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიური დასუსტების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყო ის ბრძოლა, რომელსაც სიმდიდრით აღზევებულნი და დიდგვაროვანნი აწარმოებდნენ მეფის უფლებათა შეზღუდვისათვის. საქართველოში ერთმმართველობის დასუსტებამ გამოუსწორებელი ზიანი მიაყენა სახელმწიფოს ერთიანობასა და ეკონომიურ სიძლიერეს, რამაც ოდესღაც ძლიერი და აყვავებული საქართველო განადგურებამდე მიიყვანა.

იმის შემდეგ, რაც დავადგინეთ, თუ რა მიმართულებაშია „ვეფხისტყაოსანი“ თამარ მეფის ეპოქასთან, გამოსარკვევი რჩება ამავე საკითხის მეორე მხარე, კერძოდ, ამ ეპოქის რა მოვლენები და რა კუთხით აისახა გენიალურ ეპიურ პოემაში. ამისათვის, ერთი მხრივ, უნდა გათვალისწინებულ იქნას ის ისტორიული-ცნობები, რომელიც შემონახულია „ქართლის ცხოვრებაში“, მეორე მხრივ, ეპოქის სული და პოლიტიკური ვითარება. არ უნდა დავივიწყოთ ისიც, რომ „ვეფხისტყაოსანი“ ხელოვნების ნაწარმოებია და მასში სინამდვილე ხელოვნებისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური ხერხებითაა ასახული.

უნდა აღვნიშნოთ, რომ მე-12 საუკუნის საქართველოს ისტორიულ პირთა და „ვეფხისტყაოსნის“ გმირთა რაიმე პირდაპირ პარალელებზე ან ანალოგიაზე ლაპარაკი ზედმეტია, რადგან „ვეფხისტყაოსანი“ ისტორიული თხზულება კი არ არის, მხატვრული ნაწარმოებია. ამიტომ უნდა შევეცადოთ „ვეფხის-

ტყაოსანში" ისტორიული სინამდვილის სპეციფიკური ანარეკლის მონახვას.

თუმცა თინათინი თამარი არ არის, ხოლო როსტევანი — გიორგი მესამე, მაგრამ რომ როსტევანს სხვა ძე არა ჰყავს, თინათინის გარდა და მას სიცოცხლეშივე თავის თანამოსაყდრედ აცხადებს, ამაში არ შეიძლება არ დავინახოთ გიორგი III მიერ თამარ მეფის თავის სიცოცხლეშივე ტახტზე დასმის ფაქტის ანარეკლი. ამ ეპიზოდში, უდავოდ, აისახა ის უპრეცენდენტო ისტორიული მოვლენა, რომელსაც ადგილი ჰქონდა საქართველოს სინამდვილეში გიორგი მესამის დროს. რაც შეეხება ნესტან-დარეჯანისა და ტარიელის ამბავს, ავთანდილის მოგზაურობას ტარიელის საძებრად, მის მიერ ნესტან-დარეჯანის პოვნასა და განთავისუფლებას, ეს ყველაფერი შოთა რუსთაველის პოეტური ფანტაზიის ნაყოფია.

ეს არც არის გასაკვირველი და ასეც უნდა იყოს, რადგან მხატვრულ ნაწარმოებში ყოველთვის საქმე გვაქვს გამონაგონ ამბებთან. ამიტომ აუცილებელია გაირკვას, თუ რა არის „ვეფხისტყაოსანში" მწერლის ფანტაზიის ნაყოფი და რა არის მის მიერ აღებული საქართველოს სინამდვილიდან.

თამარ მეფის ისტორიკოსები ერთხმად აღნიშნავენ, რომ დიდი თამარის საქმროდ გიორგი რუსის მოყვანა თამარის სურვილის წინააღმდეგ მოხდა. თამარის პირველი ისტორიკოსი წერს, რომ „პატრიარქმა, დიდებულმან, ვაზირთა და სპათა", მიუხედავად თამარის წინააღმდეგობისა, აიძულეს თამარი „და მათგან (თამარისაგან) ნება-დაურთავი განამზადეს ქორწილი".[1] ამ ფაქტმა, რომელსაც ადგილი ჰქონდა საქართველოს სინამდვილეში, თავისებური გამოხმაურება ჰპოვა „ვეფხისტყაოსანში".

პოემაშიც დაგმობილია ფარსადანის მიერ ნესტან-დარეჯანის სურვილის საწინააღმდეგოდ მისი გათხოვების ცდა. რუსთაველი გვიჩვენებს, თუ რა დიდი ტანჯვა, რა უბედურება მოიტანა ამ არასწორმა გადაწყვეტილებამ. ტარიელისა და ნესტან-დარეჯანის ტრაგიკული თავგადასავალი იმ გრძნობების პოეტური გამოხატულებაა, რომელსაც განიცდიდნენ თამარის

[1] ქართლის ცხოვრება, „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი". გვ. 37.

თანამედროვენი. ცნობილია, რომ საქართველოშიც დიდი ტრაგედია დატრიალდა თამარის, მისი ნება-სურვილის წინააღმდეგ, გათხოვების შედეგად. გავიხსენოთ, თუ რა პირადი ტრაგედია განიცადა თამარ მეფემ და საქართველომ გიორგი რუსის მოყვანასა და გაძევებასთან დაკავშირებით.

შემდეგი ისტორიული მოვლენა, რომელმაც გამოხმაურება ჰპოვა „ვეფხისტყაოსანში“, არის ვაჩერებისადმი და, კერძოდ, დიდვაჭარ უსეინისადმი უარყოფითი დამოკიდებულება, რომელიც პოემის სათანადო ადგილებში იგრძნობა.

რამოდენიმე სიტყვა ფატმანის ქმრის, ვაჭართა უხუცესის უსენის, და იმ როლის შესახებ, რომელიც მან ითამაშა ნესტანის საქმეში.

შემთხვევითი არ არის, რომ რუსთაველმა სწორედ ვაჭართა უხუცესი უსენი გამოიყვანა აქ საკმაოდ არასახარბიელო როლში. როგორც ქმარი და მამაკაცი, უსენი დიდად დამცირებულია. მას ცოლი ყოველ ნაბიჯზე ღალატობს და, რაც მთავარია, ეს ღალატი ერთგვარად გამართლებულია იმით, რომ ის, როგორც მამაკაცი, ამას იმსახურებს.

საკვირველი არ არის, რომ გაძვალტყავებულ, შესახედად უშნო და ზიზღისმომგვრელ მამაკაცს ქალმა უღალატოს. ამრიგად, უსენი, როგორც სულმდაბალი პიროვნება, შესახედავადაც ანტიპატიურია. ამას ისიც ემატება, რომ იგი ლოთია და ღვინის დალევის შემდეგ სრულიად კარგავს განსჯის უნარს. უსენის ხასიათის გახსნისათვის საინტერესოა სტრიქონი: „აწ ნახეთ მთვრალი ვაჭარი, ცქაფი, უწრფელი, მსწრომელი“ და მისი განმარტება თეიმურაზ ბაგრატიონის მიერ. „ცქაფი — მსწრაფლის ქცევისა, ანუ კელფეხ მსწრაფლი. ცქაფი, უწფელი — ჩქარი, წინ დაუხედავი, ანუ საქმისა ვერ განმსინჯველი და თავკედი. უწფელი — ზნეობაში სუსტი და არა ეგრეთ მქცევი, ვითარცა შვენის კეთილს ზნის მეცნიერსა კაცსა მოქცევა, გაუთლელი კაცი არისო ქართულს საუბარში რომ იტყვიან, უწფელი ის არის“.[1]

---

[1] თეიმურაზ ბაგრატიონი, განმარტება პოემა ვეფხისტყაოსნისა, გვ. 225-226.

როგორც „ვეფხისტყაოსნიდან“ მოტანილი სტრიქონიდან და თეიმურაზ ბაგრატიონის განმარტებიდან ჩანს, უსენი აჩქარებული, წინდაუხედავი და გაუთლელი კაცი ყოფილა. ამას ყველაფერს ისიც ზედ ერთვის, რომ უსენი ფიცის გამტეხია:

დაავიწყდეს იგი ფიცნი, რა მუსაფნი, რა მაქანი!

მართლად თქმულა: „არა ჰმართებს ყვავსა ვარდი, ვირსა რქანი“ 1154.

და აი, ეს კაცი, რომელსაც ფატმანი ყვავსა და სახედარს ადარებს, შუამავლის როლში გამოდის, ცდილობს ნესტანი ცოლად შერთოს ზღვათა მეფის შვილს. ამის შედეგად უჭკუო უსენი ნესტანს ისეთ განსაცდელში აგდებს, რომელსაც რუსთაველი გველის სახაში ჩავარდნას ადარებს. თუ რამდენად დიდ განსაცდელში ჩააგდო უსენმა ნესტანი და რა დიდი ზიანი მიაყენა მას, კარგად ჩანს სტროფიდან, რომელშიც შეფასებულია ნესტანის გაპარვის მნიშვნელობა:

დარჩა მთვარე გავსებული, გველისაგან ჩაუნთქმელი.

ამრიგად, თუმცა ფარსადანმა და დავარმა თავისი უგუნურებით დიდი როლი ითამაშეს ნესტანისა და ტარიელის გასაჭირში ჩაგდების საქმეში, მაგრამ ყველაზე უარყოფითად პოემაში მაინც უსენია დახასიათებული. შეიძლება თამამად ითქვას, რომ იგი რუსთაველის მიერ გამოყვანილ პერსონაჟთა შორის ერთადერთი ბოლომდე უარყოფითი ტიპია.

ჩვენ შორს ვართ იმ აზრისაგან, რომ ვაჭართ-უხუცესი უსენი და დიდ-ვაჭარი ზანქან ზორაბაბელი, რომელიც „ქართლის ცხოვრების“ ცნობით, შუამავლად იყო გაგზავნილი რუსეთში თამარ მეფისათვის საქმროს ჩამოსაყვანად, და რომელმაც მართლაც ჩამოიყვანა გიორგი რუსი, გავაიგივოთ, მაგრამ გამორიცხული არ არის, რომ საქართველოს ისტორიის ამ ტრაგიკულმა მომენტმა თავისი მხატვრული ანარეკლი ჰპოვა უსენის სახეში, და იმ ეპიზოდებში, რომლებიც მასთანაა დაკავშირებული.

ერთი კი უდავოა, რომ რუსთაველმა შემთხვევით არ შეიყვანა პოემის წარმტაცი გმირების გალერეაში ვაჭართ-უხუცესი უსენის ყოვლად ანტიპატიური სახე. თუმცა ზორაბაბელი პიროვნებაა, რომელსაც განსაზღვრული ადგილი ეჭირა თამარ მეფის დროს, ხოლო ვაჭართ-უხუცესი უსენი რუსთაველის

მიერ შექმნილი მხატვრული სახეა, მაგრამ მათ შორის ბევრი რამ არის საერთო.

ახლა ვნახოთ, თუ რა არის ის საერთო, რაც გვაფიქრებინებს, რომ ზანქან ზორაბაბელი შეიძლება როგორღაც უსენის პროტოტიპად იქნას მიჩნეული.

ზანქან ზორაბაბელის შესახებ „ქართლის ცხოვრებაში“ შემდეგი ცნობებია შემონახული: იმის შემდეგ, რაც აბულასანის რჩევით გადაწყდა ანდრია ბოგოლიუბსკის შვილის იურის მოყვანა თამარის საქმროდ, მის გასასინჯად და მოსაყვანად რუსეთში აგზავნიან დიდ-ვაჭარ ზანქან ზორაბაბელს. ზანქან ზორაბაბელს ადგილზე უნდა შეემოწმებინა სასიძო, რადგან მის ღირსებაში, ეტყობა, მაინც ეპვი ეპარებოდათ. ბასილი ეზოს-მოძღვრის სიტყვით რომ ვთქვათ: „და ეს ვერა კეთილად განაგებს, რამეთუ არცა კაცი **იგი ღირსი საქმისა წარავლინეს** და არცა მისსა მეცნიერ იყვნეს, რომელსა იგი მოიყვანებდეს“ [1]. როგორც ვხედავთ, აქ დიდ-ვაჭარი ზანქან ზორაბაბელი უღირსად, უმეცრად არის დახასიათებული.

„ისტორიანი და აზმანი შარავანდეთანი“ გვამცნობენ აგრეთვე, რომ შუამავლად დიდ-ვაჭარი ზანქან ზორაბაბელი იქნა გაგზავნილი და მას დაეკისრა თამარ მეფე გაერიგებინა ანდრია ბოგოლიუბსკის შვილისათვის.

„მაშინ მომსმენართა მისთა უკმეს ერთი მკჳდრთაგანი დიდ-ვაჭარი ზანქან ზორაბაბელი. **მსწრაფლ მისულმან** ცვალებათა ჰუნეთათა წარმოყვანა და მოიყვანა **უწინარე პაემნითა** მოყმე სახეკეკლუცი, სრული ანაგებითა და მჳვრეტთაგან საჩენი გვარისშვილად“.[2] ამ ცნობიდან ჩანს, რომ ზანქან ზორაბაბელმა ძალზე იჩქარა, ისე სწრაფად წავიდა და უკან მობრუნდა, რომ დანიშნულ დროზე ადრე ჩამოიყვანა საქართველოში იური ბოგოლიუბსკი. შემდეგში, სამწუხაროდ, გამოირკვა თუ რა საზიანო გამოდგა ასეთი აჩქარება. ბასილი ეზოს-მოძღვარი ამბობს კიდეც: „ესოდენ მძიმე საქმესა სუბუქად შეეხებოდეს“. ასეა თუ ისე, ფაქტი ერთია, ზანქან ზორაბაბელმა ვერ გაამართლა ნდობა. მან თამარ მეფე, თავისი უჭკუ-

[1] ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 119.

[2] იქვე, გვ. 37.

რბით, აჩქარებით და უკოდნარობით, ულირს კაცს გაურიგა. დიდ-ვაჭარი ზანქან ზორაბაბელი უფრო სერიოზული და დალაგებული ვინმე ყოფილიყო. იქვე გამოარკვევდა, თუ რა ზნე სჭირდა გიორგი რუსს და საქართველოში არ წამოიყვანდა. სოდომური ქცევა, რომელიც საქართველოში აღმოაჩნდა გიორგი რუსს, სამშობლოშიც ექნებოდა გამოვლენილი. ამას მხოლოდ გაგება, სასიძო პიროვნების ყოველმხრივი შესწავლა სჭირდებოდა.

ამრიგად, ზანქან ზორაბაბელის როლი თამარ მეფის პირველად გათხოვების საქმეში აშკარად გაკიცხულია „ქართლის ცხოვრებაში“. ასევე „ვეფხისტყაოსანში“ ვაჭართ-უხუცესი უსენიც ცდილობს ნესტან-დარეჯანი გაურიგოს ზღვათა მეფის შვილს, რომელიც ნესტანისთვის შეუფერებელია. უსენიც, როგორც ზემოთ დავინახეთ, ზორაბაბელივით „ცქაფია“ — მსწრაფლის ქცევისა, ანუ აჩქარებული და „უწფელია“, ე. ი. გაუთლელი კაცია.

რუსთაველის შემოქმედებითმა ფანტაზიამ „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტის შესაბამისად მხატვრულად გადაამუშავა ფაქტი, რომელსაც ადგილი ჰქონდა საქართველოს სინამდვილეში. ვაჭართ-უხუცეს უსენის საბით რუსთაველმა „შეფარვით“ გაკიცხა დიდ-ვაჭარ ზანქან ზორაბაბელის მიერ დაშვებული შეცდომა და ამით გამოხატა ის დიდი გულისწყრომა, რომელიც მან დაიმსახურა თამარის კარზე.

იმის დასადგენად, თუ თამარ მეფის ეპოქის რა მოვლენებმა ჰპოვა გამოსახულება „ვეფხისტყაოსანში“, ჩვენ ხელთ მხოლოდ ერთადერთი წყარო „ქართლის ცხოვრება“ გვაქვს, რადგან მხოლოდ თამარ მეფის ისტორიკოსების მიერ შემონახული ცნობების მიხედვით შეგვიძლია ამ ეპოქაზე მსჯელობა.

„ქართლის ცხოვრებაში“ მოცემული ფაქტიური მასალებისა და „ვეფხისტყაოსნის“ ანალიზისა და შეჯერების შედეგად შესაძლებელი ხდება რამდენიმე უცილობელი დასკვნის მიღება, რომლებიც ცხადყოფენ, რომ „ვეფხისტყაოსანში“ აისახა თამარ მეფის დროის ძირითადი პოლიტიკური, ეთიკური და ესთეტიკური იდეალები.

პოემის პროლოგში შოთა რუსთაველი პირდაპირ აცხადებს,

რომ მისი მიზანია თამარ მეფის ქება, რომ „ვეფხისტყაოსანში“ შენიღბულად (შეფარვით) თამარ მეფეა განდიდებული (მე-4, მე-8, მე-19 სტროფები).

ტარიელისადმი სიბრალული, თანაგრძნობა, მისთვის „ცრემლის დათხევა“ ფარსადანის არასწორი ნაბიჯის დაგმობას და როსტევანის სწორი გადაწყვეტილების მხარდაჭერას, თინათინის მეფედ ყოფნის გამართლებას ნიშნავს. ეს, თავის მხრივ, თამარ მეფის მეფედ ყოფნის კანონზომიერების აღიარებაა და ამრიგად, მისი ქებაც.

ამიტომ რუსთაველი წერს: „თამარს ვაქებდეთ მეფესა სისხლისა ცრემლ-დათხეული“, ხოლო ცოტა ქვემოთ დასძენს: „მო, დავსხდეთ, ტარიელისთვის ცრემლი გვდის შეუშრობელი“; ტარიელისთვის ცრემლის დენა მართლაც თამარ მეფის ქებაა „სისხლისა ცრემლ-დათხეული“.

შემთხვევითი ქრონოლოგიური დამთხვევა არ უნდა იყოს ის, რომ როსტევან-თინათინ-ავთანდილის სიუჟეტური რკალი მოიცავს ექვს წელიწადს. იგი თამარის სამეფო ტახტზე დამკვიდრებასთან დაკავშირებულ ისტორიულ მოვლენებს გამოძახილს წარმოადგენს. თამარი გიორგი III 1178 წელს დასვა თავის თანამოსაყდრედ, ხოლო 1184 წელს მისი ხელმეორედ კურთხევა მოხდა, გამოდის, რომ პირველად გამეფების შემდეგ იმ დრომდე, როდესაც თამარი სრული სამეფო უფლებებით აღჭურვეს (მას, როგორც მამაკაცს, ხმალიც კი შემოართუეს), ექვსი წელი გავიდა.

„ვეფხისტყაოსნის“ მეორე სიუჟეტური რკალი — ფარსადან-ნესტან-ტარიელისა, 11 წლის განმავლობაში ვითარდება. ესეც არ უნდა იყოს შემთხვევითი. თამარ მეფის შეუღლება დავით სოსლანთან მოხდა ტახტზე თამარის პირველად აყვანიდან 11 წლის შემდეგ. ეს თერთმეტი წელი თამარ მეფისთვის ტრაგიკული წლები იყო, ისევე, როგორც ნესტან-დარეჯანისა და ტარიელისათვის.

„ვეფხისტყაოსნის“ პროლოგი, კომპოზიცია, სიუჟეტი, სახეები, იდეურ-თემატური საფუძველი, პოემის მთელი შინაარსი იმაზე მეტყველებს, რომ შოთა რუსთაველმა თავისი ნაწარმოები თამარ მეფის განსადიდებლად, მისი საქართველოს

ტასტზე ყოფნის კანონზომიერების და მიზანშეწონილობის ნათელსაყოფად შექმნა.

თავისი შედგენილობით „ვეფხისტყაოსანი“ ორპლანიანი ნაწარმოებია. მასში ერთმანეთთან დაპირისპირებულია ორი ამბავი, ნეგატიური და პოზიტიური. პოზიტიურია როსტევან-თინათინ-ავთანდილის სიუჟეტური რკალი, რადგან არაბეთის მეფე როსტევანმა თავისი ერთადერთი ქალი აიყვანა ტახტზე და მას შეუზღუდავი სამეფო უფლებები მიანიჭა. ნეგატიურია ფარსადან-ნესტან-ტარიელის სიუჟეტური რკალი, რადგან იმავე სიტუაციაში, როგორსაც ადგილი ჰქონდა არაბეთში, ინდოეთის მეფე ფარსადანმა საწინააღმდეგო გადაწყვეტილება მიიღო — არ სცნო შესაძლებლად თავისი ქალიშვილის გამეფება. ამრიგად, არაბეთში გაიმარჯვა კეთილმა საწყისმა, ხოლო ინდოეთში — ბოროტმა. ასეთი დაპირისპირებიდან მხოლოდ ერთადერთი დასკვნა გამომდინარეობს: როდესაც მეფეს სხვა მემკვიდრე არა ჰყავს, ერთადერთი ქალის გარდა, აუცილებელია მისი გამეფება და მისთვის განუსაზღვრელი სამეფო უფლებების მინიჭება, საწინააღმდეგო შემთხვევაში სამეფო კარს და ქვეყანას ისეთივე უბედურება დაატყდება თავს, როგორც ინდოეთსა და ფარსადანის სამეფო კარს.

ეს იდეა მთლიანად ნაკარნახევია მე-12 საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს სინამდვილით.

იმის შემდეგ, რაც დავით აღმაშენებელმა საქართველოს ერთიანი ფეოდალური სახელმწიფო შექმნა და ერთმმართველობა განამტკიცა, მთელი საუკუნის განმავლობაში არ შეწყვეტილა დიდგვაროვანთა ბრძოლა ერთმმართველობის წინააღმდეგ, გიორგი III და თამარ მეფის დროს ამ ბრძოლამ განსაკუთრებით მწვავე ხასიათი მიიღო. დიდგვაროვანთა მხრივ ქალის მეფედ ყოფნის კანონიერების კითხვის ქვეშ დაყენება და თამარ მეფის უფლებების შეზღუდვის ცდები, ფაქტიურად, ერთმმართველობის წინააღმდეგ ბრძოლის სახესხვაობას წარმოადგენდა.

ქალის მეფედ ყოფნის კანონზომიერების ქადაგება იმდროინდელ საქართველოში უაღრესად პროგრესული იდეა იყო და გიორგი III და თამარის დროს შექმნილ პოლიტიკურ

სიტუაციაში ერთმმართველობისა და საქართველოს ძლიერების განმტკიცებისათვის ბრძოლას ნიშნავდა.

ამრიგად, „ვეფხისტყაოსნის“ ძირითადი იდეა მთლიანად ნაკარნახევია თამარ მეფის დროინდელი სინამდვილით და რუსთაველი თავისი კალმით თავისი დროის ყველაზე საჭირბოროტო და პროგრესული პოლიტიკური აზრის დამკვიდრების საქმეს ემსახურებოდა.

## სარჩევი


წინასიტყვაობის მაგიერ 3

### თავი პირველი

„ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტი 7
1. „ვეფხისტყაოსნის“ ექსპოზიცია 8
2. მოქმედების განვითარების კვანძი . . 12
3. მოქმედების განვითარება „ვეფხისტყაოსანში“ 18
4. კულმინაცია . . 64
5. სიუჟეტური კვანძის გახსნა . 79
6. „ვეფხისტყაოსნის“ დაბოლოების საკითხი 93

### თავი მეორე

„ვეფხისტყაოსნის“ კომპოზიცია
1. „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგი . . . 102
2. მოქმედების განვითარების ერთიანობა „ვეფხისტყაოსანში“ 107
3. მოქმედების განვითარების დრო „ვეფხისტყაოსანში“ 113

### თავი მესამე

შოთა რუსთაველის მხატვრული გამოსახვის ხერხი და საშუალებანი
1. „ვეფხისტყაოსნის“ ეპიზოდური რაობა . 137
2. ალეგორია „ვეფხისტყაოსანში“, როგორც მხატვრული გამოსახვის საშუალება . . 153
3. გამონაგონი ანუ პოეტური ფანტაზია, როგორც შოთა რუსთაველის მხატვრული გამოსახვის ერთ-ერთი საშუალება 170

### თავი მეოთხე

მოჯადოებისა და მხატვრული სახის პრობლემა „ვეფხისტყაოსანში 195

### თავი მეხუთე

თამარ მეფის დრო და „ვეფხისტყაოსანი“
1. არსებული თეორიების კრიტიკული მიმოხილვა 239
2. „ვეფხისტყაოსნის“ ისტორიული სარჩული 273

რედაქტორი ბ. ხარანაული
მხატვარი ს. გირკელიძე
მხატვრული რედაქტორი გ. ქუთათელაძე
ტექრედაქტორი ნ. ქავთარაძე
კორექტორები: მ. ბეჟანიშვილი, ჯ. ნანუკაშვილი

*

გადაეცა წარმოებას 13/X-67 წ.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 4/IV-68 წ.
ქაღალდის ზომა 84×108¹/₃₂.
ნაბეჭდი თაბახი 15,33.
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 13,38.
უე 01647. ტირაჟი 1.000. შეკვ.
ფასი 1 მან. 18 კაპ.

*

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო"
თბილისი, მარჯანიშვილის 5.

*

П/комбинат изд-ства ЦК КП Грузии. ул. Ленина, 14.
საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.